

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაცია

AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY
IMERETI AGROECOLOGICAL ASSOCIATION

პირველი საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული
კონფერენცია
„ახალი ინიციატივები“
შრომები

PROCEEDINGS
FIRST INTERNATIONAL
SCIENTIFIC-PRACTICAL
CONFERENCE
„NEW INOVATIONS“

ქუთაისი-2019-KUTAISI

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაცია

AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY
IMERETI AGROECOLOGICAL ASSOCIATION

**პირველი საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული
კონფერენცია
„ახალი ინიციატივები“
შრომები**

**PROCEEDINGS
FIRST INTERNATIONAL
SCIENTIFIC-PRACTICAL
CONFERENCE
„NEW INOVATIONS“**

ქუთაისი-2019-KUTAISI



საორგანიზაციო კომიტეტი:

როლანდ კოპალიანი - თავმჯდომარე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის პროფესორი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ქეთევან კინწურაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული ფაკულტეტის დეკანი, სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის პროფესორი.

როზა ლორთქიფანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი.

მაკა ყუბანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ნინო ავალიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ნატალია სანთელაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიური დოქტორი.

მარიეტა თაბაგარი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ნინო კელენჯერიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ნინო ყიფიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

იზოლდა ხასაია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ეთერი ბენიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

იზა ოჩხიკიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ემზარ კილასონია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგროინჟინერიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

მაია ხელაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი.

ქეთევან ქუთელია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი.

ISBN 978-9941-484-84-1

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა



Organizing Committee:

- Roland Kopaliani** – Chairman, Rector of Akaki Tsereteli State University, Professor, Department of Subtropical Cultures. Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences.
- Ketevan Kintsurashvili** - Akaki Tsereteli State University, Dean of the Faculty of Agriculture, Professor of Subtropical Crop Technology.
- Roza Lortkipanidze** - Akaki Tsereteli State University, Head of the Department of Agronomic Sciences, Professor of the Department of Agronomic Sciences.
- Maka Kubaneishvili** - Associate Professor of Akaki Tsereteli State University, Department of Agronomy.
- Nino Avalishvili** - Associate Professor of Akaki Tsereteli State University, Department of Agronomy.
- Natalia Santeladze** - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor of the Department of Agronomy Sciences.
- Marietta Tabagari** - Akaki Tsereteli State University, Head of Quality Assurance Department of the Faculty of Agriculture, Associate Professor, Department of Subtropical Crops.
- Nunu Chachkhiani-Anasashvili** - Associate Professor, Department of Agronomy, Akaki Tsereteli State University.
- Nino Kelengeridze** - Associate Professor of Akaki Tsereteli State University, Department of Agronomy.
- Nino Kipiani** - Associate Professor of Akaki Tsereteli State University, Department of Agronomy.
- Izolda Khasaia** - Associate Professor, Department of Tourism and Landscape Architecture, Akaki Tsereteli State University.
- Eteri Benidze** - Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Department of Tourism and Landscape Architecture.
- Iza Ochkhikidze** - Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Department of Tourism and Landscape Architecture.
- Emzar Kilasonia** - Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Department of Agro- Engineering.
- Maya Kheladze** - Assistant Professor, Department of Agronomy, Akaki Tsereteli State University.
- Ketevan Kutelia** - Assistant Professor, Akaki Tsereteli State University, Department of Tourism and Landscape Architecture.



სარედაქციო კოლეგია:

როზა ლორთქიფანიძე - რედაქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი

ნინო ავალიშვილი - პასუხისმგებელი მდივანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

როლანდ კოპალიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ქეთევან კინწურაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული ფაკულტეტის დეკანი, სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის პროფესორი.

მაყვალა ფრუიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის პროფესორი.

მაკა ყუბანიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ნატალია სანთელაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიური დოქტორი.

მარიეტა თაბაგარი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ნინო კელენჯერიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ნინო ყიფიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

რამაზ კილაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმისა და ლანშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

იზოლდა ხასაია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმისა და ლანშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

სოსო თავბერიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი



I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
„ახალი ინოვაციები“
I INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
“NEW INOVATIONS”



ლია კობალიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სუბტროპიკული კულ-
ტურების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

მაია ხელაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრონომიულ მეცნიერებათა
დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

ქეთევან ქუთელია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმისა და ლან-
შაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი



Editorial Board:

Roza Lortkipanidze - Editor, Akaki Tsereteli State University, Head of the Department of Agronomic Sciences, Professor of the Department of Agronomic Sciences.

Nino Avalishvili - Responsible Secretary, Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Department of Agronomic Sciences.

Members of the Editorial Board:

Roland Kopaliani - Rector of Akaki Tsereteli State University, Professor, Department of Subtropical Cultures. Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences.

Ketevan Kintsurashvili - Akaki Tsereteli State University, Dean of the Faculty of Agriculture, Professor of Subtropical Crop Technology.

Makvala Pruidze - Akaki Tsereteli State University, Professor of Subtropical Crop Products Technology.

Maka Kubaneishvili - Associate Professor of Akaki Tsereteli State University, Department of Agronomy.

Natalia Santeladze - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor of the Department of Agronomy Sciences.

Marietta Tabagari - Akaki Tsereteli State University, Head of Quality Assurance Department of the Faculty of Agriculture, Associate Professor, Department of Subtropical Crops.

Nino Kelengeridze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Department of Agronomy Sciences.

Nunu Chachkhiani-Anasashvili - Associate Professor, Department of Agronomy, Akaki Tsereteli State University.

Nino Kipiani - Associate Professor, Department of Agronomy, Akaki Tsereteli State University

Ramaz Kiladze - Associate Professor, Department of Tourism and Landscape Architecture, Akaki Tsereteli State University.

Izolda Khasaia - Associate Professor, Department of Tourism and Landscape Architecture, Akaki Tsereteli State University.

Soso Tavberidze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Department of Agro Engineering.

Lia Kopaliani - Associate Professor, Department of Subtropical Cultures, Akaki Tsereteli State University.

Maya Kheladze - Assistant Professor, Department of Agronomy, Akaki Tsereteli State University.

Ketevan Kutelia - Assistant Professor at Akaki Tsereteli State University, Department of Tourism and Landscape Architecture.



სოფლის მეურნეობა

ალმასი - ძვირფასი ქვების დედოფალი

ავალიშვილი ნინო

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

დედაქანში ნაპოვნი ალმასის კრისტალი რაც არ უნდა დეფორმირებული იყოს, მასში მაინც ჩანს მისი ელვარება. მას ძვირფას ქვებს შორის ყველაზე მარტივი ფორმულა და აგებულება აქვს, მაგრამ იგი ყველაზე ძვირფასია. არჩევენ ალმასის ორ სახეს: საიუველიროსა და ტექნიკურს. საიუველირო ალმასებს მიეკუთვნება - სრულყოფილი ფორმის უმაღლესი ხარისხის ქვები. ის უნდა გამოირჩეოდეს განსაკუთრებული გამჭვირვალობით, სილამაზით და ფერთა თამაშით, არ უნდა გააჩნდეს ბზარები და ჩანარები. ტექნიკური ალმასი საშუალებას გვაძლევს აბრაზიული ხელსაწყოებით დავამუშაოთ ოპტიკური, კვარციანი მინა, კერამიკა, საშენი მასალები (ბეტონი, მარმარილო, გრანიტი), ძვირფასი ქვები, ფაიფური, ბროლი და სხვა. ალმასური ხელსაწყოების გამოყენება ტექნიკურად ეფექტურია, ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

საკვანძო სიტყვები: ალმასი, ძვირფასი ქვა, კრისტალი, სახესხვაობა.

ალმასის ქიმიური შედგენილობაა C. იგი შეიცავს მინარევებს, ანალიზების შედეგად მასში აღმოჩნდა: სილიციუმი, ალუმინი, კალციუმი, მაგნიუმი, რკინა, ტიტანი, სტრონციუმი, ბარიუმი, ნატრიუმი, სკანდიუმი, ქრომი, მანგანუმი, სპილენძი, ცირკონიუმი, პლატინა, ოქრო, ვერცხლი, ტყვია. ძირითადად მინარევები ალმასის კრისტალთა გარე ნაწილში ანუ ქერქშია ნაპოვნი. აგრეთვე მასში დადგენილია წყალბადის, ბორის, ჟანგბადის აზოტის არსებობა. ასევე ის შეიცავს მყარ (პიროქსენი, გრაფიტი, კვარცი, რკინის ჟანგები და სხვა), თხევად (წყალი, ნახშირმჟავა) და გაზისებრ (აზოტი და სხვა) ჩანარებს. ალმასში მინარევების მაქსიმალური რაოდენობა 5% შეადგენს.

ხშირად გავრცელებულია გამრუდებულწახნაგებიანი და წიბოებიანი ალმასი. კრისტალთა გავრცელებული ფორმებია: ოქტაედრი, რომბული დოდეკაედრი, ჰექსაედრი და მათი კომბინაციები. დეფორმირებულ-მომრგვალებულწახნაგებიანი ალმასის კრისტალთა ფორმა ხშირად უახლოვდება სფერულს. ვ. ვერნადსკის მიხედვით ალმასის ფორმა დაკავშირებულია საბადოების თავისებურებებთან, მაგ. ბრაზილიის ალმასები გვხვდება დოდეკაედრების სახით, სამხრეთ აფრიკისა კი - ოქტაედრების. ფორმისა და მდებარეობის მიხედვით ჩანს, რომ მაგმური მდნარიდან ალმასი ერთ-ერთი პირველი გამოიყოფა სხვა მინერალებისაგან განსხვავებით. ალმასის კრისტალებს აქვთ თავისებურება, მიეწებონ ზოგიერთ ცხიმოვან ნივთიერებებს.

ყველაზე კარგი ხარისხის ალმასი უფერული, წყლისებრ გამჭვირვალეა.

საიუველირო ალმასს ფერის მიხედვით ხუთ ჯგუფად ყოფენ:

- უფერული;
- ყვითელი;



- მურა;
- ნაცრისფერი;
- შავი.



თეთრი ალმასი

თითოეული ჯგუფის ფარგლებში შეიძლება იყოს ყველა ტონი ღიადან მუქ ფერამდე. გვხვდება აგრეთვე მწვანე (დრეზდენის ალმასი), წითელი, ლურჯი (ფლორენციის ალმასი), მოვარდისფრო, იისფერი და სხვა. ალმასის ფერი გამოწვეულია ქრომის, რკინის, ტიტანის მინარევებით. ხშირად შეფერვა კრისტალებში არათანაბრადაა განაწილებული. გვხვდება ლაქებიანი და ზოლებიანი ალმასებიც. ისიც შესაძლებელია, რომ ალმასის გართა ფენას სხვა ფერი ჰქონდეს, შიგნით კი უფერული ან სხვა ფერის იყოს.

ალმასს ყვითელ ფერს აძლევს აზოტის იზომორფული ნარევი, წითელ ფერს - ბორის მინარევები, ოქროსფერი გამოწვეულია შეფერვის ცენტრის სხვადასხვა დეფექტით, შავი ფერი - გრაფიტის ან კოლოიდური ნახშირბადის შემცველობით. ლურჯი, მოწითალო და მწვანე ფერის ალმასები იშვიათია და ისინი ძვირად ფასობენ. გახურებით ალმასის კრისტალი ფერს იცვლის - მურა ფერის ხდება ოქროსფერი, ბაცი ვარდისფერი - მუქი ვარდისფერი და ა.შ.



ვარდისფერი ალმასი



გათლილ, დაწახნაგებულ ალმასს ბრილიანტი ეწოდება. ყველა სხივი, რომელიც ეცემა ბრილიანტის ზედაპირზე, მის წახნაგებში გარდატყდება, იშლება შემადგენელ ფერებად და უკუიქცევა, ამიტომ თამაშობს ბრილიანტი ასე კაშკაშა ფერებით, ასხივებს ცისარტყელას ყველა ფერს. ყველაზე მეტად ფასობს ძლიერ გამჭირვალე ალმასი. ის ატარებს რენტგენის სხივებს, რაც საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ იგი ყალბი ქვებისაგან. ალმასის გამჭირვალობას განსაზღვრავენ არა მზის სინათლეზე, არამედ ჩრდილში ან ლამპის შუქზე.

გამჭირვალობისა და ელვარების მიხედვით ალმასებს შორის გამოყოფენ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის ქვებს, ხოლო სიმაგრე იცვლება წახნაგების მიხედვით. ის არ იხსნება სითხეში (გარდა გამდნარი თუჯისა და გამდნარი ოლივინიანი ქარსისა). სიმაგრის გამო ალმასის გათლა-დაწახნაგება გაცილებით უფრო რთული და შრომატევადია, ვიდრე ნებისმიერი ძვირფასი ქვისა.

ალმასის შემდეგ სახესხვაობებს არჩევენ:

- ბორტი (ალმასის მარცვლოვანი, არაგამჭირვალე, ნაცრისფერი ან შავი ფერის შენაზარდები, არაწესიერი კრისტალები, სფეროსებრი და რადიალურ-სხივოსნური აგრეგატები);
- ბალასი (წვრილი, სფეროსებრი, ბოჭკოვან-სხივოსნური არეგატები);
- კარბონადო (ალმასის სხვა სახეებისაგან განირჩევა მუქი ფერით და წვრილმარცვლოვანი აგებულებით. იგი მკვრივი ან ფოროვანია. ფერით - შავი, ყავისფერი ან მუქი ნაცრისფერი).

არჩევენ ალმასის ორ სახეს: საიუველიროსა და ტექნიკურს. საიუველირო ალმასებს მიეკუთვნება - სრულყოფილი ფორმის უმაღლესი ხარისხის ქვები. ის უნდა გამოირჩოდეს განსაკუთრებული გამჭვირვალობით, სილამაზით და ფერთა თამაშით, არ უნდა გააჩნდეს ბზარები და ჩანარები.

ტექნიკურ ალმასებს მიეკუთვნება ალმასის სახესხვაობები - ბორტი, ბალასი, კარბონადო. ასევე, ალმასის დამუშავებისას ნარჩენი ფხვნილი, საიუველირო საქმისათვის უვარგისი ყველა ალმასი - ბზარებიანი, ლაქებიანი და სხვა ფორმის კრისტალები.

ალმასის სამრეწველო საბადოები იყოფა ორ ტიპად: მაგმური (პირველადი) და ქვიშრობები (მეორადი).

მაგმური ბუდობები დაკავშირებულია კამბრიულის წინა ფარებისა და ბაქნების თავისებურ ქანთან - კიმბერლიტთან. კიმბერლიტი (სახელწოდება დაკავშირებულია სამხრეთ აფრიკის ქალაქ კიმბერლიესთან) ეფუზიური იერის მქონე ბრექჩისებრი ულტრაფუძე ქანია. ის ალმასის მთავარი წყაროა. ალმასის დაკრისტალება მიმდინარეობს დიდ სიღრმეზე მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში. კიმბერლიტები გავრცელებულია აფრიკაში, ინდოეთში, ამერიკაში და სხვ.

ალმასის მეორადი, მაგრამ პრაქტიკულად უფრო მნიშვნელოვანი ბუდობები დაკავშირებულია ქვიშრობებთან. ალმასს ღებულობენ ძირითადად ქვიშრობებიდან. ქვიშრობები წარმოიქმნება ძირითადად ქანების დაშლით. დაშლილი მასალა წყლის ნაკადებს გადააქვს მდინარეების, ზღვებისა და ოკეანეების ნაპირებზე.

აგრეთვე ცნობილია ალმასშემცველი კონგლომერატები, ბრექჩიები, ქვიშები, არაერთხელ იპოვეს ალმასი ქვისა და რკინის მეტეორიტებშიც.



აღმასი მცირე ზომის კრისტალების სახით გვხვდება. საბადოებში აღმასების საშუალო სიდიდე 0,2-0,3 კარატია. დიდ აღმასად ითვლება 5-10 კარატიანი კრისტალები. დიდი ზომის აღმასი ბუნების იშვიათი მოვლენაა და მთელს მსოფლიოშია ცნობილი. მათ საკუთარი სახელები აქვთ.

ტექნიკური აღმასები მოპოვებული აღმასების 75-85%-ს შეადგენს. მათ (საიუველიროდ უვარგისი, ბორტი, ბალასი, კარბონადო) იყენებენ აღმასურ ბურღვაში, სხვადასხვა ინსტრუმენტების დასამზადებლად, როგორც საჭრელ და გასაკრიალებელ მასალას. აღმასი, როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტების დასამზადებლად: სახეხი ქარგოლები და ძელაკები, საჭრისი და ფრეზი (საღარავი) აღმასის ფირფიტით, საგლუვი, საბურღი ხელსაწყოები. აღმასი საშუალებას გვაძლევს აბრაზიული ხელსაწყოებით დავამუშაოთ ოპტიკური, კვარციანი მინა, კერამიკა, საშენი მასალები (ბეტონი, მარმარილო, გრანიტი), ძვირფასი ქვები, ფაიფური, ბროლი და სხვა. აღმასური ხელსაწყოების გამოყენება ტექნიკურად ეფექტურია, ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ზუხბაია - ძვირფასი და ტექნიკური ქვები-გამომც. "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1980 წ
2. ვ. ზუხბაია-განძი ქართული მიწისა-გამომც. "ნაკადული", თბილისი, 1984

Diamond - the Queen of Gems

Avalishvili Nino

Candidate of agricultural sciences, Associate professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: Diamond, gem, crystal, variety.

No matter how deformed is the diamond crystal in the genesis rock, its glistening is noticeably dazzling. It has the simplest formula and the structure among other gems.

The chemical composition of a diamond is C. It contains admixtures that are mainly found in the outer part of the diamond crystals, ie the crust. It contains hydrogen, boron, and oxygen and also, solid, liquid and gas portions. The maximum quantity of admixtures in a diamond is 5%.

There are mostly spread curved/sided and buckled diamonds. The forms of crystals are Octaedri, rhombic dodecahedron, hexahedrons, and their combinations. The shape of the deformed-rounded diamond crystal forms turns to spherical. According to V. Vernadsky, the shape of a diamond is conditioned by the characteristics of the ores, the best quality diamond is colorless and transparent. Jewelry diamonds are divided into five groups according to color: colorless; yellow; brown; grey and black.

Within each group, there can be all tones from light to dark. There are crystals of green, red, blue, pink, and purple. The color of a diamond depends on the number of admixtures of chromium, iron, and titanium. Very often coloration in crystals is shared unequally. There are also stained and striped diamonds. It is also possible that the outer layer of the diamond may have a different color, while the inside it may be colorless or colored.

The diamond has a yellow color for an isomorphic mixture of nitrogen, it is the red cause of boron admixtures, black for consistency of graphite or colloidal carbon. Blue, reddish and green diamonds are rare and they are expensive. The crystal of diamond changes its color by heating - brown



color becomes golden, light pink becomes dark pink, etc.

A smooth, faceted gem is a diamond. All the rays that fall on the diamond's surface dissolve into shades and reflect, therefore the diamond is dazzling like a rainbow. The transparency of the diamond is determined not by the sunlight but by a shadow or a lamplight.

There are the first, the second and the third-degree stones among diamonds according to transparency and glistening, the firmness varies according to sides, it does not dissolve in liquids (Except fused cast iron and olivine cast). The diamond formation is much more difficult rather than any other gems.

The following diamonds are selected:

- Board (Non-transparent, with gray or black sides, non-ferrous crystals, spherical and radial-ray aggregates);
- Balas (Thin, spherical, fiber-beam arrays);
- Carbonado (Dark in color and fine-grained, dense or porous, black, brown or dark gray).

There are selected 2 types of diamonds: jewelry and technical. Jewelry diamonds are high-quality stones –having a perfect shape. They could be sorted by exceptional transparency, beauty and colorless, with no cracks or tabs.

Technical diamonds include diamond varieties - board, balas, and carbonado. Also, the dust remained after diamond processing and all other crystals that are unsuitable for jewelry – fracture and spots on gems and other shaped parts. Industrial diamond deposits are divided into two types: magmatic (primary) and sandstones (secondary).

Magmatic areas are linked with Kimberlite rock. Kimberlite (The name is associated with the South African city of Kimberley) is effusive ultra olivenite rock. Diamond is crystallized at high depth under high pressure and temperature. Kimberlites are widespread in Africa, India, America, and other countries.

Secondary though more important diamond areas are sandstones, that are formed by the breakdown of rocks. The decomposed material flows into the water on the banks of rivers, seas, and oceans.

Also, there are diamond conglomerates and sands. Diamonds are found in stone and iron meteorites.

The diamonds are small crystals. The average quantity of diamond in the deposits is 0.2-0.3 carats. The large diamonds are 5-10 carat crystals. Large size diamonds are rare.

Technical diamonds are 75-85% of the extracted diamonds. They are used (Diamond drilling) to make various tools as cutting and polishing materials (Unsuitable for jewelry: board, balas, and carbonado). Diamonds, both natural and artificial, are used as tools for grinding cords and spindles, cutting and milling (diamond) with a diamond plate and drilling. Diamond allows us to work with abrasive tools to till optical, quartz glass, ceramics, building materials (Concrete, marble, granite), gems, porcelain, and crystal. The use of diamond tools is technically effective – increasing the productivity of labor.





აკვაკულტურის განვითარების საკითხები საქართველოში

ახალაძე ზეინაზი

ასოცირებული პროფესორი

შალამბერიძე მანანა

ასოცირებული პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიოში თევზის წარმოება-მიწოდება განუხრელად იზრდება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ევროკავშირის სახელმწიფოები, რაც ჩვენთვის ორმაგად საინტერესო შეიძლება იყოს. ამის მიზეზი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაა, რომლის ფარგლებშიც ქართულ პროდუქციას ევროპის უზარმაზარ ბაზართან წვდომის საშუალება მიეცა. განვითარებულ ქვეყნებში დიდი პოპულარობით ზღვისა და ოკეანის თევზის პროდუქტები სარგებლობენ, მაგრამ განვითარების პოტენციური აკვაკულტურასაც აქვს.

როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, სავსებით შესაძლებელია, რომ აკვაკულტურა გახდეს ცხოველური წარმოშობის რიგით მეხუთე პროდუქტი, რომლის ევროკავშირის ბაზარზე შეტანის უფლებას საქართველო მოიპოვებს. აკვაკულტურა კონტროლირებად პირობებში წყლის ორგანიზმების (თევზების, მოლუსკების, წყალმცენარეების) მოშენებას გულისხმობს. ამ დრომდე საქართველოდან ცხოველური წარმოშობის ორი არასასურსათო (ტყავი, მატყლი) და ორი სასურსათო (თაფლი, ქაფშია) პროდუქტის ევროკავშირში შეტანაა ნებადართული.

მართალია ჩვენ ვერ შევძლებთ იმდენი თევზის მოპოვებას, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ ევროპის თანამეგობრობის მოთხოვნა, მაგრამ თუ მოვახერხებთ აკვაკულტურის განვითარებას, შევძლებთ დავიკავოთ სერიოზული ნიშა ევროპის ბაზარზე. თანაც, გვიჩნდება პერსპექტივა, რომ ჩვენი თევზჭერა გაყინული და ნედლი თევზის ექსპორტზეც გადავიდეს. ასევე საკონსერვო მრეწველობაც განვითარდეს და ჩვენთან წარმოებული კონსერვებით მოვამარაგოთ ევროპის ბაზარი.

საკვანძო სიტყვები: თევზის პროდუქტები; აკვაკულტურა; ევროკავშირის ბაზარი; საკანონმდებლო რეგულაციები.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიოში თევზის წარმოება-მიწოდება განუხრელად იზრდება და ექსპერტების პროგნოზით, ზრდის ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. თევზის ყველაზე დიდი მომხმარებლები და იმპორტიორები არიან ევროკავშირი, ჩინეთი, აშშ და იაპონია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ევროკავშირის სახელმწიფოები, რაც ჩვენთვის ორმაგად საინტერესო შეიძლება იყოს. ამის მიზეზი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაა, რომლის ფარგლებშიც ქართულ პროდუქციას ევროპის უზარმაზარ ბაზართან წვდომის საშუალება მიეცა. სამწუხაროდ, დღემდე ჩვენი ძირითადი საექსპორტო ბაზარი არის თურქეთი, სადაც ყოველწლიურად 30 მილიონ დოლარამდე ღირებულების თევზი, ძირითადად გადამუშავებული თევზის პროდუქტები (ფქვილი და ზეთი) გადის.

საქართველოში თევზის მეურნეობის განვითარება ჯერ კიდევ წინა საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო „საქთევზის“ დაარსებით. საზღვაო თევზჭერა ამ პერიოდში წლიურად 2300-7600 ტონას შორის მერყეობდა. 1980 წელს კი ამ რიცხვმა 212 ათას ტონას მიაღწია. მი-



უხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ საქართველო მეთევზეობით და თევზის პროდუქციის წარმოებით არასდროს ყოფილა გამორჩეული ქვეყანა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი (მე-20 საუკუნეში მაინც) ისაა, რომ საბჭოთა კავშირის შრომის დანაწილებაში საქართველო ღვინის, ხილის, ციტრუსებისა და ჩაის წარმოებაზე იყო სპეციალიზებული, ხოლო მეცხოველეობასა და თევზჭრას მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდა მიკუთვნებული.

თევზის წარმოებასთან ერთად, საქართველოში თევზის მოხმარებაც საკმაოდ დაბალია. ამის მიზეზი პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკური შინაარსისაა და მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობით არის განპირობებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი სამზარეულოს სპეციფიკაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქართულ სამზარეულოში თევზის როლი გაცილებით უფრო მოკრძალებულია, ვიდრე რუსულ, ნორვეგიულ ან მით უმეტეს კუნძულოვანი ქვეყნების, მაგალითად იაპონიის, სამზარეულოში.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისი სამინისტროს 2003 წელს დამტკიცებული მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით თევზის პროდუქტების მოხმარების მინიმალური ნორმა წელიწადში დაახლოებით 15 კილოგრამია, რაც არსებითად დაბალია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 23 კილოგრამიან ნორმატივზე. 2009-2018 წლებში თევზის ფაქტობრივი მოხმარება მინიმალური ნორმის 30 პროცენტზე ნაკლები იყო. ბოლო აღწერის მიხედვით, ჩვენი მოსახლეობა 3 700 000 ადამიანს შეადგენს და რომ გავამრავლოთ ეს 15 კილოზე, გამოდის, რომ წელიწადში გვჭირდება 53 ათასი ტონა თევზი. ჩვენ კი მოხმარება გვაქვს სულ 30 ათასი ტონა, საიდანაც მაქსიმუმ 5 ტონამდე ჩვენ ვაწარმოებთ. იმპორტირებული თევზის რაოდენობა ძალიან მაღალია. ეს ფაქტი პრობლემაა სასურსათო უსაფრთხოების კუთხითაც, მინიმუმ 50%-ს მაინც უნდა ვაწარმოებდეთ.

განვითარებულ ქვეყნებში მეტი პოპულარობით ზღვისა და ოკეანის თევზის პროდუქტები სარგებლობენ, მაგრამ ღია წყლებში თევზეულის შეზღუდული რესურსების გამო განვითარების პოტენციალი აკვაკულტურასაც აქვს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, დედამიწის ზღვებსა და ოკეანეებში შეინიშნება თევზის ფიზიკური შემცირება 25%-ით. როგორც მსოფლიო ექსპერტები ამბობენ, ამას განაპირობებს თევზის რეწვის მიმართ არაორგანიზებული, უკონტროლო დამოკიდებულება და თევზჭერის საერთაშორისო საკანონმდებლო შეზღუდვებისადმი ლიბერალური დამოკიდებულება.

აკვაკულტურის წილი საერთო რეწვაში სულ უფრო და უფრო იზრდება და დღევანდელი მონაცემებით 42%-ს შეადგენს. აქედან ნახევარი - 54% მოდის აზიაზე და მხოლოდ 18% მოდის ევროპულ სახელმწიფოებზე. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში არსებული უმნიშვნელოვანესი რესურსების კვალობაზე კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს ამ დარგის განვითარების დინამიკა, თუმცა, თევზის ფერმებში მოშენების, ანუ, აკვაკულტურის განვითარების დონე, ექსპერტების მოსაზრებით, არათუ ევროპასა და მსოფლიოს, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებსაც (მაგ., სომხეთს, თურქეთს) კი მკვეთრად ჩამორჩება. არადა, რესურსები მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება: ზღვის გარეშე, წყლის რესურსებით, საქართველო ევროპაში ერთ - ერთ მოწინავე ადგილზეა, ქვეყანაში 25 ათასზე მეტი მდინარე და წყაროა, საერთო სიგრძით - 55 ათასი კმ, ასევე 860 ტბა და 12 წყალსაცავი, რომელთა ფართობი 277 კვ კმ-ს აჭარბებს. თევზის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთა-



შორისო ბაზის Fishbase-ს მიხედვით, აქ 71 სახეობის თევზი ბინადრობს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს წყლის რესურსები არის ეკოლოგიურად ძალიან სუფთა, რაც სავსებით შესაძლებელს ხდის აკვაკულტურის განვითარებას. ეს რაც შეეხება მიწისზედა წყლის რესურსებს, მაგრამ იმავდროულად საქართველოს გააჩნია უნიკალური მიწისქვეშა წყლის რესურსებიც, რომელიც უკეთესი ხარისხის რესურსია თევზის წარმოებისათვის, ვინაიდან ნაკლებად იმღვრევა და შესაბამისად გაცილებით ნაკლებ ფილტრაციას საჭიროებს.

როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, ცხოველური წარმოშობის რიგით მეხუთე პროდუქტი, რომლის ევროკავშირის ბაზარზე შეტანის უფლებას საქართველო მოიპოვებს, აკვაკულტურა იქნება. აკვაკულტურა კონტროლირებად პირობებში წყლის ორგანიზმების (თევზების, მოლუსკების, წყალმცენარეების) მოშენებას გულისხმობს. ამ დრომდე საქართველოდან ცხოველური წარმოშობის ორი არასასურსათო (ტყავი, მატყლი) და ორი სასურსათო (თაფლი, ქაფშია) პროდუქტის ევროკავშირში შეტანაა ნებადართული.

ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტის ექსპორტისთვის აუცილებელი მოთხოვნაა ქვეყნის დამატება მესამე ქვეყნების სიაში, საიდანაც ასეთი პროდუქტების ექსპორტი შესაძლებელია.

ევროკავშირში ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტის ექსპორტის მოთხოვნები ვრცელდება აკვაკულტურებზე და ამასთანავე დადგენილია გარკვეული სპეციფიური მოთხოვნებიც. კერძოდ, ცოცხალი თევზი, ქვირითი და ორსაგდულიანი მოლუსკები ჯანმრთელების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ, რაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონტროლის შედეგებით უნდა დადასტურდეს. სურსათის ეროვნული სააგენტო უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ პროდუქტი და მისი წარმოება ჰიგიენისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოთხოვნებს შეესაბამება.

ევროკავშირში ექსპორტის უფლების მოსაპოვებელი პროცედურები ასეთია:

- ✓ სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) წარადგენს ოფიციალურ განაცხადს ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალურ დირექტორატში (DG SANTE) ;
- ✓ DG SANTE სეს-ს უგზავნის კითხვარს, რომელიც კანონმდებლობას, სეს-ის შესაძლებლობებს, ჰიგიენას და სხვა ელემენტებს ეხება;
- ✓ სეს-ი ავსებს კითხვარს და DG SANTE-ს უგზავნის;
- ✓ აღიარებისთვის, ამავე ეტაპზე, სეს-მა ევროკომისიას უნდა წარუდგინოს ნარჩენების მონიტორინგის გეგმა;
- ✓ წარდგენილი ინფორმაციის შეფასების შემდეგ ევროკომისიას შეუძლია ადგილზე შემოწმების განხორციელება. ადგილზე შემოწმება სავალდებულოა მაღალი რისკის პროდუქტების - კიბოსნაირების მიმართ;
- ✓ ამ პროცედურების შემდეგ DG SANTE წარადგენს რეკომენდაციას, რომ ქვეყანა დაემატოს მესამე ქვეყნების პოზიტიურ სიას, ასევე წარადგენს სეს-ის მიერ გადაგზავნილ აღიარებული საწარმოების ნუსხას;
- ✓ ბოლო ეტაპზე კი გადაწყვეტილებას ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი იღებს.

მამასადამე, ქართული აკვაკულტურის პროდუქტები აღიარების გარეშე ევროკავ-



შირის ბაზარზე ვერ მოხვდება. იმისთვის კი, რომ აღიარების გზაზე ქვეყანამ წინ წაიწიოს, პირველ რიგში დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაა საჭირო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოდან ევროკავშირში აკვაკულტურების პროდუქტების ექსპორტის უფლების მოპოვებისთვის სამოქმედო გეგმა აქვს, სადაც რეგულაციების დაახლოების ბოლო ვადად 2022 წელია განსაზღვრული.

ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა საქართველოში აკვაკულტურის განვითარების ტენდენციები, თავისებურებები და შესაძლებლობები. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2018 წლის ბოლოსთვის აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების საერთო ფართობი წინა წელთან შედარებით 2.4 პროცენტით გაიზარდა და 4 410.5 ჰექტარი შეადგინა. აქედან, ტბორების ფართობმა 2 327.5 ჰექტარს მიაღწია, რაც 4.6 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო აუზების ფართობი წინა პერიოდთან შედარებით 6.0 პროცენტით შემცირდა და 25.9 ჰექტარით განისაზღვრა. ქვეყანაში აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსაცავებისა და ბუნებრივი წყალსატევების (ტბა ან ტბის ნაწილი, მდინარის ნაწილი, ზღვის ნაწილი) ჯამური ფართობი კი 2 057. 1 ჰექტარია. ცხრილში #1 წარმოდგენილია მონაცემები აკვაკულტურისთვის განკუთვნილი წყალსატევების ფართობის შესახებ.

**აკვაკულტურისთვის განკუთვნილი წყალსატევების
 ფართობის სტრუქტურა (ჰექტარი)**

ცხრილი #1

წლები	2017	2018	% - ულად საბაზისო წელთან
წყალსატევების ფართობი, სულ	4 309.0	4 410.5	2.4
მათ შორის:			
ტბორები	2 224.6	2 327.5	4.6
აუზები	27.6	25.9	6.0
წყალსაცავები და ბუნებრივი წყალსატევები	2 056.8	2 057. 1	0.1

რაც შეეხება წყალსატევების ფართობს რეგიონების მიხედვით, 2018 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, ტბორების ყველაზე დიდი ნაწილი კახეთში მდებარეობდა საერთო ფართობით - 1 515.4 ჰექტარი. სამეგრელო-ზემო სვანეთში ტბორების ფართობმა 501.4 ჰექტარი, იმერეთში 145.3 ჰექტარი, ხოლო დანარჩენ რეგიონებში ჯამურად 165.4 ჰექტარი შეადგინა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აუზების ყველაზე დიდი ნაწილი შიდა ქართლშია განთავსებული საერთო ფართობით - 17.9 ჰექტარი. სამცხე-ჯავახეთში არსებული აუზების ფართობი შეადგენს 2.9 ჰექტარს, აჭარაში - 1.7 ჰექტარს, გურიაში - 1.5 ჰექტარს, ხოლო დანარჩენ რეგიონებში არსებული აუზების მთლიანი ფართობი 2.1 ჰექტარს არ აღემატება.

ცხრილში #2 წარმოდგენილია მონაცემები აკვაკულტურის მეურნეობებში წარმოებული თევზის შესახებ. 2018 წელს აკვაკულტურის მეურნეობებში წარმოებული თევზი,



წინა წელთან შედარებით, 16.6 პროცენტით გაიზარდა და 2 381.1 ტონა შეადგინა. ორაგულისებრთა წარმოებამ 1 475.5 ტონას მიაღწია, რაც 26.7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. კობრისებრთა წარმოება 3.9 პროცენტითაა გაზრდილი და 817.1 ტონას შეადგენს. წინა პერიოდთან შედარებით 1.7 პროცენტით შემცირდა ზუთხისებრთა წარმოება და 75.0 ტონით განისაზღვრა. ასევე, 9.9 პროცენტით შემცირდა ლოქოსებრთა წარმოება და 12.6 ტონა შეადგინა.

ორაგულისებრთა წარმოებაში 99.2 პროცენტით ცისარტყელა კალმახია წარმოდგენილი. კობრისებრთა წარმოებაში 44.4 პროცენტი მოდის კობრისა და სარკისებური კობრის, 40.6 პროცენტი - თეთრი და ჭრელი სქელშუბლას, ხოლო 14.5 პროცენტი - თეთრი ამურის წარმოებაზე.

თევზის წარმოება აკვაკულტურის მეურნეობებში (ტონა)

ცხრილი #2


წლები	2017	2018	% - ულად საბაზისო წელთან
თევზი, სულ	2 041.7	2 381.1	16.6
მათ შორის:			
ორაგულისებრნი	1 164.8	1 475.5	26.7
აქედან:			
ცისარტყელა კალმახი	1 145.0		
კობრისებრნი	786.3	817.1	3.9
აქედან:			
კობრი და სარკისებური კობრი	328.1		
თეთრი ამური	117.8		
თეთრი და ჭრელი სქელშუბლა	336.0		
ზუთხისებრნი	76.3	75.0	1.7
ლოქოსებრნი	14.0	12.6	9.9

დიაგრამაზე #1 წარმოდგენილია თევზის წარმოების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით. 2018 წელს თევზის წარმოების მიხედვით ლიდერობს შიდა ქართლი, რომელზეც მოდის ქვეყანაში წარმოებული თევზის 30.2 პროცენტი. სტრუქტურაში მეორე ადგილს იკავებს კახეთი - 27.8 პროცენტით, მესამე ადგილზეა სამეგრელო-ზემო სვანეთი - 13.1 პროცენტით. შემდეგ ადგილებზე ასეთი სურათი გვაქვს: გურია - 11%, სამცხე-ჯავახეთი - 5.2%, აჭარა - 5.2%, იმერეთი - 4.1%, ხოლო დანარჩენ რეგიონებზე მოდის ჯამურად ქვეყანაში წარმოებული თევზის 3.5 პროცენტი.


რაც შეეხება თევზის ფასებს აკვაკულტურის მეურნეობებში, უნდა ითქვას, რომ ის მეტ-ნაკლები სტაბილურობით ხასიათდება. დიაგრამაზე #2 წარმოდგენილია თევზის საშუალო წლიური ფასები თევზის სახეობების მიხედვით 2017-2018 წლებში. 2018 წელს 1 კილოგრამი ცისარტყელა კალმახის საშუალო წლიური ფასი ფერმის კართან (მწარმოებლის ფასი) 8.9 ლარი იყო, კობრისა და სარკისებრი კობრის - 7.0 ლარი, თეთრი ამურის - 6.0



ლარი, თეთრი და ჭრელი სქელშუბლას - 3.8 ლარი, რუსული და ციმბირული ზუთხის - 25.3 ლარი, ხოლო ევროპული ლოქოს - 14.9 ლარი.



დიაგრამა 1. თევზის წარმოების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით



დიაგრამა 2. თევზის საშუალო წლიური ფასი ფერმის კართან თევზის სახეობის მიხედვით, 2017-2018 წწ. (ლარი)

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აკვაკულტურა უმნიშვნელოდ, მაგრამ მანც ვითარდება. თუმცა იმისათვის, რომ თვითდინებაზე მიშვებული დარგის რეგულაცია მოვახდინოთ და აღმავლობა დავაფიქსიროთ, დიდი ძალისხმევის გამოვლინება მოგვიწევს. ექსპეტრების აზრით, მტკნარი წყლების თევზსაშენების სიმრავლის მიუხედავად, უდიდეს ნაწილს ჩამოყალიბებული ბიზნესის სახე არ აქვს, დარგი ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლებიდან ქაოტურად ვითარდება, ბაზარზე მოთამაშეების რაოდენობა ხშირად იცვლება, ბევრი აკვა-ფერმა პერმანენტულად იხსნება და იხურება. არასტაბილური ფასები და საკვების სიძვირე; სეზონურობა; თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა; პროდუქციის ერთფეროვნება, აუწყობელი დისტრიბუცია; კაპიტალის სიმცირე - ეს არასრული ჩა-



მონათვალა დარგის წინაშე არსებული პრობლემებისა.

ზოგადად, 1 კვ კალმახის გამოზრდა 5,4-5,6 ლარი ჯდება, აქედან 60-65% საკვების ხარჯებზე მოდის. მაღალი ხარისხის საკვები განსაზღვრავს სასაქონლო თევზის თვითღირებულებას, რაც ფერმერისთვის გადამწყვეტი ფაქტორია კონკურენციის პირობებში. თევზის საკვები, ძირითადად, იმპორტირებულია და საკმაოდ ძვირიც. ბოლო დროს თევზსაშენებს პრობლემა ლარის გაუფასურებამაც შეუქმნა. სამწუხაროა, რომ თევზის საკვების წარმოება საქართველოში არ არსებობს, თუმცა ნაკლებად რეალურია, რომ ამ ეტაპზე, დაგეგმილმა ადგილობრივმა წარმოებამ გაუწიოს კონკურენცია ისეთ მსოფლიო ბრენდებს, როგორებიც არიან: „სკრეტინგი“, „ბიომარი“, „ალერ აკვა“, „კოპენსი“, რომლებმაც საქართველოში მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილები. ეს კომპანიები ყოველწლიურად მილიონობით თანხას ხარჯავენ სამეცნიერო კვლევებზე და საკვების რეცეპტურის სრულყოფაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფლოტი ახორციელებს ქაფშიასა და სხვა ზღვის სახეობების რეწვას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია საკვების მოსამზადებლად, თუმცა ვალუტის გამო უცხოეთში გადის. ამიტომ ქართველი ფერმერები ვერ სარგებლობენ ქვეყანაში დამზადებული ნედლეულით.

როგორც ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ საკუთარ საქმიანობაში სიღრმისეულად მხოლოდ თითოეუ ჩამოსათვლელი მეთევზეები ერკვევიან. ქვეყანაში იქტიოლოგების დეფიციტია, არაპროფესიონალიზმი კი დაბალპროდუქტიულობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია.

დარგში არ მიმდინარეობს სელექცია, უფრო მეტიც, განაყოფიერებული ქვირითი და ხშირად, ლიფსიტებიც სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ. მაღალხარისხიანის ღირებულება 1,5 ლარამდეც კი აღწევს (საშუალოდ, ერთად 10 ათას ლიფსიტას უშვებენ). სამწუხაროა, მაგრამ ჩვენთან ქვირითიდან მხოლოდ 10% ლიფსიტა გამოჰყავთ, მაშინ როცა ევროპაში ეს მაჩვენებელი 90%-ია, ცხადია, ეს ყველაფერი ხარჯებს ემატება. ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ თევზის მეურნეობის განვითარება გრძელვადიანი, იაფი სესხების გარეშე წარმოუდგენელია. თევზის წარმოებას სოლიდური თანხა სჭირდება, რაც ქართველი ფერმერებისათვის ფუფუნებაა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ მართალია ჩვენ ვერ შევძლებთ იმდენი თევზის მოპოვებას, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ ევროპის თანამეგობრობის მოთხოვნა, მაგრამ თუ მოვახერხებთ აკვაკულტურის განვითარებას, შევძლებთ დავიკავოთ სერიოზული ნიშა ევროპის ბაზარზე. თანაც, გვიჩნდება პერსპექტივა, რომ ჩვენი თევზჭერა გაყინული და ნედლი თევზის ექსპორტზეც გადავიდეს. ასევე - საკონსერვო მრეწველობაც განვითარდეს და ჩვენთან წარმოებული კონსერვებით მოვამარაგოთ ევროპის ბაზარი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2019 წ.
3. ინტერნეტრესურსები



Aqua culture development issues in Georgia

Akhaladze Zeinab

Associate Professor

Shalamberidze Manana

Associate Professor

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: Fish products; Aquaculture; EU market; Legislative regulations.

According to a study by the UN Food and Agriculture Organization, fish production and supply worldwide has been steadily increasing in recent decades, and experts predict that growth will continue in the future. The biggest consumers and importers of fish are EU, China, USA and Japan. EU states are particularly distinguished in this respect, which can be doubly interesting to us. The reason is the Association Agreement with the European Union, which allows Georgian products to access the huge European market. Unfortunately, our main export market to date is Turkey, where up to \$ 30 million worth of fish, mainly processed fish products (flour and oil) are exported each year.

It has to be said that Georgia has never been a distinctive country with fisheries and fish production. One of the main reasons (at least in the 20th century) is that Georgia was specialized in the production of wine, fruit, citrus, and tea in the Soviet Union, with livestock and fisheries having a secondary role.

Along with fish production, fish consumption in Georgia is quite low. The reason for this is primarily socio-economic content and the low purchasing power of the population. However, it is also important to note that the specificity of local cuisine is no less important; the role of fish in Georgian cuisine is much more modest than in Russian, Norwegian or more island countries, such as Japan.

According to the Georgian Ministry of Labor Health and Social Protection's minimum food basket approved in 2003, the minimum standard for consumption of fish products is about 15 kilograms per year, which is substantially lower than the WHO standard of 23 kilograms. In 2009-2018, actual fish consumption was less than 30 percent of the minimum standard. According to the latest census, our population is 3,700,000, and if we multiply that by 15 kilograms, we need 53,000 tons of fish a year. We have a total consumption of 30,000 tons, of which we produce up to a maximum of 5 tons. The number of imported fish is very high. This is a problem in terms of food safety too, at least 50% of the time.

Seafood and oceans are more popular in developed countries, but due to the limited resources of the open sea fish have the potential for aquaculture. According to statistics from the beginning of the 21st century, there has been a 25% physical decline in fish in the seas and oceans of the earth. As world experts say, this is caused by an unorganized, uncontrolled attitude towards fisheries and a liberal attitude towards international fishing restrictions.

The share of aquaculture in the general artisan is increasing and nowadays it is 42%. Half of them - 54% come from Asia and only 18% come from European countries. It should also be noted that the development of this sector in Georgia should be considered as a lawful development of the most important resources in Georgia. But it falls sharply. However, the resources look really impressive: even without the sea, with water resources, Georgia is one of the leading countries in Europe, with over 25,000 rivers and springs in the country, totaling 55,000 km, 860 lakes and 12 reservoirs covering an area of 277 sq km. Exceeds. According to Fishbase, one of the largest international fish bases, there are 71 species of fish. Most importantly, Georgia's water resources are ecologically clean, making it possible for aquaculture to develop. As for groundwater resources, Georgia also has unique groundwater resources, which are a better quality resource for fish production, as they are less leaky and therefore require much less filtration.

According to the Ministry of Agriculture of Georgia, the fifth product of animal origin that Georgia will be allowed to enter the EU market will be aquaculture. Aquaculture implies the



cultivation of aquatic organisms (fish, molluscs, algae) under controlled conditions. So far, two non-food products (leather, wool) and two food products (honey, foam) of animal origin from Georgia have been allowed to enter the EU.

A requirement for exporting foodstuffs from non-EU countries is to add the country to the list of third countries from which such products can be exported.

EU requirements for the export of foodstuffs of animal origin apply to aquaculture and certain specific requirements are laid down. Specifically, live fish, quail and two-headed molluscs must meet the health requirements, which must be confirmed by the results of state controls. The National Food Agency must ensure that the product and its production meet the requirements of hygiene and public health.

Georgian aquaculture products will not enter the EU market without recognition. In order for the country to advance on the road to recognition, it is first necessary to bring the sector's regulatory legislation closer to that of the European Union. The Ministry of Agriculture has an action plan for obtaining the right to export aquaculture products from Georgia to the EU, with a deadline of 2022 for approximation of regulations.

We tried to study the trends, peculiarities and opportunities of aquaculture development in Georgia. According to statistics, by the end of 2018 the total area of reservoirs for aquaculture has increased by 2.4 percent compared to the previous year and amounted to 4 410.5 hectares. From this, the lake area reached 2 327.5 hectares, which is 4.6 percent more than the same period of the previous year, while the area of the ponds decreased by 6.0 percent compared to the previous period and was 25.9 hectares. The total area of reservoirs and natural reservoirs for aquaculture (part of lake or lake, part of river, part of sea) is 2 057. 1 hectare.

As for fish production, fish produced in aquaculture farms in 2018 increased by 16.6 percent compared to the previous year to 2 381.1 tons.

It can be said that aquaculture in Georgia is minor, but still developing. However, in order to regulate the field of self-discipline and to record progress, it will take a great deal of effort. According to expatriates, despite the abundance of freshwater fisheries, much of the business has not been established. Volatile prices and high food prices; Seasonality; Lack of modern technology; Monotony of products, unbound distribution; Lack of capital - This is an incomplete list of problems facing the industry.

Generally, growing 1 kg of trout costs 5.4-5.6 GEL, 60-65% of which comes from food costs. High quality food determines the cost of commodity fish, which is a crucial factor for the farmer in competition. Fish food is mostly imported and quite expensive. Recent depreciation of the fishery has also caused problems with the depreciation of the GEL. It is a pity that there is no fish production in Georgia, though it is less realistic that at this stage, the planned local production will compete with such world brands, who have firmly established themselves in Georgia. These companies spend millions of dollars each year on scientific research and food recipe improvement. It should also be noted that the Georgian fleet handles caterpillars and other seagrass species that can be used for food preparation, but is exported overseas. That is why Georgian farmers cannot use raw materials made in the country.

As experts say unanimously, only the fishermen who go down in depth are involved in their activities. There is a shortage of ichthyologists in the country, and unprofessionalism is one of the major causes of low productivity.

There is no breeding in the field; moreover, they are fertilized with sand and often, they also import lipids from different countries. The cost of high quality even goes up to 1.5 lari (on average, they release 10 thousand lifts together). It's a pity, but we only get 10% of the lifts from spinning, while in Europe it is 90%, obviously, it all adds up to costs. Generally speaking, the development of fish farming without long-term, cheap loans is unthinkable. Fish production requires a considerable amount of money, which is a luxury for Georgian farmers.

In conclusion, it is true that we will not be able to produce enough fish to fully meet the demand of the European Community, but if we develop aquaculture we will be able to capture a serious niche in the European market. We also have the prospect of exporting our fish to frozen and



raw fish. Also, the canning industry should develop and supply the European market with canned products.



Biology and ecology of the Sycamore Lace Bug, *Corythucha ciliata* (Say, 1832) (Hemiptera: Tingidae)

Bazerashvili L.G.

Laboratory of the Ministry of Agriculture of Georgia

Kevlishvili M.B.

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Lortkipanidze R.O.

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

*In the present study is given a new record for *Corythucha ciliata* (Say, 1832) a well-known pest species of *platanus* spp.*

It was found in Telavi and Gurjaani regions, in 2014-2019.

*Both adults and nymphs of *C. ciliata* feed on the underside of leaves and reduces photosynthesis.*

Key words: Lace bugs, *Corythucha ciliata*, Imago, eggs, Kakheti.

Introduction

The adults known as lace bugs, due to the lake like appearance of the dorsum.

Tingidae is a rather large family in the order Heteroptera containing approximately 250 genera and 2000 species worldwide. All are phytophagous (feeding of plants) and are host specific.

Lace bugs adults and nymphs feed by sucking plant sap from the undersides of leaves, causing the upper surface to become whitened.

Records of *Corythucha ciliata*

Initially this species was transferred to Italy from North America and infested many European countries from there [1].

Records of the species have also been mentioned from Turkey [2] Eastern Asia, China[3].

For the first time in Russia it was identified in Krasnodar and began its infestation of other regions in north Caucasus and Abkhazia territory.

In 2008 it was detected for the first time in the western Georgia [1]

In 2008-2010 the distribution area of sycamore lace bug extended very much. The pest is met already in Eastern Georgia as well[1,4].

In 2008 it was found for the first time in Tsinandali (Lobjanidze, 2008).

The purpose of this study is of course to mention the new record and to provide detailed information based on the study of available literature regarding the biology and economic importance of *C. ciliate*.



Material and Method

Observations carried out in the city centre of Telavi (in 2014 -2019) and Gurjaani (in 2014-2019), on *Platanus* sp. trees. The rate and intensity of the damage on these *Platanus* sp. trees was tried to be detected.

The *C. ciliata* populations were observed from March to November 2014-2018.

Results

At the end of November 2014, we found in large numbers insects, wintering under the bark on Telavi`s eight hundred years plane tree (*Platanus* sp).

Then we saw the spread of the pest throughout the area Telavi and Gurjaani.

They overwinter as adults under loose bark, leaf litter.

In spring, in the middle of April, the adults moved to the newly developed leaves. They started to suck conditionally.

Larvae of the first generation appeared between middle and end of May.

Temperature had significant effects on demography of *C. ciliata*. The summer temperature can be greater than 36⁰C which may adversely influence the growth and development of *C. ciliata*.

Kim et al (1999) reported that *C. ciliata* could not complete normal development at 15⁰ or 35⁰ C. The temperature range of 19⁰ to 33⁰C was suitable for the development of *C. ciliata*. [3].

Estimated threshold temperature and thermal constant for *C. Ciliata* were similar to those reported in the literature.



Fig. 1



Adult length was 2,53 mm and width is 1.24 mm. The wings` length and width was calculated as 1.14mm and 2,24 mm respectively Head, pronotum and hemielytra sizes, as well as antenna structure sizes are important in identification [5].

Pest control

There is a wide variety of pest control methods listed in literature. *C. ciliate* are highly susceptible to the chloronicotynyl insecticide omidacloprid. [Sycamore lace bug. Invazive Species Compendium].

According to Öszi et al. (2005) a very appropriate method is the use of pyrethoids, which would prove both efficient and harmless for the plant and for the environment[6].

Conclusions

ერთწლიანი ნაზარდების სიგრძით აღსანიშნავია ჯიში ბლურეი (32 სმ), ხოლო დანარჩენი ჯიშები ნაზარდების თითქმის თანაბარი ზრდით ხასიათდებიან: ბლუგოლდი (20 სმ), ჩანდლერი (27 სმ), ტორო (22 სმ), ბლუკროპი (25სმ), პატრიოტი (23 სმ) და რეკა (20 სმ).

ყველაზე დიდი ზომის ფოთლებს ივითარებს ჩანდლერი (7,3 –4,0სმ) და ტორო (7,0 – 4,1სმ).

დასკვნები

ამერიკული ლურჯი მოცვის საცდელი ჯიშების: ბლურეი, ბლუგოლდი, ჩანდლერი და ტოროს ფენოლოგიური ფაზების მსვლელობა განსხვავებულად მიმდინარეობს. დაკვირვებებმა მოცვის საცდელი ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მსვლელობაზე უჩვენეს, რომ: ფენოლოგიური ფაზებიდან ვეგეტაციას და ყვავილობას ადრე იწყებს ჯიში ბლუგოლდი, ყველაზე გვიან კი – ჯიში ჩანდლერი. უფრო ხანგრძლივად ყვავილობს ჯიში ბლუგოლდი, ხოლო ყვავილობის შედარებით ხანმოკლე პერიოდით ხასიათდება ტორო. შედარებით ადრე იწყებს და ადრე ამთავრებს ნაყოფების მომწიფებას ტორო და ბლურეი. საცდელი ჯიშებიდან ფოთოლცვენას ადრე იწყებს ბლურეი, პატრიოტი და რეკა; ყველაზე გვიან – ბლუგოლდი, ბლუკროპი, პატრიოტი და ტორო; ფოთოლცვენის პერიოდი გრძელდება 16–20 ნოემბრამდე.

დაკვირვებებმა მოცვის ჯიშების ზრდის დინამიკაზე, უჩვენა, რომ საცდელი ჯიშებიდან ძლიერი ზრდის უნარიანობით გამოირჩევა ჯიშები ჩანდლერი და ბლურეი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „პროაგრო“ _ ჟურნალი, 2014 წ. № 2;
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო _ „ლურჯი მოცვის მოშენების პრაქტიკული ცნობარი“, 2014 წ. ;
3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი _ „ლურჯი მოცვი_დარგვა, მულჩირება, მოშენება, ბიზნესი“ _ 2016წ.

Breeding Trait Properties of the Blueberry Industry in Guria

Tabagari Marieta

Candidate of Agricultural Sciences, Associate Professor

Kapanadze Shorena

Academic doctor of Agricultural Sciences, Assistant Professor

Jincharadze Natalia

Academic Doctor of Agricultural Sciences

Akaki Tsereteli State University, Agrarian Faculty, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: Blueberry, Industrial varieties, Phenological phases, Growth-development character

Blueberry is a perennial plant. They are classified in the [section](#) Cyanococcus within the [genus Vaccinium](#) it provides stable fruit harvest for 40 years. It is characteristic for the



summer period, blueberry is very rich with its dietary and nutritionx features. It is wide-spread in the whole world and deserves attention due to its wholesome features. They have a sweet taste when mature, with variable acidity. *Vaccinium myrtillus* contains sugars, catechins, pectrins, Irmon and apple acids, flavonoids, ascorbic acids, B, C, D vitamins etc. Blueberry fruit is sweet with variable acidity. They are used in a fresh raw form and have medical properties.

Cultivation of blueberry is financially beneficial and very popular. Some breeds of blueberry should be selected to raise financial productivity. Improvement of agro-technologies promotes cultivation of the fruit. Due to its nature ($4 < \text{pH} < 5.5$) less cultivated soils can be used.

Considering all the above-mentioned the aim of the research is to find out some features of growth of American fruit in the environment of Guria, namely in Naruji, the region of Ozurgeti.

Main objective of the research is the 2011 plantation in Naruji. Plantation has several breeds: Bluegold, Blueray, Bluecrop, Patriot, Chandlery, Reca, Torro. Field observations and various methods were used while working on the research. Nutritional area of the plant is 0,8 x 3.5 m.

Vegetation dynamics was studied by measuring biometric parameters of the bush: height and diameter of the bush, length of one-year plants, length and width of the leave plate. Data was collected for three years, at the same time, in July. Observations were carried out on the phenological growth stages.

The system of mulching tangibly increases the development and growth of the plant and raises productivity. Agro-technological operations were conducted considering all the pre-planned steps.

The study revealed that phenological growth phases differ considering different breeds. The breeds of Bluegold starts phenological growth a lot earlier than others while Chandlery starts the latest. Bluegold has the longest period of blooming – 30 days, the shortest period of blooming had Torro- 18 days. Ripening period of the fruit stars from 2-6 June, considering average data collected during 2 years. Fruits of Torro and Blueray end ripening period relatively early. Main industrial feature of Blueberry is the ripening period. Average duration of this period is 17 days. Bluegold has the longest ripening period- 20-21 days, Torro has the shortest- 12 days. Falling of the leaves starts earlier in Blueray- at the beginning of October, the latest are Bluegold and Torro- from the end of November. The period of falling leaves lasts until 12-25 November.

Considering research methodology, in 2016-18 data was collected three times from the sample plantation.

Height and diameter of the bush has been measured, the length of one-year plants, width and length of the plate. The measures have been calculated considering the data obtained in 2016-18.

Height of one-year plants: Blueray- (32 cm), Bluegold (20 cm), Chandlery (27 cm), Torro (22 cm), Bluecrop (25cm), Patriot (23 cm) and Reca (20 cm).

Chandlery has the biggest leaves (7,3 –4,0cm) and Torro (7,0 – 4,1cm).

Conclusions:

Phenological growth phases of American breeds are different: Blueray, Bluegold, Chandlery and Torro. Observations have revealed that Bluegold starts blooming and vegetation the earliest, while the breed of Chandlery starts the latest. The longest blooming period is characteristic for Bluegold, and the shortest blooming period has the breed of Torro. Torro and Blueray start ripening period earlier and finish later. Blueray, Patriot, and Reca start leave fall the earliest, Bluegold- the latest. The period of leaf falling is prolonged till 16-20 of November.

Observations of the dumanics of berry breeds has revealed that the breeds of Chandlery and Blueray have better growing capacity.





ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორის სამკურნალო მცენარეები

თვალთმე შორენა

მეცნიერ თანამშრომელი. ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისი, საქართველო.

შრომში აღწერილია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ველურად მოზარდი ერთწლოვანი, ორწლოვანი და მრავალწლოვანი სამკურნალო მცენარეები, რომელთაც წარმატებით იყენებენ როგორც ხალხურ მედიცინაში, ასევე მრავალი მათგანი აუცილებელ ნედლეულს წარმოადგენს კლასიკური სამედიცინო პრეპარატების დასამზადებლად.

ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფიტოცენოზების კვლევა მეტად საინტერესო სურათს იძლევა, რადგან აქ არსებული ბალახოვანი საფარი ანთროპოგენური და სხვა ბუნებრივი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ხშირად იცვლება. იცვლება მათი ფლორისტული შემადგენლობაც. ამ ცვლილებების გამო ზოგი სახეობა დეგრადირდება და ქრება, ზოგი კი ფართოდ ვრცელდება და ინვაზიური ხდება.

ველური ბალახოვანი ფლორის სამკურნალო მცენარეთა სისტემატიკურ კვლევასთან ერთად ისწავლებოდა მათი მორფოლოგიური ნიშან-თვისებები, ფენოლოგია, გავრცელების სიხშირე და რაოდენობა.

საკვანძო სიტყვები: სამკურნალო მცენარეები, ფიტოცენოზი, ფენოლოგია, ინვაზია.

ქუთაისის ბოტანიკური ბაღის მცენარეულ საფარში ინტროდუცირებულ სახეობებთან ერთად დიდი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი ბუნებრივად მოზარდი ველური ბალახოვანი მცენარეები, რომელთა შორის მრავლადაა სამკურნალო მცენარეები. მათ დიდი გამოყენება აქვთ, როგორც ხალხურ მედიცინაში, ასევე მრავალი მათგანი კლასიკური სამედიცინო პრეპარატების ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

ნაშრომის მიზანს შეადგენდა ცალკე გამოგვეყო და სისტემატიკურად დაგვეზუსტებინა ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ბუნებრივ ფლორაში არსებული ერთწლოვანი, ორწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახოვანი სამკურნალო მცენარეები.

ოჯ. Compositae-რთულყვავილოვანნი

წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით:

Artemisia absinthium - აბზინდა. სამკურნალოდ გამოიყენება აყვავებული მცენარის შეფოთილი წვეროები ფოთლებით;

Taraxacum officinale - სამკურნალო ბურბუშელა. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვი და მიწისზედა ნაწილი;

Alatricaria recutita - ანაგვირილა. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილი;

Calendula officinalis - გულყვითელია. სამკურნალოდ იყენებენ ყვავილებს;

Cichorium intybus - ვარდკაჭაჭა. გამოიყენება გამშრალი ფესვი და მიწისზედა ნაწილი;

Tussilago farfara - ვირისტერფა. სამკურნალოდ იყენებენ ყვავილებს და ფოთლებს;

Bellis perensis - ზიზილა. სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილი და ფოთოლი;

Inula helenium - კულმუხო. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები და ფესურა;

Helianthus tuberosus - მიწავაშლა. სამკურნალოდ გამოიყენება ტუბერები;

Bidens tripartita – ორკბილა. გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილი;



Artium lappa - ოროვანდი. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები და ფესურა;
Solidago virgaurea - ოქროვკვლა. გამოიყენება ყვავილები და ფოთლები;
Achillea millefolium - ფარსმანდუკი. გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილი;
Centaurea cyanus- დიდილო ლურჯი. სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილები;
Eupatorium cannabinum - ვარდკანაფა. სამკურნალოდ გამოიყენება ღეროები და ფოთლები;
Senecio platyphylloides - ხარისშუბლა. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები ფესურით და მცენარის მიწისზედა ნაწილი.

ოჯ. Caprifoliaceae - ცხრატყავასებრნი

Sambucus ebulus - აწლი. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვი, ფოთოლი, ნაყოფი, ყვავილი, ყლორტი.

ოჯ. Gentianaceae - ნაღველასებრნი

Centaurium umbellatum - ასისთავა. იყენებენ მცენარის გამშრალ მიწისზედა ნაწილს;
Centiana cruciata - ნაღველა. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები.

ოჯ. Malvaceae - ბალბისებრნი

Malva silvestris- ბალბა. გამოიყენება ყვავილები და ფოთლები.
Aethaea hirsuta - ტუხტი. სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა, ფესვები და მიწისზედა ნაწილი.

ოჯ. Umbeliferae - ქოლგოსანნი

Heracleum ponticum - დიცი. გამოიყენება ფესვი, ფოთოლი და თესლი.

ოჯ. Rosaceae - ვარდისებრნი

Sanguisorba officinalis - თავსისხლა. სამკურნალოდ იყენებენ ფესურას და ფესვებს;
Potentilla erecta - მარწყვაბალახი. სამკურნალოდ მხოლოდ ფესურა გამოიყენება;
Fragaria vesca - მარწყვი. სამკურნალოა ნაყოფი და ფოთოლი;
Geum urbanum - ნიგვზისძირა. სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანად მცენარე, ფესვები და მიწისზედა ნაწილი.

ოჯ. Lamiaceae (Labiatae) – ტუჩოსანნი

Origanum vulgare - თავშავა. სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლები;
Glechoma hederacea - ოშოშა. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი;
Leonurus quinquelobatus - შავბალახა. სამკურნალოა ყლორტები აღებული ყვავილობისას;
Mentha pulegium - ომბალო. სამკურნალოა მთლიანად მიწისზედა ნაწილი;
Stachys sylvatica - ყვანჩალა. სამკურნალოდ იყენებენ მიწისზედა ნაწილს;
Salvia glutinosa - შალამანდილი. სამკურნალოა ფოთლები;
Phlomis tuberosa - ჭინჭარა. სამკურნალოდ იყენებენ ფესვებს და მიწისზედა ნაწილებს;
Lamium album - ჭინჭორის დედა. სამკურნალოდ იყენებენ ყლორტებს და ყვავილებს.

ოჯ. Amaryllidaceae - ამარილისებრნი

Galanthus caucasicus - თეთრყვავილა. შხამიანი მცენარეა, სამკურნალოდ იყენებენ ბოლქვებს.

ოჯ. Violaceae - იისებრნი

Viola odorata - სურნელოვანი ია. სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანად მცენარე.

ოჯ. Crassulaceae - სქელფოთლიანნი (მსუქანასებრნი)

Sedum maximum - კლდისდუმა. სამკურნალოა მიწისზედა ნაწილი ყვავილობისას;



Sedum acre - ფუნთუშა. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი;

Sedum caucasicum - კავკასიური კლდისდუმა. სამკურნალოა მიწისზედა ნაწილი ადებული ყვავილობისას.

ოჯ. Araceae - ნიუკასებრნი

Acorus calamus - კოთხოჯი. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის ფესურები და ფოთლები.

ოჯ. Hypericaceae - კრაზანასებრნი

Hypericum perforatum - კრაზანა. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი.

ოჯ. Lycopodiaceae - ლიკოპოდიუმისებრნი

Licopodium glaratum - ლიკოპოდიუმი. გამოიყენება მიწისზედა ნაწილი და სპორები.

ოჯ. Polygonaceae - მათიტელასებრნი

Polygonum aviculare - მათიტელა. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი;

Ramex acetosella - მჟაუნა. გამოიყენება ახალგაზრდა ფოთლები და ყლორტები ადებული ყვავილობისას და ნაყოფი;

Rumex crispus - დოლო. სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანად მცენარე;

Polygonum hydropiper - წალიკა. გამოიყენება მიწისზედა ნაწილები ადებული ყვავილობისას.

ოჯ. Rubiaceae - ენდროსებრნი

Galium verum - მინდვრის ნემსა. სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანად მცენარე;

Asperula odorata - ტყის ჩიტისთვალა. სამკურნალოა მიწისზედა ნაწილი.

ოჯ. Plantaginaceae - მრავალძარღვასებრნი

Plantago major - მრავალძარღვა. სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანად მცენარე;

Plantago media - შუალედური მრავალძარღვა. სამკურნალოა მთლიანად მცენარე;

Plantago lanceolata - ლანცეტა მრავალძარღვა. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი.

ოჯ. Geraniaceae - ნემსიწვერასებრნი

Geranium robertianum - უჟმურა. სამკურნალოა ყვავილები და ფესურები;

Geranium rotundifolium - მრგვალფოთოლა ნემსიწვერა. სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილები და ფესურები.

ოჯ. Solanaceae - ძალყურძენასებრნი

Physalis alkekengi - ონტკოფა. შხამიანი მცენარეა, სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი;

Solanum nigrum - ძალყურძენა. ტოქსიკური მცენარეა, სამკურნალოდ გამოიყენება ფოთოლი და ნაყოფი;

Atropa caucasica - შმაგა, სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანად მცენარე;

Datura stramonium - ლემა. სამკურნალოდ იყენებენ მცენარის მიწისზედა ნაწილს.

ოჯ. Fabaceae (Leguminosae) - პარკოსანნი

Trifolium pratense - წითელი სამყურა. სამკურნალოა ყვავილები და ფოთლები;

Melilotus officinalis - მიძო. სამკურნალოდ იყენებენ ყლორტებს, ფოთლებს და ყვავილებს;

Alhagi pseudoalhagi - ცერცველა. სამკურნალოა მცენარის მიწისზედა ნაწილი.

ოჯ. Scrophulariaceae - შავწამალასებრნი

Linaria vulgaris - სელიჭა. სამკურნალოა მიწისზედა ვეგეტატიური ნაწილი ადებული ყვავილობისას;



Veronica officinalis - დედოფლისთითა. სამკურნალოა მთლიანად მცენარე აღებული ყვავილობისას;

Scrophularia nodosa - შავწამალა. ძლიერ შხამიანი მცენარეა, ხალხური მედიცინა სამკურნალოდ იყენებს ფესურებს.

ოჯ. Liliaceae - შროშანისებრნი

Colchicum speciosum – უცუნა (სათოვლია). სამკურნალოდ გამოიყენება ბოლქვები, შეიცავს კოლხიციტინს;

Convallaria transcaucasica - შროშანა. სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლები და ყვავილები;

Veratrum lobelianum - შხამა. ძლიერ შხამიანი მცენარეა, სამკურნალოდ იყენებენ ფესურასა და ფესვებს;

Ruscus ponticus - თაგვისარა. სამკურნალოდ იყენებენ ფესურასა და ფესვებს;

Poligonatum multiflorum - სვინტრი. სამკურნალოდ იყენებენ ფესურასა და ფესვებს.

ოჯ. Primulaceae - ფურისულასებრნი

Primula (vulgaris) Woronowii - ფურისულა. სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანად მცენარე; *Cyclamen verum* - ყოჩივარდა. სამკურნალოდ გამოიყენება ტუბერები;

Lysimachia verticillaris - ხახვთესლა. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი.

ოჯ. Aristolochiaceae - ძირმწარასებრნი

Aristolochia iberica - ძირმწარა. სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანად მცენარე;

Asarum ibericum - ხარისჩლიქა. სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანად მცენარე.

ოჯ. Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი

Chelidonium majus- ქრისტესისხლა. სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლები და ყვავილები.

ოჯ. Equisetaceae - შვიტასებრნი

Equisetum arvense - მინდვრის შვიტა. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისზედა ვეგეტატიური ნაწილები.

ოჯ. Dioscoreaceae - დიოსკორეასებრნი

Tamus communis - ძაღლის სატაცური. სამკურნალოდ გამოიყენება მხოლოდ ფესვები.

ოჯ. Brassicaceae - კომბოსტოსებრნი (Cruciferae - ჯვაროსანნი)

Capsella bursa-pastoris - წიწმატურა (ხაჭიჭორა). სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილობისას აღებული მცენარის მიწისზედა ნაწილები.

ოჯ. Poaceae (Gramineae) – მარცვლოვანნი

Agropyron repens - მხოხავი ჭანგა. სამკურნალოდ იყენებენ შემოდგომაზე აღებულ ფესვებს.

ოჯ. Phytolaccaceae- ჭიაფერასებრნი

Phytolacca americana - ჭიაფერა. სამკურნალოდ გამოიყენება მხოლოდ ფესურები.

ოჯ. Helleboraceae - ხარისძირასებრნი

Helleborus caucasica - ხარისძირა. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები, ფესურები და ფოთლები.

ოჯ. Orchidaceae - ჯადვარისებრნი

Orchis mascula - მამრობითი ჯადვარი. სამკურნალოდ გამოიყენება ტუბერაკები, რომელსაც მცენარის დაყვავილების შემდეგ აგროვებენ;

Orchis amblyoloba - გუგულის კაბა. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის გამსხვილებული



ფესურები.

ოჯ. Urticaceae - ჭინჭრისებრნი

Urtica dioica - ჭინჭარი. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილი.

ოჯ. Polypodiaceae - ნამდვილი გვიმრები (პოლიპოდიასებრნი)

Dryopteris filix mas - ჩადუნა. სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა;

Pteridium tauricum - ეწრის გვიმრა. სამკურნალოდ გამოიყენება ფესურები.

ოჯ. Chenopodiaceae - ნაცარქათამასებრნი

Chenopodium album - ნაცარქათამა. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის ვეგეტატიური ნაწილები.

ოჯ. Convolvulaceae - ხვართქლასებრნი

Convolvulus arvensis - ხვართქლა. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილები და ფესურები.

როგორც მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ბუნებრივ ფლორაში 35 ბოტანიკური ოჯახის 83 გვარის 87 სახეობის სამკურნალო მცენარეა გავრცელებული. სამკურნალო მცენარეთა ყველაზე მეტი - 16 სახეობა რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის წარმომადგენელია, 8 სახეობა ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახს ეკუთვნის, 5 სახეობა შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახის წარმომადგენელია, 4-4 სახეობა კი ვარდისებრთა (Rosaceae), მათიტელასებრთა (Polygonaceae) და ძაღყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახში შედის. დანარჩენი ოჯახები კი 1 ან 2 სახეობის სამკურნალო მცენარით არიან წარმოდგენილი.

სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით ზემოთ აღწერილი სახეობებიდან 64 სახეობა მრავალწლოვანი მცენარეა, 7 სახეობა ორწლოვანი და 16 სახეობის მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობა 1 წელს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ბოტანიკურ ბაღში გავრცელებული სამკურნალო ბალახოვანი მცენარეებიდან 4 სახეობა სპოროვანია (გვიმრის 2 სახეობა: ეწრის გვიმრა და ჩადუნა, შვიტა და ლიკოპოდიუმი). შიშველთესლოვნები, რა თქმა უნდა, არ გვხვდება და ყვავილოვნები ანუ ფარულთესლოვნები 83 სახეობაა, რომელთაგან 7 სახეობა ერთლებნიან მცენარეს წარმოადგენს, 76 სახეობა კი - ორლებნიანი მცენარეა.

ცნობილია, რომ საქართველოს ფლორის სიმდიდრის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს ენდემიზმის მაღალი დონე წარმოადგენს. რ. გაგნიძის მიხედვით იგი საქართველოს ფლორის 21% შეადგენს. საქართველოს ფლორა მდიდარია როგორც კავკასიის, ასევე საქართველოს ენდემებით.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში გავრცელებული ბუნებრივი (ბალახოვანი) ფლორის სამკურნალო მცენარეთა სახეობებიდან არც ერთი არ აღმოჩნდა საქართველოს ვიწრო ლოკალური ენდემი, ხოლო რაც შეეხება კავკასიურ ენდემს, გამოკვლეული 87 სახეობიდან სამი სახეობა: *Atropa caucasica* - შმაგა, *Heracleum ponticum* - დიყი, *Helleborus caucasica* - ხარისძირა, კავკასიის ენდემს წარმოადგენს.



გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველო მცენარეების სარკვევი I, II. „მეცნიერება“. თბილისი, 1964-1969
2. შ. ხიდაშელი, ვ. პაპუნძე - საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები. „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი, 1980
3. ლ. ასიეშვილი, რ. ბიძინაშვილი, ნ. ერაძე, მ. სირაძე, ნ. ცხადაძე - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორა „კენტავრი“. თბილისი, 2014
4. ლ. კოპალიანი - საქართველოს სამკურნალო მცენარეები. საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი. 2002
5. R. Gagnidze - Vascular Plants of Georgia. A nomenclatural checklist. Tbilisi, 2005

Medical Plants of Kutaisi Botanical Garden (Natural) Flora

Tvalodze Shorena

Researcher. Kutaisi. Botanical garden, Kutaisi, Georgia.

Abstract

Key words: Medicinal plants, phytocenosis, phenology, invasion.

There are many wild herbaceous plants together with introduced species in Kutaisi botanical garden, among them there are medicinal plants that are widely used in medicine (national and pharmaceutical level).

The goal of the research was to identify and determine one year, biennial and perennial herbaceous medical plants of Kutaisi Botanical Garden (Natural Flora).

FAM. Compositae

Artemisia absinthium, Taraxacum officinale, Alatricaria recutita, Calendula officinalis, Cichorium intubus, Tussilago farfara, Bellis perensis, Inula helenium, Helianthus tuberosus, Bidens tripartita, Arctium lappa, Solidago virgaurea, Achillea millefolium, Centaurea cyanus, Eupatorium cannabinum, Senecio platyphylloides.

FAM. Caprifoliaceae

Sambucus ebulus

FAM. Gentianaceae

Centaurium umbellatum, Centiana Cruciat.

FAM. Malvaceae

Malva silvestris, Aethaea hirsuta.

FAM. Umbeliferae

Heracleum ponticum.

FAM. Rosaceae

Sanguisorba officinalis, Potentilla erecta, Fragaria vesca, Geum urbanum.

FAM. Lamiaceae

Origanum vulgare, Glechoma hederacea, Leonorus quinquelobatus, Mentha pulegium, Stachys sylvatica, Salvia glutinosa, Phlomis tuberosa, Lamium album.

(Labiatae)

FAM. Amaryllidaceae

Galanthus caucasicus.

FAM. Violaceae

Viola odorata.

FAM. Crassulaceae

Sedum maxsimum, Sedum acre, Sedum caucasicum.

FAM. Araceae

Acorus calamus.

FAM. Hypericaceae

Hypericum perforatum.

FAM. Lycopodiaceae

Licopodium glaratum

FAM. Polygonaceae

Polygonum aviculares, Ramex acetosella, Rumex crispus, Polygonum hydropiper

FAM. Rubiaceae

Galium verum, Asperula odorata.

FAM. Plantaginaceae

Plantago major, Plantago media, Plantago lanceolata.

FAM. Geraniaceae

Geranium robertianum, Geranium rotundifolium.



FAM. Solanaceae	<i>Physalis alkekengi</i> , <i>Solanum nigrum</i> , <i>Atropa caucasica</i> , <i>Datura stramonium</i> .
FAM. Fabaceae(Leguminosae)	<i>Trifolium pratense</i> , <i>Melilotus officinalis</i> , <i>Alhagi pseudoalhagi</i> .
FAM. Scrophulariaceae	<i>Linaria vulgaris</i> , <i>Veronica officinalis</i> , <i>Scrophularia nodosa</i> .
FAM. Liliaceae	<i>Colchicum speciosum</i> , <i>Convallaria transcaucasica</i> , <i>Veratrum lobelianum</i> , <i>Ruscus ponticus</i> , <i>Poligonatum multiflorum</i> .
FAM. Primulaceae	<i>Primula (vulgaris) woronowii</i> , <i>Cyclamen verum</i> , <i>Lysimachia verticillaris</i> .
FAM. Aristolochiaceae	<i>Aristolochia iberica</i> , <i>Asarum ibericum</i> .
FAM. Papaveraceae	<i>Chelidonium majus</i> .
FAM. Equisetaceae	<i>Equisetum arvense</i> .
FAM. Dioscoreaceae	<i>Tamus communis</i> .
FAM .Brassicaceae (Cruciferae)	<i>Capsella bursa-pastoris</i> .
FAM. Poaceae(Graminae)	<i>Agropyron repens</i> .
FAM. Phytolaccaceae	<i>Phytolacca americana</i> .
FAM. Helleboraceae	<i>Helleborus caucasica</i>
FAM. Orchidaceae	<i>Orchis mascula</i> , <i>Orchis amblyoloba</i> .
FAM. Urticaceae	<i>Urtica dioica</i> .
FAM. Polypodiaceae	<i>Dryopteris filix mas</i> , <i>Pteridium tauricum</i> .
FAM. Chenopodiaceae	<i>Chenopodium album</i> .
FAM. Convolvulaceae	<i>Convolvulus arvense</i> .

35 botanical families, 83 species and 87 types' medical plants are distributed in Kutaisi botanical garden. The most species of medical plants belong to the family of Compositae (16 species), 8 species to the Lamiaceae family, 5 species to the Liliaceae family, 4-4 species are from Rosaceae and Polygonaceae and Solanaceae families. The rest of the families are represented by 1 or 2 species of medical plants.

Of the species described above, 64 species are perennials, 7 species are biennials, and 16 species are planted for 1 year.

It is noteworthy that 4 species of medical herbaceous plants from the botanical garden are sporadic (2 species of Filicales: podzol fern and *Aspidium aculeatum*, *Equisetum* and *Lycopodium*). There are not Gymnospermae but there are 83 species of Angiospermae among which 7 species are Monocotyledoneae and 76 species are Dicotyledoneae.

It is known that one of the key indicators of the richness/value of Georgia Flora is a higher level of endemism. According to R. Gagnidze, it's 21% of total flora that is represented by Caucasus and Georgian endemic.

None of the species appeared to be local endemic of Georgia from medical plants of herbaceous flora distributed in Kutaisi Botanical Garden. According to the study results, three species: *Atropa caucasica*, *Heracleum ponticum*, *Helleborus caucasica* are Caucasian endemic (ἔνδημος) from 87 species.





გადაშენების ზღვარს მისული იმერული ჯიშის ცხვრის აღორძინების პირველი ნაბიჯები

თორთლაძე ლ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

ბედელური გ.

სოფლის მეურნეობის დოქტორი

ლოლაძე ჯ.

სოფლის მეურნეობის დოქტორი

კალანდია ე.

სოფლის მეურნეობის დოქტორი

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

იმერული ცხვარი უძველესი და კოლხურ ჯიშთან გენეტიკურად მონათესავე ჯიშია. იგი ქართველი ერის მატერიალური კულტურის ცოცხალი ძეგლია. იმერული ცხვრის მოშენებას ძირითადად მისდევენ დასავლეთ საქართველოში. სიდიდით ტანმორჩილია, ხასიათდება ხორცისა და მატყლის მაღალი ღირსებით. იმერული ჯიშის ცხვრის მოძიების მიზნით მოეწყო ექსპედიციური კვლევები საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, წყალტუბოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტების სოფლებში. მოძიებული იქნა 13 ტიპური ცხოველი. არჩეული სულადობა დაინომრა, აიწონა, შეფასდა ექსტერიერი, მატყლის მასა და სუფთა მატყლის გამოსავალი. სულადობა მოთავსებულია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დიდი ჯიხაიშის სამეცნიერო ბაზაზე, სადაც მიმდინარეობს მეთოდით გათვალისწინებული კვლევები.

საკვანძო სიტყვები: იმერული ცხვარი, მოძიება, გადარჩევა, შეფასება.

ისტორიულ კოლხეთში, ჩვ.წ.აღ-მდე, მოშენებული ყავდათ ნაზმატყლიანი ცხვარი. ეს ფაქტი დასტურდება არქეოლოგიური გათხრებითა და მითით - არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში. სწორედ, იმერული ცხვარი ითვლება უძველეს და კოლხურ ჯიშთან მონათესავე ჯიშად. მას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის მატერიალური კულტურის ცოცხალ ძეგლად მოიხსენიებს.

ამჟამად ძნელი დასადგენია იმერული ცხვრის გენეზისი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მის ჯიშად ჩამოყალიბებაში მონაწილეობა აქვს კოლხურ ნაზმატყლიანს (საწყისი ფორმა) და სხვადასხვა უხეშმატყლიან ცხვრებს.

სხვა ჯიშის ცხვრებისაგან განსხვავებით იმერული ცხვარი გამოირჩევა თავისი გენეტიკური ფუნქციებით, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს:

1. **პოლიესტრიულობა** - იგი ახურებაში მოდის წლის ნებისმიერ დროს და გამრავლების სეზონურობა არ ახასიათებს. დადოლებიდან 21-ე დღეს კვლავ ახურებაში მოდის და ინერბება;
2. **მრავალნაყოფიერება** - ერთ დადოლებაზე ერთი ნერბისაგან მიიღება 2-3 ბატკანი (ზოგჯერ 4-5);
3. **ადრეულობა** - სხვა ჯიშის ცხვრების უმეტესობა თითქმის 1,5 წლის ასაკში ინერბებიან, როცა იმერული ცხვრის ბატკანი 5-6 თვის ასაკში ინერბება პირველად და 10-11 თვისას უკვე ყავს 2-3 ნაშიერი. მაკეობის ხანგრძლივობა სხვა ჯიშებში 150-152 დღეა საშუალოდ, იმერულ ცხვარში კი ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა და შე-



ადგენს 138-142 დღეს;

4. **მაღალი ცხოველყოფილობა** - ახალშობილი ფეხზე მალე დგება, მოძრავი და მკვირ-ცხლია. ნერვი დაუხმარებლად ზრდის 2-3 ბატკანს [3].

ჩვენს სამწუხაროდ ეს უნიკალური ჯიში დღეს გადაშენების პირასაა და სულადობა ყოველწლიურად მცირდება. სტატისტიკის მონაცემებით იმერეთში მისი სულადობა თანდათან იკლებს. ასე მაგალითად, 2015 წელს 28,4 ათასი სული ფიქსირდებოდა, 2016 წელს - 27,4, 2017 წელს - 19,6 და 2018 წელს 15,7 ათასი სულია შემორჩა. შესაბამისად ნერვების სულადობა 15,5 ათასი სულიდან 9,3 ათას სულამდეა დაფიქსირებული. ამ ჯიშის მოძიება, აღდგენა და მოშენება საშვილიშვილო საქმეა. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების კვლევითი დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ დასახულ იქნა ამოცანა აბორიგენული ჯიშების (მათ შორის იმერული ცხვრის) მოძიებისა და აღორძინების შესახებ.

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპედიციის შედეგად მოძიებულ იქნა იმერული ცხვრის ტიპური სულადობა საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, წყალტუბოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტების სოფლებში. მოძიებული სულადობიდან შეირჩა და შესყიდულ იქნა 2018 წლის ნოემბრის თვეში 13 სული ტიპური, სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი ცხოველი და გადაყვანილ იქნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის დიდიჯიხაიშის საცდელ ბაზაზე. დღეისათვის გვყავს 22 სული.

ზამთრის პერიოდში ცხვარი ბატკნებითურთ გაშვებული გვყავდა სამოვარზე და დამატებით ვაძლევდით საშუალოდ ვერძს: 1,5 კგ იონჯის თივას, 0,3 კგ ქერს და 8 გრ მარილს. ნერვებს შესაბამისად: 1,5 ; 0,2 და 8; თოხლებს: 1,0; 0,1 და 7-ს, ხოლო ბატკნებს: 0,5კგ; 0,05 კგ და 5 გრ-ს.

ზრდასრული ცხვრის ზრდა-განვითარების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ვერძის ($n=1$) ცოცხალმა მასამ 45 კგ შეადგინა, რაც სტანდარტთან შედარებით მეტია პირველი კლასის მაჩვენებელზე. ნერვების ($n=6$) იგივე მონაცემი $34,0 \pm 1,06$ კგ-ია და ასევე დამაკმაყოფილებელი შედეგია და აღემატება პირველი კლასს.

იმერული ცხვრის მოზარდულის ცოცხალი მასის დინამიკამ (ცხრ. 1) გვიჩვენა, რომ კარგი კვებისა და მოვლა-შენახვის პირობებში შედეგები დამაკმაყოფილებელია. იმერული ცხვრის ბონიტირების ინსტრუქციაში მოტანილ მაჩვენებლებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი სულადობის ცოცხალი მასა საგრძნობლად სჭარბობს პირველი კლასის სტანდარტებს.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა სამატყლო პროდუქტიულობა. გაზაფხულის ნაპარსის მაჩვენებელმა ნერვებში შეადგინა $1,0 \pm 0,12$ კგ, ხოლო ვერძის ნაპარსმა კი - 1,6 კგ. რაც შეეხება მამალი და დედალი თოხლის ამ მაჩვენებელს, შესაბამისად $0,73 \pm 0,05$ და $0,60 \pm 0,05$ კგ-ს უდრიდა. ნაპარსის მაჩვენებელს სტანდარტულ მაჩვენებლებს ჯერ ვერ შევადარებთ, რადგან საშემოდგომო პარსვა არ ჩატარებულა და წლიური ნაპარსი არაა ცნობილი.

გაზაფხულის მატყლის სუფთა გამოსავლის შესწავლით დადგინდა, რომ ვერძის მატყლის ამ მაჩვენებელმა შეადგინა 66,0%, ნერვების მატყლისამ - 65,49%, მამლი ბატკნებისამ - 68,83%, ხოლო დედალი ბატკნების მატყლში ეს მაჩვენებელი 66,37%-ს უდრიდა.



ცხრილი 1

იმერული ცხვრის მოზარდეულის ცოცხალი მასის დინამიკა

დაბადებისას ბატ- კნების ოდენობა	n	ბიომეტრიული კონსტანტები	ასაკი		
			დაბადებისას	3 თვის (ას- ხლეტვისას)	6 თვის
ცალად დაბადე- ბულნი	3	M±m	1,97±0,09	14,3±0,37	21,5±0,29
		σ	0,15	0,64	0,5
		c _v	7,77	4,51	2,33
ტყუბები	8	M±m	1,69±0,13	13,9±0,21	21,0±0,62
		σ	0,37	0,55	1,76
		c _v	22,27	3,99	8,38
სამცალად დაბადე- ბულნი	3	M±m	2,07±0,06	14,3±0,22	20,5±0,73
		σ	0,11	0,38	1,27
		c _v	5,59	2,65	6,19

მოზარდეულის ზრდა-განვითარებაზე დადებით შედეგს იძლევა ნერბების მაღალი მერძეულობა (ცხრ.2).

ცხრილი 2

იმერული ცხვრის მერძეულობის მაჩვენებლები

დღეები	n	ერთბატკნიანი ნერბები			
		M±m	σ	c _v	lim
1-20	3	0,98±0,01	0,017	1,77	0,97-1,00
30-45	3	0,50±0,006	0,010	2,00	0,49-0,51
45-60	3	0,47±0,003	0,006	1,24	0,46-0,47
60-90	3	0,24±0,002	0,003	1,21	0,235-0,240

დღეები	n	ორბატკნიანი ნერბები			
		M±m	σ	c _v	lim
1-20	2	1,05±0,01	0,00	0,00	1,05-1,05
30-45	2	0,53±0,003	0,004	0,66	0,53-0,535
45-60	2	0,48±0,00	0,00	0,00	0,48-0,48
60-90	2	0,25±0,002	0,003	1,12	0,251-0,255

დღეები	n	სამბატკნიანი ნერბი			
		M±m	σ	c _v	lim
1-20	1	1,08±0,03	0,06	5,33	1,05-1,15
30-45	1	0,68±0,00	0,68	0,0	0,68
45-60	1	0,52±0,00	0,52	0,0	0,52
60-90	1	0,27±0,00	0,27	0,0	0,27



ამ ეტაპზე სრული დასკვნების გამოტანა არ იქნება უპრიანი, იმდენად, რამდენადაც ჯერ სამბატკნიანი ნერბი მხოლოდ ერთი გვყავს და დაკვირვება გრძელდება. ერთის თქმა კი შეიძლება, რაც უფრო მაღალია ტყუპიანობა, მით მეტია ნერბების მერძეულობაც. ამ მიმართულებით იმერული ჯიშის ცხვარზე საინტერესო კვლევები აქვს ჩატარებული ა. მუმ-კუდიანს (2) და ჩვენი კვლევის მასალები თანხვედრია ბატონ ანზორის მიერ მოპოვებული მასალებისა.

ცხვრის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი ბონიტირებაა. ჩვენს მიერ გაზაფხულზე ჩატარებული ბონიტირების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი: 6 სული ნერბიდან ნორმალური ტიპის აღმოჩნდა ექვსივე (100%), მაგარი კონსტიტუციის - 5 სული (83,3%), ექსტერიერის შეფასებისას 5 ბალი მიენიჭა 3 სულს (50%) და 4 ბალი ასევე 3-ს (50%). მატყლის შებუსუსულობით ხშირი მატყლით გამოირჩეოდა 2 სული (33,3%), ნორმალური სიხშირის - 3 სული (50%), ხოლო ერთი (16,7%) მთლიანად გაღვერილი აღმოჩნდა. მატყლის სიგრძის საშუალო მაჩვენებელმა 15/7 სმ შეადგინა, რაც ნორმალური მაჩვენებელია. 6 სულიდან 5-ს აღმოაჩნდა პირველი კლასის მატყლი (83,3%), ხოლო ერთის შეფასება ვერ მოხერხდა (გაღვერილია). მატყლის ჭადისებური ბზინვარებით გამოირჩეოდა 2 სული (33,3%), ნორმალური ბზინვარებით კი - 3 (50%). 6 სული ნერბიდან 5 სული ხასიათდებოდა გამოთანაბრებული და თეთრი ფერის მატყლით.

ცხოველთა პროდუქტიული მაჩვენებლების შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსტერიერის შესწავლას. გამოჩენილი მეცნიერი აკად. მ. ივანოვი (1) აღნიშნავდა, რომ ცხოველის შეფასებისას აუცილებელია მის პროდუქტიულ მაჩვენებლებსა და წარმოშობასთან ერთად ყურადღება მიექცეს ექსტერიერის შესწავლას. ამ საკითხის შესწავლის მიზნით აღებულ იქნა 8 ძირითადი განაზომი.

ცხოველის სხეულზე მხოლოდ განაზომების აღება არასაკმარისია ექსტერიერის შესწავლისათვის. ცხოველის ტიპის დასახასიათებლად უპრიანია ინდექსების გამოთვლა, რაც უფრო სარწმუნოა ამა თუ იმ ცალკეული სხეულის ნაწილებისა და მთლიანად ორგანიზმის განვითარებისა. ჩვენს მიერ გამოთვლილ იქნა 6 ძირითადი ინდექსი: მაღალფეხიანობის, გაწელილობის, გულმკერდის, სიმკვრივის, ძვლოვანების და მასიურობის. ვერძის მაღალფეხიანობის ინდექსმა შეადგინა 41, 3%/; გაწელილობისამ - 106,89%; გულმკერდის - 75,0%; სიმკვრივის - 143,45[^]; ძვლოვანების - 13,8%, ხოლო მასიურობისამ - 136,9%. შესაბამისად ამ მაჩვენებლებმა ნერბების (n=6) ჯგუფში შეადგინა: 51,0%; 121,0%; 66,0%; 130,6%; 13,0% და 140,1%. მამალი თოხლების(n=4) ეს მაჩვენებლები შესაბამისად უდრიდა: 55,5%; 111,5%; 74,76%; 132,26%; 13,75% და 129,8%-ს. რაც შეეხება დედალ თოხლებს(n=5), იგივე მაჩვენებლებმა შეადგინა: 65,81%, 111,11%; 80,0%; 133,07%; 13,67% და 135,68%.

ამრიგად, იმერული ცხვრის ღირსების ერთ-ერთი მაჩვენებელი მრავალნაყოფიერებაა. ამ ეტაპზე სრულ დასკვნებს ვერ გამოვიტანთ, რადგან ჩვენს მიერ შეძენილი სულადობიდან სამი სული პირველად დადოლდა და ცნობილი ფაქტია, თავდაპირველად იშვიათად იძლევა 2-3 ბატკანს. რაც შეეხებათ ნაყიდ ნერბებს, ერთმა ნერბმა, რომელსაც ადგილზე ყავდა 3 ბატკანი, ჩვენთან მოგვცა 2, ხოლო ნერბმა (ნომრით 103-75933), რომელიც ადგილზე, სექტემბრის თვეში იყო დადოლებული და ყავდა 2 ბატკანი, ჩვენთან აპრილის თვეში კვლავ დადოლდა მოგვცა 3 ბატკანი და სამივე გაზარდა (იხ. სურათი).



ნერბი 3 ბატკნით

გამოყენებული ლიტერატურა

1. Иванов М. Ф. „Полное собрание сочинений“. М. Колос, 1964. –Т.4. с-779.
2. მუშკუდიანი ა. „იმერული ცხვრის მოშენების ცდა აღმოსავლეთ საქართველოს სამრეწველო მეცხვარეობის მთაბარობის პირობებში. ავტორეფერატი“. თბილისი, 1984 წ. 28 გვ.
3. პაკიძე თ. „მეცხვარეობა“. 2004 წ. 606 გვ.

First Steps of Imeretian Sheep Reviving at the Border of Extinction.

Tortladze L.

Begheluri G.

Loladze J.

Kalandia E.

Scientific-Reserch Center Of Agriculture

Abstract

Key Words: Imeretian Sheep, Finding, Selectio, Estimation

Imeretian sheep are genetically related to the ancient and Colchic breeds. It's a living monument of Georgian nation's material culture. The breeding of Imeretian sheep is mainly followed in western Georgia. It's large in size, characterized by the high quality of meat and wool. In order to find Imeretian Sheep, the expeditions were conducted in the villages in Sachkhere, Chiatura, Zestafoni, Tskaltubo and Samtredia. 13 Typical animals were found. Selected animals were numbered, weighted, the exterior, wool mass and pure yield were estimated. The data are placed on the scientific base of Didi Jikhaishi Agricultural Research Center, where the researches are being carried out by the provided methodology.

As it's known, in historical Colchis until about the BC, fine-wool sheep were raised. This fact is proved by the archaeological excavations and myth - the Argonauts hiking in Colchis. The Imeretian sheep is considered to be the oldest and related to the Colchian breed. At present, it's very difficult to prove the genesis of Imeretian Sheep, but we have to assumed that the Colchian (first form) and various rough-wool sheep are involved in its breeding.

Unlike the other type of sheep, Imeretian sheep is distinguished by its generative functions, which deserve special attention:

1. Polyestrous- It occurs at any time of year and does not characterize by the breeding season. On the 21st day from the calving, it's in heat and get in pregnancy.



2. Multiplicity - 2-3 lambs (sometimes 4-5) from one ewe per one calving period.
3. Early life - Most other breeds of sheep get pregnancy at the age of almost 1.5 years, when the lamb of the Imeretian breed at 5-6 months of age get pregnancy and at the age of 10-11 months already has 2-3 lambs. The length of gestation in other breeds is 150-152 days on average, while in the Imeretian sheep it's relatively small and is 138-142 days;
4. High vitality - The newborn lambs are soon got on feet, are moving and shy. The ewe grows 2-3 lambs without help (3).

Unfortunately, this unique breed is on the extinction border today, and the number is decreasing every year. According to statistics in Imereti its population is gradually decreasing. For example, in 2015 there were 28.4 thousand heads, 27,4 in 2016, 19,6 in 2017 and 15,7 thousand in 2018. Accordingly, the number of ewes are 15,3 thousand, from 9,3thousand. Finding, restoring and breeding of this breed is a glorious affair. Employees of the Livestock and Feed Production Research Department of the Agricultural Research Center set the task of finding and revitalizing of the Aboriginal varieties (including Imeretian sheep).

As a result of our expedition we found typical Imeretian sheep in the villages of Sachkhere, Chiatura, Zestafoni, Tskaltubo and Samtredia municipalities. In November 2018, 13 typical and different sexual – aged heads were selected and purchased in November, 2018 and were transported to Didi Jikhaishi Experimental Base in Samtredia Municipality.

During the winter, sheep with lambs and ram were on pasture; additionally we gave them: 1.5 kg of Lucerne hay, 0.3 kg of barley and 8 g of salt. Accordingly: ewes - 1,5; 0,2 and 8; Hives- 1,0; 0,1 and 7 and lambs - 0,5 kg; 0,05 kg and 5 g.

A study of adult lambs growth and development showed that the live weight of the rams (n=1) was 45 kg, which is higher than the first-class indices in compare to the standard. The same data for ewes (n = 6) was 34.0 ± 1.06 kg and it's also a satisfactory result and exceeds the first grade.

The dynamics of adolescent live-weight of Imeretian lambs have shown that the keeping of sheep in good conditions and during the good feeding, the results are satisfactory.

Compare to the figures given in the Imeretian lamb bunting instructions shows that the live-weight of our studied lambs far exceeds the first-class standards.

We studied wool productivity. The rate of spring shearing wool was 1.0 ± 0.12 kg in ewes, in rams- was 1.6 kg. As for this figure of male and female sheep – it was 0.73 ± 0.05 and 0.60 ± 0.05 kg. We cannot compare the shearing indices to the standard one, because the autumn shearing has not taken place and the annual shearing isn't known.

By study of the pure yield of the spring shearing, it has been determined, that this indices in rams was 66,0%, in ewes – 65,49%, in male lambs – 68,83%, and in female lambs 66,37%.

Positive results on the growth and development of adolescents are given by the high milk productivity of ewes. The average indices of the lactation period in single lambs was 0,547, in two lambs ewes - 0,577 and in three lambs ewes - 0, 637 kg.

At this point, it will not be easy to make the full conclusions, as we have only one three-lambs ewe and observation has been continuing. We can say, that if existence of twins is higher, the milk productivity of ewes is higher. In this direction, A.Mushkudiani has conducted the interesting researches on Imeretian Sheep, and the materials of our study are similar to those that obtained by Mr.Anzor.

One the main rate of sheep estimation is the evaluation of conformation. In spring we conducted the evaluation of conformation and got the following results: 6 heads from the ewes were normal type (100%), with strong constitution – 5 heads (83%);

During the exterior estimation, 5 points were given to 3 heads (50%) and 4 point also



to 3 heads (50%). By the frequent wool, 2 heads were distinguished (33,3%), normal frequent – 3 heads (50%), and one head had fully damaged wool (16,7%). The average length of the wool was 15/7sm, which is the normal. 5 out of 6 heads had the first class wool (83,3%), but we couldn't estimate the one head (because it had damaged wool). 2 Heads were distinguished by the bright lightness(33,3%), by the normal lightness – 3 (50%). 5 out of 6 ewes were distinguished by the white colored wool.

During the animal productivity estimation, the exterior study has great importance. The famous scientist M.Ivanov stated, that it's necessary to pay attention to the exterior study along with its productivity and origin. To study this issue, eight basic considerations were taken.



საქართველოში გავრცელებული გრეიპფრუტის ჯიშების ანტიოქსიდანტური აქტივობა

კაიშაური გულნაზი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი)

ჟღენტი მერაბი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი, თბილისი, საქართველო

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოში გავრცელებული გრეიპფრუტის ჯიშების („დუნკანი“ და „ნარინჯი“) კვლევის შედეგები.

დადგენილია, რომ შესწავლილი ჯიშები აკმაყოფილებენ დასაკონსერვებლად განკუთვნილი გრეიპფრუტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ჯიშები ხასიათდებიან ჯამური პოლიფენოლების მაღალი შემცველობითა და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით. მათი ანტიოქსიდანტური აქტივობა შეადგენს 378 მგ („დუნკანი“) და 344 მგ („ნარინჯი“) 100გ ნიმუშზე მგ ასკორბინის მჟავას ექვივალენტი.

საკვანძო სიტყვები: ანტიოქსიდანტური აქტივობა, გრეიპფრუტის ჯიშები, სასაქონლო მაჩვენებლები, ფენოლური ნაერთები

შესავალი. ჟანგბადის დიდი რაოდენობით შემცველ ატმოსფეროში ცოცხალი ორგანიზმების ნორმალური არსებობა მზის ულტრაიისფერი გამოსხივებისას შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივი ანტიოქსიდანტური სისტემის არსებობისას. ამ სისტემის არასაკმარისი მუშაობისას გამოიყენება მცენარეულ ნედლეულში შემცველი ბუნებრივი ანტიოქსიდანტები. ესენია: ბიოფლავონოიდები (აქვთ: ანტიჰიპერტონიული, ანთების საწინააღმდეგო, ანტიკანცეროგენული და სხვ. მოქმედება), ფლავონოიდთა გლიკოზიდები (P-ვიტამინი, რომელიც გავლენას ახდენს სისხლძარღვების ელასტიურობაზე) და სხვ. ანტიოქსიდანტების აქტიურობა ვლინდება C ვიტამინის თანაარსებობისას.



ქიმიურად აქტიური რადიკალი, ანტიოქსიდანტებს მიკუთვნებული ნივთიერებების (ფლავონოიდები, კაროტინოიდები, ტოკოფეროლები, კუმარინის წარმოებულები, ასკორბინის მჟავა და სხვ.) მცირე კონცენტრაციასთან ურთიერთმოქმედების შემდეგ, ხდება ნაკლებად აქტიური, რაც თავიდან გვაცილებს სხვადასხვა დაავადებების განვითარებას.

ანტიოქსიდანტებს მიკუთვნებენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. ისინი ადამიანის ორგანიზმში აძლიერებენ კიბოს უჯრედების გამანადგურებელ სიგნალებს /1, 2/.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მთელი კომპლექსის წყაროს წარმოადგენს გრეიპფრუტი. მისი ნაყოფი შეიცავს 88,8 - 90 % წყალს, 6,5 - 8,7 % ნახშირწყლებს, მათ შორის 3,8 - 7,4 % შაქრებს, მდებავ ნივთიერებებს (3,36 მგ% ლიკოპინი), 1,2 - 2,4 % მჟავებს, ვიტამინებს (მგ%): C (33,8 - 60,0), β - კაროტინი (0,02 - 0,03), B₁ (0,04 - 0,05), B₂ (0,02 - 0,03), B₆ (0,04) და სხვ., ასევე მინერალურ ნივთიერებებს (მგ): Na (10 - 13), K (184 - 197), Ca (23 - 34), Fe (0,5) და სხვ. ნაყოფში მცირე რაოდენობით გვხვდება ცილები (0,7 %) და ცხიმები (0,2 %). მისი კალორიულობაა 29-40 კკალ. კანში ბევრია (3,3 - 5,1 %) პექტინოვანი ნივთიერებები. ნაყოფში შემცველი C ვიტამინი უჯრედებს იცავს თავისუფალი რადიკალების დამლუპველი მოქმედებისაგან /3, 4/.

ცნობილია გრეიპფრუტის სამკურნალო-პროფილაქტიკური ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ნაყოფში შემცველი ნაერთები აუმჯობესებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პერიტალტიკას (ხსნადი პექტინი) და ცვლის პროცესებს (ეთერზეთი და ორგანული მჟავები), ხელს უშლიან თირკმელებში ქვების წარმოქმნას (ლიმონმჟავა), სასარგებლოა პოდაგრის, ოსტეოპოროზის, გულ-სისხლძარღვთა (ბიოფლავონოიდები), ართრიტის (სალიცილის მჟავა) და სხვა დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის /4, 5/.

საქართველოს პირობებში მოყვანილი გრეიპფრუტის ჯიშებისა და მათი გადამუშავების პროდუქტების ქიმიური შედგენილობის შესახებ მონაცემები საკმაოდ მწირია. არსებული ზოგადი სახის მონაცემები არ იძლევა სრულყოფილ სურათს გრეიპფრუტის სამრეწველო მასშტაბით სრულად გამოყენებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ძირითადი მიზანი იყო გრეიპფრუტის გამოკვლევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის, კერძოდ ანტიოქსიდანტური აქტივობის თვალსაზრისით.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში მოყვანილი გრეიპფრუტის ჯიშები „დუნკანი“ და „ნარინჯი“.

სამუშაოს შესასრულებლად დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

- გრეიპფრუტის ჯიშების სასაქონლო მაჩვენებლების შესწავლა;
- ჯიშების ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია.

- გრეიპფრუტის ნაყოფების სასაქონლო მაჩვენებლები გამოკვლეულია კვლევის სტანდარტული მეთოდებით /6 - 8/;

- პოლიფენოლური ნაერთები _ Folin-Ciocalteu-ს რეაგენტით, სპექტროფოტომეტრის გამოყენებით (Bond et al., 2003);

- ანტიოქსიდანტური აქტივობა_FRAP მეთოდით სპექტროფოტომეტრის გამოყენე-



ბით/9/.

კვლევის შედეგები. ჯიშების სასაქონლო მაჩვენებლების კვლევამ გვიჩვენა, რომ ნაყოფებს ჰქონდა მომრგვალო ფორმა (ჯიში „დუნკანი“, ფორმის ინდექსი 0,84) და მოგრძო, მსხლისებრი ფორმა (ჯიში „ნარინჯი“, ფორმის ინდექსი 1,12); ხორკლიანი ზედაპირი, ნარინჯისფერი კანი და წვნიანი რბილობი ციტრუსისთვის დამახასიათებელი არომატით. ჯიშებისგან დამოკიდებულებით ნაყოფის მასა მერყეობდა 135,7 გ - 161,3 გ ფარგლებში.

რბილობი შეადგენდა ნაყოფის საერთო მასის 57,9 %-ს (ჯიში „დუნკანი“) და 66,7 %-ს (ჯიში „ნარინჯი“), ხოლო კანი - შესაბამისად 10,5 % და 7,4 %.

საკვლევი ჯიშები გამოირჩევა მშრალი ნივთიერების დიდი შემცველობით 11,5 % (ჯიში „დუნკანი“) და 13 % (ჯიში „ნარინჯი“). ნაყოფებში შაქრებიდან ჭარბობს მონოსაქარიდები.

ლიტერატურული მონაცემების /Фишман Г.М. и др./ ანალოგიურად გრეიპფრუტის შესწავლილი ჯიშებიდან „დუნკანი“-ს რბილობი გამოირჩევა მაღალი მჟავიანობით 3 % ლიმონმჟავაზე გადაანგარიშებით. ჯიშებში ბევრია C ვიტამინი - $47,8 \cdot 10^{-3}$ % (ჯიში „დუნკანი“) და $50,4 \cdot 10^{-3}$ % (ჯიში „ნარინჯი“), და ჯამური პოლიფენოლები 180 მგ/100გ (ჯიში „დუნკანი“) და 164 მგ/100გ (ჯიში „ნარინჯი“).

საკვლევი ჯიშები შეფასებულია ანტიოქსიდანტური აქტივობის თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს მათი მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა – ჯიშისთვის „დუნკანი“ – 378 მგ, ხოლო ჯიშისთვის „ნარინჯი“ - 344 მგ 100გ-ზე (მგ ასკორბინის მჟავას ექვივალენტი).

ასეთი მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა ასკორბინის მჟავასთან ერთად ხელს უშლის დამჟანგავი პროცესების მიმდინარეობას, ამიტომაც გრეიპფრუტი მიიჩნევა სიბერის შემაჩერებელ ერთერთ საუკეთესო საშუალებად.

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ შესწავლილი ჯიშები, „დუნკანი“ და „ნარინჯი“, აკმაყოფილებდნენ დასაკონსერვებლად განკუთვნილი გრეიპფრუტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ ჰქონდათ მომჟავო-მოტკბო (ჯიში „დუნკანი“) და მოტკბო--მომჟავო (ჯიში „ნარინჯი“) გემო სიმწარის გარეშე; ორივე ჯიში შეიცავდა არანაკლებ 9% მშრალ ნივთიერებასა და 40 მგ% ასკორბინის მჟავას და არაუმეტეს 3% მჟავას ლიმონმჟავაზე გადაანგარიშებით (3 % ჯიში „დუნკანი“ და 1,06 % ჯიში „ნარინჯი“).

ამგვარად, კვლევის შედეგად დადგინდა გადაამამუშავებელ მრეწველობაში ჯიშების გამოყენების მიზანშეწონილობა.

დასკვნა. 1. მიღებულია გრეიპფრუტის ჯიშების ტექნოქიმიური მაჩვენებლების ახალი მონაცემები.

2. შესწავლილი ჯიშები ხასიათდებიან ჯამური პოლიფენოლების მაღალი შემცველობითა და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით, განსაკუთრებით ჯიში „დუნკანი“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. გახოკიძე, ლ. ტაბატაძე კვების პროდუქტთა ქიმია. გამომც. „ უნივერსალი“. თბ. 2016.

2. Яшин Я. И. и др. Природные антиоксиданты. Содержание в пищевых продуктах влияние их на здоровье и старение человека. ТрансЛит, М.: 2009.



3. გ. კაიშაური, ნ. ჯაფარაშვილი დასავლეთ საქართველოში მოყვანილი გრეიპფრუტის ნაყოფის ტექნოქიმიური მაჩვენებლების კვლევის შედეგები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. N3 (501). თბ. 2016.

4. გ. კაიშაური გრეიპფრუტის ნაყოფების ქიმიური შედგენილობის კვლევის შედეგები. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „კვების პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ტექნოლოგიები“ შრომათა კრებული. აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი. ქ. ქუთაისი. 2014. 12-13 ივნისი.

5. გ. კაიშაური გრეიპფრუტის ნაყოფების სამკურნალო მნიშვნელობა და მათი გამოყენება. //ახალი აგრარული საქართველო. 1(45). თბ., 2015.

6. Методические указания по химико-технологическому сортоиспытанию овощей. плодов и ягод для консервной промышленности. М. 1977.

7. Плешков В.П. Практикум по биохимии растений. Колос. М.: 1976.

8. სახელმწიფოთაშორისი სტანდარტები.

9. Цюпко Т. Г. и др. Определение суммарного содержания антиоксидантов методом FRAP / //Аналитика и контроль. т. 15, № 3. Екатеринбург. 2011.

Antioxidant Activity of the Grades of Grapefruit Widespread in the Georgia

Kaishauri Gulnazi

Candidate of Technic Sciences (The Academic doctor of Technologies).

Zhgenti Merab

Doctor of Agricultural Sciences.

Biotechnological Center of Georgian Technic al University, Tbilisi, Georgia

Abstract

Key words: antioxidant activity, grade of grapefruit, commodity indices, phenolic connections

Introduction. Medical or treatment and prophylactic purpose of fruits and berries generally depends on their chemical composition

Grapefruit is a source of the whole complex of biologically active substances, which is insufficiently studied in Georgia and is the less used local resource.

The real general available data does not give a full picture about full use of grapefruit in industrial scale.

Its medical and prophylactic influence on a human body is known.

The substances which contain fruits improve a digestive tract peristaltics (soluble pectin) and exchange processes (essential oils and organic acids), interfere with formation of stones in kidneys (citric acid), is useful for prevention and treatment of arthritis (salicylic acid), gout, cardiovascular, osteoporosis (bioflavonoids) and other diseases.

Purpose of research, Proceeding from the above, a main object of the real research was the research of grapefruit in terms of biologically active substances, in particular antioxidant activity.

The object of the research served grades of grapefruit “Duncan” and “Narindji”, which are grown in the Western Georgia.

Performing the work the following tasks were planned:

- Research the commodity indices of fruits;
- Determination of their antioxidant activity.



Research methodology:

Commodity indices of fruits are studied by standard methods of the research;

The total number of polyphenolic connections – by reagent of Folin-Ciocalteu by means of the spectrophotometer;

Antioxidant activity – with the method of FRAP by means of the spectrophotometer.

Results of the research. Researches showed that fruits had rounded shape (the index of form 0.85 for the grade “Duncan”) and oblong, piriform (the index of form 1,12 for the grade “Narindji”) and a rough surface, an orange peel and yellow juicy pulp and aroma peculiar to citrus fruits.

The pulp consisted 57,9 % (grade - Duncan) – 66,7 % (grade - Narindji) of the general mass of a fruit, a peel 10,5 % (grade - Duncan) – 7,4 % (grade - Narindji).

It is established, that fruits are allocated with the high content of dry substances (11,5 % in the grade of „Duncan” and 13 % in the grade of “Narindji”), there are more monosacharids.

The pulp of grapefruit is allocated with high acidity of 3% in terms of a lemon acid (grade - Duncan) and the high content of ascorbic acid 47,8 mg% (grade -Duncan), 50,4 mg% (grade - Narindji).

In the studied grades of “Duncan” and “Narindji” the total amount of polyphenols was respectively 180 mg/100g and 164 mg/100g.

These grades are estimated in terms of antioxidant activity. Their antioxidant activity is respectively 378 mg and 344 mg 100 g of an exemplar (mg of ascorbic acid equivalent).

Researches showed, that the studied grades of “Duncan” and “Narindji” meet requirements imposed to the grapefruit intended for canned, in particular, it had sourish - sweet (a grade of “Duncan”) and is sweetish - sour (a grade of “Narindji”) taste, without bitter taste. Grades contained not less than 9 % of soluble solids (11,5 % in the grade of “Duncan” and 13 % in the grade of “Narindji”) and 40 mg% of ascorbic acid), not more than 3 % of acid in terms of a citric acid (3 % in Duncan and 1,06 % in Narindji)

Thus, studies have established the feasibility of using grapefruit grades in the processing industry

Conclusion.1. New data of technical and chemical indices of grapefruit grades are got.

2. The studied grades are characterized by the high content of the total amount of polyphenols and high antioxidant activity, especially grade "Duncan".



ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მცენარეების ფიტოსანიტარული მონიტორინგი

კუცია მარინა

სმმკ, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისი, საქართველო

მავნე ორგანიზმები, ენტომომავნებლები და ფიტოდაავადებები წარმოადგენენ ბუნებრივი ეკოსისტემის და ხელოვნურად გაშენებული ბაღების, ადგილობრივი და ეგზოტიკური მცენარეების დაზიანების გამომწვევ მნიშვნელოვან ფაქტორებს. მცენარეთა საფარის და დეკორატიულობის მენარჩულების მიზნით აუცილებელია დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა და მცენარეთა



დაცვის ღონისძიებათა განხორციელება.

ქუთაისის ბოტანიკური ბაღი სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო-აღმზრდელობითი და კულტურულ-სახელოვნებო დაწესებულებაა. იგი დაარსდა 1969 წელს, მაგრამ იგი მემკვიდრეა იმ ბაღისა, რომელიც 120-140 წლის წინ გაშენდა ქალაქში 1847-1850 წ.წ. მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე. ამრიგად, ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ასაკი, ყველაზე მცირე, საუკუნენახევარს მაინც აღწევს და აქ არსებული მცენარეების ხნოვანება, რომლებიც პირველი ინტროდუქციის დროს იქნა შემოტანილი 150-180 წლით განისაზღვრება. ქუთაისის ბოტანიკური ბაღის საერთო ფართობი - 42 ჰა-ია. განაშენიანებული - 9 ჰა- მდე. მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნებით და ხანდაზმულობით ცოცხალ მუზეუმს წარმოადგენს. ლანდშაფტური გეგმარების თავისებურებების გამო, საბაღო-საპარკო მშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად ითვლება.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მცენარეების ფიტოსანიტარული მონიტორინგი, კერძოდ, დაზიანებული დეკორატიული მცენარეების აღწერა, დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა, დაზიანების ხარისხის შეფასება; ხორციელდება და როგორც ვიზუალური დიაგნოზირება, ასევე დაზიანებული ნიმუშების აღება, მათი მიკოლოგიური და ენტომოლოგიური ანალიზი (პათოგენური ორგანიზმებისა და ენტომოლოგიური ობიექტების იდენტიფიკაცია).

წარმოდგენილია იდენტიფიცირებული ზოგიერთი მავნე ორგანიზმების პათოლოგიურ-მორფოლოგიური დახასიათება ბიოლოგიური თვისებები და ეკოლოგიური მახასიათებლები. დადგენილია, ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დეკორატიულ მცენარეთა დაზიანებების გამომწვევი ძირითადი მავნე ორგანიზმები.

საკვანძო სიტყვები: ფიტოსანიტარული, მონიტორინგი, დეკორატიული, ენტომომავნებლები.

ქუთაისის ბოტანიკური ბაღი მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნებით და ეკოლოგიური მნიშვნელობით წარმოადგენს ბუნებრივ ოაზისს და მას განსაკუთრებული მოფრთხილება და დაცვა სჭირდება. ქუთაისის ბოტანიკური ბაღი მდებარეობს ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე ისტორიულად ცნობილ ჯაჭვის ხიდსა და ჭომის წყალსაცავს შორის. გეოგრაფიულად იგი კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს და ზღვის დონიდან სიმღლე 150 მეტრს აღწევს.

ბოტანიკური ბაღი დაარსდა მე-19 საუკუნის შუა წლებში. მისი დენდროფლორა 600-მდე სახეობას მოიცავს, ისინი 80 ბოტანიკური ოჯახის 207 გვარის წარმომადგენლებია. სახეობათა უმრავლესობა ინტროდუცირებული მცენარეებია და მათი სამშობლო აღმოსავლეთ აზია (ჰიმალაი, ინდოეთი, ჩინეთი, კორეა, იაპონია), ჩრდილოეთ ამერიკა, ხმელთაშუაზღვითი, მცირე აზია, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა და ავსტრალიაა. [1]

მცენარეების სახეობრივ მრავალფეროვნებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლხეთის დაბლობის ფლორის მცენარეები, მათ შორის მრავლადაა იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები, რომლებიც მხოლოდ საქართველოს ან კავკასიის ფლორის ენდემებს და რელიქტებს წარმოადგენენ, შეტანილი არიან საქართველოს წითელ ნუსხაში და წითელ წიგნში.

ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მცენარეები ვიზუალურ ეფექტთან ერთად ქმნიან ეკოლოგიურ, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო გარემოს, აუმჯობესებენ მიკროკლიმატს, ფოთლებზე აკავებენ მნიშვნელოვანი რაოდენობის მტვერს, შთანთქავენ ატმოსფეროში გამონაბოლქვ მავნე აირებს და აუმჯობესებენ ჰაერის შემადგენლობას. დამთვალიერებლებისთვის შექმნილია კომფორტული კეთილმოწყობილი დასასვენებელ-გამაჯანსა-



ღებელი გარემო.

დეკორატიული მცენარეების ზრდა-განვითარების დროს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება მათ დაცვას მავნე ორგანიზმებისაგან, რადგან მავნებელ-დაავადებათა სწრაფი გავრცელება განსხვავებული და სპეციფიკური ვარიაციებით მცენარეთა დეკორატიულ დაზიანების გამომწვევ მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს.

ჩვენი კვლევის მიზანია ქუთაისის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ფიტოსანიტარული მონიტორინგი, კერძოდ, დაზიანებული დეკორატიული მცენარეების აღწერა, დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა, დაზიანების ხარისხის შეფასება; ხორციელდებოდა როგორც ვიზუალური დიაგნოზირება, ასევე დაზიანებული ნიმუშების აღება, მათი მიკოლოგიური და ენტომოლოგიური ანალიზი (პათოგენური ორგანიზმებისა და ენტომოლოგიური ობიექტების იდენტიფიკაცია). მუშავდება მცენარეთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

აღნიშნული კვლევის შედეგად, რომელიც 2019 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, გამოვლენილია როგორც ნაირჭამია, ისე სპეციალიზირებული მავნე ორგანიზმები, რომლებიც დეკორატიული მცენარეების (ხე-ბუჩქოვანი და ბალახოვანი) მნიშვნელოვანი დაზიანების და ზოგიერთ შემთხვევაში მცენარეთა ხმობის მიზეზის გამომწვევია. (ცხ.№1).

ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მცენარეების დაზიანების გამომწვევი მავნე ორგანიზმები

მავნებელის სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	მცენარეები	დაზიანებული მცენარის ნაწილები
ბზის ალურა	Cydalima perspectalis Walker	კოლხური ბზა	ფოთლები, ტოტების ქერქი.
მუხის დიდი ხარაბუზა	Cerambyx cerdo acuminatus Motsch.	მუხა	ტოტები, ღერო
აზიური ფაროსანა (აზიური ბაღლინჯო)	Halyomorpha halys Stal.	ხეილოვნები, ციტრუსები, სირიული ჰიბისკუსი, ბაღის ტუხტი, სალვია	ყვავილები, კოკრები, თესლები
მუხის ბაღლინჯო	Corythucha arcuata Say.	მუხა	ფოთლები, ყლორტები
კომბოსტოს ბაღლინჯო	Eurydema ventrale Kol.	დეკორატიული კომბოსტო	ფოთლები
წითელი ბაღლინჯო	Eurydema ventralis kol.	ხეილოვნები, სირიული ჰიბისკუსი, ბაღის ტუხტი	ფოთლები, ყლორტები, ყვავილები
მიხაკისფერი ფარიანა	Chrysompalus dictyospermi Morgan.	ლიმონი, მანდარინი, სანსევიერა, მრავალფეროვანი ლირიოპი, ზღვის ბალახი	ფოთლები, ღეროები.
სუროს ფარიანა	Aspidiotus hederæ Vall.	კოლხური სურო, ჭანჭყატი, მაგნოლია, ოლეანდრი.	ფოთლები, ყუნწები, ღერო, ყლორტები
პალმის ფარიანა	Nipaecoccus nipæ Mask.	მარაოსებური პალმა	ფოთლები, ყუნწები
ნამვის ფარიანა	Nuculaspis abietis	ნამვი	წიწვები
ციტრუსოვანთა ფრთათეთრა	Dialeurodes citri Riley et How.	ლიმონი, მანდარინი	ფოთლები



ორანჟერის ფრთათეთრა	<i>Trialeurodes vaporariorum</i> Westw.	სალბი, ლანტანა, ბალ- ზამინი, პეტუნია, გე- რანი, იასამანი	ფოთლები
ფიჭვის მზომალა	<i>Bupalus piniarius</i> L.	ფიჭვი, ნაძვი	წიწვები
მეზამთრე (ზამთრის) მზომელა	<i>Operophtera brumata</i> L.	მუხა, ძეგა, თელა, რცხილა, ხეხილი	კვირტები, ფოთლები
წაგრძელებული ბალიშა ცრუფარიანა	<i>Chloropulvinaria floccifera</i> Westwood.	კუდრანია ანუ მარ- წყვის ხე, კამელია, სი- რიული ჰიბისკუსი, ჭანჭყატი, კოლხური სურო, ლიმონი	ფოთლები, ყლორტე- ბი, ღეროები, ტოტები
ციტრუსოვანთა ღინ- ღინი ბალიშა ცრუფა- რინა	<i>Chloropulvinaria aurantii</i> Skll.	ციტრუსები, დაფნა	ფოთლები, ყლორტე- ბი, ღეროები
ციტრუსოვანთა, ანუ ცრუმანოლიუმის ცრუ- ფარიანა	<i>Coccus pseudomagnoliarum</i> Kuw.	ციტრუსები, დაფნა	ფოთლები, ყლორტები
იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანა	<i>Ceroplastes japonicus</i> Green.	დაფნა, ციტრუსები, ჭანჭყატი, თუთა, წყა- ვი, მსხალი, კოლხური სურო	ფოთლები, ღეროები
კაკლის ქეჩიანი ტკიპა	<i>Aceria erinea</i> Nal.	კაკალი	ფოთლები
ამიერკავკასიის მაისის ღრაჭა	<i>Melolontha pectoralis</i> Berm.	ნარინჯისფერი მაკ- ლურა, კორპის თელა, ცრუქაფურის ხე, ცხე- ნისწაბლი, ღვია, ფიჭ- ვი	ფოთლები, წიწვები
ამიერკავკასიის მარმარა ღრაჭა	<i>Polyphyla olivieri</i> Cast.	ხეხილოვნები	ფესვები, ფესვის ყელი
მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი	<i>Tischeria complanella</i> Hb.	მუხა	ფოთლები
ვარდის ბუერი	<i>Macrosiphum rosae</i> L.	ვარდი	ყლორტები, კოკრები
ნარინჯოვანთა (ჩაის) ბუერი	<i>Toxoptera aurantii</i> Boyer de Fons.	დაფნა, იაპონური ხე- ნომელესი	ფოთლები, ყლორტე- ბი, ღეროები
ქრიზანთემის ბუერი	<i>Aulacorthum pelargonii</i> Kalt.	ქრიზანთემა	ფოთლები, ყლორტე- ბი, ღეროები
ჭანჭყატის ბუერი	<i>Aphis evonymi</i> F.	ჭანჭყატი	ფოთლები, ყლორტე- ბი, ღეროები
მუხის ფოთლის რწყილი	<i>Haltica saliceti</i> Ws.	მუხა, რცხილა, კომში	ფოთლები, კვირტები, ყლორტები
ვარდის ჭიჭინობელა	<i>Typhlocyba rosae</i> L.	ვარდი	ფოთლები, ყლორტე- ბი, კოკრები
ღუჟიანი ჭიჭინობელა	<i>Phylloxera spumarius</i> L.	გეორგინა	ფოთლები, ყლორტე- ბი.
კომბოსტოს ხვატარი	<i>Barathra brassicae</i> L.	დეკორატიული კომ- ბოსტო, გეორგინა	ფოთლები, ყლორტე- ბი, კოკრები, ყვავილე- ბი
ხვატარი გამა	<i>Autographa gamma</i> L.	დეკორატიული კომ- ბოსტო,	ფოთლებს, ნასკვებს, ყვავილებს



		ასტრა	
მახრა ჩვეულებრივი ანუ ბოსტანა	<i>Gryllotalpa gryllotalpa</i> L.	ტიტა, ბალახოვანი დეკორატიული მცენარეები	ფესვები, ფესვნაყოფები, ახალგაზრდა აღმონაცენები და ღეროები
იტალიური კალია,	<i>Calliptamus italicus</i> L., <i>Locusta migratoria</i> L.	ბალახოვანი დეკორატიული მცენარეები	ფოთლები, ყლორტები
გადამფრენი კალია	<i>Locusta migratoria</i> L.	ბალახოვანი დეკორატიული მცენარეები	ფოთლები, ყლორტები



ზვის ალურას მიერ გამოწვეული დაზიანება, ხმობა, მატლი, პეპელა.

ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მცენარეების დაზიანების ხარისხით და გავრცელების ფართო სპექტრით გამოირჩევა ინვაზიური მავნებელი - ზვის ალურა (*Cydalima perspectalis* Walker), ჩვენს მიერ აღნიშნულია კავკასიის დენდროფლორის ენდემური ჯიშის კოლხური ზვის (*Buxus colchica* P.), და ჩვეულებრივი ანუ მარადმწვანე ზვის (*B. sempervirens* L.) კორომების დაზიანება ბაღის მთელ ტერიტორიაზე, მატლი იკვებება ფოთლებით და ახალი ტოტების ქერქით. ზვის ალურას პეპელა-ზრდასრული ფორმა (მორფა) ფრთის შლით 4 სმ-ია თეთრი ფერის, კიდებში მოყავისფრო. კვერცხს დებს ფოთლებზე, ძირითადად ქვედა მხარეს. კვერცხების გროვა - "კლასტერი" მოყვითალო-ბეჟი ფერისაა და შედგება 5-დან-20-მდე კვერცხისაგან. კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი აქტიურად იკვებება ზვის ფოთლებით და გადის 6-7 ლარვულ სტადიას-ხნოვანებას. დაჭუპრებამდე მისული მატლი დაახლოებით 4 სმ სიგრძისაა. დაჭუპრების წინ მატლი ფოთლებსა და ყლორტებს შორის ქსოვს აბლაბუდის კამერას. საკარანტინო მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის გამოყენებულია ინტეგრირებული ბრძოლის მეთოდები.[3]



მუხის დიდი ხარაბუზას მიერ გამოწვეული მუხების დაზიანება, ხოჭო/იმაგო და მატლი

მუხების სახეობრივ მრავალფეროვნებას და დეკორატიულობას საფრთხეს უქმნის მრავალრიცხოვანი მავნე ორგანიზმების არსებობა. ბაღში გვხვდება მუხის 21 სახეობა, აქედან ჰართვისის მუხა, კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana* Stev., *Q. armeniaca* kot.) საქართველოს ფლორის ერთ-ერთი იშვიათი და უძველესი სახეობაა. იმერული მუხა (*Q. imeretina* Stev.) დასავლეთ საქართველოს იშვიათი, რელიქტური მცენარეა, ქართული მუხა (*Q. iberica* Stev.) კავკასიის ენდემია. ბაღში კოლხური მუხის ხანდაზმულობით გამორჩეულ (150-200 წ.) ხეებს აზიანებს მუხის დიდი ხარაბუზა (*Cerambyx cerdo acuminatus* Motsch.) რომელსაც ზიანი მოაქვს მატლის ფაზაში, პირველ წელს ქერქის ქვეშ ცხოვრობს და ლაფანით იკვებება. მეორე წელს ის გადადის მერქანში, სადაც ორი წლის განმავლობაში იკვებება და მერქანს შუა გულამდე აზიანებს. ზრდასრული მატლის მიერ გამოღრღნილი ხვრელი 2,3 სმ-ის სიგანისაა, რითაც ხე ძალზედ ზიანდება. მატლის ხვრელები პირველად ღია ფერისაა (მერქნის) ფერისაა, შემდეგ კი ხვრელი ისევე მატლის ექსკრემენტებით, შიგ ტენის გამო სოკო ვითარდება და ხვრელები შავდება. მუხის დიდი ხარაბუზა სამ წელიწადში ერთ თაობას იძლევა. ე.ი. სამწლიანი გენერაციით ხასიათდება.



მუხის ბაღლინჯოს მიერ გამოწვეული დაზიანება, ზედასრული ბაღლინჯო, მატლი



განსაკუთრებული მავნებლობით გავრცელების ფართო სპექტრით გამოირჩევა მუხის ბაღლინჯო (*Corythucha arcuata* Say.) ნახევრადხემეშფრთიანების რიგის წარმომადგენელია. ფოთლის ქვედა მხარეს ლოკალიზებულია ბაღლინჯოს სხვადასხვა ასკის მავნებელი, მისი განვითარების ყველა სტადიის ნახვა შესაძლებელია ერთდროულად. ზრდასრული ბაღლინჯოს სიგრძე 3-3,2, სიგანე - 2მმ. წუწნით აზიანებს ფოთლებს ქვედა მხრიდან, განსაკუთრებით ახალგაზრდა ნერგებს, ქლოროზული ფოთლები თეთრი ან ფერმკრთალი ყვითელი ლაქებით ხასიათდება, ყვითლდება და ხმება.[4]

აღნიშნულია ასევე მუხის ფოთლების დაზიანების გამომწვევი მავნებლები მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი (*Tischeria complanella* Hb.) ზიანი მოაქვს მატლს, რაც გამოიხატება ფოთლის პარენქიმის დაზიანებით და მასზე სხვადასხვა ფორმის რუხი ფერის ლაქების (ნაღმების) წარმოქმნით. რის შედეგად ხის ვარჯი ყინვისაგან დაზიანებულს ჰგავს.[2]

ცრუფარიანების მრავალი სახეობის მავნე ზემოქმედებას განიცდიან ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მცენარეები, განსაკუთრებული მავნეობით გამოირჩეოდა წაგრძელებული ბალიშა ცრუფარიანა (*Chloropulvinaria floccifera* Westwood), რომელიც აზიანებს წითელ ხემარწყვას (*Arbutus andrachne* L.), - გამოირჩევა კარგი დეკორატიულობით. როგორც იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი მცენარე, შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“.

ფოთლების ქვედა მხარეზე, ღეროებზე, ფოთლის უბეში, ახალგაზრდა ყლორტებზე მასიური კოლონიების სახით საკმაოდ დიდი ზომის, ადვილად შესამჩნევი მწერებია, დაფარული არიან თეთრი ფერის ცვილისებრი ნაფიფქით და ბამბისმაგვარი წარმონაქმნებით. ფოთლები მავნებლის ზემოქმედების შედეგად ყვითლდება და ცვივა.

ბოტანიკური ბაღის მცენარეების დეკორატიულობა საფრთხეს უქმნიან მრავალრიცხოვანო და მასიური გავრცელებით გამორჩეული ფარიანები. აღსანიშნავია მიხაკისფერი ფარიანა (*Chrysompalus dictyospermi* Morgan.) იგი ბაღის მთელ ტერიტორიაზე აღინიშნა ზღვის ბალახზე (*Ophiopogon japonicus* (L.f.) Ker Gawl.), სანსევიერაზე (*Sansevieria trifasciata* Black Dragon), მრავალფეროვან ლირიოპზე (*Liriope muscari* "Variegata") ციტრუსოვნებზე, ხეხილოვნებზე.

ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მცენარეების დაცვისა და დეკორატიული ღირებულებების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ გამოყენებული იქნეს ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდები, რომელიც მიმართულია მავნე პოპულაციების რიცხოვნობის შემცირებისაკენ, არსებული ეკოლოგიურად გარემოს უსაფრთხოების ფონზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. თვალთმე, ქუთაისის ბოტანიკური ბაღის უმნიშვნელოვანესი მცენარეები., ქუთაისი. ა.წ.ს.უ. გამომცემლობა 2007 წ.
2. ყანჩაველი გ. სუპატაშვილი შ. "სატყეო ენტომოლოგია". გამომცემლობა "განათლება"-თბილისი 1968.
3. მ. ლობჯანიძე, მ. ბერუაშვილი, გ. გაგოშიძე., "მცენარეთა დაცვა", თბილისი, 2015.
4. Методические рекомендации по выявлению и идентификации клопа дубовая кружевница *Corythucha arcuata* (Say). Перс. ФГБУ «ВНИИКР», А.Г. Блюммер, А.Э. Нестеренкова, Москва, 2015.



Phytosanitary monitoring of ornamental plants of the Kutaisi Botanical Garden

Kutsia Marina

Candidate of Agricultural Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi Botanical Garden, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: phytosanitary, monitoring, decorative, Entomopathology.

Kutaisi Botanical Garden is located in the north-east of the city, on the Rioni coast between the historic chain bridge and the Choma reservoir. It was founded in the middle of the 19th century. Dendroflora of the Kutaisi Botanical Gardens is presented nowadays, along with up to 600 local and endemic species in the world's floristic districts. There are a lot of endangered and endangered species of local flora endemic in the garden, which are only elements of Georgia or Caucasus flora and relic plants. During the care of decorative plants, the greatest role is to protect them from adverse environmental conditions and determining plant phytosanitary monitoring.

Harmful organisms, Entomopathology and Phytochemicals present Enhanced ecosystem and tree-planting habitat newly made garden, for local and exotic plants, what is an important factors that cause damage. In order to preserve plant cover and ornamentation is necessary to identify the cause of the invasion and implementation of plant protection measures.

Kutaisi Botanical Garden is a scientific-research, educational-cultural and artistic institution. It is a living museum with diversity and aging of plant species. Because of the features of landscape planning, it is considered to be one of the most important objects of garden-warehouse construction.

The decorative design of the botanical garden with its visual effect makes it very ecological, healthy environment, improve the microclimate, the leaves contain a considerable amount of dust, Absorb harmful gases emitted into the atmosphere and improve the composition of the local air.

Among the plant species diversity is particularly important, Colchis and native flora plants, among them are many rare and endangered species, which are only endemics and relics of Georgian or Caucasian flora, included in Georgia's Red List and Red Book. During the growth and development of plants the most important role is to protect them from pests, because of the rapid spread of pests with different and specific variations it is an important factor causing damage to ornamental plants.

The purpose of our study is phytosanitary monitoring of ornamental plants of Kutaisi Botanical Garden, specifically, description of damaged ornamental plants, to determine the causes of the injury, assessment of the degree of damage; Visual inspection as well as damaged specimens were carried out, also taking samples of damaged, mycological and entomological analysis (Identification of pathogenic organisms and entomological objects). During 2019 a seasonal survey was carried out in the garden area, as a result, pests distinguished by their degree of harmfulness were identified, Causing significant damage to tree-shrubs and ornamental plants, characterized by massive spread. This study identified 33 species of polyphagous and monophagous pests, which cause significant damage to ornamental plants and in some cases cause death.

Some of the identified harmful pathological-urological-morphological pathogens are presented. Biologicals and eco-friendly and characteristics. Kutaisi Botanical Garden has been established as a cause for decorative effects basic pests and is recommended the methods of fighting against them.





აზოტიანი და ორგანული სასუქების გავლენა ვაზის მცენარის მოსავლიანობაზე, ნაყოფის ხარისხობრივ და ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებზე ყვითელ-ყომრალი ნიადაგების პირობებში

ლომინაძე შოთა

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბერიძე ნოდარი

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ებრალიძე ლელა

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

ჭაღალიძე მამუკა

მაგისტრანტი

ბსუ ტექნოლოგიური ფაკულტეტი, საქართველო, ბათუმი

ნაშრომი „აზოტიანი და ორგანული სასუქების გავლენა ვაზის მცენარის მოსავლიანობაზე, ნაყოფის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და ნიადაგის აგროქიმიურ შედეგნილობაზე, ყომრალი ნიადაგების პირობებში“ პირველად იქნა შესწავლილი აჭარის არ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოში ფერმერულ მეურნეობაში, სადაც გაშენებული იყო „ცოლიკაურის“ ჯიშის ვაზი. ჩატარებული კვლევის შედეგად ყომრალი ნიადაგებზე არსებულ ვაზის პლანტაციაში გამოვლინდა როგორც მინერალური, ისე ორგანული სასუქების დადებითი ეფექტი. კერძოდ, მოსავლის მატებამ ახალგაზრდა ვაზის პლანტაციაში შეადგინა აზოტიანი სასუქების შემთხვევაში 17%, ხოლო ორგანული სასუქების გამოყენებისას 8% უსასუქოსთან შედარებით. რაც შეეხება ნაყოფის ხარისხობრივ მაჩვენებლებს ჩატარებული კვლევის შედეგად არ ვლინდება მკვეთრი სხვაობა, უმნიშვნელოდ შემცირებულია მინერალური და ორგანული სასუქების ვარიანტებზე ნაყოფის ბიოქიმიური მაჩვენებლები.

ამავე ცდაში შესწავლილ იქნა მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა ყომრალი ნიადაგების აგროქიმიურ მაჩვენებლებზე, სადაც გამოვლინდა დადებითი ეფექტი აღნიშნული სასუქებისა. კერძოდ, რამდენჯერმე გადიდებულია ჰუმუსის და საერთო აზოტის მაჩვენებელი ცდის დაყენებამდე აღებული ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებთან შედარებით, რაც სავსებით სამართლიანია.

საკვანძო სიტყვები: ვაზი. ნიადაგი. მტევანი, სასუქი.

შესავალი. საქართველო მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ქვეყანაა. ვაზი წმინდა მცენარედ მიაჩნდათ ქართველ ხალხს და დიდ პატივს სცემდნენ მას. ვაზი და ღვინო განსაკუთრებულადაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან.

ლიტერატურული წყაროებისა [3] და თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე დასტურდება, რომ ვაზის კულტურის წარმოშობის კერა კასპიის სამხრეთით და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებული რეგიონებია, საიდანაც იგი თანდათან გავრცელდა დედამიწის სხვადასხვა ადგილებში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად თრიალეთის სამარხებში ნაპოვნია ბრინჯაოს ეპოქის ვაზის სასხლავი დანები, ქვევრები, ღვინის კათხები. აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ვაზის კულტურა და მეღვინეობა ეგვიპტელებს საქართველოდან გადაუტანიათ.

უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ადამიანი თავდაპირველად ველური



ვაზის ნაყოფს გამოიყენებდა. მის დამკვიდრებასა და განვითარებასთან შესაბამისად საუკუნეთა განმავლობაში ვაზის ფორმების შერჩევისა და მათი სათანადოდ მოვლის საფუძველზე უკეთესი ნაყოფის მომცემ მცენარეებსაც შეარჩევდნენ. ჩვენი ქვეყნის დაყოფა მთად და ბარად ძველთაგანვე ვაზის გავრცელების არეალის მიხედვით განისაზღვრებოდა. მთა იქ იწყებოდა სადაც ვაზი აღარ ხარობდა. ვაზი და ღვინო საქართველოში ყოველთვის ითვლებოდა შემოსავლისა და სიმდიდრის წყაროდ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI-საუკუნიდან X-საუკუნემდე ქართულმა მევენახეობა მეღვინეობამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. ღვინის წარმოება ახალ რაიონებში ვრცელდებოდა მეზობელ და შორეულ ქვეყნებში ექსპორტის საგნად გადაიქცა. თანდათან ვლინდება ვაზის საუკეთესო აბორიგენული ჯიშები, რომლის მიხედვით მიმდინარეობდა ბუნებრივი დარაიონება ვაზის ჯიშების მიხედვით. ამასთან ერთად ხდებოდა ღვინის წარმოების ადგილობრივი წესების გამომუშავება.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება ვაზის ისეთი მდიდარი აბორიგენული ჯიშები, როგორც ჩვენს რესპუბლიკაშია. დღესდღეობით დედამიწაზე გავრცელებული ვაზის 4000-მდე ჯიშიდან საქართველოზე 500-ზე მეტი აბორიგენული ვაზის ჯიშები მოდის.

საქართველოს თითქმის ყველა კლიმატურ სარტყელში ეს ჯიშები ვითარდებოდნენ და ყალიბდებოდნენ ენდემურ ჯგუფებად როგორცაა: კახეთის, ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის სამეგრელოს, აჭარისა და აფხაზეთის ვაზის ჯიშები.

საქართველო ოდითგანვე განიცდიდა მტრის შემოსევებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის მევენახეობას, ამიტომ ვერაგულად ანადგურებდნენ ვაზის ბაღებს, რაც წელში სტეხდა ქართულ ეკონომიკას [1, 2].

მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში განსაკუთრებულ აღმავლობას იწყებს XII ს-დან როდესაც ქვეყანა უძლიერესი იყო მთელს მახლობელ აღმოსავლეთში, მაგრამ შემდგომ პერიოდებში მონღოლებთან, სპარსელებთან და ოსმალებთან განუწყვეტელმა ომებმა საგრძნობლად დაასუსტა საქართველო, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მევენახეობა - მეღვინეობის დაქვეითება. XIX ს. 70-იან წწ. საქართველოში გავრცელდა ვაზის სოკოვანი დაავადებები: ნაცარი და ჭრაქი, აგრეთვე ვაზის მავნებელი მწერი ფილოქსერა, რომლებმაც გაანადგურა და თითქმის გაანახევრა ვაზის არსებული ფართობები ჯერ დასავლეთ და შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში. ამას დაემთხვა პირველი მსოფლიო ომი, რის გამოც სოფლები განიცდიდა მუშახელის ნაკლებობას, ამასთან ერთად არ იშოვებოდა შესაწამლი პრეპარატები და ტექნიკა. ყოველივე ამის შედეგად ვაზის ფართობები 1917 წლისთვის 38 000 ჰექტარამდე დაეცა.

მევენახეობა-მეღვინეობამ საქართველოში ხელახლა განვითარება დაიწყო 1930 წ-დან. მართალია არც ისე სწრაფად, მაგრამ მაინც მიიწევდა წინ და ვითარდებოდა.

1965 წ. საქართველოში მაღალ დონეზე ჩატარდა ღვინის საერთაშორისო კონკურსი, რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა ქართული ღვინის მაღალი ხარისხი და პრესტიჟი.

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე დააგროვა დიდი გამოცდილება და ცოდნა ვაზის მოვლა მოყვანის საკითხებში, რაც საფუძველია თანამედროვე მევენახეობა-მეღ-



ვინეობის გაუმჯობესებისა [1, 2].

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში ხვედრითი წილის მიხედვით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მევენახეობის ზრდა-განვითარებას და მათ მოსავალს, ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია კვების ოპტიმალური პირობების შექმნაზე, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც აზოტთან ასევე ბუნებრივ სასუქებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს შეგვესწავლა მინერალური სასუქებისა და ორგანული სასუქების გავლენა ყვითელ-ყომრალ ნიადაგზე გაშენებულ ვაზის მცენარის მოსავლიანობასა და ნაყოფის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ასევე ნიადაგის აგროქიმიურ შედგენილობაზე.

ცდის ობიექტს წარმოადგენდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოში არსებულ ყვითელ-ყომრალი ნიადაგზე გაშენებული ვაზის-ცოლიკაურის ჯიშის პლანტაცია.

ვაზის პლანტაცია რომელზედაც ვაწარმოებდით დაკვირვებას გაშენებულია 2014 წ. ქედის მუნიციპალიტეტში სოფელ ვაიოში (სურ. 1.), ყვითელ-ყომრალ ნიადაგზე, ხოლო ცდა დაყენებულ იქნა 2017 წ. თითოეულ ვარიანტში 3-3 მცენარე ავიღეთ სააღრიცხვოდ. მცენარის კვების არე იყო 4მ². სასუქები შედიოდა მცენარეთა ქვეშ აგროწესების დაცვით. ცდის სქემა მოცემულია ცხრილში 2.

ჩვენი მიკროსაველე ცდის ნიადაგის ნიმუშები აღებული იქნა აგროქიმიური ანალიზისათვის ცდის დაყენებამდე და 2017 წლის სავეგეტაციო პერიოდის დაწყებამდე და ცდის დამთავრების შემდეგ. ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლები ცდის დაწყებამდე მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილ 1-ში მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ ყვითელ-ყომრალი ნიადაგი არის საკვები ელემენტების მოძრავი ფორმებით საშუალოდ გაჯერებული, დაბალია საერთო აზოტისა და ჰუმუსის მაჩვენებლები და ნიადაგის ხსნარის არეს რეაქცია იცვლება 5,5-5,6 ფარგლებში მარილის გამონაწურში.



სურ. 1. ვაზის პლანტაცია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოში.



მიკროსაველე ცდაში ვაზის ქვეშ აღებული ნიადაგის ნიმუშებში აგროქიმიური ანალიზები გაკეთდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული აგროქიმიის და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიაში კლასიკური მეთოდებით, რომელიც დღეისათვის მოქმედებს.

ცხრილი 1.

ცდის დაყენებამდე ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლები

ნიადაგი ტიპი და მდებარეობა	ნიმუშის აღების სიღრმე	pH _{KCl}	საერთო ჰუმუსი %	საერთო აზოტი %	შესათვისებელი საკვები ელემენტები მგ/100გ ნიადაგში	
					P ₂ O ₅	K ₂ O
ყვითელ-ყომრალი ქედა, სოფელი ვაიო	0-20	5.6	4.7	0.22	18.4	13.2
	20-40	5.5	4.3	0.20	15.3	11.0

- საერთო აზოტი კელდალის მეთოდით;
- საერთო ჰუმუსი ტიურინის მეთოდით;
- ჰიდროლიზებული აზოტი ტიურინისა და კონონოვას მეთოდით;
- შესათვისებელი ფოსფორი და კალიუმი ონიანის მეთოდით;

ვაზის მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა კი ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიის ლაბორატორიაში.

შედეგები და მისი განხილვა

ვაზი მრავალწლიანი მცენარეა, რომელიც 34-40 წლის მანძილზე რჩება მუდმივ ადგილზე. ამ პერიოდის განმავლობაში ყოველწლიურად ყურძნის მოსავალთან, ყლორტებთან და ფოთლებთან ერთად ნიადაგიდან გაიტანება საკვები ნივთიერებების დიდი რაოდენობა, ანალიზები გვიჩვენებს, რომ 1000 ლ. ღვინის მოსავლის დროს 3ა-დან ვაზი იწოვს დაახლოებით 8 კგ. აზოტს, 10კგ. ფოსფორს და 4კგ. კალიუმს იმისათვის, რომ მცენარე ნორმალურად ვითარდებოდეს და იძლეოდეს ნაყოფს, რაიმე საშუალებებით ნიადაგს უკან უნდა დაუბრუნდეს მოსავლით წართმეული საკვები ნივთიერებები. უამისოდ მცენარე დასუსტდება და მოსავალიც რაღა თქმა უნდა შემცირდება. საკვები ნივთიერებების დაბრუნების ერთ-ერთ გზას კი ნიადაგში სასუქის შეტანა წარმოადგენს. ამ მიმართულებით მრავალი კვლევა აქვთ ჩატარებული სხვადასხვა დროს [4].

ვაზის კვება ხორციელდება, როგორც ფესვთა სისტემის საშუალებით, ისე ჰაეროვანი კვების შედეგად. რადგან ფოტოსინთეზის პროდუქტიულობაზე ბევრად არის დამოკიდებული რთული ორგანული ნივთიერებების წარმოქმნა და შესაბამისად, ყურძენში შაქრების დაგროვება. ყველა ეს მნიშვნელოვანი პროცესი მიიღწევა ვაზის მცენარის სწორი აგროტექნიკური ღონისძიებების და განოყიერების სისტემის სწორად შედგენის შედეგად. ამ მიმართულებით ჩატარებულია მრავალი ექსპერიმენტული კვლევა, საქართველოს სხვადასხვა



ნიადაგურ და კლიმატურ პირობებში, კახეთისა და ქართლის მუნიციპალიტეტებში [4, 5]

გამომდინარე აქედან ჩვენი ექსპერიმენტის ჩატარების მიზანი იყო აჭარის არ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში „ცოლიკაურის“ ჯიშის ვაზზე მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენებით გამოწვეული ცვლილებები ვაზის მოსავლიანობაზე. მიღებული ცვლილებები მოცემულია ცხრილი 2.

ცხრილი 2-დან ირკვევა, რომ „ცოლოკაურის“ ჯიშის ვაზი ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში დადებითად რეაგირებს ორგანულ და მინერალურ სასუქების შეტანაზე. კერძოდ უსასუქო ვარიანტთან შედარებით მოსავლიანობა გადიდებულია 8-17 %.

ცხრილი 2

მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა ვაზის მცენარის მოსავალზე ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში (ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ ვაიოში)

ცდის სქემა	ვაზის მოსავალი ორი წლის საშუალო		
	კგ/მცენარეზე	%	მატება უსასუქოსთან შედარებით
უსასუქო	4.7	100	-
PK+ორგანული სასუქი-ნაკელი	5.1	108	0.4
PK+NH ₄ NO ₃	5.5	117	0.8

ორგანული და მინერალური სასუქების შეტანის ვარიანტებზე მატებამ უსასუქო ვარიანტთან შედარებით 400-800გ/მცენარეზე. თუ მას გადავიანგარიშებთ 1 ჰა-ზე მაშინ მატება შეადგენს 400-800კგ/ჰა-ზე.

ყველა ეს მიღებული მონაცემი არის ერთ წლიანი დაკვირვების შედეგად მიღებული და სასუქების ერთჯერადი შეტანის შედეგი. შესაძლებელია სასუქების შეტანის სხვადასხვა წესის და ნორმის გამოყენებით შეიძლება მიღებულ იქნას უფრო მეტი მოსავლის მატება, რაც ლიტერატურული წყაროებითაც მტკიცდება[6].

ვაზს სავეგეტაციო პერიოდში საკვები ელემენტების შეთვისება გაგრძელებული აქვს სხვა კულტურებთან შედარებით. ამასთან აზოტისა და ფოსფორის შეთვისება ყვავილობის პერიოდში ძლიერდება. ზრდის დასაწყისში, განსაკუთრებით კი ყვავილობის ფაზაში, ვაზი უფრო მგრძობიარეა აზოტისა და ფოსფორის სიმცირის მიმართ, ხოლო მომწიფების პერიოდში კი კალიუმის მიმართ.

ლიტერატურული წყაროებიდან [6] ირკვევა რომ, ვაზი მსხმოიარობის ორგანოების ფორმირებას იწყებს წინა წელს და ამთავრებს შემდეგ წელს, კვირტების გაშლის წინ. ამიტომ, ვეგეტაციის დასაწყისში საკვები ელემენტების არასაკმარისი უზრუნველყოფა იწვევს მათ ძლიერ უკუდენას მტევნებში, რის გამოც სუსტდება საყვავილე კვირტების ჩასახვა, ეს კი იწვევს ყურძნის მოსავლის შემცირებას და ხარისხობრივი მაჩვენებლის დაქვეითებას შემდეგ წელს.

ვაზის მიერ საკვები ელემენტების გამოტანა ძალზე მერყეობს და იცვლება ნიადაგურ-კლიმატური პირობების, ჯიშური თავისებურებების, დატვირთვის, მსხმოიარობის, მცენარის ასაკის, აგროტექნოლოგიური ღონისძიებების ჩატარების ხარისხის მიხედვით. საადრეო ჯიშების მიერ უფრო ნაკლები რაოდენობით გამოიტანება საკვები ნივთიერებები,



ვიდრე საგვიანო ჯიშების მოსავლით. Ю. П. Жуков, В. И. Кобзаренко, Б. А. Ягодин[7], В. Г. Минеев[8] მონაცემებით 10 ტ. ყურძნის მოსავლით მისი შესაბამისი ანასხლავით 1 ჰ-ზე გამოიტანება: 39,7კგ. აზოტი, 14,2 კგ. P₂O₅-; 44,1კგ. K₂O; 51,4კგ, CaO; და სხვა.

ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენი ნაშრომის შესრულება ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოში იყო პირველი ცდა და რაც შეეხება სასუქების გავლენას ყურძნის მოსავლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე არ გვხვდება ლიტერატურულ წყაროებში მსგავსი კვლევა აღნიშნულ რეგიონში. ამის გამო დავისახეთ მიზნად მოცემული ნაშრომის შესასრულებლად მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა ყურძნის ნაყოფის ტექნიკურ მაჩვენებლებზე სოფელ ვაიოს ახალგაზრდა პლანტაციაში. ჩატარებული კვლევის მონაცემები მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3-ში მოცემული მონაცემებიდან ირკვევა, რომ მინერალური და ორგანული სასუქები ყურძნის ნაყოფის ტექნიკურ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს, რაც შეეხება ფერს, გემოს, მტევნის ფორმას ერთნაირია როგორც უსასუქო ისე სასუქების ფორმების ვარიანტებზე. სხვა დანარჩენი ტექნიკური მაჩვენებლები ცოტათი განსხვავდება უსასუქო ვარიანტთან შედარებით, განსაკუთრებით გამოირჩევა ფოსფორ-კალიუმის ფონზე ორგანული სასუქის გამოყენების ვარიანტი. ყურძნის მტევნის საშუალო სიმაღლე კი უსასუქო ვარიანტთან შედარებით 2,7 სმ. გრძელია მინერალური სასუქის ამონიუმის გვარჯილის ვარიანტზე, მას მცირედით ჩამორჩება ორგანული სასუქის ვარიანტი(0,5სმ.) ცხრილი 3-ში მოცემული ცვლილებები მთლიანად არ შეიძლება გამოწვეული იყოს მცენარეთა კვების პროცესით, რადგან ვაზის მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლების ფორმირებაში აღნიშნულთან ერთად მონაწილეობს სხვა ფაქტორებიც, როგორცაა კლიმატი, მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებანი, მცენარეების ასაკი და სხვა.

ცხრილი 3

მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა ცოლიკაურის ჯიშის ყურძნის ნაყოფის ტექნიკურ მაჩვენებლებზე ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში (ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ.ვაიო)

ცდის სქემა	ყურძნის ნაყოფის ტექნიკური მახასიათებლები						ფერი	გემო	მტევნის ფორმა
	მტევნის საშუალო მასა გ.	მტევნის საშუალო სიმაღლე სმ.	მტევნის საშუალო დიამეტრი სმ.	ერთი ცალი მარცვლის მასა გ.	ერთი ცალი მარცვლის მოცულობა მლ.				
უსასუქო	110,6	10,1	9,5	2,6	2,5	ქარვის ფერი	ტკბილი	კონუსი სებრი	
PK+ორგანული სასუქი-ნაკელი	138,9	12,2	12,4	2,06	2,0	ქარვის ფერი	ტკბილი	კონუსი სებრი	
PK+NH ₄ NO ₃	140,5	12,8	10,5	1,9	1,8	ქარვის ფერი	ტკბილი	კონუსი სებრი	



საკვლევ ობიექტზე ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა ყურძნის ნაყოფის ქიმიურ მაჩვენებლებზე. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მოცემულია ცხრილი 4.

ცხრილი 4-დან ირკვევა რომ მინერალური და ორგანული სასუქები ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში გაშენებული ყურძნის ნაყოფის ქიმიურ მაჩვენებლებზე უსასუქო ვარიანტთან შედარებით მკვეთრად არ მოქმედებს, მცირე მატება 0,15% აღინიშნა ტიტრული

ცხრილი 4

მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა ყურძნის ნაყოფის ქიმიურ მაჩვენებლებზე ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში
 (ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაიო)

ცდის სქემა	ყურძნის ნაყოფის ქიმიური მაჩვენებლები		
	აქტიური მჟავიანობა pH	ტიტრული მჟავიანობა %	მშრალი ნივთიერება, %
უსასუქო	3,20	0,78	22,9
PK+ორგანული სასუქი-ნაკელი	3,11	0,93	19,9
PK+NH ₄ NO ₃	3,12	0,68	20,7

მჟავიანობის ორგანული სასუქის გამოყენების ვარიანტზე. სხვა დანარჩენი მაჩვენებლები უსასუქოსთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირებულია ყველა ვარიანტზე. ყოველივე ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, ტენის სიჭარბით და სასუქების ფორმებით, რომლებიც შეტანილ იქნა ჩვენს მიერ ვაზის პლანტაციაში, რაც ლიტერატურული მონაცემებითაც ირკვევა [9].

ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში გაშენებულ ვაზის ჯიმ „ცოლიკაურის“ ნაყოფში ნახშირწყლების შემცველობაზე მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა შესწავლილ იქნა დაკვირვების მიმდინარეობის პირობებში ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც მოცემულია ცხრილში 5.

ცხრილი 5

მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა ყურძნის ნაყოფში ნახშირწყლების შემცველობაზე ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში
 (ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაიო)

ცდის სქემა	ნახშირწყლები			
	ფრუქტოზა %	გლუკოზა %	საქაროზა %	საერთო შაქრები %
უსასუქო	10,83	11,02	0,102	21,952
PK+ორგანული სასუქი-ნაკელი	9,61	9,34	9,34	18,995
PK+NH ₄ NO ₃	10,17	9,73	0,105	20,005



ცხრილი 5-ში მოცემული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ნახშირწყლების შემცველობა ყურძენში უმნიშვნელოდ განსხვავდება, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ უსასუქო ვარიანტში მაინც მეტია საერთო შაქრის შემცველობა ვიდრე ორგანულ და მინერალური სასუქების ვარიანტებზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ასეთი ექსპერიმენტი მოცემულ ვაზის პლანტაციაში პირველად ჩატარდა, ხოლო გასულ წლებში აქტიურად შეიტანებოდა ორგანული სასუქი ნაკელი.

საქართველოში გავრცელებულ ნიადაგურ საფარში აჭარის არ ნიადაგები ითვლება შედარებით დაბალ ნაყოფიერ ნიადაგებად და მათზე მრავალწლიანი კულტურების ზრდა--განვითარებისა და მათზე მაღალი მოსავლის მიღება დამოკიდებულია მინერალური და ორგანული სასუქების სწორად გამოყენების სისტემაზე. სასუქების გამოყენების სისტემაზე დიდი ადგილი უჭირავს მათი მიწოდების წესებს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ფესვური გზით, ასევე ფესვგარეშე ფოთლოვანი გზით. ამ მიმართულებით სხვადასხვა დროს ჩატარებულია კვლევები სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო კულტურებზე [10, 11, 12].

ნიადაგის აგროქიმიურ თვისებებზე არსებით გავლენას ახდენს მინერალური და ორგანული სასუქები [13, 14]. აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს მონოკულტურის და განსაკუთრებით მრავალწლიანი მცენარეების შემთხვევაში, სადაც მცენარეები მრავალი წლის განმავლობაში ერთ და იგივე ადგილას იზრდებიან და ვითარდებიან, ყოველივე ამისათვის საკვებ ელემენტებს იღებენ ნიადაგიდან მრავალი წლის განმავლობაში. თუ არ მოხდა ყოველივე ამის შევსება პერიოდულად მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით, მაშინ ნიადაგი გაღარიბდება და გადავა დაბალი ნაყოფიერი ნიადაგების კატეგორიაში, ამასთან ერთად შეიცვლება ნიადაგის, როგორც ქიმიური ისე ფიზიკური შედგენილობა.

აღნიშნული საკითხების მნიშვნელობის შედეგებიდან გამომდინარე ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების შედეგად გამოწვეული აგროქიმიური ცვლილებები ყვითელ-ყომრალ ნიადაგებში რომელიც არის ვაზის მცენარით დაკავებული. ცდა სადაც დაკვირვება წარმოებდა წარმოადგენს აჭარის არ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოში ვაზის მცენარით დაკავებულ პლანტაციას. აღნიშნული ნაკვეთის საწყისი აგროქიმიური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 1. ცდის მიმდინარეობის ბოლოს აღებულ იქნა ნიადაგის ნიმუშები 0–20სმ. ფენაში და განსაზღვრული იქნა ძირითადი აგროქიმიური მაჩვენებლები. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები მოცემულია ცხრილში 6.

ცხრილი 6-ში მოცემული შედეგებიდან ირკვევა, რომ ვაზის პლანტაციაში შეტანილი მინერალური და ორგანული სასუქები ნიადაგის საწყის აგროქიმიურ მაჩვენებლებთან შედარებით ცდის დასრულების შემდეგ აღებული ნიადაგის ნიმუშებში, რამდენადმე გადიდებულია აგროქიმიური მაჩვენებლები, კერძოდ საერთო ჰუმუსი 0,3-0,8%-ით, შესაბამისად საერთო აზოტი 0,01 %-ით რაც შეეხება გაცვლით ფოსფორსა და კალიუმს მათი მაჩვენებლების საწყის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია P_2O_5 5-11მგ-ით 100გ. ნიადაგში, ხოლო K_2O 5-8 მგ-ით 100გ. ნიადაგში.



ცხრილი 6.

მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა ვაზის მცენარის ქვეშ არსებული ყვითელ-ყომრალ ნიადაგების აგროქიმიურ მაჩვენებლებზე
 (ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაიო)

ცდის სქემა	ნიმუშის ალების სიღრმე	pH _{kc1}	საერთო ჰუმუსი %	საერთო აზოტი %	შესათვისებელი საკვები ელემენტები მგ/100გ ნიადაგში	
					P ₂ O ₅	K ₂ O
უსასუქო	0-20	5,6	5,0	0,41	27,1	18,0
PK+ორგანული სასუქი--ნაკელი	0-20	5,3	5,1	0,42	32,3	18,4
PK+NH ₄ NO ₃	0-20	5,2	5,2	0,40	32,0	19,4

ამრიგად ჩვენს მიერ გამოყენებული მინერალური და ორგანული სასუქები ყვითელ-ყომრალ ნიადაგებში ვაზის პლანტაციაში მკვეთრად არ ცვლის ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებს, შეიმჩნევა თითქმის ყველა ძირითადი მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია.

საერთო დასკვნები

ნაშრომი „აზოტიანი და ორგანული სასუქების გავლენა ვაზის მცენარის მოსავლიანობაზე, ხარისხობრივ და ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებზე ყვითელ-ყომრალ ნიადაგების პირობებში“ შესრულებულია აჭარის არ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოში. ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. მინერალური და ორგანული სასუქები ვაზის ჯიშ „ცოლიკაურის“ მოსავლიანობაზე მოქმედებს დადებითად და ახალგაზრდა ვაზის მცენარის მოსავლიანობის მატებამ შეადგინა ორგანული სასუქების ვარიანტზე 8%, ხოლო მინერალური სასუქების ვარიანტზე 17% უსასუქოსთან შედარებით.
2. ყვითელ - ყომრალ ნიადაგების პირობებში გაშენებულ ვაზის ჯიშ „ცოლიკაურის“ ნაყოფის ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება რამდენადმე ამცირებს აღნიშნულ მაჩვენებლებს, რადგან ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა ფაქტორებითაც.
3. მინერალური და ორგანული სასუქები ყვითელ - ყომრალ ნიადაგებზე გაშენებულ ვაზის პლანტაციაში ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლები მკვეთრად არ იცვლება, შეიმჩნევა თითქმის ყველა განსაზღვრული მახასიათებლის ზრდის ტენდენცია. ყველა ეს მაჩვენებელი არ არის საბოლოო, რადგან კვლევა ისევ გაგრძელდება, რადგან აღნიშნული დრო კვლევისა არ არის საკმარისი მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.vinoge.com
2. www.agrokavkaz.ge



3. ქანთარია ვ., რამიშვილი მ. მევენახეობა, თბ.1983წ.
4. აბესაძე გ., ნაკაიძე ი. აგროქიმია, თბ. 1991წ.
5. ცანავა ვ., ლომინაძე შ., ბაჯელიძე ა. აგროქიმია, ბათუმი, ბსუ 2014წ.
6. თხელიძე ა. სასუქების გამოყენების სისტემა, თბ. 2009.
7. Жуков Ю.П., Кобзаренко В.И., Ягодин Б.А. Агрехимия М. Мир.2004 г.
8. Минеев В. Г. Агрехимия, М. 2006г.
9. დურმიშიძე ს., ხაჩიძე ო. ვაზის ბიოქიმია, თბ, 1985.
10. ზარდალიშვილი ო. ურუშაძე თ. სასუქების გამოყენება და გარემო. თბ. 1992წ.
11. ლომინაძე შ. ციტრუსოვანთა აზოტით კვების ოპტიმიზაციის საფუძვლები. ავტორეფერატი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხისა, თბ.2006წ.
12. ლომინაძე შ., ნაკაშიძე ნ., კიკნაძე ნ. მინერალური სასუქების ფესვგარეშე გამოკვების ეფექტურობა ციტრუსების ბაღების პროდუქტიულობაზე, ჟურნალი „აგრარული მეცნიერების მაცნე“ თბ. 2018წ.
13. Цанава В.П. Агрехимические основы азотного питания чайного растения.Т. Мецниереба.1985.
14. ურუშაძე თ. აგროეკოლოგია, თბ. 2001წ.

Influence of Nitrogen and Organic Fertilizers on Vine Plant Yield, Fetal Quality and Soil Agrochemical Indices in Yellow-Root Soils

Lominadze Shota

Doctor of Agricultural Sciences, Associate Professor

Beridze Nodari

academic doctor of agriculture, assistant professor

Ebralidze Lela

academic doctor of agriculture

Chaghalidze Mamuka

graduate students

BSU Technological Faculty, Georgia, Batumi

Abstract

Key words: The vine, Soil, Clusters, fertilizer.

There are learn at first the master theme, „The influence of nitrogen and organic fertilizers on the harvest of vine plant, the qualitative indicator of fruits and agrochemical composition of ground on the yellow- komrali” in the autonomous republic of Ajara, village Vaio of Keda municipality. Where was planted vine of the “Tsolikauri” breed.

Vine plantation on which we have been observed is being cultivated in 2014 In Keda municipality in village Vaio, yellow-onyous soils, and the attempt was made in 2017 In each variant, we took 3-3 plants in coincidence. Plant feeding area was 4 m². Fertilizers were included under the plant protection. The scope of the test is given in Table 2.

Our micro-field soil samples were taken for digging up to the agrochemical analysis and before the start of the vegetation period in 2017 and after the end of the test. The soil agrochemical indicators are given in Table 1 before the beginning of the test.

Table 1 shows that the yellow-brown soils are average saturated with movable forms of food items, low levels of common nitrogen and humus, and the reaction of soil solutions changes within 5.5-5,6 in salt excretion.

Agrochemical analyzes in soil samples taken under vines in micro-enterprise trial were made in the



laboratory of agrochemical and soil conservation at Shota Rustaveli State University, which is currently functioning

- Common nitrogen with cellular method;
- Common Humus by Turin method;
- Hydrolyzed nitrogen by turinis and connoisseum method;
- Adapted phosphorus and potassium onion method;

Determination of qualitative indicators of grape harvest were carried out in the laboratory of Western Georgia chromatography at Shota Rustaveli State University.

As a result of the survey, vineyards on maize soils have shown positive effect of both mineral and organic fertilizers. In particular, harvesting in the young vine plantation amounted to 17% in nitrogenous fertilizers and 8% in organic fertilizers. As far as the quality of the fetus indicates that the mineral and organic fertilizers do not have a significant impact on the technical indicators of the grape fruit, as for the color, the shape of the bunches is the same as in the form of fertilizer forms. The other technical indicators differ slightly compared to the unwanted option, especially the variant of the use of organic fertilizer on the background of phosphor-potassium. The average height of grape clusters is 2.7 cm compared to the variant. Amount of ammonium nitrogen in the mineral fertilizer is long and far less than the organic fertilizer option (0,5 cm).

We have also studied the mineral and organic fertilizers in the study object on the chemical indicators of grapes. According to the data obtained from the survey, mineral and organic fertilizers are not effective in comparison with the chemistry of the grape juices produced in the yellow-soils, with a slight increase of 0,15% on the use of titanium acidity organic fertilizer. All other indicators are slightly reduced in comparison to unevenly all options. All this may be caused by the abundance of moisture and the forms of fertilizers that have been planted in our vine plantations. As for the carbohydrate content in the grapes is slightly different, it should be noted that it is more likely to have a whole sugar content than the organic and mineral fertilizer options.

Based on the results of the importance of these issues, our goal was also to produce agrochemical changes caused by the use of mineral and organic fertilizers in yellow-soils that are planted with vineyards. The scene where the observation was carried out is the plantation of vineyard planted in the village of Weioy of Adjara Keda municipality. At this end of the vegetation period, samples of 0-20 sm were taken. (6) It is clear that the mineral and organic fertilizers in the vine plantations in the soil planted in the soil samples obtained after the completion of the sample, are slightly enriched with agrochemical indicators, namely the general humus 0,3-0, 8%, according to the International Nitrogen 0.01% in respect to the exchange of phosphorus and potassium in their initial data rates increased compared with 100 g of P_2O_5 -5-11mg. In the soil and K_2O 5-8 mg of 100 g. In the soil.

Therefore, the mineral and organic fertilizers used by us in the yellow-soils in the vine plantations does not significantly change the soil's agrochemical indicators, and the trend of growth of almost all major indicators is observed.





Nut Paring Effect on its Productivity in Samegrelo Region Pedological-Bioclimate Conditions

Lortkipanidze Rosa

Doctor of Agricultural Sciences, Professor

Santeladze Natalia

Academic Doctor of Agricultural Sciences

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Observation on nut paring-formation effect in Samegrelo region pedological-bioclimate conditions was held on Nosiri trial base based on agroecological monitoring. It covered the study of the following agro-ecosystems: soil, climate and plant productivity in our plantation of nut bushes and one trunk shrubs. Work of such kind has been performed for the first time. Our experiments in Samegrelo Region were based on bioclimate conditions. Due to their worsening, nut producers are not so much interested in an extension of industrial plantations.

Measures taken on Nosiri alluvial wetlands to decrease moisture with the help of drainage canal formation turned out to be vital for nut bush plantations. Such canals make soil dry, ameliorate its structure and help bigger area of nut bush plantation surface to evaporate.

According to the data, most of the farmers from Samegrelo (Senaki) form nut bushes. Effects of pedological-bioclimate conditions should be taken into account. In Samegrelo region, plantations of nut bushes prevail over one trunk shrubs.

One trunk shrubs make good conditions for high productivity. In Georgia, Samegrelo region is renowned for nut-producing and growth of such(one trunk shrub) plantations will significantly increase nut yield.

Key words: Nut, paring, formation, productivity

Pilot area according to the relief is situated in Samegrelo two main regions:

a) The western part of Kolkheti alluvial lowland;

b) Southern Kolkheti hillside line, which is the part of Meskheta bank chain peripheral part. It is situated on the lowland and formed by water produced soil layers.

A - soil section was made on the pilot area plantation in village Nosiri. The place has a flatland relief covered by grass. It is spread on the old alluvial layers and river Tekhura terrace.

A₀ - 0-16 cm: dark brown to yellowish, with light, mechanical and granular structure, slightly clay soil, friable, easy to decompose while cultivating, rich with grassy plant roots.

A₁ -16-25 cm: brown, heavy, with slightly granular-knotty structure, clay soil with rare grassy plant roots, with concretions, damp.

AB - 25-38 cm: light grey, with knotty structure, heavy clay soil, with rare roots, damp with occasional pebbles.

B - 38-90 cm: with a colour gradation from grey to brown, dark spots, with no structure, heavy clay soil with stones.

C - 90-120 cm: cobble-stone layer, hard to dig with a spade, performs the function of drainage, water runs into bottom layers.

Data shows, that the soil is of medium thickness with a shelf layer below. 0-16 cm and 16-25cm horizons have specific granular-knotty structure. Clay soil 25-38 cm horizon soil has no structure, is damp with scree structure. In bottom layers, space between stones is filled with dust, sand and small ground fractions, hard to dig with a spade. Soil and the shelf layer below it let the water run into the earth. Only the beginning of the area near the road is damp, which is caused by existing malfunctioning of the drainage system. Meso and micro-relief deterioration are caused by soil improper cultivation. Fixing of drainage system solved the problem of surface drying.



Table1. Soil chemical analysis according to the soil section horizons

Horizon	PH water suspension	Changeble acidity mg100gr	Total of absorbed base Ca+Mg mg 100g	Hydrolyzed Nitrogen mg 100gr	Phosphorus mg 100gr.	Kalium mg 100g	Humus %
A ₀ 0-20	7,00	1,0	32,0	14,0	11,5	15,0	4,90
A 20-30	7,35	1,0	27,0	12,6	11,0	14,1	1,34
B 30-40	7,55	0,8	31,0	17,4	10,9	11,0	0,98
Bc 40-90	7,60	0,7	44,0	19,6	8,5	---	0,83
C 90-120	7,65	0,5	45,0	14,6	7,3	---	0,71

Samples of the soil have been taken from the soil section according to the horizons. Soil chemical analysis results are represented in the table.

According to the table data, it is clear, that the soil is of neutral reaction and changes to the weak acid reaction according to the horizons. Absorbed basis according to the horizons is 32,0 mg/equivalent, it rises in bottom layers up to 44,0-45,0 mg/ equivalent. It is supplied with nutrient elements – nitrogen, phosphorus and sodium upon average. Hydrolyzed nitrogen level rises according to the horizons while phosphorus and sodium decrease. Humus, the main element which determines soil fertility, equals to 4,90% in the upper layer and decreases in the bottom layers.

Lately(in last decade), anthropogenic forms like embankments made from drainage canal ground, new riverbeds and Rioni new riverbed near Poti, Nabada are added to the natural complexes.

Climate effect – Samegrelo Region is the most favorable one for nut industry because of its agro climatic conditions, but the following climate changes as hot winds, abundant rainfalls at the beginning of vegetation period, draughts in July-August make a negative effect on nut harvest.

Hot winds are common for Samegrelo region. During the last five years, their duration has grown. They not only harm, current year harvest but also make a negative effect on the next year harvest. Draught impede the growth of saplings. They are weak, little and are damaged by frosts.

In Samegrelo, frosts stop in the middle of March, but according to the last data, they started to appear in April and in November. During such climate conditions, nut gardens of small size are damaged most of all. It happens due to the fact, that proper agro technical measures, such as paring-formation, cutting of damaged branches and outgrowths are not taken.

Wind belts – wind belts first appeared a hundred years ago. Their main function was to decrease wind speed coefficient. Some years later, agricultural harvest near such wind belts became rich and erosion decreased.

The main purpose of wind belts is to decrease wind speed and erosion. They protect the harvest from damage, change the climate, and make a great effect on air and earth temperature, increase humidity. Structure and design of wind belts.

There is no universal type of wind belt, but it is necessary to plan a wind belt according to the specific landscape and climate conditions.

Different kinds of trees: deciduary and evergreen should be used in the plantation of wind belt, as it provides functioning of wind belt during a whole year.

There are three kinds of wind belts: windproof, semi windproof and no windproof. The windproof belt is so dense, that in case of calm wind it protects the place inside. The place is dark as it is folious and forms a green wall.

Semi windproof belt is of network structure, is less dense, than the windproof. So, in case of calm wind, it changes wind speed, but wind direction stays the same. Wind speed decrease zone is



from windward on 3-4 H distance (H- wind belt height), in such case wind speed decreases up to 40%.

No windproof belt means, that it lets wind and light through the line with the help of big space. In case of such wind belt plantation, some additional lines should be planted perpendicularly to wind direction.

To avoid overshadowing of buildings while planting a wind belt, the distance between them should be approximately 8-10 meters. Construction of drainage canals

Drain length depends on incline and diameter. Drainage limit in diameter is 40mm/22 in case of 0,003 incline, 259m in case of 0,005 and 300m in case of 0,01. In case of drainage diameter increase up to 75-100metre, its length can be increased up to 400m.

The heavy ground is parched/dried according to its need, to make cropland free from marsh layer in spring before sowing in 2-2,5 and in autumn 3-4 days period of time.

Parching/drying intensity is determined by study frequency and incline, holey drainage which is made during soil agro cultivation.

For ruts maximal incline, cropland should be cultivated to the incline direction and it (incline) should not exceed 0,1. Besides, drainage open basins should be constructed in the same direction, because water from different ruts should run into the open basin. Cross ruts should be made nearly in every hole to let the water run into these canals. Open basins should also be constructed cross incline on valleys and meadows to let water on earth surface run into them.

The closed basin is constructed cross the natural incline to let the water run into it from ruts and holes in the direction of incline. Distance between closed basins and drainage soils

Vertical drainage is used in case of parching marshes, that is far from open water basins. Such drainages are of two types: vertical, pumping and surficial to let the water run into wells. Water is pumped from the vertical well when the level of groundwater should be decreased in upper drainage layers. On lands that need drying/parching, wells with pipe system should be constructed and water should be pumped with the help of drainage pumps.

Open ground	Surface apart while declivity			Agro-melioration activities
	0.002 less	0.002-0.01	0.10 more	
Clays and heavy clays (filter coefficient 0.001 cm /m), rectangular holes are stable. The same, holes are less resistant	20 18	25 22	30 25	Lowering of arable layer, excavation of holes, profiling in case of less 0.01 declivity the same, without any holes

Drainage well should have 250mm diameter metal pipes with the filter at the place of reception. Depth of drainage well in the sandy-gravelly ground is up to 6-10 meters and in clay soil 15-20meters. According to the test results, well water share on 1m pump in clay soil comprises 3-4 litres per second and 30-40 liters per second in scree ground. To dry the area, drainage waters should be under high temperature or in each line in 2-3 rows.

Drying by absorptive wells is possible in case of 1,5-2mm depth, drainage layer with no incline, which is separated from the watertight layer. In such case, underwater above watertight layer can be absorbed by the functioning of vertical wells.



Municipalities	A- ha	D-among them	B	D-among them	C	D-among them
Abasha	137	119	61.291	52071	80703	75287
Zugdidi	6279	5731	3130173	2848139	21795	20889
Martvili	370	324	273984	238807	96861	88360
Senaki	501	258	311921	182930	25541	23051
Chkhorotsku	1178	933	850794	663179	31259	27309
Tsalenjikha	1093	911	790984	643682	13053	10452

In such hydrological conditions, absorbing wells can be used as water reservoirs for horizontal drainage. Different measures taken on Nosiri alluvial wetlands to dry the area with the help of drainage canal construction were of vital importance for nut bush plantation. Drying the surface caused soil structural improvement and nut bush plantation surface vaporization increase. D- the amount of fruit-bearing old trees

One trunk nut bush plantation makes good conditions for a rich harvest.

a) Makes soil tillage with machine easier.

b) Makes crown treatment with chemicals and dealing with insects/pests easier.

Samegrelo region is very important for nut-producing in Georgia and the increase of such plantations will improve nut yields.

References

1. Roza Lortkipanidze – “Technologies of nut cultivation and productivity improvement in Samegrelo and Imereti alluvial soils”-Kutaisi, 2012
2. Hazel Nut - UNDP Georgia 2015



მეგრული პოპულაციის გენოფონდის შესწავლა, სრულყოფა და მიზანშეწონილი გამოყენება

მაისურაძე ნ.

სოფლის მეურნეობის დოქტორი

თოლორდავა კ.

მუხურის მეფუტკრეობის საცდელი ბაზის ლოჯისტიკის მენეჯერი

ლოლაძე ჯ.

სპეციალისტი

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სტატიაში განხილულია ჩხოროწყის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცდელი ბაზის სანაშენე საფუტკრეში მიმდინარე სასელექციო სამუშაოები. ქართული ფუტკრის პოპულაციების იდენტიფიცირებისა და სანაშენე მეურ-



ნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის პირველ რიგში კვლევითი სამუშაოები ტარდება მეგრულ პოპულაციაზე. მათი გავრცელების ადგილებში მოხდა ფუტკრის ჯიშური აღრევა. რის გამოც აუცილებელი გახდა ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის გენეტიკური ფონდის დაცვა, მათი სრულყოფა და გამოყენება. კვლევა მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რადგან აღდგენილ იქნება ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის სუფთა სახით გავრცელების კერები, მოხდება მათი შესწავლა და გაწმენდა ნარევი ფუტკრისაგან.

საკვანძო სიტყვები: მეგრული პოპულაცია, სასელექციო სამუშაოები, გენოფონდი, ჯიში.

ქართული ფუტკრის საერთოდ და მათ შორის მისი პოპულაციების სანაშენე ღირსებები აღიარებულია მეფუტკრეთა მსოფლიო საზოგადოების მიერ. თითქმის ყველასათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ ამ მასალას ქვეყანა თვალისჩინვით უნდა გაფრთხილებოდა, უახლეს მიღწევათა დონეზე უზრუნველყო სანაშენე მასალის წარმოება, მოვლა-შენახვის სრულყოფილი პირობების შექმნა და მისი გავრცელება როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთ. ამის მიუხედავად მთელი სანაშენე ქსელის განადგურებასთან ერთად მოსპობისათვის გაწირეს ქართული ფუტკარი და მისი პოპულაციები.

გაუქმდა სახელმწიფო სანაშენე მეურნეობები, დაირღვა ამ პოპულაციების არსებობისათვის აუცილებელი იზოლორებული ტერიტორიების დაცვა და შეიქმნა სრული ქაოსი საფუტკრეების მთაბარობის სისტემაში. შედეგად მივიღეთ ის რომ დაბალი ღირსების ფუტკარმა თითქმის სრულად წააღწა პერსპექტიული სულადობა და ეს უკანასკნელი გაქრობის პირზეა მისული. გაუარესდა სანაშენე მასალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რის შედეგადაც მოხდა უცხოური ბაზრის დაკარგვა.

დღეს რუხი ფუტკრის ადრინდელ საარსებო სივრცეებში ძირითადად მოყვითალო ფუტკარი არსებობს, ძალზე შემცირდა ცალკეული პოპულაციებისათვის დამახასიათებელი ოჯახები. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი მთავარი მიზანია ქართული ფუტკრის ცალკეულ პოპულაციებზე ჩატარებული სასელექციო სამუშაოებით მისი ტიპიური გენოფონდის შენარჩუნება.

2015 წლის იანვრიდან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტში დაიწყო მუშაობა პროექტზე - „ქართული ფუტკრის პოპულაციების (მეგრული, გურული, ქართლური) იდენტიფიცირება და სანაშენე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“.

კვლევითი სამუშაოების პარალელურად, 2015 წლის აპრილიდან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ მიმდინარეობდა მუხურის ყოფილი საჯიშე მეურნეობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც 2017 წლის ოქტომბერში დასრულდა.

კვლევის მიზანია ქართული ფუტკრის ძირითადი პოპულაციების (მეგრული, გურული, ქართლური) გენოფონდის ხალასად შენარჩუნება, სასელექციო სამუშაოების ჩატარების გზით მეცნიერული ბაზის შექმნა სანაშენე მეურნეობისათვის, ქართული ფუტკრის გენეტიკური პასპორტიზაცია, მისი პოპულარიზაცია და გავრცელება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2016 წელს ქართული ფუტკრის პოპულაციების იდენტიფიცირებისა და სანაშენე მე-



ურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის პირველ რიგში კვლევითი სამუშაოები დაიწყო ქართული ფუტკრის (*Apis mellifera caucasica-Georgia*) მეგრულ პოპულაციაზე.

მეგრული პოპულაციის გავრცელების ტრადიციულ არეალში, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში საფუტკრეების მასობრივი შემოწმებისას:

- მოძიებულ იქნა მეგრული პოპულაციისთვის დამახასიათებელი სასურველი საფუტკრეები; ორივე მუნიციპალიტეტში შემოწმებულ იქნა 6 შედარებით ხალასად შემონახული საფუტკრე, 359 ფუტკრის ოჯახი,
- მოძიებულ საფუტკრეებში მოხდა ფუტკრის ოჯახების აღწერა და შერჩევა შეფერილობისა და ქცევის მიხედვით;
- განისაზღვრა მუშა ფუტკრის, გადაბეჭდილი ბარტყისა და ბუდეში არსებული საკვების რაოდენობა;
- გამოვლინდა და გამოირიცხა დაავადებული ფუტკრის ოჯახები;
- პარალელურად მოხდა მუშა ფუტკრის ნიმუშების აღება ლაბორატორიული კვლევისთვის

მეგრული პოპულაციის გავრცელების არეალში ფუტკრის ოჯახების მასობრივი აღწერის, ბიოლოგიურ-სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლის და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე მუხურის საცდელ ბაზაზე შეიქმნა სასელექციო ჯგუფი (ფუტკრის 15 ოჯახი).

2018 წელს შესრულებული სამუშაოები, რომელიც შესაბამისობაშია კვლევის მიზნებთან;

- დადგენილ იქნა ფუტკრის ოჯახების გამოზამთრების შედეგები,
- სანაშენე ბირთვიდან და რეპროდუქტორი საფუტკრიდან დაკომპლექტებულ იქნა საუკეთესო სადედე, აღმზრდელი და სამამლე ოჯახები,
- იზოლირებულ ტერიტორიაზე (ლუგელას ხეობაში) განთავსდა სამამლე ფუტკრის ოჯახები, მოეწყო სანუკლეუსე პარკი,
- გამოყვანილ იქნა დედა ფუტკრები,
- შედგენილ იქნა ამანათნაყრები,
- შესწავლილ იქნა სამეურნეო მაჩვენებლები: ა) დედა ფუტკრების სადღეღამისო კვერცხმდებლობა, ბ) ბუდეში არსებული საკვების რაოდენობა, გ) ფუტკრის ოჯახების სიძლიერე,
- აღრიცხულ იქნა ფუტკრის ოჯახებიდან მიღებული პროდუქცია (თაფლი, ცვილი-აშენებული ფიჭის სახით, ამანათნაყარი) თაფლურთეულებში გადაყვანით .
- შეფასებულ იქნა სელექციონირებული დედა ფუტკრები შთამომავლობის ხარისხზე.
- ჩატარდა ექსტერიერული მაჩვენებლების მორფოლოგიური კვლევა (ხორთუმის სიგრძე, ფრთის სიგრძე-სიგანე, III თერგიტის სიგრძე-სიგანე, კუბიტალური ინდექსი).
- ჩატარებულ იქნა ფუტკრის ოჯახების საშემოდგომო აღწერა.

კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები :

2018 წლის საგაზაფხულო და 2017 წლის საშემოდგომო აღწერის საფუძველზე დადგინდა ფუტკრის ოჯახების გამოზამთრების შედეგები. კერძოდ, სანაშენე ოჯახებში ფუტკრის კლებამ საშუალოდ 0,54 კგ შეადგინა, I რეპროდუქტორში - 0.54; II- ში 0.56 კგ, ხო-



ლო საკვების დანახარჯმა სანაშენე საფუტკრის ერთ ოჯახზე შეადგინა - 3,9 კგ, I რეპროდუქტორში - 3,9; II- ში 4,1 კგ.

ადრე გაზაფხულზე სანაშენე ფუტკრის ოჯახის სიძლიერემ საშუალოდ 6 ჩარჩო--ფუტკარი შეადგინა, გადაბეჭდილი ბარტყის რაოდენობამ - 5,5 ხოლო საკვების რაოდენობამ, საშუალოდ - 11,3 კგ, რეპროდუქტორებში ფუტკრის ოჯახის სიძლიერემ საშუალოდ შეადგინა 5.5-6 ჩარჩო-ფუტკარი, გადაბეჭდილი ბარტყის რაოდენობამ 4-5,5, საკვების რაოდენობამ, საშუალოდ 9.3-11.1 კგ. დასახული სამუშაოების სრულყოფილად შესრულები-სათვის აუცილებელია სამამლე ფუტკრის ოჯახებისა და სანუკლეუსე პარკის განთავსება იზოლოლებულ ტერიტორიაზე, კონკრეტულად - ხობისწყლის ხეობაში, ლეუკუნეს უბანში (0,5 ჰა), სადაც საჭიროა გზის, მიწის ნაკვეთის გაწმენდა და კეთილმოწყობა.

შესწავლილ იქნა ცოცხალი მასის დაგროვება ზრდასრული ფუტკრის სახით, გადაბეჭდილი ბარტყის ფართობი, საკვების დაგროვების დინამიკა. ეს მონაცემები განისაზღვრა გაზაფხულზე მთავარი ღალის დადგომამდე სამჯერადი განმეორებით 12-12 დღის შუალედებით. მიღებული მონაცემების მიხედვით სანაშენე ფუტკრის ოჯახებში ცოცხალი მასის დაგროვებამ საშუალოდ შეადგინა 3,00 კგ, მაქსიმალურმა კვერცხმდებლობამ - 1593 ერთეული დღელამეში, საკვების რაოდენობამ - 16,7 კგ. რეპროდუქტორებში ცოცხალი მასის დაგროვებამ საშუალოდ შეადგინა 3,1-3,25 კგ, მაქსიმალურმა კვერცხმდებლობამ - 1591-1597 ერთეული დღელამეში, საკვების რაოდენობამ - 18,25 კგ.

გამოყვანილ იქნა 310 დედა ფუტკარი, რომელიც განაწილდა წინასწარ შერჩეულ საფუტკრეებსა და სანაშენე ბირთვიდან შექმნილ ამანათნაყრებში.

- აქტიურ სეზონზე განისაზღვრა თაფლისა და სხვა პროდუქტების დაგროვების დინამიკა.
- სანაშენე ფუტკრის ოჯახებიდან გამოწურულ იქნა 207 კგ თაფლი,
- შედგენილ იქნა 15 ამანათნაყარი,
- ძველი ფიჭების გადადნობის შედეგად მიღებულ იქნა 4.5 კგ ცვილი.
- დამატებითი პროდუქტები გადაყვანილ იქნა პირობით თაფლერთეულებში.

სათაფლე პროდუქტიულობა თითოეულ სანაშენე ოჯახზე მერყეობდა 16.8-23.5 კგ ფარგლებში, ხოლო რეპროდუქტორში 17.6-24. კგ ფარგლებში.

ჯიშურობის განმსაზღვრელი 6 ძირითადი ექსტერიერული მაჩვენებელი (ხორთუმის სიგრძე, ფრთის სიგრძე და სიგანე, კუბიტალური ინდექსი, III თერგიტის სიგრძე და სიგანე), მეგრული პოპულაციისათვის მიღებული ნორმის ფარგლებშია: - ხორთუმის სიგრძე - 7,01-7,15 მმ, ფრთის სიგრძე - 9,2-9,4 მმ, ფრთის სიგანე - 3,19-3,29 მმ, კუბიტალური ინდექსი - 50,50-53,21%, III თერგიტის სიგრძე - 4,43-4,60 მმ, III თერგიტის სიგანე - 2,07-2,19 მმ.

საშემოდგომო აღწერისას სანაშენე ფუტკრის ოჯახების სიძლიერემ საშუალოდ შეადგინა 6.17 - ჩარჩო-ფუტკარი (ფუტკრის მასა 1.54 კგ); ბუდეში საკვების რაოდენობამ საშუალოდ 12.67 კგ, ხოლო 15 ამანათნაყარის სიძლიერემ საშუალოდ შეადგინა 4.83 ჩარჩო--ფუტკარი (ფუტკრის მასა 1.21 კგ); ბუდეში საკვების რაოდენობამ კი საშუალოდ 10 კგ. I რეპროდუქტორი ოჯახების სიძლიერემ საშუალოდ შეადგინა 6.27 ჩარჩო-ფუტკარი (ფუტკრის მასა 1.57 კგ); ბუდეში საკვების რაოდენობამ საშუალოდ - 12.14 კგ, ხოლო II რეპროდუქტორის სიძლიერემ - 6.10 ჩარჩო-ფუტკარი (ფუტკრის მასა 1.53 კგ); ბუდეში საკვების



რაოდენობამ კი 12.55 კგ.

სელექცია ხანგრძლივი პროცესია და მანამ გაგრძელდება, ვიდრე სასურველ შედეგს არ მივიღებთ. სელექციური ეფექტის ყველაზე სწრაფი საშუალებაა მადალპროდუქტიულ ფუტკრის ოჯახებში ინდივიდუალური სელექციის წარმოება დედა ფუტკრების ინსტრუმენტული განაყოფიერებით, რაც დაგეგმილია შემდგომ ეტაპზე.

ზემოთჩამოთვლილი სამუშაოები საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ უნიკალური თვისებების მქონე ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის გენოფონდი და ხელი შევუწყოთ მის გავრცელებას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. მაძღარაშვილი - მეფუტკრეობა, თბილისი, 2013 წ.
2. R. Page a.H. Genetics and Breeding. The Hive and the Honey Bee, 2010, p 235
3. Ф. Рутнер, Техника разведения и селекционный отбор пчел, М, 2006.
4. В. В. Малков - Племенная работа на пасеке Москве Россвльхозиздат 1985 г.

Study, perfection and purposeful use of Megrelian population gene pool

Maisuradze N.

Doctor of Agricultural Sciences

Tolordava K.

Logistics Manager at Mukhuri Beekeeping Trial Base

Loladze J.

Specialist

The Ministry of the Environmental Protection and Agriculture of Georgia, LEPL Scientific-Research Center of Agriculture

Abstract

Key words: Megrelian populations, breeding grounds, gene pool, variety.

The breeding dignity of the Georgian bee as a whole and its populations is recognized by the World Beekeepers' Society. It should have been clear to almost everyone that the country at the latest achievement level could ensure the production of breeding material creating perfect conditions for maintenance and distribution both domestically and abroad. Nevertheless, along with the destruction of the entire breeding network, the Georgian bees and their populations were doomed to destruction.

Today, there are predominantly yellowish bees in earlier living spaces of the Gray Bee, the families of individual populations have declined sharply. Based on the above, our main goal is to preserve its typical gene pool by breeding work on individual populations of Georgian bees.

Since January 2015, the work has begun on the project in the Department of Livestock Breeding and Forage production of the Scientific-Research Center of Agriculture - "Identification of Georgian Bee Populations (Megrelian, Guruli, Kartluri) and Support for Breeding Development".

The aim of the research is to preserve the main population of Georgian bee populations (Megrelian, Guruli, Kartluri), to create a scientific basis for breeding through selective activities, the genetic passportization of the Georgian bee, its popularization and distribution



both inside and outside the country.

In 2016, primarily to support the identification of Georgian bee populations and the development of breeding farms, research work on the Georgian bee population (*Apis mellifera caucasica-Georgia*) was initiated.

In the traditional area of Megrelian population spreading, during mass inspection of bees in Chkhorotsku and Tsalenjikha municipalities:

The desired apiaries, typical for Megrelian populations, were found. In both municipalities, 6 relatively well-preserved apiaries and 359 bee families were tested.

In the area of Megrelian population, based on the mass description of bee families and on the study of biological indicators and laboratory studies, a selection group (15 bee families) was set up at the Mukhuri trial base.

The works done in 2018 is in line with research objectives;

The received results during the research:

Based on the description of Spring 2018 and Fall 2017, the results of wintering of bee families were determined. Specifically, bee declines in breeding families averaged 0.54 kg, in I reproducer - 0.54; 0.56 kg in II and feed consumption per breeder - 3.9 kg, in I reproducer - 3.9; 4.1 kg in II.

In early spring, the strength of average breeding bee family was amounted to 6 frame-bees, quantity of sealed nestling - 5.5 and the average amount of feed is 11.3 kg, the strength of the bee family in reproducers is on average 5.5-6 frame-bees, the amount of sealed nestling 4-5,5 and the average amount of feed is on average 9.3-11.1 kg. In order to complete the set up, it is necessary to place three bee families and a nucleus bag in isolated areas, specifically – in Khobistskali Gorge, Leukune District (0,5 ha), where road and land cleaning and landscaping are needed.

We studied the accumulation of live mass in the form of a fully grown bee, the area of the sealed nestling, the dynamics of feed accumulation. These data were repeated three to twelve days before the main malfunction in the spring. According to the data obtained, the accumulation of average live weight in breeding bee families was 3.00 kg, the maximum egg laying - 1593 units per day, the amount of feed - 16.7 kg. In the reproductive system, the average live weight accumulated was 3.1 - 3.25 kg, maximum eggs - 1591-1597 units per day, the amount of feed - 18.25 kg.

310 mother bees were bred, which were distributed in pre-selected apiaries and in bee broods created from the breeding nucleus.

The honey productivity for each breeding family varied from 16.8 to 23.5 kg, while in reproducer is within a 17.6-24 kg.

The 6 main exterior characteristics defining the variety (length of the trunk, wing length and width, cubital index, length and width of the third tergite) are within the norm for the Megrelian population. The length of the trunk - 7,01-7,15 mm, length of the wing - 9,2 -9.4 mm, wing width - 3,19-3,29 mm, cubital index - 50.50-53.21%, length of III tergite - 4,43-4,60 mm, width of III tergite - 2.07 -2.19 mm.

At the autumn description, the strength of breeding bee families was averaged to 6.17 - frame bees (bee mass 1.54 kg); The average number of feed in the nest is 12.67 kg and the average strength of 15 bee brood is 4.83 frame-bees (1.21 kg bee mass); The average amount of feed in the nest is 10 kg. The strength of I reproductive families averaged to 6.27 frame-bees (1.57 kg bee mass); The average number of feed in the nest is 12.14 kg and the strength of the second reproducer is 6.10 bee feeders (bee mass 1.53 kg); The amount of feed in the nest is 12.55 kg.

The selection is a long process and will be continued until we get the desired result. The



fastest possible breeding effect is to produce individual breeding bees in high-yielding bee families with instrumental fertilization of the mother bees, which is planned for the next stage.

The above activities will allow us to preserve the gene pool of Megrelian population of the Georgian bee with unique features and to promote its distribution both in Georgia and abroad.



ქართული მონადირე ძაღლი „მეკვერნე“

ნაცვალაძე კობა

სოფლის მეურნეობის დოქტორი

ბელელური გივი

სოფლის მეურნეობის დოქტორი

ბარკალაია რუსუდანი

სოფლის მეურნეობის დოქტორი

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სტატიაში განხილულია ქართული მონადირე ძაღლის - ქართული მყეფარა „მეკვერნეს“ ისტორიული წარმომავლობა, გავრცელების არეალი, ანატომიური მაჩვენებლები, ამჟამად არსებული ვითარება და მის წინაშე არსებული პრობლემები, მისი გადაჭრის გზები. აუცილებელია ამ ძაღლის მომრავლება, ხოლო მომრავლების შემდეგ პირველი ამოცანა იქნება ჯიშის სტანდარტის დადგენა და ზოოტექნიკური მონაცემების გამოქვეყნება, გამოფენების მოწყობა და მისი პოპულარიზაცია. ყველაფერი ამის შემდეგ კი ჯიშის დარეგისტრირება, რათა არავითარ შემთხვევაში არ დაიკარგოს ეს უძველესი ქართული მონადირე ძაღლის ჯიში.

საკვანძო სიტყვები: მონადირე ძაღლი, მოშენება, ზოოტექნიკა, ჯიში.

კაცობრიობის გარიჟრაჟზე, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა არც მიწათმოქმედება და არც მეცხოველეობა, ჩვენი შორეული წინაპრების საკვების მოპოვების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა ველური მცენარეების სხვადასხვა ნაწილების მოპოვება, თევზაობა და ნადირობა. ამის გარეშე მათი არსებობა, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო.

გადიოდა ათასწლეულები, სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდებოდა საკვების მოპოვების საშუალებები და მეთოდები, რომლებიც გადაეცემოდა თაობებიდან თაობებს და თანდათან მტკიცდებოდა ადამიანის შეგნებაში. ჩვენ თანამედროვეობაშიც კი, როდესაც ჩვენი არსებობა საერთოდ აღარ არის დამოკიდებული ველური ბუნების საკვები რესურსების გამოყენების შესაძლებლობებზე, გარკვეული მოთხოვნა თევზაობაზე, ნადირობასა და ბუნების მიერ ნაბოძები საკვები საშუალების მოპოვებაზე მაინც ძლიერად შეინიშნება ადამიანში. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნილებას, არ ყალიბდება აღზრდით და არ ძლიერდება გარეშემომყოფთა ურთიერთობებით. ეს



მოთხოვნა ჩნდება და ცოცხლობს ადამიანში, როგორც ამოუცნობი მემკვიდრეობითი კანონზომიერების გზით მიღებული საჩუქარი. იგი უფრო წარმოადგენს ე. წ. „სულის ამოძახილს.“ მრეწავ-მონადირეებში, რომელთათვისაც ნადირობა წარმოადგენს საარსებო შემოსავლის ძირითად წყაროს. სწორედ ამ თანდაყოლილ ელემენტს გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა. საქართველოში მოთხოვნილება ნადირობასა და თევზაობაზე, საერთოდ ბუნების მიერ ნაბომებ საკვები საშუალებების მოპოვებაზე, ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, ძალზე დიდია, ხოლო ძაღლით ნადირობა კი სულ სხვა ელფერს და სილამაზეს სძენს ნადირობის პროცესს. ამის მიზეზი, ქართველი კაცის შინაგანი მოთხოვნილების გარდა უნდა ვეძიოთ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასა და გამომდინარე აქედან, ბიომრავალფეროვნებაში.

საქართველოს ბიომრავალფეროვნება თავისი არსით წარმოადგენს უნიკალურ ეკოსისტემას. ცხოველები, ისევე როგორც მცენარეები, წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ქანები, ბუნების შემადგენელი ნაწილია. ბუნების ყველა ეს ნაწილი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მთლიანობაში შეადგენს არამარტო მატერიალურ დოვლათს, არამედ წარმოადგენს ჯანმრთელობის ძირითად წყაროს.

სწორედ ასეთ ბუნების შემადგენელ ნაწილს და ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს უძველესი ქართული მონადირე ძაღლი - ქართული მყევარა „მეკვერნე.“ „იგი მყევართა საერთო ჯიშს უნდა მივაკუთვნოთ, თუმცა გარეგნულად მათ საკმაოდ დიდი განსხვავებაა. ქართული ძაღლების სამშობლოდ დასავლეთ საქართველო უნდა იქნას აღიარებული, განსაკუთრებით გურია-აჭარა.“ წერს პაჭუ ჟორდანიას 1954 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში „სანადირო ძაღლი.“

ქართული მყევარა ძაღლი ერთადერთი ადგილობრივი სანადირო ძაღლია, რომლის წარმოშობაც უხსოვარი დროიდან იღებს სათავეებს. ამას ამტკიცებს საქართველოში სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნამარხებიდან მოპოვებული ის არტეფაქტები, რომლებზეც აღმოჩენილია ძაღლის თავის გამოსახულებები. ეს გამოსახულებები იდენტურად იმეორებენ ჩვენი ქართული მყევარა „მეკვერნე“ ძაღლის თავის ფორმებს და ანატომიურ აგებულებას. თუ მოვიშველიებთ ისტორიულ წყაროებს ვნახავთ, რომ ამ ძაღლის წარმოშობის ადგილად დასავლეთ საქართველოა მიჩნეული, კერძოდ კი გურია-აჭარა. ამჟამადაც სწორედ ამ რეგიონშია შემორჩენილი. კერძოდ, ქ. ბათუმის გარეუბანში ბესიკ ფაღვას შექმნილი აქვს ქართული მყევარას მოყვარულთა საზოგადოება „მეკვერნე“ და ფაქტიურად ამ ძაღლის ერთადერთი საშენი, სადაც თავმოყრილია ქართული მყევარას 130 სულამდე ეგზემპლარი. რამოდენიმე ეგზემპლარის მოძიება შესაძლებელია გურიაშიც. კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთში (ფერმერი ი. თოიძე).

ქართული მყევარა ძაღლის სხეულის ფორმა და აღნაგობა ყველა მყევარა („ლაიკის“) ჯიშის ძაღლების აღნაგობის მსგავსია. თუმცა მათგან განსხვავებით, იგი ტანად პატარა ძაღლია. მისი სიმაღლე მინდაოში 40-45 სმ-ია, საშუალოზე პატარა ზომის წაწვეტებული თავი, სწორმდგომი, აცქვეტილი ყურები, რომლებიც ლეკვებს 6 თვის ასაკიდან (იშვიათ შემთხვევაში 10-11 თვის ასაკიდან) ეცქვიტებათ. მოკლე, მკვრივი სხეული დაფარულია მოყავისფრო-მოწითალო, წაბლისფერი ოდნავ უხეში ბეწვით. განვითარებული აქვს თივთიკიც. მკერდი, მუცელი და ფეხები - თეთრი ფერის წაბლისფერი ლაქებით. კუდი ძირი-



თადად, ყველა მყევარა ჯიშის მსგავსად, მკვეთრად ჩახრილი, რგოლისებური, რომელიც ბოლოვდება თეთრი ბეწვით. კისერი მოკლე და მკვრივი. ჯიშისთვის დამახასიათებელია კისერზე თეთრი საყელოს მაგვარი ზოლი. წინა კიდურები სწორი და პირდაპირია, ხოლო უკანა კიდურები სახსრებში მკვეთრად მოხრილია, რაც მას ხელს უწყობს

სწრაფ სირბილში. თვალელები ღია შეფერილობის, ცბიერი და ავი გამომეტყველების. ზოგ შემთხვევაში თვალელებს წითელი ფერიც დაჰკრავს, რაც ხაზს უსვავს მის განსაკუთრებულ

სიავეს. უცხო პირების და ცხოველების მიმართ განსაკუთრებული აგრესიულობით, სიავით, შეუპოვრობით და დაუნდობლობით გამოირჩევა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ

ქართული მეკვერნე ძალი თუ დაბმული არ არის შეუძლია თავისით წავიდეს სანადიროდ და ხშირ შემთხვევაში მსხვილ ნადირს აკლავს თავს. ეს ძალი უნიკალური და ფაქტიურად შეუცვლელია ოჯახის პირობებშიც, როგორც დამცველი და საუკეთესო მოდარაჯე. გამოირჩევა განსაკუთრებული სიფხიზლით და პატრონისადმი ერთგულებით.

ამ ძალს, სამწუხაროდ, არასოდეს (და მათ შორის დღესაც) არ ექცეოდა სათანადო ყურადღება ჩვენ ქვეყანაში. ძველად მეკვერნე ძალები აჭარიდან ოსმალეთში გადაჰყავდათ, სადაც უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ, რის გამოც იქ მან შეინარჩუნა თავისი ტიპი - სტანდარტი (სამწუხაროდ ჯიშის სტანდარტი დღესდღეობითაც არ არის დადგენილი), ჩვენში კი უყურადღებობისა და მოუვლელობის გამო სამწუხაროდ, გადაგვარების გზას დაადგა და თითქმის გადაშენებამდეა მისული. ძველი, მავნე ტრადიციის გამო ძნელი იყო ქართული მყევარა ძალების შოვნა, ვინაიდან ფასის აწევის მიზნით ძუ ძალების პატრონები ლეკვების დიდ ნაწილს ხოცავდნენ და ცოტას ზრდიდნენ.

პირველად ეს ძალი გამოფენაზე გამოიყვანეს 1935 წელს ქ. ბათუმში, სადაც გაიმარჯვა კიდევ ხელვაჩაურის რაიონის სოფ. თხილნარის მკვიდრის ხასან ქებირიდის ძაღლმა „ჩაქირამ.“ ამის შემდეგ კი 2016 წელს ე. ი. 90 წელზე მეტი ხნის შემდეგ, რაც პირველად წარსდგა ქართული მყევარა სანადირო ძაღლების რეგიონალურ გამოფენაზე კვლავ მოეწყო ქ. ბათუმში მონადირე ძაღლების გამოფენა. აქ კი გაიმარჯვა ბესიკ ფაღავას ძაღლმა „ჩარამ.“ მაშინაც და ამ გამოფენაზეც გაჟღერდა მოწოდება მისი გამრავლება-გადარჩენის შესახებ, თუმცა დღემდე ეს საკითხი უყურადღებოდ რჩება. მეტიც, სამწუხაროდ, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მომშენებელი სარგებლობს მეკვერნეს შესახებ არსებული ინფორმაციის სიმწირით და ცდილობს საზოგადოებას გაურკვეველი წარმომავლობის მეტისები მეკვერნედ წარუდგინოს. გარდა ამისა, საკითხში სრული გაურკვეველობის გამო ისინი ცდილობენ წმინდა ქართული სახელწოდების ნაცვალად უცხოური წარმომავლობის სახელწოდების დამკვიდრებას და მეკვერნეს წარმომავლობის ფაქტების გაყალბებას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნა აუცილებლობა საზოგადოება „მეკვერნეს“ დაფუძნებისა, რომელიც დაფუძნდა კიდევ 2017 წ. (დამფუძნებელი ბესიკ ფაღავა). საზოგადოებამ აიღო პასუხისმგებლობა ქართული მყევარას ირგვლივ არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად და ჩვენში შემორჩენილი სუფთა სისხლის ეგზემპლარების აღრიცხვასა და სასელექციო სამუშაოების ჩასატარებლად. საზოგადოების მიერ გაწეული სამუშაო საკ-



მაოდ დიდია და საშვილიშვილოც კი, მაგრამ მას სჭირდება მხარდაჭერა და თანადგომა.

აუცილებლობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ცხოველთა სანაშენე საქმის სამსახურმა, რომელიც ამჟამად აღსადგენია და აღარ ფუნქციონირებს, ქართული მყევარას მოყვარულთა საზოგადოება „მეკვერნე“-სთან ერთად აიღოს ინიციატივა მეკვერნე ძაღლის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ერთობლივად მიიღონ ყოველგვარი ზომები ამ უნიკალური ძაღლის ზოოტექნიკური მონაცემების დასადგენად (ფერი, ცოცხალი მასა, ნაყოფიერება, სიცოცხლის ხანგრძლივობა, სამეურნეო-სანადირო გამოყენების შესაძლებლობა, ექსტერიერული განაზომები და ინდექსები, კრანიოლოგიური და თანკბილვის თავისებურებანი, კიდურების დგომა, ქცევა, უნარ-ჩვევები და სხვ). მომრავლების შემდეგ პირველი ამოცანა იქნება ჯიშის სტანდარტის დადგენა და ზემოთ აღწერილი ზოოტექნიკური მონაცემების გამოქვეყნება, გამოფენების მოწყობა და მისი პოპულარიზაცია. ყველაფერი ამის შემდეგ კი ჯიშის დარეგისტრირება, რათა არავითარ შემთხვევაში არ დაიკარგოს ეს უძველესი ქართული მონადირე ძაღლის ჯიში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიტიჩაშვილი რ. „ცხოველთა მომშენებლობა“ / გამომცემლობა შპს „თბილისი“ / თბილისი 2010 წ.
2. ჟორდანიას პ. „მეკვერნე ძაღლი.“ ჟურნალი მონადირე #1 / თბილისი 1934 წ;
3. ჟორდანიას პ. „სანადირო ძაღლი“ / თბილისი 1954 წ.

Georgian hunting dog "mekverne"

Natsvaladze Koba

Doctor of Agricultural Sciences

Begeluri Givi

Doctor of Agricultural Sciences

Barkalaia Rusudan

Doctor of Agricultural Sciences

Ministry of Nature Protection and Agriculture of Georgia

LEPL Agricultural Research Center

Abstract

Key Words: Hunter dog, Breeding, Zootechnics, Variety

Georgian hunting dog - Georgian husky “mekverne” is an ancient breed of dog. Due to the fact that, unfortunately, less attention has been paid to this breed in recent years, it is on the verge of extinction. In the country, the breeding of this breed is occupied by an actual one farmer B. Pagava. He founded the society of lovers of Georgian huskies. It is necessary that the state pay more attention to this breed. It is necessary to establish zootechnical-livestock data for this unique breed (color, live weight, fecundity, longevity, hunting indicators, foot stand, exterior, indices, tooth position, character mettle, etc.). The further task will establish the breed standard for this dog, approve the zootechnical-livestock data for this breed, arrange exhibitions and popularize the breed. After these events, it is necessary to register the breed, so that such a unique and ancient breed of dogs does not disappear.

Georgia’s biodiversity implies a unique ecosystem. Animals as well as plants, air, water, soil,



natural resources are part of nature. All these parts of nature are closely connected with each other and as a whole include not only material value, but this one is considered to be a source of health. Exactly the same part of nature is considered and represents a national pride Georgian hunting dog - Georgian husky.

Georgian husky is the only hunting dog in Georgia whose origin has been based on since ancient times. This fact confirms those archaeological artifacts that depict the head of the dog. These images are identical to the anatomy and shape of the head of a Georgian hunting dog. If we believe on the historical facts, you can find out the homeland of this dog, it is western Georgia and in particular Guria-Adjara. And nowadays, this dog is found here. In the environs of the city of Batumi, the farmer Besik Pagava founded the Georgian husky society "Mekverne" and the only Georgian husky breeding kennel, where he breeds these dogs and currently has 130 goals. The only examples can be found in Guria in the village of Makvaneti, Ozurgeti municipality, by farmer I. Toidze.

The body shapes and general appearance of the Georgian like are the same as the like in general. Unlike other likes, this dog is shorter, the height in withers reaches 40-45 cm, a slightly small head, nose is sharp, ears are straight (which puppies straighten at the age of 6-7 months, in rare cases 11 months); The short, dense body is covered with reddish-brown hair, and is well developed with undercoat; chest belly and legs white brown spots; the tail is mostly round and lies on its back with a white tip; the neck is short and dense with a white ring; forelegs erect, eyes light, or rather light brown, vicious. In rare cases, the eyes are given a reddish tint, this is emphasized by the angry dog horoscope. In relation to animals and old-fashioned, it shows an evil and merciless character. If she is not attached, she can go hunting on her own, is not afraid of a large beast. The dog is unique and unchanging at home, like a guard dog, it is very faithful and obedient to the owner.

Unfortunately, this dog in our country has never been given worthy attention. Previously, these dogs from Adzharia were transported to the Osmalan empire, where they were kept in better conditions, where it more or less maintained its standard. It should be noted here that the breed standard has not been approved so far, that is, it does not exist today. Due to the fact that we do not receive this dog, it deserves attention, it disappears. The fact is that the owners of this dog, in the old days, did not sell them, but they destroyed the bitches. In this regard, it was very difficult to get them, and the dog gradually disappeared.

For the first time this dog was brought to the exhibition in Batumi in 1935, where a dog named "Chakira" from the village of Thilnara of the Khelvachaur district (owner Khasan Kebiridze) won. After this, in 2016, that is, 90 years later, the second exhibition took place in Batumi, where the dog named "Chara" from Batumi, the master of B. Pagava, won. In this exhibition, opinions were also expressed on the need to pay more attention to this breed, be sure to create pedigree farms and approve the standard. It should be noted that it is a pity, and to this day this issue remains unaddressed. Some owners of this dog do not fit in perfect and full-fledged information to the direction of this dog, and society propose mixed breeds of unknown origin.

Based on all of the above, it became necessary to establish the Georgian husky society "makverne," which was founded in 2017 (founder B Pagava). This society took upon itself to correct the situation created around the Georgian husky and took into account and selection of those purebred examples that still appeared in our side. That work, which took over society, is huge and aimed at the future, but requires mandatory support and assistance from the state.

It is imperative that the department of pedigree service, which needs to be created, in the place with the Georgian husky society "makverne," took the initiative to begin to pay more attention to this dog, to improve the existing situation in this area. Together it is necessary to take measures in order to find out and after that to approve the zootechnical-livestock parameters of this dog (color, live weight, fecundity, longevity, hunting indicators, foot stand, exterior, indices, tooth position, character mettle, etc.). After breeding, the initial task will be to approve the breed standard, and publish the aforementioned zootechnical-livestock parameters of this dog; organize exhibitions and popularize this breed. After all this, it is necessary to register the breed so that the important and ancient breed of the Georgian hunting dog, the Georgian husky, does not disappear or disappear.



გარე კახეთის ნახევრადუდაბნოს ზამთრის სამოვრების რაციონალური გამოყენების საკითხისათვის

სარჯველაძე იოსები

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრის კონსულტანტი, საქართველო, თბილისი.

მედოიძე სოსო

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტი, საქართველო, თბილისი.

ლოლაძე ჯიმშერი

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტი, საქართველო, თბილისი.

გარე კახეთის ზამთრის სამოვრები წარმოდგენილია ნახევრადუდაბნოს, მშრალი ველის და ნათელი ქსეროფიტული ტყის ბალახოვანი მცენარეულობით, რომელიც განლაგებულია ივრის ველზე და იორ-მტკვრის წყალგამყოფი ზეგნის ფარგლებში.

ბუნებრივი ბალახნარის ბიომრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად კრიტიკულია, რაც განპირობებულია ერთი მხრივ იმით, რომ შენარჩუნებულია მაღალი უკონტროლო ანთროპოგენური დატვირთვა ეკოსისტემაზე, მეორე მხრივ არ არსებობს ბუნებრივი რესურსების გამოყენების გეგმა. ასეთ პირობებში კიდევ უფრო ნათლად აღინიშნება ბუნებრივი ბიომრავალფეროვნების პროცესების სიმწვავე.

წყლის რესურსის კლებამ თავისთავად გამოიწვია ბალახნარი სახეობების რაოდენობრივი შემცირება. აღმოჩნდა, რომ ძირითადად გაქრა ენდემური სახეობები, ეს ის სახეობებია, რომლებმაც ადაპტირება განიცადეს კონკრეტულ გარემო პირობებთან. კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის მათ გადაშენებასაც, რადგანაც ასეთი მცენარეები ლოკალურ ადგილებზე არიან ადაპტირებული.

მოდულიზირებული ეკოსისტემების არეალი მოიცავს როგორც ზამთრის, ასევე საზაფხულო სავარგულეებს, სადაც მნიშვნელოვან ფართობზე დარღვეულია ბუნებრივი ბალახნარი და შეიცვალა სხვადასხვა მოდიფიკაციით. უმეტესი ნაწილი დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება. მთის რეგიონის სხვა ზონებს შედარებით ნაკლებად მძიმედ შეეხო ანთროპოგენური ზემოქმედების გავლენა, თუმცა ვხვდებით დაზიანების ლოკალურ მასშტაბებსაც. აღნიშნული პროცესების მიმდინარეობა (სწრაფი მასშტაბებით) კიდევ უფრო მტკივნეულად აღინიშნება ველისა და ნახევრადუდაბნოს პირობებში. ამიტომაც ამ სავარგულებზე განსაკუთრებული მიდგომებია საჭირო. საქართველოს ბუნებრივი მცენარეულობის 65%-მდე ფართობი მოიცავს ტრანსფორმირებულ ეკოსისტემებს. მათგან 30%-მდე ბუნებრივი ეკოსისტემა ტრანსფორმირებულია სრულად და რაც საგულისხმოა, ეს პროცესები გრძელდება ამჟამადაც.

ზამთრის სამოვრებზე ეროზიული პროცესების შეჩერების, დატვირთვის ნორმების ნაწილობრივი რეგულირების, ბალახნარის სახეობათა შენარჩუნების, მოსავლიანობის მატებისა და მათი გამოყენების რაციონალური ღონისძიებების განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. სამოვრების გამოყენების მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ პრაქტიკულ სამუშაოთა რამდენიმე ვარიანტის განხორციელება, რომელთაგან აღსანიშნავია: ბუნებრივი ცენოზის აღდგენა ძოვების დროებითი აკრძალვით (შესვენებით), ფარებთან დაგროვილი ნაკელის სამოვარზე გაშლა-გაფანტვა, ბალახების შეთესვა ცხვრის ფარის გადატარებით, სამოვრების დატვირთვის ნორმების დაცვა და რეგულირებული ძოვების დანერგვა, სამოვრების გასარწყავება.

საკვანძო სიტყვა: სამოვარი, ზამთრის, სამოვრის დატვირთვა, ბალახების შეთესვა.

საქართველოში ზამთრის სეზონური სამოვრები უმთავრესად მომთაბარე მეცხვარეობისათვის გამოიყენება. ფართობის თანდათანობით შემცირების, მათი სამეურნეო მდგო-



მარეობის მკვეთრი გაუარესების, პროდუქტიულობის დაცემის და სხვა უარყოფითი მაჩვენებლების ფართო გავრცელების გამო, დღის წესრიგში დგება საკითხი ცხვრის დამატებითი კვების უზრუნველყოფის შესახებ - უხეში და წვნიანი საკვებით, კონცენტრატით. საძოვრების დაბალი პროდუქტიულობის საერთო ფონზე, შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება უროიანი, ავშნიანი და უროიან-ვაციწვერიანი ცენოზის ბალახნარი.

ზამთრის საძოვრებზე ფაქტიური დატვირთვის რეალური სურათი მძიმეა და ჰექტარზე 3-4 ცხვარს აჭარბებს (დასაშვები ნორმა ერთი ცხვარი ჰა-ზე). საძოვრების გადატვირთვისა და უსისტემო გამოყენების გამო ბალახნარის სახეობრივი შემადგენლობა გამეჩხერებულია. მოსალოდნელია ეროზიული პროცესების კიდევ უფრო განვითარების საშიშროება, გაუდაბნოების პროცესების ფონზე აღნიშნული გამოიწვევს ბალახოვანი საფარის ბოტანიკური შემადგენლობის მკვეთრ გაღარიბებას.

გარე კახეთის ზამთრის საძოვრები წარმოდგენილია ნახევრადუდაბნოს, მშრალი ველის და ნათელი ქსეროფიტული ტყის ბალახოვანი მცენარეულობით, რომელიც განლაგებულია ივრის ველზე და იორ-მტკვრის წყალგამყოფი ზეგნის ფარგლებში. იორისა და ალაზნის ძველ ტერასებზე განვითარებული დაბლობების, მთისწინა ვაკეების, საშუალო სიდიდის ქედების, ბორცვების, ფლატიანი ხევებით, დამრეცი ხრამების რთული და მრავალფეროვანი შეხამებით. საძოვრების ყველაზე დადაბლებული ნაწილი არის ელდარ-სამუხის ნახევრადუდაბნო (90-200 მ. ზღ. დ.), ყველაზე მაღალი ნაწილის მაღლობთა ცალკეული მწვერვალთა სიმაღლე აღწევს 900-1000 მ. ზღ. დ.

მთისა და ბორცვების დაქანებულ და ციცაბო ფერდობებზე, ეროზიული პროცესების უფრო ინტენსიური განვითარების შედეგად ადგილი აქვს მშრალი მლაშობების, მცენარეული და ნიადაგის საფარს მოკლებული მთის ქანების ფლატეების და სხვა უვარგისი მიწების ფართობების პროგრესულ ზრდას.

აღნიშნული ბუნებრივი თავისებურებების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰიდროგრაფიულ და ჰიდროლოგიურ პირობებს. ამ სავარგულების ათვისება, თანაბარზომიერი და რაციონალური გამოყენება შეუძლებელია წყლით უზრუნველყოფის გარეშე. წყაროების რაოდენობა მცირეა და არათანაბრადაა განაწილებული საძოვრებზე, წყაროს წყლით უმეტესად უზრუნველყოფილია გარდამავალი ტიპის საძოვრები.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ზამთრის საძოვრებზე ჩატარებული ცდებით დადგენილი იქნა, რომ ცხვარი საკვებზე მოთხოვნილებას იკმაყოფილებს მხოლოდ 35-36%-ით. კრიტიკულ თვეებში (იანვარი, თებერვალი) საჭიროა ვერძ-მწარმოებლებს დამატებით მიეცეს 2 კგ თივა, 300 გრ კონცენტრატი (შვრია, ქერი, სიმინდი), 2 კგ სილოსი და სხვ. შესაბამისად ნერბებს 1,5 კგ თივა, 250 გრ კონცენტრატი 2 კგ სილოსი. მმოზარდს 0,8კგ თივა, 150 გრ კონცენტრატი 1 კგ სილოსი.

ზამთრის საძოვრების უმეტესი ნაწილის ამჟამად არსებული სამეურნეო მდგომარეობა და მეცხვარეობის დარგის განვითარების პერსპექტივები დღის წესრიგში დააყენებს ზამთარში ცხვრის სულადობის მნიშვნელოვანი ნაწილის ბაგურ და ბაგურ-საძოვრულ შენახვაზე გადასვლას. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ამ შემთხვევაში ცხვრის ნორმალური გამოკვებისათვის საჭირო საკვების დამზადება უნდა მოხდეს გასარწყავებულ და განმარილებული ფართობების გარკვეულ ნაწილზე, ხოლო საძოვრად ან მოციონისათვის გამოვიყენ-



ნოთ სახნავად გამოუსადეგარი და სხვადასხვა მიზეზის გამო აუთვისებელი ფართობები, დამრეცი ფერდობები და სხვა.

საუკუნეების მანძილზე ბუნებრივ მცენარეულობაზე სამეურნეო ზემოქმედების ფაქტორები არსებითი აღმოჩნდა. ნიშანდობლივია, რომ თითოეული ისტორიული ეპოქა ხასიათდებოდა ბუნებრივ ეკოსისტემებზე ზემოქმედების თავისებურით, რაც აისახებოდა სხვადასხვა ხარისხის დატვირთვის ფორმით. ისტორიის მანძილზე ბუნებრივი რესურსების გამოყენების ფორმები პრაქტიკულად უცვლელი დარჩა. უმთავრესად მოხდა დატვირთვის თანდათანობითი ზრდა და ახალი ფართობების ათვისების მასშტაბების მატება. ანთროპოგენური ფაქტორების მკვეთრი ზეგავლენის მატების შედეგად, რომელმაც გამოიწვია ბუნებრივი მცენარეულობის დესტაბილიზაცია, დაიწყო წინა საუკუნეში. აღნიშნულის შედეგად გაიზარდა ბიოლოგიურ რესურსებზე ტრადიციული ზემოქმედება (ტყეების გაჩეხვა, ცხოველთა მოვების მატება, არასწორი მიწათსარგებლობა), ასევე დაემატა ახალი ფორმებიც სამელიორაციო სამუშაოებისა და ტრადიციული სამოვრული მეურნეობის განვითარების შეზღუდვა. ეს სამუშაოები არ შეესაბამებოდა ბუნებრივი საკვები სავარგულების პოტენციურ შესაძლებლობებს (ფერდობის ტენიანობას, ბალახნარის შემადგენლობას, გამოყენების სეზონურობას და სხვა).

მოდულიზირებული ეკოსისტემების არეალი მოიცავს როგორც ზამთრის, ასევე საზაფხულო სავარგულებს, სადაც მნიშვნელოვან ფართობზე დარღვეულია ბუნებრივი ბალახნარი და შეიცვალა სხვადასხვა მოდიფიკაციით. უმეტესი ნაწილი დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება. მთის რეგიონის სხვა ზონებს შედარებით ნაკლებად მძიმედ შეეხო ანთროპოგენური ზემოქმედების გავლენა, თუმცა ვხვდებით დაზიანების ლოკალურ მასშტაბებსაც. აღნიშნული პროცესების მიმდინარეობა (სწრაფი მასშტაბებით) კიდევ უფრო მტკივნეულად აღინიშნება ველისა და ნახევრადუდაბნოს პირობებში. ამიტომაც ამ სავარგულებზე განსაკუთრებული მიდგომებია საჭირო. საქართველოს ბუნებრივი მცენარეულობის 65%-მდე ფართობი მოიცავს ტრანსფორმირებულ ეკოსისტემებს. მათგან 30%-მდე ბუნებრივი ეკოსისტემა ტრანსფორმირებულია სრულად და რაც საგულისხმოა ეს პროცესები გრძელდება ამჟამადაც.

ბუნებრივი ბალახნარის ბიომრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოდ როგორც მნიშვნელოვანწილად კრიტიკული, რაც განპირობებულია ერთის მხრივ იმით, რომ შენარჩუნებულია მაღალი უკონტროლო ანთროპოგენური დატვირთვა ეკოსისტემაზე, მეორე მხრივ არ არსებობს ბუნებრივი რესურსების გამოყენების გეგმა. ასეთ პირობებში კიდევ უფრო ნათლად აღინიშნება ბუნებრივი ბიომრავალფეროვნების პროცესების სიმწვავე.

ბიოლოგიური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება უფრო ადვილად მიღწევადია მთის რეგიონებში, ვიდრე ბარში. სადაც ჰორიზონტალური ეკოსისტემათაშორის კავშირები ეკოსისტემის იზოლირებულ ფრაგმენტებს შორის შედარებით სუსტია, ხოლო ცვლილებების სიღრმე მეტი.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზომიერ ზონაში მოიმატა, ხოლო უფრო მშრალი რეგიონის პირობებში კი დაიკლო სახეობების რაოდენობამ. ცნობილი ფაქტია, რომ ტემპერატურის მატებამ გამოიწვია ნალექების შემცირება, წყლის რესურსის კლება. რამაც თავისთავად



გამოიწვია სახეობების რაოდენობრივი შემცირება. აღმოჩნდა, რომ ძირითადად გაქრა ენდემური სახეობები, ეს ის სახეობებია, რომელიც არის ადაპტირებული კონკრეტულ გარემო პირობებთან. გამომდინარე აღნიშნულიდან კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის მათ გადაშენებასაც, რადგანაც ასეთი მცენარეები ლოკალურ ადგილებზე არიან ადაპტირებული. ეროზიული პროცესების შეჩერების, დატვირთვის ნორმების ნაწილობრივი რეგულირების, ბალახნარის სახეობათა შენარჩუნების, მათი მოსავლიანობის მატებისა და ზამთრის საძოვრების გამოყენების რაციონალური ღონისძიებების განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ეს ღონისძიებები სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა იქნეს აყვანილი. აღნიშნულიდან გამომდინარე საძოვრების გამოყენების მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ პრაქტიკულ სამუშაოთა რამდენიმე ვარიანტის განხორციელება:

ბუნებრივი ცენოზის აღდგენა ძოვების აკრძალვით (შესვენებით). ბუნებრივი მდელოს ბალახნარის შემადგენელი მცენარეულობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ცენოზის გამოყენების რეგულირება, ბალახნარის შესვენებით. ძოვების აკრძალვით, ერთი ან რამდენიმე წლით. ბალახნარი მთელი სეზონის მანძილზე დაცული უნდა იქნეს ცხოველთა ძოვებისაგან.

ბუნებრივ კორდში (საძოვარზე) ბალახების შეთესვა. ზამთრის საძოვრების უმეტესი ბალახნარის სახეობრივი სიმეჩხრის აღმოფხვრის მიზნით საჭიროა მრავალწლოვანი საკვები ბალახების ნარევის გამოყენება (ცისფერი იონჯა, კახური ესპარცეტი, მდელოს წივანა). აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს შემდეგი ტექნოლოგიით: საძოვარზე ცხვრის ნაკელის შეტანა (30 ტ/ჰა), ცენოზის დაფარცხვა, ბალახების ნარევის შეთესვა, მორწყვა.

ფარეხთან დაგროვილი ნაკელის (30 ტ/ჰა-ზე) საძოვარზე გაშლა-გაფანტვა. ხელს შეუწყობს ბალახნარში დაკნინებული სახეობების მოძლიერებას, რათა წინ აღუდგეს დეგრადირების პროცესის გაღრმავებას.

ბუნებრივ კორდში ბალახნარეების შეთესვა ცხვრის ფარის გადატარებით. ღონისძიება ითვალისწინებს საძოვარზე ბალახების ნარევის შეთესვას, ცხვრის გადატარებას (ჩლიქებით თესლის ჩაკეთება), ზერელე (მსუბუქად) მორწყვა.

ბინებთან ახლოს (ყოველწლიურად) საშემოდგომო ჭვავის დათესვა. ადრე გაზაფხულზე (თებერვალი, მარტი და აპრილის დასაწყისში) დამატებითი საკვების მისაღებად. გათვალისწინებულია მეწველი და მაკე დედა-ცხვრებისათვის მწვანე საკვების დეფიციტის შევსება. ზამთრის საძოვარების თავისებურებიდან გამომდინარე (ტენის ნაკლებობა და სახნავი ფენის სიმცირე) მიზანშეწონილია ცხვრის ნაკელისა და დაფარცხვის ფონზე (ნიადაგის მოხვნა საჭირო არ არის) დაითესოს საშემოდგომო ჭვავი (თესვის ნორმა 140 კგ/ჰა) და ნათესი მოიწყას.

საძოვრების დატვირთვის ნორმების დაცვა და რეგულირებული ძოვების დანერგვა. ნახევრადუდაბნოს ტიპის საძოვრებისათვის მიზანშეწონილია ძოვების 5 მინდვრიანი სქემის გამოყენება. ცხვრის ფარისათვის (800 სული) I და II მინდორი გაიძოვება შემოდგომით (უმეტესად ნახევრადუბუჩქები და შემოდგომის ეფემერები). გაზაფხულზე იგივე მინდორი განმეორებით გაიძოვება (გაზაფხულის ეფემერები). მე-III და მე-IV მინდორი გაიძოვება იანვარის, თებერვლისა და მარტის თვეებში, ერთი მინდორი (მთელი სეზონის მანძილზე)



სრულად ისვენებს. შესვენებულ ფართობზე თესლის ცვენის შემდეგ, საჭიროა ცხვრის გადატარებით გამოვება, ჩაცვნილი თესლის ჩლიქებით ჩაკეთების მიზნით.

1. შემოდგომის საძოვრის მარაგის გამოყენება - 1/X - 31/IX (ძოვების ხანგრძლივობა 61 დღე). ცხვრის ფარისათვის დღეში საჭირო ბალახის რაოდენობა შეადგენს 32,0 ც, სულ ფარაზე საჭირო იქნება 1952 ც, საორენტაციო მოსავლიანობა ამ პერიოდისათვის შეადგენას 8 ც/ჰა, საძოვრის საჭირო ფართობი შეადგენს 250 ჰა-ს, საიდანაც შესაძლებელია მივიღოთ 2000 ც ბალახი, ნაკვეთების საჭირო რაოდენობა იქნება 30, თითოეული ნაკვეთის ფართობი 8 ჰა, ნაკვეთში ძოვების ხანგრძლივობა იქნება 1 დღე.

2. ზამთრის საძოვრის მარაგის გამოყენება - 1/I - 31/III (ძოვების ხანგრძლივობა 90 დღე). ფარისათვის დღეში საჭირო ბალახის რაოდენობა შეადგენს 16,8 ც, ფარისათვის საჭირო ბალახის მთლიანი რაოდენობა შეადგენს 1512 ც, ამ პერიოდისათვის საძოვრის საორიენტაციო მოსავლიანობა შეადგენს 4,2 ც/ჰა, საძოვრის საჭირო ფართობის რაოდენობა შეადგენს 250 ჰა-ს, საიდანაც შესაძლოა მივიღოთ 1050 ც ბალახი, ნაკვეთების საჭირო რაოდენობა არის 30, ნაკვეთის ფართობი კი 8, ნაკვეთში ძოვების ხანგრძლივობა იქნება 1 დღე. ძოვების ამ პერიოდისათვის საძოვრის დეფიციტის შევსება (462ც) უნდა მოხდეს დამატებით თივით ან შესვენებული ნაკვეთიდან, ველის ხმელი ბალახით.

3. გაზაფხულის ეფემერების გამოვება - 1/IV - 25/IV (ძოვების ხანგრძლივობა 25 დღე), ფარისათვის დღეში საჭირო ბალახის რაოდენობა შეადგენს 50 ც, ფარისათვის საჭირო ბალახის მთლიანი რაოდენობა შეადგენს 1250 ც, ამ პერიოდისათვის საძოვრის საორიენტაციო მოსავლიანობა შეადგენს 5 ც/ჰა, საძოვრის საჭირო ფართობის რაოდენობა იქნება 250 ჰა-ს, საიდანაც შესაძლოა მივიღოთ 1250 ც ბალახი, ნაკვეთების საჭირო რაოდენობა იქნება 30, ნაკვეთის ფართობი კი 8, ნაკვეთში ძოვების ხანგრძლივობა 1 დღე. ძოვების დღეთა საერთო რაოდენობა საორიენტაციოდ შეადგენს 176 დღეს, ფარისათვის ბალახის საერთო რაოდენობა შეადგენს 4714 ც, ბალახნარის საშუალო მოსავლიანობა სამივე პერიოდისათვის არის 13ც/ჰა. ძოვების პირველი (16/X-20/XI) პერიოდისათვის გათვალისწინებულია თითო ცხვარზე 1 საკ. ერთეული; მეორე (21/XI-15/IV) პერიოდისათვის – 0,7 საკ. ერთეული, ხოლო მესამე (16/IV-10/V) პერიოდისათვის კი 1,7 საკ. ერთეული.

ზამთრის საძოვრებზე ამჟამად არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა კატასტროფულია და დროულ რეაგირებას საჭიროებს. არ ტარდება მოვლისა და რაციონალური გამოყენების ელემენტარული ღონისძიებები, უგულვებელყოფილია დატვირთვის ნორმები და მცენარეული საფარის მორიგეობითი გამოყენების საკითხები. ამ საძოვრების რეგულირების სახელმწიფოებრივი რეაგირება მოკლე დროში უნდა მოხდეს. ყველა ზემოაღნიშნული სამუშაოების ეფექტურობის მაჩვენებლები ძირულად არის დამოკიდებული საძოვრების გასარწყავების სამუშაოების განხორციელებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აგლაძე გ. საკვებწარმოება (საკვების წარმოების ტექნოლოგია და საძოვრული მეურნეობა). თბილისი. 2010. 565 გვ.
2. აგლაძე გ. სარჯველაძე ი. მდელოსნობა. თბილისი, 2014. 456 გვ.
3. Klapp E. Wiesen und Weiden, Berlin und Hamburg, 1966. 612 p.



4. Лепкович И.П. Современное луговое хозяйство, СПб, 2005. 420 ст.

On the issue of rational use of semi-desert winter pastures in Outer Kakheti

Sarjveladze Ioseb

MD of Agriculture, Professor. Professor of the Technical University. Consultant of the Scientific-Research Center, Tbilisi, Georgia.

Medoidze Soso

Specialist of the Scientific-Research Center, Tbilisi, Georgia.

Loladze Jimsher

Specialist of the Scientific-Research Center, Tbilisi, Georgia.

Abstract

Key Word: pasture, winter, pasture loading, grass sowing.

Seasonal winter pastures in Georgia are mainly used for nomadic sheep breeding. Due to the gradual decrease of the area, sharp deterioration of their livelihood, decrease of productivity and other negative indicators, the issue of providing additional nutrition for the sheep - with coarse and juicy foods - is of essential importance. On the background of low productivity of pastures, and amercane, fragrant and amercane-stipa coenosis grass is of relatively higher rate.

The actual condition of winter pastures loading is severe and exceeds 3-4 sheep per hectare (permissible norm per sheep per hectare). Due to overloading and unauthorized use of pastures, the composition of grass species is depopulated. The risk of further development of erosive processes is evident; on the background of desertisation processes, this will lead to a sharp deterioration of the herbaceous botanical composition.

Winter pastures in Outer Kakheti are represented by semi-desert, arid land and clear xerophytic forest herbaceous located within the Iori Valley and the Iori-Mtkvari watershed plateau. With lowlands, mountain front plains, mid-range ridges, hills, flat ravines, intricate and diverse mix of slopes on the old terraces of Iori and Alazani. The lowest part of the pasture is Eldar-Samukhi semi-desert (90-200 m from above sea level), with the highest peaks at 900-1000 m from above the sea level.

The current economic situation of most of the winter pastures and the prospects for the development of the sheep-breeding sector will raise the issue for the transition to stable and pasture feeding of a significant number of sheep in winter. As mentioned above, the food required for normal feeding of the sheep should be grown on some part of the irrigated and clarified area, and for pasture or exercise, areas unsuitable for ploughing or unused areas, reclined slopes and etc. may be used.

For centuries the factors affecting the natural vegetation have been essential. It is noteworthy that each historical epoch was characterized by a peculiar impact on natural ecosystems, which reflected different degrees of loading. Throughout history, the use of natural resources has remained unchanged. Most of all ranges for loading and use of new lands have been gradually increased. Sharp increase in anthropogenic factors led to the destabilization of natural vegetation that was initiated in the previous century. As a result of the above mentioned, traditional impacts on biological resources (deforestation, increase of animal grazing, improper land use) have been increased, that have been supplemented with new forms and lead to the restriction of melioration works and the development of traditional pastures. These works were not in line with the potential capabilities of natural agricultural lands (slope moisture, grass composition, seasonal use, etc.).

Rationale measures are to be taken for halting erosion processes, partial regulation of loading rates, preserving grassland species, increase of their productivity and use winter pastures. These



measures should be discussed at state level. Therefore, according to the pasture use management plan, it is recommended to implement several options for practical work:

Restoration of natural coenosis by grazing prohibition (leave land fallow). The best way to preserve the herbaceous constituents of the natural meadow is to regulate the use of coenosis, leaving land fallow, prohibition of grazing for one or more years. Grass should be protected from animal grazing throughout the season.

Sowing grass on natural barren (pasture). For elimination of most species of grass for winter pastured, it is recommended to use the mixture of perennial herbs (Blue Medick, Kakhetian sainfoin, meadow fescue). These works should be carried out with the following technology: dispersing lamb muck to the pastures (30 t/ha), coenosis harrowing, sowing of grass mixture, watering.

Spreading and dispersing muck on the pasture (30 t per ha) accumulated near sheep cote will promote strengthening weakened species and thus prevent further degradation process.

Sowing grass mixtures on the natural barren by moving the flock of sheep across. The process is aimed at sowing grass mixtures on pastures, moving the flock across (embedding seed with hoofs), superficial watering (lightly).

Sowing autumn rye near housing areas (annually). For extra feed in early spring (February, March and beginning of April). It is intended to cover the deficit of green food for milker and pregnant mothers. Due to the peculiarities of winter pastures (lack of moisture and lack of arable layer) it is recommended to sow autumn rye (sowing rate - 140 kg/ha) and water the fields in line with dispersing sheep muck and harrowing (no ploughing is required).

Adherence to grazing norms and introduction of regulated grazing. For semi-desert pastures, it is more advisable to use a 5-meadow pasture scheme. For flock of sheep (800 sheep), I and II fields will be grazed in the fall (mostly semi-shrubs and autumn ephemerals). In spring, the same field will be repeatedly grazed (spring ephemerals). III and IV fields will be grazed in January, February and March, with one land (all season long) fully left fallow. After the seeds have fallen in the area left fallowed, it should be grazed by moving sheep across, embedding fallen seeds with hoofs.

1. Use of fall pasture resources - 1/X - 31/IX (grazing duration 61 days). The amount of grass required for flock per day amounts to 32,0 c, the total amount of grass required for flock amounts to 1952 c; for this period the approximate yielding capacity amounts to 8 c/ ha, the required pasture area will be 250 hectares, from which we can get 2000 c grass; the required number of plots will be 30, with the plot area - 8, the grazing duration in the plot - 1 day.

2. Use of winter pasture resources - 1/I - 31/III (grazing duration 90 days). The amount of grass required for flock per day amounts to 16,8 c, the total amount of grass required for flock amounts to 1512 c; for this period the approximate yielding capacity amounts to 4,2 c/ ha, the required pasture area will be 250 hectares, from which we can get 1050 c grass; the required number of plots will be 30, with the plot area - 8, the grazing duration in the plot - 1 day. Pasture deficiency (462 c) for this period of grazing should be supplemented by additional hay or field dried grass from rested plot.

3. Spring ephemeral grazing - 1/IV - 25/IV (grazing duration 25 days), the amount of grass required per day amounts to 50 c, the total amount of grass required for flock amounts to 1250 c; for this period the approximate yielding capacity amounts to 5 c/ ha, the required pasture area will be 250 hectares, from which we can get 1250 c grass; the required number of plots will be 30, with the plot area - 8, the grazing duration in the plot - 1 day. The total number of days for grazing is approximately 176 days, the total amount of grass for flock amounts to 4714 c, the average yield of grass for all three periods is 13 c/ha. For the first grazing period (16/X-20/XI) 1 forage unit is envisaged per sheep; for the second (21/XI-15/IV) period - 0,7 forage units, and for the third (16/IV-10/V) period - 1,7 forage units.

The current ecological condition of winter pastures is severe and needs timely reaction. Elementary measures of care and rational use are not implemented; loading standards and issues of alternative use of vegetation are neglected. State response to the regulation of these pastures should be shortly made. The efficacy indicators of all the above activities strongly depend on providing pasture irrigation.

„ფმატის (Elaeagnus L.) ნაყოფის ნახშირწყლებისა და ორგანული



მჟავების ქრომატოგრაფიული ანალიზი”

სურმანიძე ნონა

დოქტორანტი

ვანიძე მათა

ასოცირებული პროფესორი

კალანდია ალექო

პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.

დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ფშატი (*Elaeagnus L.*), მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს რაოდენობრივად მნიშვნელოვან ნედლეულს, მისი ნაყოფების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები ნაკლებად არის შესწავლილი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე გავრცელებულ ორ რეგიონში (გურია, აჭარა) აღებული ფშატის ნაყოფების კვლევა. განსაზღვრული იქნა ნაყოფების pH, ტიტრული მჟავიანობა, მშრალი ნივთიერება (*Brix*), ნახშირწყლები და ორგანული მჟავები. კვლევები განხორციელდა თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებით. ნახშირწყლებისა და ორგანული მჟავების კვლევისას გამოყენებული იქნა მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფია.

საქართველოში გავრცელებული ფშატის (*Elaeagnus L.*) ნაყოფებიდან იდენტიფიცირებული იქნა 8 ახალი ნივთიერება ამათგან სამი ნახშირწყალი - ფრუქტოზა, გლუკოზა, საქაროზა და ხუთი ორგანული მჟავა - ვაშლის მჟავა, ლიმონმჟავა, ღვინის მჟავა, მარმჟავა და მჟაუნმჟავა. განსაზღვრული იქნა არა მარტო თვისობრივი, არამედ რაოდენობრივი შედგენილობა. საერთო მჟავიანობა მერყეობს 0,59% (გურია) - 0,86%-ის (აჭარა) ფარგლებში. დომინანტ მჟავას წარმოადგენს ვაშლის მჟავა, რომელიც საერთო მჟავიანობის 43,95%-ს (0,259გ/ლ) იყო გურიისა და 27,78% (0,238გ/ლ) აჭარაში აღებულ ნიმუშში. საერთო ნახშირწყლების შემცველობა მერყეობს 12,286-14,89%-ს ფარგლებში, დომინანტია გლუკოზა (გურია 5,7234%, აჭარა 7,0942%) და ფრუქტოზა (გურია 6,1360%, აჭარა 7,4882%).
საკვანძო სიტყვები: ფშატი, ნაყოფი, ნახშირწყლები, ორგანული მჟავები, მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფია.

ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის სიცოცხლისათვის აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენს ორგანული და არაორგანული ნივთიერებები მასში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებიდან გამომდინარე. მცენარეული ნედლეულის წარმოადგენს კვებითი რაციონის ძირითად ნაწილს ამიტომ მნიშვნელოვანია არა მარტო მისი კვებითი ღირებულება არამედ ქიმიური შედგენილობა.

ნახშირწყლები, ცილები, ცხიმები და ორგანული მჟავები, ეს არის ძირითადი კომპონენტები, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნიათ, ისინი ორგანიზმს ამარაგებენ ენერგიით, მონაწილეობენ ორგანიზმის ზრდისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესებში (1,7,8,10).

ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის განსაზღვრაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს თავისუფალი შაქრები. მონო და დისაქარიდები.

მცენარეთა განვითარების, განსაკუთრებით ხილის დამწიფების პროცესში, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ ორგანული მჟავები. ისინი ხასიათდებიან მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით და გააჩნიათ დამცავი როლი სხვადასხვა დაავადებების მიმართ(4,8,9).

ამ მხრივ საინტერესოა ფშატი *Elaeagnus L.*, რომელიც წარმოადგენს ბიოლოგიურად



აქტიური ნაერთებით მდიდარ ნედლეულს.

Elaeagnaceae - ოჯახის ერთერთი სახეობა *Elaeagnus* L. - ფშატი, როგორც სხვადასხვა გარემო პირობებში ადვილად მზარდი მცენარე კულტივირებულია ჩრდილოეთ აზიის ტერიტორიებიდან ჰიმალაემდე და ევროპაში.

Elaeagnus - მოიცავს დაახლოებით 80 სახეობას. ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სუბტროპიკულ და ზომიერ რეგიონებში, იშვიათად გვხვდება აზიის დანარჩენ ნაწილში და ზომიერ ევროპაში.

ფშატი - ვერცხლისფერ-მოთეთრო ჩვილყლორტებიანი და ფოთლებიანი ბუჩქი ან დაბალი ხეა ფშატისებრთა ოჯახიდან, 3-7 მ სიმაღლით, იშვიათად 10 მ. ფოთლები ვერცხლისფერ თეთრი, ლანცეტა ფორმის, 3-7 სმ სიგრძისა და 0,4-1,5 სმ სიგანის ფოთლები ტოტებზე მორიგეობითაა განლაგებული. ჩვილი ყლორტები მთლიანად მოვერცხლოსფერო ქერქლებითაა დაფარული. ტოტებსა და ყლორტებზე ქერქი მოწითალო ან მუქი მურა ფერისაა. ორქესიანი, მძაფრსუნიანი ყვავილები 1-3 ცალიან ჯგუფებად ფოთლების უბებშია განლაგებული. მცირე რაოდენობით ინვითარებს მამრობით ყვავილებსაც. 0,7-1,4 სმ სიგრძის და 0,5-1 სმ სიმახოს მრგვალი ან ოვალური მშრალხორცოვანი ნაყოფი ერთთესლიანი კურკიანაა. ყვავის მათ-ივნისში, ნაყოფები სექტემბერ-ოქტომბერში მწიფდება, უხვად ნაყოფმსხმოიარობს ყოველწლიურად. ფშატი ჩვეულებრივი ჭალის მცენარეა და ნესტიან ადგილებში იზრდება. მაგრამ იმავე დროს დიდ სიმშრალესაც იტანს ხანგრძლივი გვალვების დროს. იზრდება მდინარეთა ნაპირებზე, ჭალებში, ტყეებსა და ღელეებში, გზის პირებზე, ღობეებისა და სარწყავი არხების გასწვრივ. ჩვეულებრივ მთის ქვედა, ზოგჯერ შუა სარტყელში. აშენებენ ბაღებსა და პარკებში. ხშირად ველურდება. ადვილად მრავლდება თესლით, ფესვის ნაბარტყით, კალმებითა და ძირკვის ამონაყარით. უმეტესწილად ჭალებში იზრდება, გვხვდება მშრალ, ხრიოკ ფერდობებზეც, კარგად იტანს წყლით დროებით დატბორვას, იტანს ნიადაგის დამლაშებას, მისი ფესვები მარილებს არ ითვისებს, ამიტომ მიწის ზედა ნაწილებში მარილების დაგროვება არ აღინიშნება (3, 4,5).

ნაყოფის მშრალი ხორცოვანი რბილობი, ველურ ფორმებში მთელი ნაყოფის წონის 52 % შეადგენს, რომელიც 40 %-ზე მეტ შაქრებს შეიცავს. ლიტერატურული მონაცემებით ფშატის ნაყოფებში გვხვდება გლუკოზა, ფრუქტოზა და საქაროზა, რომელთაგან დომინანტ შაქრებს წარმოადგენს ფრუქტოზა (20-35% და გლუკოზა 15-25%). ასევე გვხვდება 7 ორგანული მჟავა, ესენია ვაშლის მჟავა, ლიმონმჟავა, ღვინის მჟავა, ძმარმჟავა, მჟაუნმჟავა, ქვინის მჟავა და შიკიმის მჟავა, რომელთაგან დომინანტია ვაშლის მჟავა. (2, 3, 10). გარდა ამისა, მასში ნაპოვანია კალიუმისა და ფოსფორის მარილები, აგრეთვე 10 % მეტი ცილები. ნაყოფს ჭამენ როგორც უმად, ასევე მისი ფქვილით ამდიდრებენ პურის ფქვილს. ფშატის გუმფისის გამოყენება შესაძლოა საქსოვ წარმოებაში, წებოს მოსამზადებლად, ლაქსაღებების დასამზადებლად. ფოთლებსა და ქერქს ტყავის გასათრიმლავად და მის შავფერად ან ყავისფრად შესაღებად ხმარობენ. ფშატის ფესვებზე არსებულ კოჟრებში მცხოვრები ბაქტერიები ახდენენ ატმოსფეროს თავისუფალი აზოტის ფიქსირებას, ამიტომ ფშატი ნიადაგს აზოტით ამდიდრებს (2, 4,5,10).

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ გურიასა და აჭარაში აღებული ფშატის ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთ-



თები - ნახშირწყლები და ორგანული მჟავები და ბიოქიმიური მაჩვენებლები - ნაყოფების pH, ტიტრული მჟავიანობა, მშრალი ნივთიერება (Brix).

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოს ზღვის დონიდან განსხვავებულ სიმაღლეზე მდებარე ორ რეგიონში გურიასა (ოზურგეთი - ზღვის დონიდან 150მ) და აჭარის (ხელვაჩაური - ზღვის დონიდან 80მ) ტერიტორიაზე აღებული ფშატის მწიფე ნაყოფები.

კვლევის მეთოდები

მშრალი ნივთიერების განსაზღვრა რეფრაქტომეტრით. მეთოდი ემყარება სინათლის სხივის გარდატეხის მაჩვენებლის დამოკიდებულებას ხსნარში ნივთიერების კონცენტრაციასთან.

pH განსაზღვრა - PH იზომებოდა ციფრული pH მეტრის გამოყენებით (AOAC მეთოდით, METTLER TOLEDO);

ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრა (AOAC მეთოდით, METTLER TOLEDO) - სტანდარტული, პოტენციომეტრული გატიტრის მეთოდით - მეთოდი დაფუძნებულია პოტენციომეტრულ გატიტრაზე, ნატრიუმის ტუტის სტანდარტული ხსნარით pH-7- მდე.

ნახშირწყლების თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა - გამოყენებულ იქნა კვლევის ქრომატოგრაფიული მეთოდი. კვლევა ჩატარებულ იქნა Waters - ის ფირმის მაღალი წნევის სითხურ ქრომატოგრაფზე რეფრაქტომეტრული დეტექტორით (2414 Refractive Index Detector), გამოყენებულ იქნა Carbohydrate-ის სვეტი, მოძრავ ფაზას წარმოადგენდა 80% აცეტონიტრილი (Merck), სვეტის ტემპერატურა 40°C, საკვლევი ნიმუშის რაოდენობა 20 µl.

ორგანული მჟავების თვისობრივი განსაზღვრა - მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების მეთოდით: ქრომატოგრაფი - Waters (USA), WatersHPLC system equipped with a model 525 pump; ქრომატოგრაფიული სვეტი - C₁₈- 4,6x150 Symmetry; დეტექტირება-ორგანული მჟავებისათვის 220 ნმ-ზე. მოძრავი ფაზა 5%-იანი ჭიანჭველმჟავა(A) და მეთანოლი (B), ხაზობრივი გრადიენტი. გამხსნელის სიჩქარე - 0,7მლ/წთ-ში. სვეტის ტემპერატურა - 40°C. საკვლევი ნიმუშის რაოდენობა 20 µl.

ნიმუშის მომზადება:

ნახშირწყლების ქრომატოგრაფირებისათვის მომზადდა საანალიზო ნიმუშის წყლიანი ექსტრაქტი 1:1 თანაფარდობით, რომელიც ექვემდებარებოდა ცენტრიფუგირებას, შემდეგ ნიმუშს 1:1 თანაფარდობით ემატება 80 %-იანი აცეტონიტრილი (მოძრავი ფაზა). ინჟექტირებამდე ნიმუში იფილტრებოდა 0,45მკრ ზომის ფილტრში.

ორგანული მჟავების ქრომატოგრაფირებისათვის მომზადდა საანალიზო ნიმუშის ექსტრაგირება განხორციელდა 1%-იანი ფოსფორმჟავით (2:1 თანაფარდობით), პექტინოვანი ნივთიერებების დასაღებად ექსტრაქტი მუშავდებოდა 96%-იანი სპირტით 1:1 თანაფარდობით, ინჟექტირებამდე ნიმუში ექვემდებარებოდა ცენტრიფუგირებას და შემდგომ იფილტრებოდა 0,45მკრ ზომის ფილტრში.

ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრისათვის ვამზადდებით ფშატის ნაყოფის წყლიან ექსტრაქტს 5:25 თანაფარდობით. მიღებულ წყლიანი გამონაწვლილიდან ვიღებდით 10 მლ და ვტიტრავდით 0,1N NaOH-ით PH =7-მდე.

შედეგები. შესწავლილ იქნა საქართველოს ორ სხვადასხვა ტერიტორიაზე (გურია, აჭარა) აღებული ფშატის *Elaeagnus L.* ნაყოფების pH, ტიტრული მჟავიანობა, მშრალი ნივთიერება




(Brix), ნახშირწყლებისა და ორგანული მჟავების შემცველობა.

ფშატის ნაყოფის წვენში მშრალი ნივთიერების შემცველობა მერყეობდა 15 - 18%-ის ფარგლებში, ნიმუშები გამოირჩეოდა ტიტრული მჟავიანობის დაბალი მაჩვენებლით 0,46% (გურია) და 0,86 % (აჭარა), შესაბამისადაა აქტიური მჟავიანობის მაჩვენებელი 3.95 (გურია) და 3.68 (აჭარა). საანალიზო ნიმუშებს შორის მშრალი ნივთიერების შედარებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა აჭარის (17,4%), ხოლო დაბალი გურიის (15,6%) ტერიტორიაზე აღებულ ნიმუშები. (ცხრილი 1).


ცხრილი 1.

ნიმუშის დასახელება	მშრალი ნივთიერება, %	pH	მჟავიანობა %
ფშატი (გურია)	15.6 (±0.03)	3.95 (±0.03)	0.46 (±0.03)
ფშატი (აჭარა)	17.4 (±0.03)	3.68 (±0.03)	0.86 (±0.03)



სურათი 1. ფშატის ნაყოფების ორგანული მჟავების ქრომატოგრამა (გურია)

	Name	Area	% Area	Amount	Units
1	Citric acid	1027659	8.38	0.059	%
2	Tartaric acid	980814	5.49	0.053	%
3	Malic acid	5389550	43.95	0.682	%
4	Succinic acid	496765	4.05	0.091	%
5	Acetic acid	1125638	9.18	0.061	%




სურათი 2. ფშატის ნაყოფების ორგანული მჟავების ქრომატოგრამა (აჭარა)

	Name	Area	% Area	Amount	Units
1	Citric acid	1273318	7.13	0.073	%
2	Tartaric acid	614572	3.44	0.033	%
3	Malic acid	4960349	27.78	0.627	%
4	Succinic acid	917084	5.14	0.168	%
5	Acetic acid	1338710	7.50	0.072	%

მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების საშუალებით ორგანული მჟავების




კვლევისას იდენტიფიცირებულ იქნა ხუთი მჟავა ვაშლის მჟავა, ლიმონმჟავა, ღვინის მჟავა, ძმარმჟავა და მჟაუნმჟავა. დომინანტ მჟავას წარმოადგენს ვაშლის მჟავა, რომელიც საერთო მჟავიანობის 43,95%-ს (0,259გ/ლ - გურია), 27,78% (0,238გ/ლ აჭარა) შეადგენს.



სურათი 3. ფშატის ნაყოფების ნახშირწყლების ქრომატოგრამა (გურია)

	Name	Retention Time	Area	% Area	Amount	Units
1	Fructose	4.900	6156167	47.93	30.685	g/L
2	Glucose	5.638	6039701	47.03	28.617	g/L
3	Sucrose	7.808	456694	3.56	2.133	g/l



სურათი 4. ფშატის ნაყოფების ნახშირწყლების ქრომატოგრამა (აჭარა)

	Name	Retention Time	Area	% Area	Amount	Units
1	Fructose	3.963	7511488	48.52	37.441	g/L
2	Glucose	4.555	7486314	48.36	35.471	g/L
3	Sucrose	6.585	333385	2.15	1.557	g/l

მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების საშუალებით ნახშირწყლების კვლევისას იდენტიფიცირებულ იქნა სამი ნახშირწყალი: გლუკოზა, ფრუქტოზა და საქაროზა. საერთო ნახშირწყლების შემცველობა მერყეობს 12,286-14,89%-ს ფარგლებში, ორივე ნიმუშში დომინანტია გლუკოზა (გურია 5,7234%, აჭარა 7,0942%) და ფრუქტოზა (გურია 6,1360%, აჭარა 7,4882%). ნახშირწყლების შედარებით მაღალი შემცველობით გამოირჩევა გურიის ნიმუში.

უცხოურ ლიტერატურული მონაცემებთან შედარებით ნახშირწყლების რაოდენობ-



რივი შემცველობა თითქმის ერთნაირია. თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ფშატის ნაყოფებში იდენტიფიცირებულია ფრუქტოზა, გლუკოზა და საქაროზა, რომელთაგან დომინანტს წარმოადგენს ფრუქტოზა და გლუკოზა, ისევე როგორც ჩვენს ნიმუშებშიც, ხოლო რაც შეეხება ორგანულ მჟავებს, ფშატის ნაყოფებში შესწავლილია შვიდი ორგანული მჟავა - ვაშლის მჟავა, ლიმონმჟავა, ღვინის მჟავა, ძმარმჟავა, მჟაუნმჟავა, ქვინის მჟავა და შიკიმის მჟავა, რომელთაგან დომინანტს წარმოადგენდა ვაშლის მჟავა. ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული იქნა ხუთი, კერძოდ ვაშლის მჟავა, ლიმონმჟავა, ღვინის მჟავა, ძმარმჟავა და მჟაუნმჟავა, სადაც დომინანტს ასევე წარმოადგენდა ვაშლის მჟავა.

დასკვნა.

ჩვენს მიერ პირველად საქართველოს სინამდვილეში მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირებით დასავლეთ საქართველოს ზღვის დონიდან განსხვავებულ სიმაღლეზე მდებარე ორ რეგიონში გავრცელებული ფშატის (*Elaeagnus L.*) ნაყოფებიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებული იქნა 8 ახალი ნივთიერება ამათგან სამი ნახშირწყალი - ფრუქტოზა, გლუკოზა, საქაროზა და ხუთი ორგანული მჟავა -ვაშლის მჟავა, ლიმონმჟავა, ღვინის მჟავა, ძმარმჟავა და მჟაუნმჟავა. განსაზღვრული იქნა არა მარტო თვისობრივი, არამედ რაოდენობრივი შედგენილობა საერთო მჟავიანობა მერყეობს 0,59% (გურია) - 0,86%-ის (აჭარა) ფარგლებში. დომინანტ მჟავას წარმოადგენს ვაშლის მჟავა. საერთო ნახშირწყლების შემცველობა მერყეობს 12,286-14,89%-ს ფარგლებში, დომინანტია გლუკოზა (გურია 5,7234%, აჭარა 7,0942%) და ფრუქტოზა (გურია 6,1360%, აჭარა 7,4882%). განსაზღვრული იქნა აგრეთვე ბიოქიმიური მახასიათებლები. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შედარებით უკეტესი მონაცემებით გამოირჩეოდა გურიაში აღებული ნიმუში - მშრალი ნივთიერება 15.6%, pH - 3,95, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 0,56%, აჭარის ნიმუშში კი დაფიქსირდა შედარებით - მშრალი ნივთიერების (17,4%) და ტიტრული მჟავიანობის (0,86%) მაღალი, ხოლო pH-ის (3,68) დაბალი მაჩვენებლები. აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, ოზურგეთის(გურია) ნიმუში გამოირჩევა უკეტესი მონაცემებით, რასაც განაპირობებს ზღვის დონიდან მათი განსხვავებული მდებარეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Nona surmanidze, Jeiran Putkaradze, Inga kartsivadze Indira Djaparidze, Maia Vanidze, Aleko Kalandia. Antioxidants of introductory and endemic plants in Georgia. International natural and health science conference (INHSC2017), antalya/Turkey.pp131-139.
2. Sajid Hussain, Ahmad Aslam, Murtaza Ali, Nisar Hussain. „Some physic-chemical and nutritional properties of *Elaeagnus angustifolia L.* Fruit grown in Gilgit Baltistan”. International Journal of Food Science and Nutrition ISSN: 2455-4898 Impact Factor: RJIF 5.14 www.foodsciencejournal.com Volume 3; Issue 1; January 2018; Page No. 112-115
3. A. CANSEV, Y. SAHAN , G. CELIK , S. TASKESEN and H.OZBEY. „Chemical Properties and Antioxidant Capacity of *Elaeagnus angustifolia L.* Fruits”. Asian Journal of Chemistry June 2011- http://www.asianjournalofchemistry.co.in/User/ViewFreeArticle.aspx?ArticleID=23_6_66
4. Zeinab Amiri Tehranizadeh1, Ali Baratian, Hossein Hosseinzadeh. „Russian olive (*Elaeagnus angustifolia*) as a herbal healer”. <http://bi.tbzmed.ac.ir/PDF/BI-6-155.pdf>
5. Rafie Hamidpour Dr. a, Soheila Hamidpour Dr. b , Mohsen Hamidpour Dr. c , Mina Shahlari a, Mahnaz Sohraby a , Nooshin Shahlari a , Roxanna Hamidpour a, b. - „, Russian olive (*Elaeagnus angustifolia L.*): From a variety of traditional medicinal applications to its novel roles as active



- antioxidant, anti-inflammatory, anti-mutagenic and analgesic agent”. Journal of Traditional and Complementary Medicine <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5198788/>.
6. F. Ahmet AYAZ, Asim KADIOĞLU, Ali DOĞRU. Soluble Sugar Composition of *Elaeagnus angustifolia* L. var. *orientalis* (L.) Kuntze (Russian olive) Fruits. Tr. J. of Botany 23 (1999) 349-354 © TÜBİTAK.
 7. Dénes Bartha and Ágnes Csiszár. RUSSIAN OLIVE (*Elaeagnus angustifolia* L.). Institute of Botany and Nature Conservation, Faculty of Forestry, University of West Hungary, Bajcsy-Zs.u.4, Sopron, H-9400, Hungary;
https://www.researchgate.net/profile/Agnes_Csiszar2/publication/273770067_RUSSIAN_OLIVE_Elaeagnus_angustifolia_L/links/550c1b540cf2528164db3fc9/RUSSIAN-OLIVE-Elaeagnus-angustifolia-L.pdf.
 8. H. M. Asif, 2Muhammad Akram, 3 Tariq Saeed, 2M. Ibrahim Khan, 1Naveed Akhtar, 1Riaz ur Rehman, 1S. M. Ali Shah, 1Khalil Ahmed, 1Ghazala Shaheen. „Carbohydrates”. International Research Journal of Biochemistry and Bioinformatics Vol. 1(1) pp. 001-005, February 2011 Available online @<http://www.interestjournals.org/IRJBB>.
 9. Hafiz Usama Rasheed DVM. „Organic Acids-A Review”. See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/319007029>
 10. Sabina Lachowicz · Anna Bieniek · Zygmunt Gil · Natalia Bielska, Bogumił Markuszewski. Phytochemical parameters and antioxidant activity of new cherry silverberry biotypes (*Elaeagnus multiflora* Thunb.). European Food Research and Technology (2019) 245:1997–2005 <https://doi.org/10.1007/s00217-019-03317-w>.

Chromatographic analysis carbohydrates and organic acids of *Elaeagnus* L. fruits.

Surmanidze Nona

Ph.D

Vanidze Maia

Associated Professor

Kalandia Aleko

Professor

Batumi Shota Rustaveli State Universit, Batumi, Georgia

Abstract

Key words: *Elaeagnus* L, fruits, carbohydrates, organic acids, high pressure liquid chromatography.

Widespread (*Elaeagnus* L.) in western Georgia, although it is a quantitatively important raw material, biologically active compounds of its fruits are little studied.

Elaeagnaceae - one of the species of the family *Elaeagnus* L., as an easily growing plant under various environmental conditions, cultivated from the regions of North Asia to the Himalayas and Europe.

Elaeagnus - includes about 80 species. Widespread in subtropical and temperate regions of East and Southeast Asia, rarely found in the rest of Asia and in temperate Europe.

Elaeagnus L. - Silver-whitish shrub or leafy shrub or low-lying shrub family, 3-7 m high, rarely 10 m. Leaves silvery white, lanceolate, 3-7 cm long and 0.4-1.5 cm wide. The leaves are arranged in turns. The infant twigs are completely covered with lanceolate barks. The barks on the branches and shoots are reddish or dark brown in color. The two-flowered, lanceolate flowers are divided into groups of 1-3 in leaf areas. It also develops a small number of male flowers. 0,7-1,4 cm long and 0,5-1 cm thick round or oval dry fruits are one-year-old. Flowering in May-June, the fruits ripen in September-October, with abundant fruiting every year. *Elaeagnus* L. is a common floodplain and grows in damp areas. But at the same time it can withstand severe dryness during prolonged droughts. It grows on riverbanks, groves, forests and valleys, on road blades, along fences and



irrigation canals. Usually at the bottom of the mountain, sometimes in the middle of the belt. They are built in gardens and parks. It often goes wild. Easily propagated by seed, root bud, cuttings and root extract. Mostly it grows in groves, falls on dry, slippery slopes, is well tolerated by temporary flooding, is capable of salinization, its roots do not absorb salts, so no salt accumulation is observed in the upper parts of the soil.

Dry meaty pulp of the fetus, in the wild forms 52% of the total fetal weight, which contains more than 40% sugars. According to the literature, fetuses contain glucose, fructose and sucrose, the dominant sugars being fructose (20-35% and glucose 15-25%). Also found in 7 organic acids, such as malic acid, citric acid, tartaric acid, acetic acid, oxalic acid, quinoic acid and sheikimic acid, all of which are predominant in malic acid. In addition, it contains potassium and phosphorus salts, as well as 10% more protein. The fruit is eaten both by the udder and by enriching the bread with its flour. The leaves and bark are used to tan the leather and to dye it black or brown. Bacteria that live in the cochlea at the roots of the fungus fix the nitrogen-free atmosphere in the atmosphere, so the fungus enriches the soil with nitrogen.

The aim of our study was to study the biologically active compounds of Fetal fruits extracted in Western Georgia, namely Guria and Adjara - carbohydrates and organic acids and biochemical indicators - pH of the fruits, titratable acidity, dry matter (Brix). Studies have been carried out using modern instrumental methods.

The object of the study was the ripe fruits of the two ripe fruits grown in two regions of Georgia Guria (Ozurgeti - 150 m above sea level) and Adjara (Khelvachauri - 80 m above sea level) altitudes.

The study of carbohydrates and organic acids was performed by high pressure liquid chromatography.

Eight substances have been identified by high-pressure liquid chromatography from the fruits of the *Elaeagnus L.* spread in Georgia, including three carbohydrates - fructose, glucose, sucrose and five organic acids - apple acid, citric acid, wine acid, acetic acid and oxalic acid.

Not only qualitative but quantitative composition was identified. Total acidity ranges from 0.59% (Guria) to 0.86% (Adjara). The dominant acid is apple acid. Total carbohydrate content ranges from 12,286 to 14.89%, dominated by glucose (Guria 5,7234%, Adjara 7,0942%) and fructose (Guria 6,1360%, Adjara 7,4882%). Biochemical characteristics were also determined. In the sample taken from Guria - dry matter 15.6%, pH 3.95, titratable acidity 0.56%, Adjara sample - 17.4%, titratable acidity - 0.86% and pH 3.68%.

Quantitative content of carbohydrates is almost the same as in foreign literature. According to Turkish scientific literature, fructose, glucose and sucrose are predominant in the fruits of the fruit, of which fructose and glucose are predominant, as in our samples, and in the case of organic acids, the fruits of the fruit contain seven organic acids - malic acid, citric acid, tartaric acid, acetic acid, oxalic acid, quinoic acid and sheikimic acid, of which the predominant acid was malic acid. We have identified five, namely malic acid, citric acid, tartaric acid, acetic acid and oxalic acid, with the predominant being also malic acid.

According to the results of the study, the Ozurgeti (Guria) sample was distinguished by its pH, titratable acidity, carbonic acid and organic acids, due to their different location at sea level.





დაკვირვების შედეგები (ქუთაისი, 2016-2017 წ.წ.)

უგულავა ვლადიმერი

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ქუთელია ქეთევანი

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

სტატიაში განხილულია აქტინიდიის *mcenareze fenologiuri dakvirvje bis Sedegebi*. ფენოლოგიური დაკვირვების ქვეშ იგულისხმება ყველა ფენოლოგიური ფაზის მიმდინარეობის პერიოდის ვიზუალური რეგისტრაცია. ჩვენი დაკვირვების შედეგად აქტინიდიის კულტურაზე აღირიცხება შემდეგი ფენოლოგიური ფაზები: კვირტის დაბერვა, ვეგეტაციის დაწყება, ყლორტების ზრდა, დაკოკრება, ყვავილობის პერიოდი (დაწყება, მასიური ყვავილობა და დასასრული), გამონასკვა, ნაყოფის მომწიფება, ფოთოლცვენა (ვეგეტაციის დასასრული). დაკვირვებების შედეგად კვირტების დაბერვა აქტინიდიის მცენარისათვის იწყება უფრო ადრე ანუ ჰაერის ტემპერატურის 10°C ზევით გადასვლამდე, ხოლო ვეგეტაციის ინტენსიური დაწყება (რომელიც ჩვენს მიერ დაფიქსირებულია ფოთლების გაშლა_ყლორტების ზრდით) 10°C ჰაერის ტემპერატურის მყარად გადასვლის შემდეგ. ვეგეტაციის განვითარების ფენოლოგიური ფაზებიდან მნიშვნელოვანია ვეგეტაციის დაწყება და მასიური ვეგეტაცია, რაც უკავშირდება ყლორტების ზრდას. მცენარეები ვეგეტაციას წყვეტენ სადღეღამისო ტემპერატურის 10° ქვევით დაცემის შემდეგ. ჩინურ აქტინიდიას აქვს ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი (260-280 დღე).

საკვანძო სიტყვები: ფენოლოგია, ვეგეტაცია, ყლორტი, ყვავილობა

დაკვირვებები ფენოლოგიურ ფაზებზე წარმოადგენს მცენარის წლიური ციკლის მიმდინარეობის აღრიცხვის უძველეს და ძირითად მეთოდს. ფენოლოგიური დაკვირვების ქვეშ იგულისხმება ყველა ფენოლოგიური ფაზის მიმდინარეობის პერიოდის ვიზუალური რეგისტრაცია.

ჩვენი დაკვირვების შედეგად აქტინიდიის კულტურაზე აღირიცხება შემდეგი ფენოლოგიური ფაზები: კვირტის დაბერვა, ვეგეტაციის დაწყება, ყლორტების ზრდა, დაკოკრება, ყვავილობის პერიოდი (დაწყება, მასიური ყვავილობა და დასასრული), გამონასკვა, ნაყოფის მომწიფება, ფოთოლცვენა (ვეგეტაციის დასასრული).

დაკვირვებებმა ფენოლოგიური ფაზების მსვლელობაზე გვიჩვენა, რომ ის განსხვავებულად მიმდინარეობს საკვლევი წლების მიხედვით.

ჩინური აქტინიდა ტიპური ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის ფოთოლმცვენი მცენარეა. მისი ყინვაგამძლეობა საკმაოდ მაღალია (-16-17°C), ხასიათდება ზამთრის ღრმა მოსვენების პერიოდით. კვირტის დაბერვა, უმეტესობა სუბტროპიკული კულტურებისათვის მიღებულია ვეგეტაციის დაწყებად და ის უკავშირდება ჰაერის ტემპერატურის 10°C ზევით მყარად გადასვლას. ლიტერატურული მასალების და ჩვენი დაკვირვებების შედეგად კვირტების დაბერვა აქტინიდიის მცენარისათვის იწყება უფრო ადრე ანუ ჰაერის ტემპერატურის 10°C ზევით გადასვლამდე, ხოლო ვეგეტაციის ინტენსიური დაწყება (რომელიც ჩვენს მიერ დაფიქსირებულია ფოთლების გაშლა_ყლორტების ზრდით) 10°C ჰაერის ტემპერატურის მყარად გადასვლის შემდეგ.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ფენოლოგიური ფაზების დინამიკა პუნქტების და წლების მიხედვით მოცემულია #1 ცხრილებში.

ფენოლოგიური ფაზების დაწყება განსხვავებულია წლების მიხედვით. აქტინი-



დიის მცენარეებმა წვენთა მოძრაობა ყველაზე ადრე ქუთაისის საცდელ პუნქტებზე 2016 წელს (10.02) დაიწყო, ხოლო გვიან 2017 წელს (17.02) – განსხვავება 10 დღე იყო.

კვირტების დაბერვა აქტინიდიის მცენარეზე იწყება წვენთა მოძრაობის დაწყებიდან ორ კვირაზე მეტი დროის შემდეგ (28 თებერვლიდან 17 მარტის ჩათვლით), წლების მიხედვით განსხვავებულია. ადრე დაფიქსირებულია 2016 წელს (27.02), ხოლო 2017 წელს (3.03); 5-7 დღის დაგვიანებით.

ჩინური აქტინიდიის მოსავლიანობა დამოკიდებულია ყლორტების ზრდის დინამიკაზე. ამდენად ვეგეტაციის განვითარების ფენოლოგიური ფაზებიდან მნიშვნელოვანია ვეგეტაციის დაწყება და მასიური ვეგეტაცია, რაც უკავშირდება ყლორტების ზრდას. ჩვენს მიერ ჩატარებული დაკვირვებებიდან გამომდინარე წლების მიხედვით ყლორტების ზრდის ფაზა დაფიქსირებულია საშუალოდ 5 მარტიდან 3 აპრილის შუალედში. თითქმის ერთნაირადაა დაფიქსირებული 2016-2017 წლებში. დაკვირვების პერიოდში დაკოკრება, წლების მიხედვით, გაზაფხულზე, აპრილის პირველ რიცხვებში იწყებოდა – 2016 წელს 1.04 ხოლო 2017 წელს 7.04.

დაკოკრებას უფრო ადრე იწყებს მამრობითი მცენარეები. (სხვაობა მდედრობით და მარობით მცენარეებს შორის არის 2 დღე). დაკოკრებიდან 2 კვირის შუალედში (10-15 დღე) იწყება ყვავილობა, რომელიც მერყეობს წლების მიხედვით 15 მაისიდან 27 მაისის შორის. 2016 წელს ქუთაისში ყვავილობა დაიწყო საშუალო 15.05, ხოლო 2017 წელს 20.05-დან.

ყვავილობა მიმდინარეობს თანდათანობით, ერთ მცენარეზე 7-8 დღის განმავლობაში. მდედრობითი ყვავილები გაშლის შემდეგ მზად არიან მტვერის მარცვლის მისაღებად. მამრობითი ყვავილების მტვრიანების მომწიფება და მათი გახსნა ყვავილის გაშლის შემდეგ ხდება. მტვრის გადატანა ხდება ქარისა და მწერების საშუალებით, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით მხოლოდ ქარით დამტვერიანება არაა საკმარისი. აუცილებელია აქტინიდიის პლანტაციებში დამამტვერიანებელი მწერების, კერძოდ ფუტკრების ჩარევა. არსებობს პირდაპირი კავშირი განაყოფიერების ხარისხსა და ნაყოფების წონას შორის. აქტიური დამტვერიანება ამომდინარეობს 9-დან 15 საათამდე (მზიან ამინდში). ყვავილობის დაწყების წინ მამრობითი მცენარეები სუსტად უნდა გავსხლათ, რომ მივიღოთ მეტი მტვერი. დამამტვერიანების შემდეგ ბუტკოს დინგი მუქდება და გვირგვინის ფურცლები ცვივა. თუ დამამტვერიანება არ მოხდა ყვავილი რჩება გახსნილ მდგომარეობაში 6-8 დღის განმავლობაში (მტვრის მოლოდინში).

ჩვენი დაკვირვების მიხედვით ყვავილობის დაწყებიდან 10-15 დღის შემდეგ მცენარეები იწყებენ გამონასკვას. გამონასკვა 2017 წელს ყველა პუნქტზე საშუალოდ 3-დან 7 ივნისამდე დაფიქსირდა.

ჩინური აქტინიდიის ვეგეტაციის პერიოდში ფენოლოგიური დაკვირვებების შედეგები (ქუთაისი 2016-2017 წწ)

ცხრილი 1

ფენოლოგიური ფაზები	2016 წ.	2017წ.
--------------------	---------	--------



I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
 „ახალი ინოვაციები“
 I INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
 “NEW INOVATIONS”



	მდედრ.	მამრ.	მდედრ.	მამრ.
წვენთა მოძრაობის დაწყება	10.02	7.02	17.02	14.02
კვირტის დაბერვა	28.02	27.02	3.03	2.03
ვეგეტ დაწყება.(ყლორტის ზრდა)	13.03	5.03	17.03	15.03
მასიური ვეგეტაცია	28.03	28.03	3.04	3.04
დაკოკრება	2.04	1.04	7.04	5.04
ყვავილობის დაწყება	17.05	15.05	22.05	20.05
მასიური ყვავილობა	22.05	19.05	27.05	23.05
ყვავილობის დასასრული	27.05	1.06	1.06	5.06
გამონასკვა	2.06	–	7.06	–
ნაყოფის მომწიფება	ნოემბერი	–	ნოემბერი	–
ვეგეტაციის დასასრული	1.11	1.11	30.10	30.10
ფოთოლცვენა	ოქტომბერი ნოემბერი	ოქტომბერი ნოემბერი	ოქტომბერი ნოემბერი	ოქტომბერი ნოემბერი

ნაყოფები ვითარდება მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში ადგილის კლიმატური პირობების მიხედვით, სრულ სიმწიფეს აღწევენ ნოემბერში. ყვავილების განაყოფიერებისა და გამონასკვის შემდეგ ნაყოფების განვითარების პროცესში გამოიყოფა ოთხი ქრონოლოგიური პერიოდი:

პირველი ცხრა კვირის განმავლობაში (მაისი-აგვისტო) ნაყოფი ჩქარა ვითარდება და აღწევს საბოლოო ზომას. შემდგომ ოთხ კვირაში (აგვისტო-სექტემბერი) ნაყოფის ზრდა მიმდინარეობს შენელებულად, ხოლო თესლები იწყებს შეფერილობის შექმნას. 14-18 კვირის განმავლობაში (სექტემბერი-ოქტომბერი) ნაყოფის ზრდა კვლავ ჩქარდება, ხოლო თესლები ხდება მუქი ყავისფერი. სუკანასკნელ 19-21 კვირას (ოქტომბერი-ნოემბერის დასაწყისი) ნაყოფის ზრდა თითქმის მთლიანად წყდება, მატულობს მასში შაქრის შემცველობა, ხოლო თესლები ღებულობს შავ ფერს. ამ პერიოდის ბოლოს თესლები თითქმის მწიფეა, შეიძლება მათი მოკრეფა და მაცივარში მოთავსება.

მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში, მცენარეები ტენით უზრუნველყოფილი იყო. როგორც ცნობილია Nნიადაგში ტენის მცირე შემცველობა და ჰაერის დაბალი შეფარდებითი ტენიანობა უარყოფითად მოქმედებს ნაყოფის სიდიდესა და მის გემურ თვისებებზე. Nნაყოფის სიდიდეზე უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე მსხმოიარე ნაზარდების ცუდი განათება.

მცენარეები ვეგეტაციას წყვეტენ სადღეღამისო ტემპერატურეს 10⁰ ქვევით დაცემის შემდეგ. ჩინურ აქტინიდიას აქვს ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი (260-280 დღე). Nნაყოფების მომწიფების პარალელურად მიმდინარეობს ფოთოლცვენა, სრული ფოთოლცვენა ვეგეტაციის დამთავრების მაჩვენებელია. დაკვირვებებმა ჩინური აქტინიდიის ვეგეტაციური განვითარების ფენოლოგიური ფაზების მსვლელობაზე გვიჩვენა რომ, ისინი განსაზღვრული თანმიმდევრობით მიმდინარეობენ, Y

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ. მეგრელიძე - ჩინური აქტინიდიის ახალი ჯიშური ფორმების სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშან-თვისებები დასავლეთ საქართველოს პირობებში. ავტორეფერატი, ქუთაისი 2002წ.
2. ქ. ქუთელია - დასავლეთ საქართველოში აქტინიდიის კულტურის აგროეკო-



ლოგიურ თავისებურებათა შესწავლა და მისი წარმოების აგროტექნიკური დახასიათება (მონოგრაფია). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი 2009წ.

Actinidia plant phenological phases observation process results (Kutaisi 2016-2017)

Ugulava Vladimer

Agriculture Academic Doctor, Associate Professor

Kutelia Ketevan

Agriculture Academic Doctor, Assistant Professor

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Abstract

Key words: Phenological, vegetation, sprout, flowering

Observations on phenological phases of Actinidia plant is the oldest and the main method to record annual cycle of the plant. Phenological observation implies visual registration of all the phenological phases.

According to our observation, Actinidia culture has the following phases: start of vegetation process, germination, shoot growth, massive vegetation, budding, blooming start, massive blooming and the end of blooming, setting, fruit ripening, defoliation, vegetation process end.

Actinidia chinensis is a typical damp subtropical climate deciduous plant. It is specified with high frost-resistance (-16 -17°C) and has a long winter sleeping(rest) period. On basis of the literary materials and our observations, germination of Actinidia plant starts early, before the rise of temperature over 10°C and the start of intensive vegetation (accompanied by leaf opening and shoot growth recorded by us), that starts after some period since the temperature exceeds 10°C.

Dynamics of the above mentioned phenological phases is submitted in tables #1 according to the points and years.

Start of the phenological phases differs according to years. The earliest start of the process of the plant was recorded on Kutaisi test bases in 2016 (10.02) and ten days later in 2017 (17.02).

Germination of Actinidia plant starts in two weeks or more time since the beginning of vegetation process (from February 28 to March 17) and differs according to years. In 2017 it took place 5-7 days later (3.03), than in 2016(27.02).

Actinidia chinensis yield depends on shoot growth dynamics. So, the start of vegetation and massive vegetation are very important among vegetation phenological phases. Based on our observation, shoot growth phase on average lasts from March 5 to April 3 period. It is almost the same in 2016-2017. According to the years, during the observation period budding started in spring, at the beginning of April in 2016 (1.04) and 2017 7 days later(7.04.).

Male plants start budding earlier (the difference between male and female plants is two-days period). Blooming starts in two weeks(10-15 days) since budding. It ranges from May 15 to May 27. In 2016, blooming started in Kutaisi on 15.05. and on 20.05. in 2017.

The blooming process runs gradually, for 7-8 days per plant. Female flowers are ready to pollinate after opening. Maturation and opening of male stamens take place after the flower opening. Pollen is spread by wind and insects, but from the practical point of view, only wind is not enough for the process. Such insect-pollinators as bees should be used in the plantation.

According to our observation, plants begin setting in 10-15 days since the start of the blooming period. In 2017, it took place from 3.06. to 7.07.

According to the climatic conditions, fruits grow during the whole summer and autumn. They are ripe in November. There are four chronological periods of fruit growth process after pollination and setting. During the first nine weeks (May-August) fruit grows quickly and reaches the final size.



For the next four weeks (August-September), fruit growth is slow and seeds change the colour. During 14-18 weeks (September-October), fruit growth is accelerated and seeds become dark brown. In the last phase (19th-21th weeks-October-beginning of November), fruit stops growing, sugar level rises and seeds become black. At the end of this period, seeds are almost ripe. They can be picked and put in the fridge.

Plants stop vegetation process since the temperature falls below 10°C . Actinidia chinensis is specified with a long vegetation period (260-280days). Fruit ripening and defoliation processes are simultaneous and the total defoliation is a vegetation process end indicator. Actinidia chinensis vegetation development phenological phases observation showed, that they run consequentially



წინასწარი დამუშავების მეთოდების გავლენა მანდარინის (C.Unshiu) გადამუშავების ნარჩენების ანტიოქსიდანტურ აქტივობაზე

ქარცივაძე ინგა

დოქტორანტი

ჩიქოვანი დარეჯანი

აკადემიური დოქტორი, მეცნიერი თანამშრომელი

არძენაძე მერაბი

აკადემიური დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ქამადაძე ელზა

მაგისტრი, ქიმიკოსი

თელია ქეთინო

მაგისტრი, ტექნოლოგი

კობლატაძე ლია

მაგისტრი, ქიმიკოსი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

მანდარინის წვენების წარმოების ნარჩენები (გამონაწენები) შეიცავს ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ფართო სპექტრს (პოლიფენოლები, კაროტინოიდები, ვიტამინები, ფერმენტები, საკვები ბოჭკოები და სხვა), რომლებიც ხასიათდება ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედებით. მოცემული სამუშაოს კვლევები მიმართული იყო, დაგვედგინა მანდარინის ნარჩენების წინასწარი დამუშავების (შრობა 55-60°C, გაყინვა-18°C, სულფიდაცია $K_2S_2O_5$ -ით 1,5გრ/1კგ. ნედლე მასაზე) გავლენა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების: კაროტინოიდებისა, ფლავანოიდების, C ვიტამინის შემცველობასა და ანტიოქსიდანტური აქტივობის ხარისხზე. C ვიტამინი განისაზღვრა ტიტრაციისა მეთოდით, საერთო ფლავანოიდების რაოდენობრივი ანალიზი ჩატარდა სპექტროფოტომეტრული მეთოდით დიმეთილსულფოქსიდის (DMCO) თანაობისას; კაროტინოიდების შემცველობა განისაზღვრა სპექტრომეტრული მეთოდით მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, ანტიოქსიდანტური აქტივობა განისაზღვრა DPPH (2,2 დიფენილ-1-პიკრილ-ჰიდრაზინი) მეთოდით.

კვლევის შედეგების შედარებითა ანალიზმა გვიჩვენა, რომ C ვიტამინის მაღალი შემცველობით (97,27მგ/%) გამოირჩევა სულფიდირებული გამონაწენი, შემდეგ გაყინული (85,50მგ/%), გამშრალი ნარჩენი (37,79მგ/%) კაროტინოიდების შემცველობა მაღალია სულფიდირებულში, გამ-



შრალში კი 40%-ით ნაკლები, რაც გამოწვეულია ტემპერატურის ზემოქმედებით. ფლავანოიდების რაოდენობრივი მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ გამშრალ გამონაწნებში მათი შემცველობა ჩამორჩება გაყინულსა და სულფიდირებულს. C ვიტამინის, კაროტინოიდებისა და ფლავანოიდების მაღალი შემცველობა განაპირობებს შესაბამისად ანტიოქსიდანტური აქტივობის მაღალ ხარისხს. მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით გამოირჩევა სულფიდირებული გამონაწნები. გამომდინარე აქედან, სულფიდაცია შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც ნარჩენების შენახვის ალტერნატიული მეთოდი შემდგომი სამრეწველო გამოყენებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მანდარინის ნარჩენები, ფლავანოიდები, კაროტინოიდები, რაოდენობრივი ანალიზი, DPPH.

1. შესავალი

ციტრუსოვნები მიეკუთვნება *Rutaceae* ოჯახს, რომლებიც მოიცავენ ფორთოხალს, მანდარინს, ლაიმს, ლიმონს, მჟავე ფორთოხალს (ბიგარადია) და გრეიფრუტს, რომლებიც ცნობილია ადამინის ორგანიზმისათვის ბევრი სასარგებლო ნივთიერებების შემცველობით(1).

მსოფლიოში ციტრუსოვანთა მოვლა მოყვანა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში და მისმა წლიურმა წარმოებამ 110 მილიონ ტონას მიაღწია(2), რომელთაგან ფორთოხალი წარმოების მოცულობით პირველ ადგილზეა და მისი წლიური მოსავლიანობა დაახლოებით 50 მილიონ ტონაა. მანდარინი კი მეორე ადგილზეა ფორთოხლის შემდეგ და მისი მოცულობა მატულობს მზარდი ტემპით (3)

საქართველოში ციტრუსოვან კულტურათა შორის მანდარინი (C.Unshiu) ფართოდაა გავრცელებული. ყოველწლიურად მისი საშუალო მოსავალი 70 000 ტონაა, აქედან საშუალოდ 15-20% არაკონდიციონირებული ნაყოფებია, რომლებიც ექვემდებარება გადა-მუშავებას სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების მისაღებად. მანდარინის ნაყოფების სამრეწველო გადამუშავების ძირითად პროდუქტს წარმოადგენს წვენი (4).

ხშირ შემთხვევაში წვენების წარმოების ნარჩენებს (კანი, რბილობის ნაწილი) ყრიან, რომელიც შეადგენს გადამუშავებული ნედლეულის 50-60%-ს მიუხედავად იმისა, ის როგორც ნარჩენი შეიცავს მეორადი კომპონენტების ფართო სპექტრს, რომელსაც ახასიათებს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება ციტრუსის ნაყოფის სხვა ნაწილებთან შედარებით და ითვლება ფუნქციონალური პროდუქტების, კომპონენტების პოტენციურ წყაროდ (5,6,7,8).

მანდარინს, როგორც სხვა სახის ციტრუსებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი კვებითი ღირებულება, რაც გამოწვეულია მასში შემცველი ქიმიური ნივთიერებებით. მანდარინის კანი ითვლება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და ნაერთების წყაროდ, როგორცაა პოლიფენოლები, კაროტინოიდები, ვიტამინები, ფერმენტები და საკვები ბოჭკოები. სხვა კომპონენტებს შორის ფლავანოიდები განსაკუთრებით პოლიმეტოქსიფლავანოლი და ფლავანონი (ჰესპერიდინი და ნარინგინი) იდენტიფიცირებულია როგორც ციტრუსოვანთა რბილობში ასევე კანში (9,10,11,12,13). ციტრუსოვნებში C ვიტამინის (ასკორბინ მჟავა) მაღალი კონცენტრაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის ჯანმრთელობისა და კვების საქმეში. A ვიტამინი ერთადერთი ზეთში ხსნადი ვიტამინია, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობითაა კაროტინოიდების სახით, ამასთანავე კაროტინები და β-კრიპტოქსანტინი ითვლებიან A ვიტამინის პრეკურსებად (14,15).



ციტრუსოვანთა ნარჩენები წყალის მაღალი შემცველობის გამო (2,79-3,79 გრ. წყალი/ერთ გრ. მშრალ მასზე) მალეფუჭებადია, სწრაფად იწყება მიკრობული დუღილის, ამჟავების და სხვა პროცესები, მათი შენახვა შესაძლებელია მხოლოდ 2-3 დღე-ღამე. საქართველოში არსებულ წველების დამამზადებელ საწარმოებში დღე-ღამის განმავლობაში წარმოიქმნება დაახლოებით 160-180 ტონა ნარჩენი, რომლის უწყვეტ რეჟიმში გადამუშავება, რაციონალური ტექნოლოგიის არსებობის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც აუცილებელია, მანდარინის გადამუშავების ნარჩენების შენახვის გახანგრძლივების მიზნით გამოყენებული იქნას დამუშავების(შენახვის) სხვადასხვა მეთოდი, მოხდეს ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების შესწავლა, მცირე ან უნარჩენო ტექნოლოგიების შემუშავება.

მოცემული სამუშაოს მიზანია C ვიტამინისა (ასკორბინ მჟავას), კაროტინოიდებისა და ფლავანოიდების საერთო რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა მეთოდით დამუშავებული მანდარინის გამონაწნეხებში (გამშრალი, გაყინული და სულფიდირებული (დამუშავებული კალიუმის პიროსულფატით) და მათი ანტიოქსიდანტური აქტივობის დადგენა.

2. კვლევის მასალები და მეთოდები

ექსპერიმენტისათვის აღებული იქნა მანდარინის ჯიში საცუმა (C. Unshiu), რომელიც მოიკრიფა 2019 წლის თებერვლის თვეში, დასავლეთ საქართველოს აჭარის შავი ზღვის ზოლში. მოკრეფილი მანდარინი გაირეცხა და წველის მისაღებად გატარდა იტალიური წარმოების (Bertuzzi) ვალცურ ექსტრაქტორზე. კვლევებისათვის გამოყენებული იქნა წველის მიღების შემდგომ წარმოქმნილი მანდარინის ნარჩენი (გამონაწნეხი-კანი, რბილობის ნაწილებით). ახლად მიღებულ გამონაწნეხი დაქუცმაცდა 0,5-0,8 მმ ზომის ნაწილაკებად და გაიყო ოთხ პორციად: 1-კონტროლი, ყოველგვარი დამუშავების გარეშე; 2-გამონაწნეხი გაიყინა -25°C ტემპერატურაზე და შეინახა -18°C ; 3-გამონაწნეხი გავაშრეთ $45-50^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის ჰაერის ნაკადის შებერვით და ინახებოდა ბნელ, გრილ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე; 4-სულფიდირებული (მანდარინის გამონაწნეხი დამუშავდა კალიუმის პიროსულფატით ($\text{K}_2\text{S}_2\text{O}_5$) 1,5გრ/კგ. ნედლ მასაზე. ინახებოდა გრილ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე. ასკორბინის მჟავას შემცველობა განისაზღვრება ტიტრაციის მეთოდებით; საერთო ფლავანოიდების რაოდენობრივი ანალიზი ჩატარდა სპექტროფოტომეტრული მეთოდით დიმეთილსულფოქსიდის (DMCO) თანაობისას; კაროტინოიდების შემცველობა განისაზღვრა სპექტრომეტრული მეთოდით; ანტიოქსიდანტური აქტივობა განისაზღვრება DPPH (2,2 დიფენილ-1-პიკრილჰიდრაზინი) მეთოდით, გაანგარიშებული იქნება კორელაცია მანდარინის გამონაწნეხის ანტიოქსიდანტურ აქტივობასა და ბიოაქტიური ნაერთების შემცველობას შორის.

3. კვლევის შედეგები

მანდარინის ნაყოფი, ასევე მისგან წველის წარმოების შემდგომ წარმოქმნილ ნარჩენებში მდიდარია ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნაერთებით, მათ შორის C ვიტამინით, კაროტინოიდებითა და პოლიფენოლური ანტიოქსიდანტებით (16). დაკვირვების შედეგად დადგენილია, რომ თუ მოხდება ასკორბინ მჟავის საწყისი რაოდენობის მაქ-



სიმაღურად შენარჩუნება სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების რაოდენობაც კარგადაა შენარჩუნებული(17). შესაბამისად შენარჩუნებული იქნება მიღებული ნახევარ-ფაბრიკატის ან პროდუქციის ანტიოქსიდატური აქტივობის მაღალი მაჩვენებელი. ამიტომაც კვლევების დროს სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებს შორის მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა C ვიტამინის შემცველობის კვლევაზე. პირველ რიგში ნარჩენებში(დამუშავებამდე) განისაზღვრა საკვლევ ნივთიერებათა საწყისი მონაცემები. ჩატარებული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი1-ში მოცემული მონაცემები გვიჩვენებს, რომ მანდარინის წვენი წარმოების ნარჩენები გამოირჩევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით: საერთო ფლავანოიდები ($2,24 \pm 0,12$ გრ/100გრ), კაროტინოიდები ($17,8 \pm 0,34$ მგ/100გრ), C ვიტამინი ($39 \pm 1,12$ მგ/100გრ). მანდარინის კანი (ნარჩენი) გაცილებით მეტი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდატურ ნივთიერებებს ვიდრე რბილობი და წვენი (18). სამივე მეთოდით დამუშავებული გამონაწნები ინახებოდა 120 დღის განმავლობაში შესაბამისი შენახვის პირობების გათვალისწინებით და შემდგომ ჩატარდა C ვიტამინის, ფლავანოიდებისა და კაროტინოიდების რაოდენობრივი ანალიზი.

ცხრილი 1. მანდარინის ნარჩენის(კონტროლი) ძირითადი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები ნედლ მასაზე გადაანგარიშებით

მაჩვენებლის დახასიათება	შედეგი
შშრალი ნივთიერება რეფრაქტომეტრით, %	$10,21 \pm 0,65$
შშრალი ნივთიერება, გამოშრობით, %	$20,44 \pm 0,88$
ტიტრული მჟავიანობა ლიმონმჟავაზე გადაანგარიშებით (PH8,1),%	$0,28 \pm 0,20$
საერთო ფლავანოიდები, გრ/100გრ	$2,24 \pm 0,12$
კაროტინოიდები, მგ/100გრ	$17,8 \pm 0,34$
C-ვიტამინი, მგ/100გრ	$39 \pm 1,12$

ცხრილი2-ში მოცემული კვლევის შედეგების შედარებითა ანალიზმა გვიჩვენა, რომ C ვიტამინის მაღალი შემცველობით ($97,27$ მგ/%) გამოირჩევა სულფიდირებული გამონაწნები, შემდეგ გაყინული ($85,50$ მგ/%) და გამშრალი ნარჩენი ($37,79$ მგ/%) კაროტინოიდების შემცველობა მაღალია სულფიდირებულში, გამშრალში კი 40%-ით ნაკლები, ხოლო გაყინული შეიცავს 14%-ით ნაკლებს. რაც შეეხება საერთო ფლავანოიდებს, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ გამშრალ გამონაწნებში მათი შემცველობა ჩამორჩება გაყინულსა და სულფიდირებულს.

ცხრილი 2. C ვიტამინის, ფლავანოიდებისა და კაროტინოიდების საერთო შემცველობა ხვდასხვა მეთოდით დამუშავებული მანდარინის გამონაწნებში (შშრალ მასაზე)

გამონაწნების დასახელება	C ვიტამინი	ფლავანოიდური სუბსტრაქტი	კაროტინოიდები
	მგ/%	გრ/100გრ	მგ/%
გაყინული	85,50	10,21	14,43
გამშრალი	37,79	9,92	11,21
სულფიდირებული	97,27	10,88	16,90



ცხრილი 3 -ში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ დახარჯული ნიმუშის რაოდენობა ყველაზე უფრო მცირეა სულფიდირებული გამონაწნების შემთხვევაში (4,89გრ), რაც ამტკიცებს იმას, რომ იგი გამოირჩევა მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით, შემდეგ მოდის გაყინული (7,53გრ) და გამშრალი (9,72გრ). რაც უფრო ნაკლებია საკვლევი ნიმუშის ხარჯი მით უფრო მაღალია შესაბამისი ნიმუშის ანტიოქსიდანტური აქტივობის მაჩვენებელი.

ცხრილი2-სა და ცხრილი3-ში მოყვანილი მონაცემების შედერება გვიჩვენებს, რომ C ვიტამინის, კაროტინოიდებისა და ფლავანოიდების მაღალი შემცველობა განაპირობებს შესაბამისად ანტიოქსიდანტური აქტივობის მაღალ ხარისხს.

ცხრილი 3.დამუშავების მეთოდების გავლენა მანდარინის გამონაწნების ანტიოქსიდანტური აქტივობა

გამონაწნების დასახელება	შრალი ნივთიერების შემცველობა,%	AA 50% ინჰიბირება, მგ ნიმუშის (ნედლი მასაზე)	AA DPPH-ის 50%ინჰიბირება, მგ ნიმუშის(შშრ. მასაზე)
გაყინული	27,33	27,54	7,53
გამშრალი	84,64	11,44	9,72
სულფიდირებული	17,27	28,33	4,89

კვლევებმა გვიჩვენა, რომ მანდარინის წვენი წარმოების ნარჩენები (გამონაწნები) ითვლება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების პოტენციურ წყაროდ, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მათ ანტიოქსიდანტურ აქტივობაზე. მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით გამოირჩევა კალიუმის პიროსულფატით შენახული, სულფიდირებული გამონაწნები. სხვა შემთხვევაში დამუშავებამ და შენახვამ გამოიწვია ანტიოქსიდანტური აქტივობის შემცირება. დამუშავებისა და შენახვის სულფიდაციის მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ნარჩენების შენახვის ალტერნატიული მეთოდი შემდგომი სამრეწველო გამოყენებისათვის.

სტატიაში მოყვანილი კვლევები ჩატარებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის (საგრანტო ხელშეკრულება № 0111-14.02.2019) „დასავლეთ საქართველოში ინტროდუცირებული ციტრუსოვნების ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა, მანდარინის ანარჩენის ქიმიური შედგენილობის კვლევა და მისი გადამუშავების მცირენარჩენიანი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის შემუშავება“ ფარგლებში.



გამოყენებული ლიტერატურა

1. Citrus peel as a source of functional ingredient: A review Author links open overlay panel Shafiya Rafiq^a Rajkumari Kaul^a S.A. Sofi^a Nadia Bashir^a Fiza Nazir^b Gulzar Ahmad Nayik^c
2. Blauer (2016) Blauer R. Citrus: world markets and trade — USDA Foreign Agricultural Service, USDA Foreign Agricultural Service. 2016. <http://www.fas.usda.gov/data/citrus-world-markets-and-trade>. [28 February 2016]. <http://www.fas.usda.gov/data/citrus-world-markets-and-trade>
3. USDA: United States Department of Agriculture/Foreign Agricultural Service, 2010. Citrus: World Markets and Trade Available from: <http://www.fas.usda.gov>. Accessed 28.09.2010.
4. კორთაძე ნ., არძენაძე მ., ბაკურიძე ლ., ბერაშვილი დ. „ციტრუსის გადამამუშავების ნარჩენებიდან P-ვიტამინური აქტივობის სუბსტრაციის მიღება“. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული ტ.50, ტბილისი 2016წ. გვ.74-76.
5. J.A. Manthey, K. Grohmann Phenols in citrus peel byproducts. Concentrations of hydroxycinnamates and polymethoxylated flavones in citrus peel molasses J. Agric. Food Chem., 49 (7) (2001), pp. 3268-3273 [CrossRef View Record in Scopus](#)
6. Jayathilakan, K., Sultana, K., Radhakrishna, K. and Bawa, A.S. 2012. Utilization of Byproducts and Waste Materials from Meat, Poultry and Fish Processing Industries: A Review. *J. Food Sci. Technol.*, **49(3)**: 278-293
7. Murakami, A., Nakumara, Y., Ohto, Y., Yano, M., Koshiha, T. and Koshimizu, K. 2000. Suppressive Effects of Citrus Fruit on Free Radical Generation and Nobelitin, an Anti-inflammatory Polymethoxy Flavonoids. *Biofactor.*, **12**: 187-192
8. Schieber, A., Stintzing, F. C. and Carle, R. 2001 By-products of Plant Food Processing as a Source of Functional Compounds: Recent Developments. *Trend. Food Sci. Technol.*, **12**: 401-405
9. Ajila, C. M., Bhat, S. G. and Rao, S. P. 2007. Valuable Components of Raw and Ripe Peels from Two Indian Mango Varieties. *Food Chem.*, **102(4)**: 1006-1011.
10. Mouly P., Gaydou E.M., Auff ray A. (1998). Simultaneous separation of flavanone glycosides and polymethoxylated flavones in citrus juices using liquid chromatography. *J. Chromatogr.* 800:171-179
11. Oufedjikh H., Mahrouz M., Lacroix M., Amiot M.J., Taccini M. (1998). The influence of gamma irradiation on flavonoids content during storage of irradiated Clementine. *Radiat. Phys.Chem.* 52: 107-112
12. Del Caro A., Piga A., Vacca V., Agabbio M. (2004). Changes of flavonoids, vitamin C and antioxidant capacity in minimally processed citrus segments and juices during storage. *Food Chem.* 84: 99-105
13. Wang, Y.-C., Chuang Y.-C., Hsu H.-W. (2008). The flavonoid, carotenoid and pectin content in peels of citrus cultivated in Taiwan. *Food Chem.* 106: 277-284
14. Mapson LW. 1967. *Biochemical systems. In: Sebrell WH, Harris RS, editors. The vitamins. Vol. 1. 2nd ed. New York : Academic Press. p 386-98*
15. Ting SV. 1977. *Nutritional labeling of citrus products. In: Nagy S, Shaw PE, Veldhuis MK, editors. Citrus science and technology. Vol. 1. Westport, Conn. : AVI Publishing Company. p 401-43*
16. F. Anwar, R. Naseer, M.I. Bhanger, S. Ashraf, F.N. Talpur, F.A. Aladededune **Physicochemical characteristics of citrus seeds and oils from Pakistan** *J. Am. Oil Chem. Soc.*, 85 (2008), pp. 321-330)
17. Fennema O. R. (1977). *Loss of vitamins in fresh and frozen foods.* Food Technology, Vol. 31, no.12, pp. 32.
18. M.A. Awad, A. de Jagar, L.H. van der Plas, A.R. van der Krol: Flavonoid and chlorogenic acid changes in peel of ‘Elstar’ and ‘Jonagold’ apples during development and ripening. *Sci. Hortic.* **90** (2001) 69-83.

The influence of Preprocessing methods on antioxidant Activity of



Mandarin (C.Unshiu)Waste

Ardzenadze Merab

Academic Doctor, Scientific worker

Kartsivadze Inga

Ph.D

Chikovani Darejan

Academic Doctor, Scientific worker

Kamadadze Elza

Master, Chemist

Telia Qetino

Master, Head of Technology District

Koplatadze Lia

Master, Chemist

Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia.

Abstract

Key words: Mandarin Waste, Flavonoids, Carotenoids, Quantitative Analysis, DPPH

Citruses are in a *Rutaceae* family , that comprises orange, mandarin, lime , lemon, acid orange and grapefruit , known as healthful of human body. The most widespread among Citrus family in is Mandarin (C. Unshiu). Average season crop is 70 000 Tons, from where 15-20% is a non-standart , that can be manufactured in a various of food products . The main industrial product of mandarin is Juice.

In many cases , wastes of juice production , are dumped (Peel, Part of Pulp), that is 50-60% of manufactured product . Mandarin peel/waste is the source of biologically active compounds and substances, such as polyphenol, carotinoids, vitamins and Edible fibers. Among other compounds , flavonoids(especially Polymethoxyflavanol and flavanone(hesperidin and naringin)) are identified not only in citrus peel , but also in a pulp. High concentration of vitamin C is the essential factor for human health. Vitamin A is one and only vitamin soluble in oil, that is with big volume in mandarin fruit and also manufactured waste, In the form of carotenoids. In addition, carotenes and β -kryptoxanthin are considered precursors of vitamin A.

The wastes of citrus is a perishable, because of high content of water(2,79-3,7gr. water/1 gr. Dry mass), Microbial fermentation, acidation and other process begins rapidly. Its storage might be 2-3 days. Approximately 160-180 tons of waste is produced in juice manufacturing factories, it's Continuous processing is impossible. That's why we have to use some types of cultivation(storage) of wastes and must be learned physical-chemical indicators, for it's future usage.

The aim of current workshop researches was to identify mandarin waste pre-cultivation influence on quality of biologically active substances.

For the experiment, it was taking mandarin type Satsuma (C. Unshiu), that was picked up on February/2019. For the researches, it was used, mandarin waste formed after getting mandarin juice (Peel, with pulp). Newly got waste was chopped with 0,5-0,8mm particles/pieces and was processed as next: freezed on -25°C and stored on -18°C . After that it was dried on $45-50^{\circ}\text{C}$ by inhaling air flow and was stored in a dark and cool place (room temperature). It was treated with potassium pyrosulphate ($\text{K}_2\text{S}_2\text{O}_5$) 1.5 g / kg. on crude mass, stored in a cool place at room temperature. Ascorbic acid content is determined by titration methods; Quantitative analysis of total flavonoids was performed by spectrophotometric method in the presence of dimethyl sulfoxide (DMCO); The content of carotenoids was determined by spectrometric method; Antioxidant activity is determined by the DPPH (2,2-diphy-nyl-1-picrylhydrazine) method. The results of the study showed that the residues produced after the production of mandarin juice are rich of human health benefits: Common flavonoids (2.24 ± 0.12 g / 100 g), Carotenoids (17.8 ± 0.34 mg / 100 g), C-Tamine (39 ± 1.12 mg / 100 g). Tangerine skin (residue) contains much more antioxidants than pulp and juice.



Waste treatment (freezing, drying, sulphidation) and storage affects the content of biologically active compounds and decreases relative to the initial rate depending on the method used by different percentages. A comparative analysis of the results of the study showed that a high content of vitamin C (97.27 mg /%) yields sulfidated extract, then frozen (85.50 mg /%) and dried residue (37.79 mg /%); Carotid nodules are high in sulfur, 40% less in dry matter, and frozen in less than 14%. As for the common flavonoids, their quantities do not differ much from one another, but in the dry flush they are frozen and sulfurized.

Researches showed, that the wastes of mandarin juice production, is a source of biologically active substances, that on its antioxidant action. The high content of C vitamin, carotenoid and flavonoid determines the high quality of antioxidant action. Sulfurized waste stored by Potassium pyrosulphate, stands out with the high antioxidant action. If it was treated and stored with another way, antioxidant action will decrease. The sulfidation method of treatment and storage, can be used for an alternative way in a future industrial usage.



საქართველოში შემოყვანილი ჰოლშტინური ჯიშის ფურების კლინიკური მაჩვენებლები ცხელ ექსტრემალურ კლიმატურ პირობებში ქილიფთარი ც.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
ბარკალაია რ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
ფირცხალაიშვილი თ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
ჟღენტი თ.

აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, საქართველო

სტატიაში მოცემულია საქართველოში ინტროდუცირებული ჰოლშტინური ჯიშის ფურების კლინიკური მაჩვენებლების ცვალებადობა მაღალი ტემპერატურის მიმართ, პროდუქტიულობასა და შენახვის სისტემასთან კავშირში. დადგინდა, რომ ფურები ცხელი კლიმატის ზონაში შენახვის ტექნოლოგიის მიუხედავად დღის ყველა მონაკვეთში განიცდიან თერმულ სტრესს, რომელიც პროდუქტიულობის ზრდის შესაბამისად ძლიერდება. ცდამ უჩვენა, რომ არარეგულირებადი მიკროკლიმატის გავლენით ცხოველები აღმოჩნდნენ თერმული რისკის ზონაში. ღია ფარდულებში პირუტყვის შენახვის ტექნოლოგიის პირობებში (პირველი ცდა) დილის მაჩვენებლებთან შედარებით შუადღის ტემპერატული პიკის მონაკვეთში, ფურების სუნთქვის სიხშირემ მოიმატა 63.8 %-ით, პულსი გადიდებული იყო 10 %-ით, ხოლო ორგანიზმის ტემპერატურა-3.6% -ით. ცხოველები აშკარად ავლენდნენ თერმული შოკისათვის დამახასიათებელი ქცევის ნიშნებს (ქოშინი, გაძლერებული ოფლდენა და სხვა). ფიზიოლოგიური ტესტების ნორმებიდან მნიშვნელოვანი გადასვლის დაახლოებით ანალოგიურ სურათი დაფიქსირდა ფერმაში, სადაც ფურების შენახვა ხდებოდა დახურულ სადგომში უფრო დაბალ ტემპერატურაზე, მაგრამ სადგომის ჰაერის არასაკმარისი აერაციის ვითარებაში (მეორე ცდა). აქ თერმონეიტრალურ პირობებთან შედარებით, შუადღეზე ფურების სუნთქვის სიხშირე გაიზარდა 51.7 %-ით, პულსი -30 %-ით და ორგანიზმის ტემპერატურა 1.8%-ით.



I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
 „ახალი ინოვაციები“
 I INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
 “NEW INOVATIONS”



გაზრდილი კლინიკური კონსტანტები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა სადამოს საათებშიც. ამის გამო გახანგრძლივდა თერმული სტრესის მოქმედების პერიოდი. შედეგად დაქვეითდა ცხოველების მადა და მონაწველი, რბის ცხიმიანობა.

საკვანძო სიტყვები: ექსტრემალური კლიმატი, თერმული რისკის ზონა, კლინიკური პარამეტრები, შენახვის ტექნოლოგია

საქართველოში მეძროხეობის დარგის ინტენსიფიკაციის მიზნით უკანასკნელ წლებში ევროპის ქვეყნებიდან თანამედროვე ტექნოლოგიების ფერმებში შემოყვანილია 5000 სულზე მეტი ჯიშისანი პირუტყვი, რომელთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობის მაღალმერძეული ჰოლშტინური ჯიშის ცხოველებია. მათ ეფექტიან მოშენებას და სამეურნეო გამოყენებას დიდ პრობლემებს უქმნის ცხოველების არახელსაყრელი საარსებო გარემო, არაბალანსირებული მწირი კვება, შენახვის არასრულყოფილი ტექნოლოგიები და ექსტრემალური კლიმატური პირობები, რაც შეძენილი პირუტყვის ადაპტაციისა და აკლიმატიზაციის პროცესს ახანგრძლივებს. შედეგად ხდება ცხოველების დაკნინება, ხშირად კი ნაადრევი წუნდება. რამდენადაც დიდია სხვაობა შემოყვანამდე და ახალ საარსებო გარემოს შორის, მით უფრო რთულია ადაპტაციის პროცესი. განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება ცხოველზე გარემოს ცხელი კლიმატი, რომელიც ინტენსიური მეძროხეობის ზონისათვის (საქართველოს ბარი) არის დამახასიათებელი. იგი იწვევს სითბური სტრესების წარმოშობას, პირუტყვის სხვადასხვა დაავადებების გავრცელებას, ცხოველთა დაკნინებას, პროდუქტიულობისა და ნაყოფიერების მნიშვნელოვან შემცირებას. ასეთი ფაქტები ქვეყანაში საკმაოდ ხშირია. ლიტერატურული წყაროებით მაღალპროდუქტიული ჯიშებისათვის ცხელი კლიმატის გავლენით გამოწვეული ზარალი 1 ფურზე 400 ევროს შეადგენს, საიდანაც 80 გამოწვეულია პროდუქტიულობის შემცირებით (5, 6)

ტემპერატურის და ტენიანობის პარამეტრები, რომელშიც ცხოველი თავს კომფორტულად გრძნობს, სხვადასხვა ავტორების მონაცემებით არის შესაბამისად 5-დან 25 გრადუსი, ტენიანობა 50%. ამჟამად კლიმატის ორივე მაჩვენებლის კომბინირებული მოქმედების გათვლის მიზნით განსაზღვრავენ THI-ის კონსტანტებს, რომლის სკალა დაზუსტებული იქნა არიზონას უნივერსიტეტის პროფესორების მიერ 2011 წელს (3). ამ სკალით მაღალპროდუქტიული ცხოველებისათვის ტემპერატურის კომფორტის ზედა ზღვრად მიიჩნეულია 20-22 გრადუსი, ტენიანობა 45%, რაც შეესაბამება 68 THI-ს. ამის ზემოთ ცხოველებს ექმნებათ დისკომფორტი. რამდენადაც ექსტრემალური კლიმატის მიმართ ცხოველების რეაქცია და უარყოფითი ეფექტები დიდია ჯიშისანი პირუტყვის შეძენისა და შემოყვანის დროს, საჭიროა ცხელი და ცივი კლიმატის მიმართ მათი ამტანობის უნარის გამოცდა, რაც აუცილებლობის, მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში არ ხდება.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჰოლშტინური ჯიშის შემოყვანილი პირუტყვის ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებლის შესწავლა ექსტრემალურ ცხელი კლიმატისა და შენახვის სხვადასხვა ტექნოლოგიის პირობებში.

ცდები შესრულებული იქნა ახალმოგებულ ფურებზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის ს. თელეთის შპს“მარგებლის“ მეძროხეობის ფერმაში, რომელიც მდებარეობს ცხელი კლიმატის ზონაში. აქ პირუტყვის შენახვა ხდება თავისუფალი - ჯგუფური წესით, მსუბუქი



ტიპის ღია ფარდულეებში. ამიტომ ფარდულსა და მის გარეთ ტემპერატურული სხვაობა მნიშვნელოვანი არ არის. ანალოგიური კვლევები შესრულდა ახმეტის მუნიციპალიტეტის შპს „მწვანე რანჩოს“ ფერმაში, ცხოველების დახურულ სადგომში ჯგუფური შენახვის პირობებში, სადაც კლიმატის რეგულაციის მიზნით გამოყენებულია ვენტილატორები და იატაკის წყლის ჭავლით გაგრილება. ორივე ფერმაში ზაფხულის ცხელ დღეებში დილას-6- 7 სთ; შუადღეზე 13-15 სთ (ტემპერატურული პიკი); საღამოს 19-21 საათებში შესწავლილი იქნა გარემოს და სადგომის კლიმატური პარამეტრები, პარალელურად განი-

	ფურების შენახვის ტექნოლოგია
--	-----------------------------

საზღვრებოდა საცდელი ფურების მონაწველის სიდიდე და კლინიკური სტატუსი: სუნთქვის სიხშირე, პულსი, ორგანიზმს ტემპერატურა, რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ მარკერებს, რომლითაც შეიძლება შეცვლილ პირობების მიმართ ცხოველის რეაქციის უნარის განსაზღვრა. ტემპერატურა-ტენიანობის ინდექსი -THI (Temperature Humidity Index) გამოთვლილი იქნა გარემო ტემპერატურის ტენიანობასთან შეფარდებით. ორივე ფერმაში შეყვანილი ცხოველები იყო მაღალპროდუქტიული. ფურების კვების ფონი ფერმებში უზრუნველყოფდა 25-კგ -35კგ დღიური მონაწველის მიღებას

ცდის შედეგები და მისი ანალიზი

თელეთის შპს „მარგებლის ფერმაში“ ღია ფარდულში ჰაერის ტემპერატურა დღის სხვადასხვა მონაკვეთში მერყეობდა 24—42 გრადუს შორის, ტენიანობა 34-40%-ს შორის. ტემპერატურა შპს „მწვანე რანჩოს“ ფერმის სადგომში თელეთში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე 14.8-32.7 %-ით ნაკლები იყო, ტენიანობა კი 12.8-18.7%-ით მეტი (ცხრილი 1)

ცხრილი 1. საცდელი ფურების კლინიკური მაჩვენებლები ცხელი ზაფხულის დღის სხვადასხვა მონაკვეთში




**I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
„ახალი ინოვაციები“
I INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
“NEW INOVATIONS”**



მაჩვენებლები	დახურულ სადგომში თავისუფალ-ჯგუფური შენახვა			მსუბუქი ტიპის ღია ფარდულში თავისუფალი-ჯგუფური შენახვა		
	დილა-- ფურების მონაწვე- ლი 17 კგ	შუადღე- ფურე- ბისმო- ნაწველი 16.6 კგ	სადამო-- ფურების მონაწვე- ლი 8.9 კგ	დილა-- ფურების მონაწვე- ლი 8.3 კგ	შუადღე- ფურების მონაწვე- ლი	სადამო- ფურე- ბისმო- ნაწველი 7.4კგ
სადგომის მიკროკლიმატი						
ტემპერატურა, C°	23.5	29	26.6	27	38,3	34.3
ტენიანობა, %	54	55	49.5	37	36,3	36,7
ჰაერის მოძრაობა მ/წ	0.7	1	1	1	1	1
ტემპერატურა-ტენია- ნობის ინდექსი -THI	44.0	59.4	43.6	72.9	106.1	92.6
ფურების კლინიკური მაჩვენებლები						
ფურების ტემპერა- ტურა C°	38.7	39.4	39.2	38.9	40.3	40.1
სუნთქვის სიხშირე წუთში	58	88	75	47	77	74
პულსი წუთში	61.3	79.7	69.3	70	77	76
ფურების კლინიკური მაჩვენებლების ცვლილება, %:						
დღის მონაკვეთები	შუადღე-- დილა	შუადღე- სადამო	სადამო- დილა	შუადღე-- დილა	შუადღე- სადამო	სადამო- დილა
ფურების ტემპერატურა C°	101.8	100.5	101.2	103.6	100.5	103.1
სუნთქვის სიხშირე წუთში	151.7	117.3	129.3	163.8	104.1	161.7
პულსი წუთში	130	114.9	113.1	110.0	101.3	108.6

ორივე ფერმის საცდელი ფურები დილის საათებში იმყოფებოდნენ თერმო ნეიტრალურ ზონაში, შუადღისას თელეთის ფურები - თერმული რისკის, ხოლო სადამოს - ძლიერი სტრესის ზონაში (სქემა 1). შპს „მწვანე რანჩოს“ ფურები ზომიერი სტრესის ზონას არ გაცდენიან, თუმცა მათთვის დღის ყველა მონაკვეთში სადგომის ტემპერატურა არ აღმოჩნდა კომფორტული და პრაქტიკულად თერმონეიტრალური ზონა საცდელ ცხოველებს არ ჰქონდათ.



სქემა 1. თერმული სტრესის ზონები

მაღალი ტემპერატურა განსაკუთრებით ნეგატიურად აისახა თელეთის ფერმის ცხოველების ორგანიზმზე. მათ შეეცვალათ ფიზიოლოგიური მაჩვენებლები, ქცევა, შეუმცირდათ კვების დრო.

ფსიოლოგიური ნორმებით ფურების ოპტიმალური ტემპერატურა 38-39.5 გრადუსს, პულსი წუთში 50-70 და სუნთქვის სიხშირე 25- 30-ია. ჩვენს ცდაში ეს ნორმები თერმონეიტრალურ ზონის პირობებშიდაც კი უმეტეს შემთხვევაში დარღვეული იყო. ასე მაგალითად, საცდელი ფურების სხეულის ტემპერატურამ დილის საათში შეადგინა 38, 9 °C, შუადღისას 40.3-ს, ხოლო საღამოს-40.1 °C, პულსი იყო შესაბამისად 70.0; 78.0 და 76.0 დარტმა წუთში. ფიზიოლოგიურ ნორმას მნიშვნელოვნად გასცილდა სუნთქვის სიხშირე. იგი ფურებს დილის საათებში ჰქონდათ 47; შუადღისას -77, ხოლო საღამოს 74 სუნთქვა/წუთში. ამასთან დილის მაჩვენებლებთან შედარებით შუადღის პერიოდში სუნთქვის სიხშირის მატება იყო 63.8 %, პულსი გადიდებული იყო 10 %-ით, ხოლო ორგანიზმის ტემპერატურა-3.6% -ით (ცხრილი 1). ცხოველები აშკარად ავლენდნენ თერმული შოკისათვის დამახასიათებელი ქცევის ნიშნებს (ქოშინი, გაძლერებული ოფლდენა, გადმოგდებული ენა და სხვა). სადგომის უფრო დაბალი ტემპერატურის მიუხედავად, ცხოველების ფიზიოლოგიური ტესტების ნორმებიდან მნიშვნელოვანი გადასვლის დაახლოებით ანალოგიურ სურათი დაფიქსირდა „მწვანე რანჩოს“ ფერმაში, სადაც შუადღისას დილის მონაკვეთთან შედარებით ფურების სუნთქვის სიხშირე გაიზარდა 51.7 %-ით, პულსი -30 %-ით და ორგანიზმის ტემპერატურა 1.8%-ით. როგორც ჩანს კრიტიკული კლიმატის მიმართ ასეთი რეაქცია სადგომის ტენიანობამ გამოიწვია, რომლის მიმართ ცხოველები უფრო მეტად



მგძნობიარეები არიან, ვიდრე მშრალი კლიმატის მიმართ. ნაწილობრივ ეს მოვლენა უნდა აიხსნას ცხოველების მაღალი პროდუქტიულობითაც და გამაგრებელი ხელოვნური ვენტილაციის არასაკმარისი სიმძლავრით. ცხოველების კლინიკური კონსტანტები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა სადამოს საათებშიც. შედეგად გახანგრძლივდა თერმული სტრესის მოქმედების პერიოდი, დაქვეითდა ცხოველების მადა და მონაწველი, რძის ცხიმინობა. თერმული სტრესით გავლენით თელეთის ფერმის ფურები ზაფხულის მთელ პერიოდში საერთოდ დაბალპროდუქტიულები გახდნენ, ხოლო კონკრეტულ ცდაში მათი სადამოს მონაწველი დილის მაჩვენებელთან შედარებით 12 %-ით ნაკლები იყო. მწვანე რანჩოს ფერმაში მონაწველი შემცირდა 48%-ით, რაც ახლოს დგას სხვა ავტორების კვლევებთან (1,4) ყველა ჩვენს მიერ დაფიქსირებული ცვლილება ორგანიზმის ტემპერატურული ჰომეოსტაზის შესანარჩუნებლად მკვეთრად გამოხატული რეაქციაა და მიუთითებს, რომ ექსტრემალურ პირობებში ადაპტაციის ნორმალურად გავლის მიზნით ცხოველები საჭიროებენ მიკროკლიმატის კომფორტული გარემოს შექმნას.

ამდენად, ჰოლშტინური ჯიშის ფურები საქართველოს პირობებში ცხელი კლიმატის ზონაში შენახვის ტექნოლოგიის მიუხედავად განიცდიან თერმიულ სტრესს, რომელიც პროდუქტიულობის დონის შესაბამისად ძლიერდება. ამიტომ მათი შენახვა სადგომებში ხელოვნური გამაგრებლების მოწყობის გარეშე მიზანშეუწონელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ბასილაძე, ც. ქილიფთარი, ე. კალანდია; მაღალი ტემპერატურის გავლენა ინტროდუცირებული ჯიშების ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალური დათბობა და აგრობიომარავალფეროვნება. 4-6 ნოემბერი, 2015ბწ. გვ 380-383
2. გ. გოგოლი, ა. დოღმაზაშვილი ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაცია და ხორცის წარმოების ტექნოლოგია მეძროხეობაში. თბილისი, 2003;
3. Бургос Зимбельман Р. а. Collier RJ Стратегии кормления высокопродуктивных молочных коров в периоды повышенной температуры и влажности Конференция по молочному питанию в трех штатах, 19 и 20 апреля 2011 г.
4. И. Малинин *Тепловой стресс у молочных коров* www.agritimes.ru/articles/1625/teplovoj-stress-u-molochnyh-korov, 2014.
5. Е.Н. Мартынова, Е.А. Ястребова НЕБЛАГОПРИЯТНЫЕ ПАРАМЕТРЫ МИКРОКЛИМАТА КАК ФАКТОР ПОТЕРИ ПРИБЫЛИ ОТ РЕАЛИЗАЦИИ МОЛОКА; НАУКА, ИННОВАЦИИ И ОБРАЗОВАНИЕ В СОВРЕМЕННОМ АПК Материалы Международной научно-практической конференции 11-14 февраля 2014 г.
6. R., et al.. 2003. J. Dairy Sci. 86:E52-E77.
7. 1. St. Pierre, N., Barlow R., O'Neill - C.H. - "Austral. J. Agric. Sci", 1980, 31N2

Clinical Indicators of Holstein Cows Imported to Georgia under Extremely Hot Climate Conditions

Kiliptari T.



Doctor of Agricultural Sciences

Barkalaia R.

Doctor of Agricultural Sciences

Pirtskhalaishvili T.

Doctor of Agricultural Sciences

Zhgenti T.

Master of Agricultural Sciences

Scientific-Research Center of Agriculture, Tbilisi, Georgia

Abstract

Key words: extreme climate, thermal risk zone, clinical parameters, livestock technology

The article describes the changes in clinical parameters of introduced Holstein breed cows to high temperature, in connection with productivity and keeping system. The experiments were conducted on newly calved cows on the farm in Gardabani municipality, Teleti, LTD Margebeli, which is located in the area of the hot climate of Georgia. The farm uses freely group keeping of cattle under the tent of light construction. Therefore, there is no temperature difference under the tent and environment.

There were conducted the analogical studies of cows under the group keeping conditions in the Akhmeta municipality on LTD Mtsvane Rancho's farm, where fans and floor cooling with water flow are used to regulate the climate. There were studied climatic parameters of the cowsheds and the environment in the both farms during the hot summer days in the morning hours 6-7 a.m., afternoon 13-15 p.m. (temperature peak) and evening 19-21 p.m. In parallel mode, the number of milk yield and clinical status of experimental cows were determined. On both farms, experienced cows were in the thermoneutral zone in the morning, in the daytime in Teleti farm - in the zone of thermal risk, and in the evening – in the zone of the strong stress. Mtsvane rancho's farm cows did not are beyond the limits of zone moderate stress, despite the fact that the cowshed temperature throughout the day was not comfortable and actually, the animals were not in thermoneutral area.

Especially high temperature has a negative effect on the organism of cows in Teleti farm. They have changed physiological parameters, behavior and reduced feeding time. Body temperature experimental cows in the morning hours was 38.9°C, in the afternoon - 40.3°C, and in the evening - 40.1°C, heart rate was, accordingly, 70,0, and 78,0 76,0 per minute. Significantly deviated from the physiological norm and respiratory rate. This figure in the morning was 47, in the afternoon – 77, and in the evening 74 breaths per minute. Compared with the morning indicators in the afternoon, the respiratory rate increased up to 63.8%, pulse increased by 10%, and body temperature by 3.6%. In the afternoon the animals clearly showed signs of behavior characteristic of thermal shock (shortness of breath, increased sweating, tongue sticking out and others).

Despite the lower temperature in the Mtsvane rancho's cowsheds, there were recorded approximately similar pattern of significant deviations from the norms of physiological tests of animals. In cows during the afternoon breathing rate increased by 51.7%, pulse-by 30%, and body temperature by 1.8%. Obviously, this reaction to the critical climate caused humidity in the cowsheds, to which the animals were more sensitive than to the dry climate. In part, this phenomenon can be explained by the high productivity of animals and insufficient cooling capacity of artificial ventilation. The clinical constants of the animals did not change significantly in the evening hours. As a result, the period of action of thermal stress increased, which caused a decrease of the appetite of animals, milk yield and fat content. In Teleti farm cows during the summer period significantly decreased the productivity, and our experienced cow's milk evening yield compared to the morning decreased by 12%. In the farm, Mtsvane rancho, the milk yield decreased by 48%. Therefore, despite the keeping technology, Holstein breed cows in the conditions of Georgia in the area of hot climate, suffer thermal stress, which increases accordingly with the level productiveness. Therefore, keeping animals inside the cowsheds without an artificial cooling system is unreasonably.



ძროხის კავკასიური წაბლა ჯიშის მოშენების აქტუალური პრობლემები

ქილიფთარი ც.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

მიტიჩაშვილი რ.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ფირცხალაიშვილი თ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

ჟღენტი თ.

მაგისტრანტი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, საქართველო

სტატიაში განიხილება საქართველოში კავკასიური წაბლა ჯიშის მოშენების მდგომარეობა, პროდუქტიულობის და ექსტერიერის შესწავლის შედეგები. ჩატარებული კვლევებით გამოვლინებულია, რომ კავკასიური წაბლა ჯიშში, ათეული წლებია სანაშენე მუშაობის გარეშე დარჩა, განვითარებაში ჩამორჩა და დაკნინების გზაზე დადგა. ნახირებში მიმდინარეობს ნათესაური შეწყველება, რამაც პირუტყვის მწირი კვება-მოვლის, მოზარდის ცუდი გამოზრდის ფონზე, მის სამეურნეო-ბიოლოგიურ ღირსებებზე უმძიმესი გავლენა მოახდინა.

ამ ჯიშის მოშენების და გაუმჯობესების პრაქტიკულ-მეთოდური სამუშაოები 2015 წლიდან დაიწყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში ჩამოყალიბებული იქნა მწარმოებლების გამოსაზრდელი ფერმა, სადაც მიმდინარეობს საბუღეების გამოზრდა, სოფლის ნახირებში გადანაწილება და გენოტიპით შეფასება; ექვედიციური კვლევის საუძველზე ჯავახეთის რეგიონში შერჩეულია 3 ფერმერული მეურნეობა. აქ მიმდინარეობს ნახირების სასელექციო ბირთვების ჩამოყალიბების სამუშაოები. შესწავლამ უჩვენა, რომ ფერმების ნახირებში ტიპური კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის რაოდენობა საერთო სულადობის ნახევარზე ნაკლებია. ფურები განვითარებით ჩამორჩებოდნენ ჯიშისათვის დადგენილ სტანდარტს; ცოცხალი მასით - 17%-ით, მინდაოს სიმაღლის განაზომით - 7%-ით, ტანის ირიბი სიგრძით - 18%-ით; ლაქტაციის ხანგრძლივობა შემოკლებულია. იგი საშუალოდ 274-282 დღე გრძელდება. ფურების ლაქტაციური მონაწველი საშუალოდ ნახირების მიხედვით 2100-2700 კილოგრამს შეადგენს, რაც ასევე ჯიშის სტანდარტზე დაბალია, რძის ცხიმინაობა 3.8-4.8 % -ს შორის მერყეობს.

ნაშრომში მოცემულია ჯიშის აღდგენისა და სრულყოფის მეცნიერული ხედვა.

საკვანძო სიტყვები: ჯიში, საწარმოო ტიპი, სელექცია, მოშენების მეთოდი.

საქართველოს სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია ძირითადად წვრილი ფერმერული და საოჯახო მეურნეობებით. ისინი იძლევიან ადგილზე წარმოებული პროდუქციის 99 პროცენტზე მეტს და წარმოადგენენ სოფლის მოსახლეობის გამოკვების და თვითდასაქმების ძირითად საშუალებას. ინტენსიური წარმოება ნელა ვითარდება.



მიწების სიმცირის, წარმოების რთული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის სხვა პრობლემების გათვალისწინებით, ფერმერული და საოჯახო მეურნეობები მომავალში კვლავაც სოფლის მეურნეობის ძირითად ბაზებად დარჩებიან (3). ამიტომ ევროკავშირი დაინტერესებულია ამ ტიპის საწარმოების გაძლიერებით და მათი კომერციალიზაციით. თავიანთ სამეზობლო პროგრამასა და პოლიტიკაში (ENPARD– Georgia,6) გამოხატავენ მცირე ფერმერობის განვითარების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის აუცილებლობას.

მედრობის დარგში მცირე ფერმერული მეურნეობების არსებობა, ორგანულად არის დაკავშირებული ძროხის ადგილობრივ ჯიშების მოშენებასთან, რომელთა შორის წამყვანი კავკასიური წაბლა ჯიშია. ეს ჯიშის ნაჯვარებთან ერთად ქმნის ქვეყნის ძირითად გენეტიკურ რესურსს, რომელზედაც ფერმერების ეკონომიკა დგას. ჯიშის მოშენებისადმი მაღალ ინტერესს განსაზღვრავს მისი უნიკალური თვისებები: ადგილობრივი კლიმატური და მწირი კვების პირობების მიმართ შეგუების მაღალი უნარი, მკვრივი კონსტიტუცია და მაგარი ჩლიქი, რის გამოც იგი კარგად იყენებს ქვადორიან საძოვრებს, მერძეულობის და სახორცე პროდუქტიულობის გენეტიკურად საკმაოდ მაღალი პოტენციალი და სხვა. ამ ღირებულების გამო ჯიშს დღემდე კონკურენციას ვერ უწევს მისი გავრცელების ძირითად ზონებში მოშენებული მაღალპროდუქტიული ჰოლშტინური, შვიცური, სიმენტალური და სხვა ჯიშები, რომლებიც შემოყვანიდან გამოყენების მოკლე პერიოდში გამოსაწუნებელი ხდებიან ამის გარდა, ეს ჯიშის ყველა მისი თვისებებით საუკეთესო გენეტიკური მასალაა ინტენსიურ ჯიშებთან შეჯვარებისა და მაღალპროდუქტიული სასაქონლო ნახირების შესაქმნელად, იმ ზონაში, სადაც იმპორტული პირუტყვი აკლიმატიზაციას ძნელად გადის და ხალასად ვერ შენდება. მთისწინა და მთის ზონაში, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ასევე დმანისის, წალკის მუნიციპალიტეტებში, სადაც ზეგნებსა და დიდ სიმაღლის (1300-2500) პლატოებზე განლაგებული ძალიან ნოყიერი, მაგრამ ქვადორიანი სუბალპური საძოვრებია, დღემდე კავკასიური წაბლა შეუცვლელი ჯიშია. ადგილობრივი წაბლას ფურების რძე გამორჩეული ნედლეულია ალპური საძოვრების ყველის, ჩეჩილის, ერბოს, კარაქის და სხვა ტრადიციული პროდუქტების წარმოებისათვის. რომელზედაც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ბაზრის მოთხოვნილება დიდია, ეს კი ფერმერული მეურნეობის ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

კავკასიური წაბლა ამიერკავკასიაში შექმნილი ძროხის პირველი კულტურული ჯიშია. იგი გამოყვანილია საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის რესპუბლიკებში ხანგრძლივი და რთული საახალჯიშო ჯვარული მოშენებით, ადგილობრივი დაბალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვის ძირითადად შვიცურ, ასევე ლებედინოურ, კოსტრომულ ჯიშებთან შეჯვარების გზით (1,9,11) ქართული პოპულაციის გამოყვანაში უპირატესად შვიცური ჯიშის მონაწილეობდა, შეჯვარება მეორე თაობაში შეწყდა, რითაც ჯიშმა მეტად შეინარჩუნა ადგილობრივი პირუტყვის უნიკალური თვისებები. საქართველოში ჯიშის შექმნაზე მუშაობა 70-80 წლით ადრე დაიწყო, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. დმანისში, სოფელ ბაშვიჩეთში 1865 წელს გერმანელი მემამულის კუჩენბახის ფერმაში პირველად შვეიცარიიდან იქნა შემოყვანილი შვიცური ჯიშის ცხოველები, მაგრამ ეს სულალობა და მისი ნაჯვარების დიდი ნაწილი ახალ გარემოს ვერ შეეგუა, დაავადდა და და-



ეცა. ამის შემდეგ, მხოლოდ რუსეთიდან ხდებოდა შვიცური ჯიშის მწარმოებლების იმპორტი, რომელიც მემამულის წინააღმდეგობის მიუხედავად მოსახლეობამ თავიანთ პირუტყვს შეაჯვარა. ამ გზით შექმნილი ნაჯვარი პირუტყვის დიდი მასივი ახალი ჯიშის შექმნის საფუძველი გახდა. ოფიციალურად მუშაობა ჯიშის გამოყვანაზე დაიწყო გასული საუკუნის 40-იან წლებიდან, საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტის მეცნიერების, ასევე პრაქტიკოსი მეცხოველეების ჩართულობით. ჯიშად აღიარებული იქნა 20 წლის შემდეგ (1.10,11)

კავკასიური წაბლა ჯიშის ცხოველები ტანად საშუალოა. ზრდასრული პირუტყვის სიმაღლე მინდაოში 123-129 სმ-ია, გულმკერდის სიგანე 37-41 სმ, ფურების ცოცხალი მასა მერყეობს 400-480 კგ-ს, კუროების კი -700-800 კგ-ს შორის. ჯიში კარგი მერძეულობითაც გამოირჩევა. ბაგურ-საძოვრულად შენახვისა და რამდენადმე შეზღუდული კვების პირობებში ფურების ლაქტაციური მონაწველი რიგით სანაშენე ფერმებში 2400-2800 კგ იყო, 3,8-3,9% ცხიმისა და 3,3-3,4% ცილის შემცველობით, გამორჩეულ ფერმებში იგი 3600 კგ-ს აღემატებოდა. ბამკიჩეთის სამომშენებლოში, რომელიც ჩვენ ქვეყანაში ჯიშის ყველაზე საუკეთესო მეურნეობას წარმოადგენდა, ერთ ფურზე საშუალოდ მიღებული იქნა 3900 კგ 3,9% ცხიმთანობით, ხოლო სომხეთში, ლორეს სამომშენებლოში 4177კგ რძე, 3,8% ცხიმთანობით (8.9). ცალკეული ინდივიდებიდან (კრალია, სეირა, გალისა და სხვა) ლაქტაციაზე ჩამოწველილია 6500-8800 კგ, 3,9% ცხიმთანობით, ფურების ცოცხალი მასა 550-650 კგ-ს შეადგენდა (1,4)

ჯიშში არსებობს სამი საწარმოო კონსტიტუციური ტიპი: სარძეო, სარძეო-სახორცე, სახორცე-სარძეო, მათ შორის ძირითადი სარძეო-სახორცე ტიპია. ამ ტიპის ფურების მონაწველი 3300-3500 კგ-ს შორის მერყეობს, 3,8-3,85% ცხიმით, ცოცხალი მასა 470-530 კგ-ია. სპეციალიზირებული სარძეო ტიპის ფურები უპირატესად მოშენებული იყო დაბლობ ზონაში და დიდ სამრეწველო ცენტრების ინტენსიური ტექნოლოგიის ფერმებში. მათი მონაწველი შეადგენდა 4000-4500 კგ-ს. 3,8-3,9% ცხიმთანობით და 3,35-3,40% ცილის შემცველობით; ცოცხალი მასა 450-510 კგ. საწარმოო ტიპებების სიმრავლე მიუთითებს ჯიშის პლასტიკურობაზე, რაც მისი მრავალმხრივი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობებს ქმნის.

1990 წლიდან საქართველოში კავკასიური წაბლა ჯიში კონტროლისა და სანაშენე მუშაობის გარეშე დარჩა, დაიშალა სანაშენე ბაზები, ჯიშსაშენი, ჯიშის საბჭო, რამაც მის სამეურნეო-ბიოლოგიურ ღირსებებზე უმძიმესი გავლენა მოახდინა.

კავკასიური წაბლა ჯიშის მოშენების და გაუმჯობესების პრაქტიკულ-მეთოდური საბუთები 2015 წლიდან დაიწყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. 2018 წლიდან პრობლემით დაინტერესდა სააერთაშორისო ორგანიზაციები. საქართველო ჩართული იქნა ფაო-ს პროექტში „ადმოსავლეთ ევროპაში ორმხრივი დანიშნულების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშების შენარჩუნება და განვითარება“ (TCP/RER/ 3604) განხორციელებაში, რომელიც ადგილობრივი კავკასიური წაბლას აღდგენას და სრულყოფას ითვალისწინებს.

კვლევითი ცენტრის მიერ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში ჩამოყალიბებული იქნა ჯიშის სასელექციო ცენტრი, კუროების გამოსაზრდელი ფერმით. მიმ-



დინარეობს საბუღეების გამოზრდა, სოფლის ნახირებში გადანაწილება, გენოტიპით შეფასება; გათვალისწინებულია მაღალი ღირსების მწარმოებლების სპერმის კრიოკონსერვაცია და ქართული პოპულაციის სპერმის მარაგის შექმნა, რომელიც ამჯერად ქვეყანას საერთოდ არ გააჩნია. ექვედიციური კვლევის საუბეღზე ჯავახეთის რეგიონში შერჩეულია

3 ფერმერული მეურნეობა: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს.ეფრემოვკაში მარტინ წარუკიანის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სოფელ ალასტანში ტელმან დარბინიანის, ხოლო სოფელ ალათუმანში სურენ კარაპეტიანის ფერმები. აქ მიმდინარეობს სარმოო კვლევები ჯიშის მდგომარეობის შესწავლის და სასელექციო ბირთვების შექმნის მიზნით. პარალელურად წარმოებს ტიპიური ინდივიდების მოძიების და შესწავლის სამუშაოები ორივე მუნიციპალიტეტის სოფლების ნახირებში. დასახელებული ფერმების ნახირები ჯავახეთის ზონისათვის ტიპიურია, ამიტომ აქ შესრულებული კვლევის მასალები ჯიშის ამჟამინდელი მდგომარეობის დასახასიათებლად გამოდგება. ნახირების ფენოტიპური შესწავლით გამოვლინებული იქნა, რომ ტიპიური კავკასიური წაბლა ჯიშის ფურების რაოდენობა სამივე ფერმაში შეადგენდა 103 სულს, რაც საერთო სულადობის 48% -ია. ტიპიური ფურები ყველაზე ნაკლები იყო ალათუმანის ფერმაში (45 %), ყველაზე მეტი ალასტანის ფერმაში (81 %). განვითარებით ფურები ჩამორჩებოდნენ კავკასიური წაბლა ჯიშისათვის დადგენილ სტანდარტს; ცოცხალი მასით ფურები სტანდარტზე ნაკლებია 17%-ით, მათი მინდაოში სიმადლის განაზომი შეადგენდა 118 სმ, ნაცვლად 125სმ-ისა, სხვაობა ტოლია 7%-ის, ტანის ირიბი სიგრძე იყო 142 სმ, 152-ის ნაცვლად, სხვაობა - 18%. სხვა განაზომებით (გულმკერდის ირგვლივა, გულმკერდის სიგანე, სიღრმე, კუკუხოების სიგანე) სხვაობა 8-10%-ს შორის მერყეობდა. კუროები, რომლებიც განსაკუთრებული გამოზრდისა და გადარჩვის ობიექტია, 2.5-3 წლის ასაკში იწონიდნენ 425 კგ-ს, რაც სტანდარტზე 30%-ით ნაკლებია.

კვლევამ გამოავლინა, რომ ფურების ლაქტაციის ხანგრძლივობა შემოკლებულია. ალასტანის და ალათუმანის ფერმებში იგი საშუალოდ 274-282 დღე გრძელდება. ფურები წველას ადრე წყვეტენ, რაც მათ პროდუქტიულობაზე უარყოფითად აისახება.

ეფრემოვკის ფერმის ნახირში ერთი ფურისაგან ლაქტაციის მანძილზე საშუალოდ მიღებული იქნა 2649 კგ-რძე, 3,77% ცხიმით და 3,16 % ცილის შემცველობით, ალათუმანის და ალასტანის ფერმების ნახირებში ფურების მონაწველი შეადგენდა 2100 კგ-ს. რძეში ცხიმის მაღალი შემცველობით განსაკუთრებით კარგი შედეგებია გამოვლინებული ალასტანის ნახირში, სადაც ეს მაჩვენებელი 4, 8% იყო, ცილის ასევე შედარებით მაღალი შემცველობით, რასაც სელექციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ფურების მონაწველის დაახლოებით 65-70% სამოვარულ პერიოდზე მოდის. საგულისხმოა, რომ მონაწველის გადიდების პარალელურად ამავე პერიოდში მატულობს რძეში ცხიმის, ცილის, ლაქტოზის და სხვა კომპონენტების შემცველობა, რაც ჯიშის ღირსებას წარმოადგენს.

ჩატარებული კვლევები ამტკიცებენ, რომ კავკასიური წაბლა ჯიშის განვითარებაში ჩამორჩა და დაკნინების გზაზე დგას. მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ნახირებში წლების მანძილზე ხდება ნათესაური შეწყვილება, რაც მწირი კვება-მოვლის, მოზარდის ცუდი გამოზრდის ფონზე, ინბრიდინგის მავნე შედეგების გაძლიერებას იწვევს.

ვას მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, კავკასიური წაბლა ჯიშის სულადობით,



გაქრობის საშიშროების იდენტიფიკაციის ხარისხით მიკუთვნებულია ადგილობრივი ჯიშების მეორე კატეგორიაზე, რომლის აღდგენის აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიება არის სანაშენე საგენოფონდე მეურნეობებისა და ფერმების შექმნა, რაც უზრუნველყოფს ჯიშის ხალასად მოშენებას, საჭიროების შემთხვევაში ზომიერი ინბრიდინგის გამოყენებას (5,7). ასეთი ფერმების შექმნა, წინასწარ შედგენილი სასელექციო პროგრამის მიხედვით უნდა დაიწყოს დმანისის, ახალქალაქის, ნინოწმინდის და წალკის რაიონებში, რომლებიც წარმოადგენენ ჯიშის ჩამოყალიბება-მოშენების ძირითად კერებს და დღესაც ითვლებიან ქვეყანაში ნახირების მოზარდით მომმარაგებელ ობიექტებად. რამდენადაც ჯიშის აღდგენასა და გაუმჯობესებაში კურო მწარმოებლებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, საჭიროა გაძლიერდეს და გაფართოვდეს კავკასიური წაბლა ჯიშის საბუღებების გამოსაზრდელი სადგური, ხელოვნური განაყოფიერების სერვისით, სადაც მოხდება ქვეყნის მასშტაბით მოძიებული და შეკვეთილი შეწყვილებით მიღებული კურაკების გამოზრდა, შთამომავლობის ხარისხით შეფასება, საუკეთესო გენოტიპის მწარმოებლების ნახირების გასაუმჯობესებლად ფართოდ გამოყენება. დასაშვებად მიგვაჩნია კავკასიური წაბლა ჯიშის სრულყოფის დასაჩქარებლად და გენოტიპის გასამდიდრებლად მისი მონათესავე ჯიშებთან შეჯვარება (ევროპული წაბლა შვიცის, სომხეთის, დაღესტნის პოპულაციების, კარპატული წაბლას და სხვა) და მათგან ყველაზე უკეთესი ეფექტის მომცემი ჯიშის ქართული პოპულაციის სელექციაში ჩართვა. ჯიშის აღდგენისა და გაუმჯობესების ყველა პრობლემა უკავშირდება სანაშენე მეძროხეობის შექმნის აუცილებლობას, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ადგილობრივი ჯიშების, მ.შ. კავკასიური წაბლას, დაცვის, შენარჩუნების და აღდგენის სპეციალური კანონი შემუშავებას და პრაქტიკულ რეალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. გოცირიძე სანაშენე მუშაობა საქართველოს მესაქონლეობაში. თბილისი. 1963 წ. 311 გვ
2. ნ. გოცირიძე. რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია. 1997
3. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია - Enpardenpard.ge > wp-content > uploads > 2015/05
4. გოციриძე ნ. კ. - Племенная работа с кавказской бурой породой скота в Грузинской ССР. // В кн.: Методы совершенствования бурых пород скота. Ереван. Айастан. - 1972. - с. 19-33.
5. К. Т. Жумаканов - Сохранение генофонда сельскохозяйственных животных - 2016. <https://cyberleninka.ru > article > sohranenie-genofonda-selskokozyaystve>
6. ФАО: семейные фермерские хозяйства - ключ к устойчивому будущему в Европе и Центральной Азии - **Ошибка! Недопустимый объект гиперссылки.**
7. А. Паронян. Правовые, экономические и организационные аспекты сохранения генофонда сельскохозяйственных животных. <vniigen.ru > wp-content > uploads > 2017/06 > 9.1.2016.pdf>
8. Симонян Х. М. - Кавказская бурая порода скота в Армянской ССР и пути повышения эффективности ее совершенствования. Дис. докт. с/хнаук. - Ереван: ГАУА, 1986
9. Степанян Н. Г. - Совершенствование кавказской бурой породы в Армянской ССР. // В кн.: Методы совершенствования бурых пород скота. Ереван, - Айастан. 1972. с. 7-18.
10. Тортладзе Л. А. - Кавказская бурая порода скота в прошлом, в настоящем и в будущем. Проблемы стабильного развития агропромышленной отрасли Закавказского региона. Материалы международной науч. конф. Ч. 2, Ереван, 2002. с. 355-358.
11. Шермазанашвили, З. Ш. Результаты- использования быков швицкой породы при совершенствовании кавказского бурого скота в условиях Грузинской ССР : Автореф. дис. на соиск. учен. степ. к. с.-х. н. /



Actual Problems of Breeding of Caucasian brown breed

Kiliptari T.

Doctor of Agricultural Sciences

Mitichashvili R.

Doctor of Biological Sciences

Pirtskhalaishvili T.

Doctor of Agricultural Sciences

Zghenti T.

Master of Agricultural Sciences

Scientific-Research Center of Agriculture, Tbilisi, Georgia

Abstract

Key Words: breed, production type, selection, breeding method

The development of small farms, which produce more than 99% of the local products in the cattle industry, is directly related to the breeding of local breeds of cattle. Caucasian brown breed of cattle takes a principal position among these breeds, which together with the local hybrid livestock presents a major genetic resource, which determines the economy of farms.

Great interest in breeding this breed is caused by its unique properties: high adaptability to local climatic conditions and poor feeding, strong Constitution and hoof strength, which is why the cattle make good use of rocky pastures, a sufficiently high potential of dairy and meat productivity, etc. Because of these properties in the main areas of dissemination of the Caucasian brown breed of cattle imported high-yielding breeds – Holstein, brown Swiss, Simmental, etc. may not be competitive, since during a short period after import in Georgia most of the cattle discarded. In addition, the Caucasian brown breed with all its traits is the best genetic mother material for crossing with intensive and highly productive breeds in order to create highly productive commercial herds in those areas where imported cattle are difficult to acclimatize and can not be bred purebred.

Since 1990 the breed was left without control and without breeding, destroyed breeding base, breeding farms, the Council of the breed that had a negative impact on the economic and biological traits of breed.

The scientific-research center began practical and methodical work on breeding and improvement of the Caucasian brown breed of cattle. Georgia was included in the FAO project "on Conservation and Development of Dual-Purpose Cattle Breeds in Eastern Europe" TCP/RER/3604, which implies the restoration and improvement of local Caucasian brown breed.

Scientific-research center has created in Dmanisi municipality, village Gantiadi breeding center breeding center where work of bull-calves breeding, their dissemination in the rural herds and estimation of genotype has started. The works take into account the cryopreservation of sperm of outstanding bulls and the creation of a sperm reserve of the Georgian population of Caucasian brown breed, which currently does not exist in Georgia. In result of the expeditionary research in Javakheti region were selected 3 farms where research is being conducted to study the current condition of the breed and the establishment of breeding groups. The cattle of these farms are typical for the Javakheti zone, so the materials of these studies characterize the state of the breed at the present. Phenotypic study herds showed that the number of the typical Caucasian brown breed cows in these three farms are 103 head, which is 48% (45% farm Alatabani), 81% (farm Alastani). In their development cows lag behind the standard Caucasian brown breed in live weight by 17%, in height at withers by 7 %, in slanting length of the body – by 18%. The difference of other measurements (the depth of breast, the width of sacrum) was in the range of 8-10%. Interestingly, the live weight of bulls, which are a special



object of breeding and selection, was below the breed standard by 30%.

The average milk yield of cows in Efremovka farm per lactation was 2649 kg of 3.77% fat and 3.16% protein, on farms in Alastani and Altabani average milk yield per lactation amounted to 2100 kg with high fat content. For example, in Alastani herd, the fat percentage was 4.8%. Accordingly, there was a high protein content, which is of great importance for breeding. Approximately 65-70% of milk yields are obtained in the pasture period. In the same period, along with an increase in milk yield, increases the percentage of fat, protein, lactose and other components, which is the advantage of the local breeds.

The conducted researches is proved that the Caucasian brown breed lags behind in development and stands on the way of degradation. The situation is complicated by the fact that in herds for many years there is a related mating, which against the background of poor feeding and poor conditions of growing youth, leads to an increase in the negative impact of inbreeding.

According to FAO standards, Caucasian brown breed is on the verge of extinction in terms of number of livestock and quality identification belongs to the second category of local breeds. Necessary organizational activity for the recovery of the breed is the creation of the breeding farms that will provide purebred breeding. If necessary, can be used a moderate inbreeding. The creation of such farms according to a beforehand compiled breeding program should begin in areas -Dmanisi, Akhalkalaki, Ninotsminda and Tsalka, which are the main focus area of the creation and breeding Caucasian brown breed and today they are considered areas that provide farmers with youth. Since in the restoration and improvement of the breed bulls are of particular importance, it is necessary to strengthen and expand the selection stations for the growing bulls with artificial insemination service, in order to create a genetic Bank of the best bulls and widely use it. To accelerate the improvement of the Caucasian brown breed and enrichment its genotype we consider it acceptable to cross it with related breeds (European brown Swiss, Armenian and Dagestani population, the Carpathian brown and others) and choose among them the breed that gives the best effect, in order to include it in the selection of the Georgian population.

მანდარინისა და ფორთოხლის სხვადასხვა ფორმის ადაპტურობა კულტივირების შედარებით მკაცრ პირობებში

ქობალია ვახტანგი

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში მცენარეთა სელექციის ძირითად ამოცანას მანდარინისა და ფორთოხლის ყინვაგამძლე, მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხიანი ნაყოფების მქონე ჯიშებისა და ფორმების მიღება წარმოადგენს. ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია ექსტრემალურ პირობებში გადარჩენილი მცენარეების ჩართვა სელექციურ მუშაობაში. სტატიაში წარმოდგენილია მანდარინის 13 და ფორთოხლის 10 ფორმის ყინვაგამძლეობის, ნაყოფმსხმოიარობისა და ნაყოფების ხარისხიანობის მიხედვით ციტრუსოვანთა კულტივირების შედარებით მკაცრ პირობებში მრავალწლიანი შესწავლის შედეგები. შემდგომი სელექციური მუშაობისათვის ყველაზე პერსპექტიულად გამოვლენილია მანდარინის ნუცელარული თესლნერგი - №201045 და ფორთოხლის ნუცელარული თესლნერგი - №2010067.

საკვანძო სიტყვები: გამორჩევა, ჰიბრიდი, ნუცელარული თესლნერგი, ყინვაგამძლეობა.

შესავალი. დღეისათვის ჩვენი ქვეყნის მეციტრუსეობაში ნომერ პირველ ამოცანას ძირითადი არახელსაყრელი სტრესული ფაქტორებისამი - ზამთრის ყინვები, დაავადებები, მავნებლები და სხვა გამძლე, ადაპტური ჯიშებისა და ფორმების შერჩევა და შექმნა წარმოადგენს. გარდა ამისა, ვინაიდან საბაზრო ურთიერთობის სისტემა მუდმივად აიძულებს



მომხმარებელს სულ უფრო ახალ-ახალი მოთხოვნები წაუყენოს პროდუქციის მწარმოებელს, ჩნდება კომერციული თვალსაზრისით თანამედროვე კონკურენტუნარიანი, ინტენსიური ტიპის, ამავდროულად გარემო პირობებისადმი უკეთ შეგუებული, მრავალმხრივი გამოყენების ჯიშების საჭიროება [1,3,4,5].

ციტრუსოვნები საქართველოში გაშენებულია სუბტროპიკული ზონის უკიდურეს ჩრდილოეთით, რის გამოც აქ ხშირია ტემპერატურის დაცემა იმ დონემდე, რაც ძლიერ აზიანებს თბილი კლიმატის მცენარეებს, ზოგჯერ კი იწვევს მათ მთლიან დაღუპვას [1,2,5].

ამიტომ სელექციონერის და ყოველი მეციტრუსის უპირველესი ამოცანა ამ მიმართულებით არის ის, რომ ბაღში დარგული ყოველი ხე იყოს ყინვაგამძლე, ანუ მანდარინის ჯიშში უძლებდეს $-11-12^{\circ}\text{C}$ ტემპერატურას, ფორთოხლის, გრეიპფრუტის, პომპელმუსის ჯიშები - $10-11^{\circ}\text{C}$ ტემპერატურას, ხოლო ლიმონის -9°C ტემპერატურას. ციტრუსოვნების ყინვაგამძლეობის ამაღლების როგორც პირდაპირი (მიწის შემოყრა, შეფუთვა, გათბობა და სხვა), ისე არაპირდაპირი (საძირის შერჩევა, ჯიშების სწორი გაადგილება, ქარსაფარი ზოლი, კვება, რწყვა სხვა) ღონისძიებებიდან ყველაზე ეფექტურია ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანა [2,4].

მიზანი. ჩვენი კვლევითი სამუშაოს მიზანს წარმოადგენს მცირემიწიანი სუბტროპიკული ზონის არეალის ახალი, შედარებით მკაცრი რაიონებისა და ზონების ასათვისებლად, ექსტემალურ პირობებში გადარჩენილი მანდარინისა და ფორთოხლის სასელექციო მასალის (ჰიბრიდები, ნუცელარული თესლნერგები, კლონები) შედრებითი შესწავლა და აღნიშნული პირობებისადმი ყველაზე ადაპტირებული ფორმების გამორჩევა.

კვლევის ობიექტი და მეთოდიკა. წარმოდგენილი მასალა მიღებულია ექსტემალურ პირობებში გადარჩენილი მანდარინისა და ფორთოხლის სხვადასხვა ფორმის - შესაბამისად მანდარინის 5 სქესობრივი ჰიბრიდის, 6 ნუცელარული თესლნერგის, მანდარინ უნშიუს 2 კლონის და ფორთოხლის 3 სქესობრივი ჰიბრიდის, 5 ნუცელარული თესლნერგის, ფორთოხალ ვაშიმეტონ-ნაველის 2 კლონის ციტრუსოვანთა კულტივირების შედარებით მკაცრ პირობებში (სენაკის რაიონის სოფ. ნოსირი) მრავალწლიანი (2010-2018 წ.წ.) შედარებითი შესწავლის შედეგად. ყველა საკვლევი მცენარე, მათ შორის საკონტროლო მანდარინი უნშიუ და ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი დამყნულია ტრიფოლიატას საძირეზე.

ყინვებისაგან მცენარეთა დაზიანების შეფასება მოხდა ვიზუალური წესით 5 ბალიანი სისტემით 2 ჯერ - გაზაფხულზე ყინვების გავლის შემდეგ და ზაფხულში დაზიანების სრული გამოვლენის შემდეგ. ასევე 5 ბალიანი სისტემით შეფასდა საკვლევი მცენარეები მოსავლიანობის მიხედვით. ნაყოფების ხარისხის შეფასება მოხდა მოხმარების სიმწიფეში ორგანოლექტიკური მეთოდით 100 ბალიანი სისტემით.

კვლევის შედეგები. მანდარინის 13 ფორმიდან უმაღლესი ყინვაგამძლეობა გამოავლინა ჰიბრიდმა №01027 (მანდარინი უნშიუ x ტრიფოლიატა) და ნუცელარულმა თესლნერგმა №201045 (მანდარინი უნშიუ x იჩანგენზისი). მათი ყინვაგამძლეობა -8.9°C ტემპერატურის პირობებში შეფასდა 0.5 ბალით, ანუ აღნიშნული დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებით დაკარგეს ფოთლების მცირე რაოდენობა. ფორმებს - ჰიბრიდები №01063 (მანდარინი უნშიუ x ტრიფოლიატა ადრემსხმოიარე), №010135 (მანდარინი უნშიუ x იჩან-



გეზისი), №010181(მანდარინი უნშიუ x ტრიფოლიატა), ნუცელარული თესლნერგები (მანდარინი უნშიუ x იჩანგეზისი) №201057, №201086, №2010109 და კლონი №2010/14 მკაცრი ზამთრისაგან თითქმის მთლიანად დაუზიანდათ სასიმილაციო ზედაპირი, რაც შეფასდა 1,1-1.3 ბალით, ხოლო დანარჩენი ფორმა - ჰიბრიდი №01023 (მანდარინი უნშიუ x იჩანგენზისი), ნუცელარული თესლნერგი №201097 და კლონი №2010/108 აღმოჩნდა ნაკლებ შეფუებული აღნიშნული პირობებისადმი - მათი ყინვაგამძლეობა შეფასებულ იქნა 2 ბალით, ანუ მთლიანად ზიანდება წინა წლის ნაზარდები.

რაც შეეხება მოსავლიანობას, ამ მხრივ გამოირჩევიან ნუცელარული თესლნერგები №201045, №201057 და №2010109. მათი მსხმოიარობა მკაცრ პირობებში აღმოჩნდა საკმაოდ მაღალი - 3.5-4.0 ბალი. ყველაზე ცუდად მსხმოიარობენ ნუცელარული თესლნერგი №201086, ჰიბრიდი №01023 და კლონი №2010/108 – 2.0-2.5 ბალი.

საბაზრო ეკონომიკა ჯიშებისადმი აყენებს მაღალ მოთხოვნებს - ნაყოფები უნდა იყოს კარგი ზომის, გარეგნობის, მაღალი გემური თვისებების, ტრანსპორტაბელური და ა.შ. საკვლევი მცენარეების ნაყოფების ორგანოლეპტიკური შეფასებით ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა ფორმებმა ნუცელარული თესლნერგი №201045 და კლონი №2010/14.

ამდენად, მანდარინის შესწავლილი ფორმებიდან ყინვაგამძლეობის, მოსავლიანობისა და ნაყოფების სასაქონლო და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით შემდგომი სელექციური მუშაობისათვის ყველაზე საინტერესოა მხოლოდ ნუცელარული თესლნერგი №201045.

ნაყოფის საუცხოო არომატის, გემოს, შენახვისუნარიანობის, ტრანსპორტაბელობის, ვიტამინ „C“-ს შემცველობის და სხვა დადებითი თვისებების გამო, ფორთოხალს სხვა ციტრუსოვნებთან შედარებით მეტი უპირატესობა გააჩნია. იგი უხსოვარი დროიდან ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო და პოპულარულ ხილად. თუმცა ჩვენს ქვეყანაში მის ფართო გავრცელებას ხელს უშლის მაღალი ყინვები, დაბალი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი და სხვა. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ მკაცრი პირობებისადმი უკეთ ადაპტირებული ჯიშებისა და ფორმების გამორჩევა.

ჩვენს მიერ შესწავლილი ფორთოხლის 10 ფორმიდან ყველაზე მაღალი ყინვაგამძლეობის უნარი გამოავლინეს სქესობრივმა ჰიბრიდებმა №0327 (ფორთოხალი ოდიში x იჩანგენზისი), №03102 (ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი x ტრიფოლიატა) და ნუცელარულმა თესლნერგმა №2010067 (ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი x იჩანგენზისი). -8.9°C ტემპერატურის დროს მათი დაზიანების ხარისხი შეფასებულ იქნა 1.5-1.7 ბალით, ანუ დაზიანდა წინა წლის ნაზარდების ნახევარზე მეტი. მაგრამ არა ყველა. წინა წლის ნაზარდების მთლიანად დაუზიანდა ჰიბრიდს №03131 (ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი x ტრიფოლიატა) და ნუცელარულ თესლნერგს №2010084 (ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი x იჩანგენზისი). დანარჩენი ფორმის ყინვაგამძლეობა შეფასდა 2.5-3.0 ბალით, ანუ მცენარეებს დაუზიანდა 2-3 წლიანი ტოტებიც.

მოსავლიანობის მიხედვით გამორჩეულია ნუცელარული თესლნერგი №2010067 და სქესობრივი ჰიბრიდები №0327 და №0327. მათი ნაყოფმსხმოიარობის უნარი 8 წლის საშუალო მონაცემების მიხედვით შეფასებულ იქნა 3.5-4.0 ბალით. ყველაზე სუსტი მსხმოიარობის უნარი გამოავლინეს ჰიბრიდმა №03154 (ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი x იჩანგენ-



ზისი) და ნუცელარულმა თესლნერგმა №2010089 (ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი x იჩან-გენზისი) – 2.0 ბალი.

ყველაზე კარგი ხარისხის ნაყოფები ჰქონდათ კლონს №2010/074 (95,7 ბალი) და ნუცელარულ თესლნერგს №2010084 (95.2 ბალი). მათ ოდნავ ჩამორჩებიან ნუცელარული თესლნერგის №2010067 და კლონის №2010/0103 ნაყოფები (93,5 ბალი).

ჯამში ფორთოხლის ფორმებიდან შესწავლილი ნიშნების მიხედვით ჩვენს მიერ გამოყოფილ იქნა ნუცელარული თესლნერგი №2010067, როგორც ყველაზე ყინვაგამძლე. მოსავლიანი და მაღალხარისხიანი ნაყოფების მომცემი ფორმა, ანუ ყველაზე ადაპტირებული მოცემული პირობებისადმი და როგორც ყველაზე საინტერესო საწყისი მასალა შემდგომი სელექციისათვის.

წარმოდგენილი კვლევითი სამუშაოს შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

ექსტრემალურ პირობებში გადარჩენილი მანდარინისა და ფორთოხლის სელექციური მასალიდან ყინვაგამძლეობის, მოსავლიანობისა და ნაყოფების ხარისხის მიხედვით, ციტრუსოვანთა კულტივირების შედარებით მკაცრ პირობებში ყველაზე პერსპექტიულია მანდარინის ნუცელარული თესლნერგი №201045 და ფორთოხლის ნუცელარული თესლნერგი №2010067. სელექციური მუშაობა აღნიშნული პირობებისადმი ყველაზე ადაპტირებულ ფორმებზე აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე ნ. ვაშინგტონ ნაველის კლონების ზოგიერთი სამეურნეო მაჩვენებლები. სუბტროპიკული კულტურები, №5, 1986, გვ. 57-59.
2. ბუკია ზ. მანდარინის ნუცელარული ნათესარების ზოგიერთი ბიომორფოლოგიური თავისებურებების დახასიათება. სუბტროპიკული კულტურები, №4, 1991, გვ. 73-78.
3. კუკულაძე ე. ფორთოხლის ჯიშთაშორისი ჰიბრიდების ყინვაგამძლეობის ზოგიერთი მასალები. სუბტროპიკული კულტურები, №5-6, 1976, 43-46.
4. სურგულაძე შ. ციტრუსოვან მცენარეთა ყინვაგამძლეობის ზოგიერთი საკითხი. სუბტროპიკული კულტურები, №6, 1974, გვ. 50-53.
5. თუთბერიძე ბ., კალანდარიშვილი თ. ნარინჯოვანთა შორეულ ჰიბრიდიზაცია. ბათუმი, 1990 136 გვ.

Adaptability of tangerine, orange and different forms in more severe conditions of cultivation

Kobalia Vakhtang

Academic Doctor of Agrarian Sciences, Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Abstract

Key words: Featuring, Hybrid, Nuclear Seedling, Freeze



Introduction. Citrus fruits are built up in the extreme north of subtropical zone of Georgia. For this reason, it is frequent here for the temperature to fall to that level, that spoils plants of warm climate, and sometimes causes their complete destroy. So, the main task for breeders and citrus planters is to make each planted tree frost-resistant, it means that tangerine should survive in -11-12 degrees Celsius and orange, grapefruit and pomпельmus breeds -- -10-11 °C, lemon -- -9 °C.

Object of the study. The object of the study is 5 sex hybrid of tangerine, 6 nucellar seeding, 2 clones of tangerine unshiu and 3 sex hybrid of orange survived in severe conditions, 5 nucellar seeding and 2 clones of orange called Washington navel plants. Each research plant including tangerine unshiu and orange Washington navel are budded on the root of Japanese orange and planted in more severe conditions of citrus fruit cultivation (Senaki district, village Nosiri).

Research results. As a result of years of studying (2010-2018) the highest frost-resistance was revealed in hybrid №01027 (tangerine unshiu x Japanese orange) and nucellar seeding №201045 (tangerine unshiu x ichangensis) out of 13 forms of tangerine. Their frost-resistance in -8.9°C was evaluated with 0.5 degrees. Hybrid №01023 (tangerine unshiu x ichangensis), nucellar seeding №201097 and clone №2010/108 were found less adjustable to the given conditions – their frost-resistance was evaluated with 2 degrees. As for the productivity, nucellar seedings №201045, №201057 and №2010109. Their high yielding in severe conditions was quite high – 3.5-4.0 degrees. The worst productivity was revealed in nucellar seeding №201086, hybrid №01023 and clone №2010/108 – 2.0-2.5 degrees. According to the estimation plants with organoleptic evaluation, the best evaluation was given to the forms - nucellar seeding №201045 and clone №2010/14.

From 10 forms of orange sex hybrids №0327 (orange odishi and ichangensis), №03102 (orange Washington navel x Japanese orange) and nucellar seeding №2010067 (orange Washington navel x ichangensis) have high ability of frost-resistance. At -8.9°C the degree of their damage was estimated with 1.5-1.7 degrees. According to the productivity, nucellar seeding №2010067 and sex hybrids №0327 and №0327 are the best ones. The ability of their productivity is 3.5-4.0 degrees. Clone №2010/074 (95.2 degrees) and nucellar seeding №2010084 (95.2 degrees) had the best quality fruits. Nucellar seeding №2010067 and clone №2010/0103 fruits (93,5 degrees) lag behind them a little.

Conclusion. From the selective information of tangerine and orange, survived in extreme conditions, according to their frost-resistance, productivity and fruit quality, the most perspective is nucellar seeding of tangerine №201045 and nucellar seeding of orange №2010067 in severe conditions of cultivation of the citrus fruits. Selective works are going on.



კლიმატის ცვლილების გავლენა ცხოველის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე

ყაჭაშვილი თამარ

დოქტორანტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო;



თორთლაძე ლევან

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

ჭკუასელი ამროსი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

ხატიაშვილი გიორგი

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, საქართველოს მეცხოველეობის სანაშენე საქმის ასოციაცია, თბილისი, საქართველო;

საქონლის ჯანმრთელობაზე ცხელი გარემოს ზემოქმედება უშუალოდ აისახება სითბური სტრესით. სითბური სტრესის საზომად გამოიყენეთ ტემპერატურა-სინოტივის ინდექსი (Temperature Humidity Index / THI). 2016 წლის გაზაფხულზე თელავის რაიონის სოფელ ფშაველაში (შპს შტორი), ესტონეთიდან შემოყვანილ იქნა 100 სული ჰოლშტინული ჯიშის უშობელი. პირუტყვის ქცევაზე ვიზუალურმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ის მგრძობიარეა ზაფხულის ტემპერატურის მიმართ, რაც ასევე განაპირობა შენობის ცუდმა ვენტილაციამ და გაჩნდა სითბური სტრესის პირველი ნიშნები. სითბური სტრესი აისახა არტერიული პულსისა და სუნთქვის სიხშირის გაზრდით. პრაქტიკულად მთელი აგვისტო პირუტყვი იმყოფებოდა დისკომფორტულ მდგომარეობაში, ხშირ შემთხვევებში კი $79 \leq THI \leq 84$.

ალაზნის ველზე, სამეცნიერო-საწარმო ცდების საფუძველზე შესწავლილი იქნა კავკასიური წაბლას ჯიშის ბიოლოგიური თავისებურებები. მაღალი ტემპერატურებისას კავკასიური წაბლა ჯიშის ფურების თერმორეგულირების მექანიზმი ვერ ახერხებს ორგანიზმის ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას – სითბური სტრესი იწვევს წველადობის შემცირებას. თერმოტოლერანტობის მისაღწევად საჭიროა წარმოების სისტემის კორექტირება.

საკვანძო სიტყვები: სითბური სტრესი, ჯიში, კლინიკური სტატუსი, ადაპტაცია

შესავალი. გარემო პირობები მეცხოველეობის ეკონომიკურად წარმართვის განუყოფელი ნაწილია. ნებისმიერი ჯიშის პროდუქტიულობა არის გარემოსადმი ცხოველების შეგუების ერთ-ერთი ინდიკატორი. ამ მხრივ აქტუალურია კლიმატის ცვლილების უარყოფით ზეგავლენასთან პირუტყვის ორგანიზმის ადაპტაციის გზების ძიება, განსაკუთრებით მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის პირობებში. გარემოსთან საქონლის ორგანიზმის ურთიერთქმედების გამძაფრება დიდწილად განპირობებულია ჩვეული კლიმატური პირობებიდან ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში ცხოველის გადაადგილებით. კლიმატის ცვლილებამ ცხოველზე შეიძლება იმოქმედოს მრავალი გზით [1,2].

ძირითადი ფაქტორი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ცხოველის პროდუქტიულობაზე და ჯანმრთელობაზე, არის გარემო ტემპერატურა. ასევე გასათვალისწინებელია კლიმატური ფაქტორების ზეგავლენა ცხოველთა საკვების მცენარეების პროდუქტიულობაზე.

მეთოდოცა. საქონლის ჯანმრთელობაზე ცხელი გარემოს ზემოქმედება უშუალოდ აისახება სითბური სტრესით, რაც გამოიწვეულია ძირითადად გაზრდილი ტემპერატურებითა და სინოტივით. სითბური სტრესის საზომად გამოიყენება ტემპერატურა-სინოტივის ინდექსი (Temperature Humidity Index / THI). THI-ს გამოსათვლელად სხვადასხვა ფორმულა გამოიყენება, თუმცა ყველაზე მარტივი და უმეტესად გამოყენებულია შემდეგი ფორმულა:



$$THI = 0.8 * T + RH/100 * (T-14.4) + 46.4$$

ან იგივე ფორმულა სხვა სახით:

$$THI = (1.8 \times T + 32) - (0.55 - 0.0055 \times RH) \times (1.8 \times T - 26),$$

სადაც T გარემოს ტემპერატურაა °C-ში, RH ფარდობითი ტენიანობაა პროცენტებში.

მსხვილფეხა პირუტყვი სითბურ სტრესს განიცდის, როცა THI (ტემპერატურისა და სინოტივის კომბინაცია) გადააჭარბებს ცხოველისთვის სპეციფიურ (დამახასიათებელ) ზღურბლს. კვლევებით დადგენილია THI-ის მნიშვნელობა, რომლის ზევით იწყება სითბური სტრესი.

სითბური სტრესის ზღურბლურ მნიშვნელობად გამოიყენებოდა 1950-იან წლებში მისურის უნივერსიტეტის შრომებში, ნაკლებ პროდუქტიული მსხვილფეხა პირუტყვისთვის განსაზღვრული სიდიდე THI=71, ანუ ცხოველები სითბურ სტრესს შეიძლება განიცდიდნენ, როცა THI≥72. იქვე შემოთავაზებული იყო სითბური სტრესის გრადაცია:

72 ≤ THI ≤ 79) მსუბუქი, ფურებს ეწყებათ სითბური სტრესი;

80 ≤ THI ≤ 89 ზომიერი, რძის წარმოება შესამჩნევად ეცემა;

THI ≥ 90 მძიმე, რძის წარმოება მკვეთრად ეცემა, საქონელი შეიძლება დაიღუპოს.

სითბური სტრესის ინტენსივობა დამოკიდებულია არა მხოლოდ THI-ის სიდიდეზე, არამედ სტრესულ მდგომარეობაში საქონლის ყოფნის ხანგრძლივობაზე. ოცდაოთხი საათის მანძილზე THI=68 მნიშვნელობისას, დღე-ღამური წველადობა ერთ მერძეულ ფურზე მცირდება 2.2 ლიტრით [3].

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებულია 4 ათასზე მეტი ინდუსტრიული ჯიშის ფური. აქედან 2,200-მდე სული ჰოლშტეინის ჯიშისაა, რომლის ყველაზე მეტი სულადობა აღრიცხულია კახეთის მხარეში.

სალი რძის წარმოება საქართველოში დიდი ხანია ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. სტატისტიკური მონაცემებით ნატურალური რძის წარმოება მცირდება, ხოლო რძის ფხვნილის იმპორტი იზრდება. 2014 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში პირუტყვის საერთო სულადობა შემცირებულია 6,2%-ით, ფურისა და ფურკამეჩის რაოდენობა 15,2%-ით, ხოლო რძის წარმოება 10.5%-ით. თანდათან მცირდება რძით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტიც. პრობლემის გადასაჭრელად ქვეყანაში ამჟამად არსებული მეძროხეობის ექსტენსიური სისტემა სასწრაფოდ საჭიროებს დარგის ინტენსიფიკაციასა და სხვადასხვა აუცილებელ ღონისძიებასთან ერთად ძროხის ინტენსიური ჯიშების მოშენება - ადაპტაციას.

ზომიერი კლიმატის ზონაში წარმატებით მოშენებული მერძეული მიმართულების მსხვილფეხა პირუტყვი ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში დაბეჩავებულია. დადგენილია, რომ ზომიერი კლიმატის პირობებში მოშენებული მსხვილფეხა რქოსანის პირუტყვის ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის მქონე რაიონებში შეყვანისას პროდუქტიულობის შემცირების ძირითადი მიზეზია ჰაერის მაღალი ტემპერატურის უარყოფითი ზეგავლენა (სითბური სტრესი), რომლის ქმედების ძალა მოდიფიცირებულია კლიმატის სხვა ისეთი ელემენტებით, როგორცაა ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, მზის რადიაცია, ნალექი და სხვ. [4-8].

ბოლო წლებში ბევრი ქართველი ფერმერი ახორციელებს ევროპული ჯიშების, ძირითადად ჰოლშტეინური ჯიშის პირუტყვის იმპორტს. ჰოლშტეინური ჯიშის პირუტყვის გან-




საკუთრებული თვისება მისი ინტენსიური ზრდა-განვითარება და მაღალი წველადობაა, რაც რეალიზდება სრულფასოვანი და დაბალანსებული კვებით. სხვა ჯიშებისგან განსხვავებით, ჰოლშტინური ჯიში ადვილად განიცდის გარემო პირობების ზეგავლენას, მათ შორის ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურების შემთხვევაში სითბურ სტრესს. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ დაბრკოლებას ქმნის ადაპტაციის თავისებურებების გაუთვალისწინებლობა, რაც აფერხებდა გარემოს ამა თუ იმ ექსტრემალურ პირობებთან შეგუებას [9–16].


კონკრეტული შედეგები. 2016 წლის გაზაფხულზე თელავის რაიონის სოფელ ფშაველში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ინტენსიური ფერმერული მეურნეობების ბაზაზე (შპს შტორი), ესტონეთიდან შემოყვანილ იქნა 100 სული ჰოლშტინური ჯიშის უშობელი. ეს ფერმერული მეურნეობა წარმოადგენდა კვლევის ბაზას.

პირუტყვის ქცევაზე ვიზუალურმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ის მგრძობიარეა ზაფხულის ტემპერატურის მიმართ, რაც ასევე განაპირობა შენობის ცუდმა ვენტილაციამ და გაჩნდა სითბური სტრესის პირველი ნიშნები. სითბური სტრესი აისახა არტერიული პულსისა და სუნთქვის სიხშირის გაზრდით. ნახაზ 1-ზე მოყვანილია პირუტყვის მდგომარეობის მახასიათებლები აგვისტოსა და ოქტომბერში.


ნახაზ 2-ზე მოყვანილია 2016 წლის აგვისტოსა (ნახ. 2ა) და ოქტომბერში (ნახ. 2ბ) თელავის მეტეოსადგურის მონაცემების (ტემპერატურები და ფარდობითი სინოტივე) საფუძველზე გამოთვლილი ტემპერატურა-სინოტივის ინდექსის (THI) მნიშვნელობები. პრაქტიკულად მთელი აგვისტო პირუტყვი დისკომფორტულ მდგომარეობაშია, ხშირ შემთხვევებში კი $79 \leq THI \leq 84$, რამაც პირუტყვის ჯანმრთელობას შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას.



ნახ. 1: პირუტყვის კლინიკური სტატუსი



ნახ. 2ა: აგვისტო,



ნახ. 2ბ: ოქტომბერი



საშუალო ტემპერატურა სრულად ვერ ასახავს სითბური სტრესის სიმძაფრეს, რადგან დღის მაღალ ტემპერატურას ნაწილობრივ ანეიტრალებს ღამის დაბალი ტემპერატურები. სინოტივის დღელამური სვლა ნაკლებადაა გამოხატული. ამდენად, საშუალო ტემპერატურებითა და საშუალო სინოტივით გამოთვლილი მნიშვნელობები რეალურთან შედარებით სავარაუდოდ შემცირებული იქნება.

კონკრეტული შემთხვევა 2

ალაზნის ველზე, სიღნაღის რაიონის სოფელ ხორნაბუჯში მდებარე ფერმაში, სამეცნიერო-საწარმო ცდების საფუძველზე შესწავლილი იქნა კავკასიური წაბლას ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვის ბიოლოგიური თავისებურებები. კვლევის მიზანი იყო ჰაერის თერმონეიტრალური და ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურების პირობებში პირუტყვის ფიზიოლოგიური და კლინიკური მახასიათებლების განსაზღვრა.

ფერმის (კვლევის) გეოგრაფიული ადგილი ხასიათდება მშრალი სუბტროპიკული კლიმატით, გარდამავალით კონტინენტურში. ყველაზე ცხელ თვეებში (ივლისი, აგვისტო) ტემპერატურა 40°C-ს აღწევს. ნალექების რაოდენობა 500–600 მმ ფარგლებშია. წელიწადის თბილ პერიოდში 185–200 დღე ჯოჯი გაშვებული იყო საძოვრებზე.

შესწავლილი იქნა ფურების ფიზიოლოგიურ მახასიათებლებზე და სისხლის კლინიკურ სურათზე ჰაერის ტემპერატურის გავლენა. დადგინდა, რომ 36.2°C ტემპერატურაზე 21.0°C ტემპერატურასთან შედარებით იზრდება პულსისა და სუნთქვის სიხშირე, შესაბამისად 1.96 და 1.4–ჯერ. იმავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ოფლის გამოყოფა იზრდება 2.39–ჯერ, თერმორეგულირებისთვის ეს არ არის საკმარისი და სხეულის (რექტალური) ტემპერატურა იზრდება 1.5°C-ით, კანის ტემპერატურა კი 3.1°C-ით (ცხრილი 1).

ამრიგად, მაღალი ტემპერატურებისას კავკასიური წაბლა ჯიშის თერმორეგულირების მექანიზმი ვერ ახერხებს ორგანიზმის ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას – სითბური სტრესი იწვევს წველადობის შემცირებას. ცხრილ 3-ში მოყვანილია სითბურის სტრესის მახასიათებელი პარამეტრის – ტემპერატურა-სინოტივის ინდექსის მნიშვნელობები.

ასევე შესწავლილი იქნა დღის საათებში ძროხების ორგანიზმის ფიზიოლოგიური მახასიათებლების დინამიკა სითბური დატვირთვის ცვალებადობის პირობებში.

დადგინდა, რომ უკვე 10–11 საათზე, სიცხის გავლენით შესამჩნევად იზრდება ფიზიოლოგიური მაჩვენებლები. ყველაზე მეტი ზრდაა 13–14 საათისთვის, 16–17 საათიდან კი იწყება თანდათანობითი შემცირება. საღამოსთვის ცხოველები უბრუნდებიან ნორმალურ მდგომარეობას.


შუადღიდან მოყოლებული საღამომდე, სითბური სტრესის ინდექსი (THI) აღემატება 80, რაც სითბური სტრესის ინდექსის გრადაციის შესაბამისად სერიოზული საფრთხის მანიშნებელია.

ცხრილი 1: მეწველი ძროხების ფიზიოლოგიური მახასიათებლები ჰაერის თერმონეიტრალურ და ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურების დროს

დაკვირვების დრო	დილა,	შუადღე,
-----------------	-------	---------



	7–8 საათი	13–15 საათი
ჰაერის ტემპერატურა, °C	21.8	36.2
ფარდობითი ტენიანობა, %	56	38
სუნთქვის სიხშირე	35 – 46	76 – 90
პულსის სიხშირე	55 – 75	80 – 102
სხეულის ტემპერატურა, °C	37.8 – 38.7	39.6 – 40.2
კანის ტემპერატურა, °C	34.3 – 35.7	37.7 – 38.4
ოფლის ინტენსივობა, გრამი/(მ ² · საათი)	85 - 109	196 - 253
ტემპერატურა–სინოტივის ინდექსი	68	84



ნახ. 3: ძროხების ორგანიზმის ფიზიოლოგიური მახასიათებლების დინამიკა დღის საათებში

ტემპერატურების ზრდა გარკვეულწილად მოქმედებს სისხლის მორფოლოგიურ შედგენილობაზეც (ცხრილი 2). დადგინდა, რომ შუადღისას, ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურების პირობებში, მეწველი ძროხების სისხლში მცირდება ერითროციტებისა და ლეიკოციტების რაოდენობა, ჰემოგლობინის კონცენტრაცია მცირდება ნაკლებად.

ცხრილი 2: მეწველი ფურების სისხლის მორფოლოგიური შემადგენლობა ჰაერის სხვადასხვა ტემპერატურისას

დაკვირვების დრო	დილა, 7:00 – 8:30	შუადღე, 14:00 – 15:30
ჰაერის ტემპერატურა, °C	23.5	34.8
ფარდობითი ტენიანობა, %	56	39
ერითროციტები, მლნ / მმ ³	5.4 – 6.0	5.3 – 5.8
ლეიკოციტები, თხს. / მმ ³	6.3 – 6.9	6.0 – 6.8
ჰემოგლობინი, სალის %	9.5 – 11.3	9.4 – 10.7

კონკრეტული შემთხვევა 2–ის დასკვნები: (1) ზაფხულში, სამოვარზე გაშვებულ ფურებზე უარყოფითად მოქმედებს ჰაერის ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურები. თერმონეიტრალურ ტემპერატურულ პირობებთან შედარებით, მეწველ ფურებს უძლიერდებათ სუნთქვისა და პულსის სიხშირე, იზრდება მათი სხეულის რექტალური ტემპერატურა და კანის ტემპერატურა, ასევე იზრდება ოფლიანობა. ცალკეული ინდივიდების სხეულის ტემპერატურა აჭარბებს 40°C, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ფიზიოლოგიური ნორმის ზედა ზღვარს. შედეგად ვითარდება სითბური სტრესი. განსხვავებული პროდუქტიულობის



ძროხების წველადობა სიცხის გავლენით მცირდება განსხვავებულად; (2) დღის განმავლობაში, ძროხების ფიზიოლოგიური მაჩვენებლების მერყეობა სრულად შეესაბამება ჰაერის ტემპერატურის მერყეობას. აღმოჩნდა, რომ ჯოგის 8–15% ხასიათდება საკმაოდ მაღალი სითბომედეგობით და ადაპტაციის კოეფიციენტით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სელექციის თვალსაზრისით; (3) შედარებით ნაკლებადაა გამოხატული სიცხის გავლენა ჰემატოლოგიური პარამეტრებზე, თუმცა ძროხების ორგანიზმში ჰაერის ტემპერატურის გაზრდისას გარკვეული ცვლილებები მოხდა: შუადღისას სისხლში შემცირდა ერითროციტებისა და ლეიკოციტების რაოდენობა, ასევე შემცირდა ჰემოგლობინის კონცენტრაცია.

კონკრეტული შემთხვევა 2–ის პრაქტიკული რეკომენდაციები: (1) ზაფხულში რძის წარმოების გაზრდის მიზნით, სამოვრებზე გათვალისწინებული უნდა იქნას სიცხისგან მეწველი ფურების დაცვის ღონისძიებები. სითბური სტრესის აცილება შესაძლებელია მსუბუქი ფარდულების აშენებით (დადგმით), ადვილად ათვისებადი ნახშირწყლების შემცველი საკვების გამოყენებით, ღამით ძოვების ორგანიზებით და სხვ; (2) ცხელ კლიმატურ ზონაში სელექციისას ყურადღება უნდა მიექცეს კვლევის შედეგად დადგენილ ცხოველების სითბომედეგობას.

დასკვნები:

- სითბური სტრესის, ახალი დაავადებებისა და მათი გადამტანების მიმართ უფრო მედეგი ახალი ჯიშების სელექცია. თერმოტოლერანტობის მისაღწევად წარმოების სისტემის კორექტირება, გენეტიკური გაუმჯობესება;
- პირუტყვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, აუცილებლობის შემთხვევაში ანტიბიოტიკებზე შეზღუდვების მოხსნა/შესუსტება, ახალი საკვების, საკვები დანამატებისა და მკურნალობის მეთოდების გამოყენების ინტენსიფიკაცია;
- ვენტილაციისა და და სხვა პირობების გაუმჯობესება საქონლის ყოლის ადგილებში;
- რადიაციის არეკვლის მიზნით ფერმების გადახურვა ღია ფერის მასალებით;
- საკვები ბაზის დახვეწა – ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესება და მოსავლიანობის ამაღლება; საკვებიდან ნუტრიენტების ათვისების ეფექტიანობის ამაღლება კლიმატის ცვლილების შედეგად საკვების შემადგენლობის ცვლილების გათვალისწინებით;
- ადგილობრივი საკვების გამრავალფეროვნება, ცილის მაღალი შემცველობის საკვების გამოყენება;
- ინტენსიური მეცხოველეობის საჭიროებებისთვის წყლის რესურსების მართვის – წყლის შეგროვების, მიწოდებისა და გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა;
- საქონლის ძოვების ორგანიზაციის დახვეწა, სამოვრების დაცვა მზისგან ბუნებრივი და ხელოვნური საშუალებებით, ნოტიო პერიოდებში ძოვების შეზღუდვა. სამოვრებზე ხეების დარგვა გრძელვადიანი ბუნებრივი დაჩრდილისთვის;
- გვალვების პერიოდში ცხოველთა დარწყულება სამოვრებზე. სამოვარზე მყოფი პირუტყვისთვის სასმელი წყლის მიწოდება, მაგალითად ცისტერნების მეშვეობით.
- მიწათსარგებლობის ოპტიმიზაცია ახალი დაავადებებისა და მათი გადამტანების ზემოქმედების შესამცირებლად;
- სათიბებისა და სამოვრების სტრუქტურის ოპტიმიზაცია ამინდის ექსტრემალური პი-



რობების მიმართ მათი მედეგობის გასაზრდელად, მაგალითად მიწათმოქმედების შერეული სტრუქტურა ტყის ნაკვეთებით;

- ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესება – მოსავლიანობის ამაღლება;
- პირუტყვის სულადობისა და ხარისხიანი საკვების წარმოების შესაძლებლობათა ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა;
- მემრობეობაში სანაშენე საქმის გაუმჯობესება - პირველ რიგში ადგილობრივი ჯიშების დადებითი თვისებების მაქსიმალურ გამოვლინება და განვითარება;

გამოყენებული ლიტერატურა

1. T. Kurashvili. Climate Change National Adaptation Plan for Georgia’s Agriculture Sector. Tbilisi. 2017. pp. 68–72.
2. Л.Тортладзе, И.Гегучадзе, Дж. Джаварашвили. Изучение некоторых вопросов адаптации голштинской породы к условиям влажных субтропиков Грузии. Материалы Международной научной конференции-«Глобальное потепление и агробиоразнообразии». Тбилиси 4-5-6-ноября 2015г.с.435-437
3. R. J. Collier ,R. B. Zimbelman, R.P. Rhoads, M.L. Rhoads, and L. H. Baumgard. A Re-evaluation of the Impact of Temperature Humidity Index (THI) and Black Globe Humidity Index (BGHI) on Milk Production in High Producing Dairy Cows. Department of Animal Sciences. The University of Arizona. Western Dairy Management Conference. 2009.
4. Г. М. Туников, Рациональные приемы в кормлении голштинских коров при беспривязном содержании. Зоотехния. No 4, 2011.
5. ნ. გოცირიძე. რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია. თბილისი, 1997.
6. H.S. Thomas, Storey’s Guide to Raising Beef Cattle, Health, Handling, Breeding, Therde Edition; SF207. T47, 2009.
7. The Internet Archive, Dr. Larry W. Specht, Penn State University, 10 Apr 2008 <https://web.archive.org/web/20080410084659/http://www.das.psu.edu/pdf/red-and-white-20070514.pdf> accessed 3 September 2018.
8. Ansell R.H. Observations on the reaction of British Friesian cattle to the lugnt ambient temperatures of the United Arab Emirates. University of the Bern. Thesis. 1974. pp.30-38.
9. Туманян А. Л. Особенности адаптации голштинизированных черно- пестрых коров в субтропическом климате. Автореф.т канд. с.-х. наук. - Краснодар. 2003.
10. Alsaied Alnaimy Habeeb, Ahmed Elsayed Gad and Mostafa Abas Atta. Temperature-Humidity Indices as Indicators to Heat Stress of Climatic Conditions with Relation to Production and Reproduction of Farm Animals. International Journal of Biotechnology and Recent Advances, 2018.
11. ლ. თორთლაძე - ჰოლშტინური ჯიშის საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ პირობებთან ადაპტაციის ზოგიერთი საკითხის შესწავლა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება„. ქ. თბილისი, 4-5-6-ნოემბერი 2015 წ. გვ.435-437
12. ლ. თორთლაძე,, თ. კაჭაშვილი - ჰოლშტინური ჯიშის კახეთის ეკოლოგიურ პირობებთან ადაპტაციის ზოგიერთი საკითხი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომების კრებული. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 21-23 აპრილი 2017 წ
13. თ. მახარაძე, გ.ი. გოგოლი. სარძევე მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თბომედეგობა და კავშირი მის პროდუქტიულობასთან. კრ. «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებელი ბიოლოგიური საფუძვლების ლაბორატორიის სამეცნიერო კვლევის მასა-



ლები», 1988, გვ. 131-134;

14. გ.გოგოლი, რ.ბარკალაია. სითბური დატვირთვის გავლენა ფურების სარძეო პროდუქტიულობაზე და მისი ნიველირების გზები. წმინდა გრიგოლ ფერადის სახელობის უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 2017 წ.
15. გ.გოგოლი, ლ.თორთლაძე. ჰაერის ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურის გავლენა ფურების ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე და სარძეო პროდუქტიულ ობაზესამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: ვეტერინარია-მეცხოველეობის მეცნიერებები და სურსათის უვნებლობის მიმართულელები საქართველოში- მასალებ. 20 ნოემბერი, 2015. გ. 77-80
16. M. Melissa Rojas-Downing, A. Pouyan Nejadhashemi, Timothy Harrigan, Sean A. Woznicki. Climate change and livestock: Impacts, adaptation, and mitigation. Climate Risk Management, 16, 2017.

The impact of climate change on animal productivity and health

Qachashvili Tamar

Doctoral student, Georgian Agricultural University, Tbilisi, Georgia;

Tortladze Levan

Doctor of Agricultural Sciences, Georgian Agricultural University, Tbilisi, Georgia;

Chkuaseli Amrosi

Doctor of Agricultural Sciences, Professor, Georgian Agricultural University, Tbilisi, Georgia;

Khatiashvili Giorgi

Doctor of Agricultural Sciences, Animal Breeders Association of Georgia, Tbilisi, Georgia;

Abstract

Key words: Heat stress, variety, clinical status, adaptation

Environmental conditions are an integral part of the economic management of livestock. Productivity of any breed is one of the indicators of animal adaptation to the environment. In this regard, it is topical issue to search for ways of the adaptation of cattle organism to the negative impacts of climate change, especially in the context of livestock intensification. Dairy cattle successfully bred in temperate climate zone, is emaciated in the countries with hot climates. It is identified that the productivity of cattle bred in temperate climate conditions, is decreased when such cattle is taken to tropical and subtropical climate regions, mainly due to the negative impact of high temperatures (heat stress), the power of action of which is modified by other elements, such as relative humidity, sun radiation, precipitation and others.

The impact of hot environments on the health of cattle is directly reflected by heat stress, which is mainly caused by elevated temperatures and humidity. Temperature Humidity Index (THI) is used to measure heat stress.

In recent years many Georgian farmers have been importing European breeds, mainly Holstein cattle breed. A special feature of the Holstein cattle is its intensive growth and development and milk producing ability, which is realized through full and balanced nutrition. Unlike other breeds, the Holstein breed is easily affected by environmental conditions, including extremely high temperatures. In the spring of 2016, the base of intensive farming (“Shtori” Ltd) in village Pshaveli of Telavi region, which is founded on the basis of modern technologies, imported 100 heifers of Holstein from Estonia. Visual observation of cattle behavior showed that it was sensitive to summer temperatures, which was also caused by poor ventilation of the building and the first signs of heat stress. This farm was the research base. Visual observation of cattle behavior showed that it was sensitive to summer temperatures, which was also caused by poor ventilation of the building and the first signs of heat



stress revealed. Heat stress was reflected in the increase of arterial pulse and breathing frequency.

In the farm located in village Khornabuji on Alazani valley, the biological characteristics of Caucasian chestnut breed cattle have been studied on the basis of scientific-industrial tests. The purpose of this study was to determine the physiological and clinical characteristics of cattle in thermo-neutral and extremely high air temperatures. The influence of air temperature on cattle's physiological characteristics and the clinical picture of blood was studied. It was found that pulse and breathing rates respectively increased by 1.96 and 1.4 times, at 36.2°C compared to 21.0°C. At the same time, even though sweat excretion increases by 2.39 times, it is not sufficient for thermoregulation and body (rectal) temperature increases by 1.5°C and skin temperature - by 3.1°C

Thus, at high temperatures, the Caucasian chestnut breed's thermoregulatory mechanism fails to maintain the normal physiological state of the organism - heat stress causes a decrease of milk production ability. Table 3 presents the values of the heat stress characteristic parameter - temperature-humidity indexes.

In summer, extremely high air temperatures have a negative effect on cattle settled in pasture. Compared to thermo-neutral temperature conditions, increases the breathing and pulse frequency of dairy cattle, also body rectal temperature and skin temperature, as well as sweating. Body temperature of separate individuals exceeds 40°C, which is significantly above the upper limit of physiological norm. As a result, heat stress develops. The milk producing ability of different productivity cows is reduced by the effect of heat differently; during the day, the fluctuations in the physiological parameters of cows are fully consistent with the fluctuations in air temperature. It has been found that 8-15% of herd is characterized by high heat resistance and adaptation coefficient, which is extremely important in terms of breeding; the influence of heat on hematological parameters is relatively low, although some changes were noted in the cows' organism during air temperature increase: In the afternoon, level of erythrocytes and leukocytes in the blood decreased and hemoglobin concentration decreased. In order to increase milk production in summer, should be considered measures to protect milk producing cows on pastures from heat. Heat stress can be avoided by building (installing) light hangers, using easily digestible carbohydrate foods, organizing grazing at night, etc.; During the breeding in hot climate zone, consideration should be given to the thermoresistance of the animals identified in the study.



მანდარინ კოვანო-ვასეს ახალგაზრდა ასაკის ჰიბრიდული ნათესარების ვეგეტატიური ორგანოების ზრდის მორფოლოგიური თავისებურებანი

ყიფიანი ნინო

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ნაშრომში წარმოდგენილია მანდარინ კოვანო-ვასეს ნაგალა ფორმების პოპულაციებში ჩატარებული გენეტიკურ-სელექციური ხასიათის სამუშაოები. ექსპერიმენტი განხორციელებული იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგარაულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევით



ცენტრში.

წარმატებული სელექციური მუშაობისათვის საწყისი მასალის მიღებისა და განსხვავებული ფორმების მიღების მიზნით კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა: მანდარინის ნაგალა ფორმებიდან კოვანო-ვასეს მცენარეები და ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველი, ადრემსხმოიარე ტრიფოლიატა და ციტრუს იჩანგენზისი. შესწავლილი იქნა მანდარინ კოვანო-ვასეს ახალგაზრდა ასაკის ჰიბრიდული ნათესარების ვეგეტატიური ორგანოების ზრდის მორფოლოგიური თავისებურებანი. აღნიშნული კვლევის შედეგად, ჩვენს მიერ მიღებულია მანდარინი კოვანო-ვასეს ფორმებიდან სახემეცვლილი ნიშან-თვისებების მქონე ახალი, გენოფონდის შესაქმნელად საჭირო საწყისი მასალა შემდგომი სელექციური საქმიანობისათვის.

საკვანძო სიტყვები: მანდარინი კოვანო-ვასე, ჰიბრიდული ნათესარები, ჰიბრიდული და ნუცელარული თესლნერგები.

საქართველოში გავრცელებულ ციტრუსოვნებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ციტრუსების დაბალვარჯიან-კრონიან ნარგაობას, რადგანაც ისინი ჩვეულებრივ მაღალ ვარჯიან ნარგაობასთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობით ხასიათდებიან. კერძოდ, დაბალ ვარჯიან ნარგაობაში ადვილია: მცენარეების მაღალი ყინვებისაგან და თოვლსაფარისგან დაცვა, მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა, მოსავლის აღება და სხვა მთელი რიგი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება. თუმცა, არსებობს ციტრუსოვანთა გავრცელების მალიმიტირებელი ფაქტორი-დაბალი ყინვაგამძლეობა, ვინაიდან ჩვენი სუბტროპიკული ზონა ხასიათდება პერიოდულად მკაცრი ზამთრებით, რის გამოც მათი ნარგაობა ხშირად ზიანდება, ზოგ შემთხვევაში კი მთლიანად ნადგურდება. ყინვაგამძლეობის ამაღლების მიმართულებით ტარდება მრავალწლიანი კვლევითი სამუშაოები სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარ-მეცნიერთა მიერ, მათ შორისაა სელექციის ერთ-ერთი კლასიკური მეთოდი-შორეული ჰიბრიდიზაცია, რომელიც იქნა ასევე გამოყენებული ჩვენს მიერ განხორციელებული ექსპერიმენტისას. კერძოდ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგარაულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევით ცენტრში განთავსებულ ციტრუსოვან მცენარეთა შორის (მანდარინი კოვანო-ვასე, ადრემსხმოიარე ტრიფოლიატა და ციტრუს იჩანგენზისი) ვაწარმოეთ შეჯვარება კომბინაციების მიხედვით. მიღებული იქნა მრავალრიცხოვანი ჰიბრიდული და ნუცელარული თესლნერგები, რომელთა მორფობიოლოგიური შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი ფორმების გამორჩევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ციტრუსების ახალ ფორმას ან ჯიშს ვაფასებთ თავისი აგრობიოლოგიური თავისებურებების, კერძოდ- სამეურნეო ვარგისიანობის მიხედვით, აუცილებელია მათი ზრდის ინტენსივობის მხედველობაში მიღება.

საკვლევი მცენარეების მრავალფეროვნების და მათ შორის სხვაობას დადგენის მიზნით გათვალისწინებული იყო ძირითადი მაჩვენებლების შესწავლა შემდეგი მეთოდიკით.

ბიომეტრიული გაზომვების მონაცემები დამუშავებული იქნა დისპერსიული ანალიზის მეთოდით (Доспехов,1979).

მორფოლოგიურ ნიშნებს ვსწავლობდით ვიზუალური დაკვირვების გზით. კერძოდ, შევისწავლეთ საკვლევი მცენარეების ზომები - სიმაღლე, ვარჯის დიამეტრი. მცენარის სიმაღლე იზომება ფესვის ყელიდან ვარჯის წვერომდე, დიამეტრს ვადგენდით სავეგეტაციო წლის ბოლოს, მცნობის ადგილიდან 5 სმ-ის ზემოთ, გავზომეთ მიმდინარე წლის ნაზარდების სიგრძე, ფოთლის ზომები (სიგრძე, სიგანე, ფართი). ფოთლის სიდიდე



ისაზღვრებოდა დ. ვარდუკაძისა და ა. ჭანუყვამის მიერ შემუშავებული მეთოდით (1973).

ჩვენი კვლევისას საცდელ მცენარეებზე ფენოლოგიური დაკვირვება ტარდებოდა ბეიდემანის (Бейдеман, 1974) და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ ბოტანიკურ ბაღში შემუშავებული მეთოდის მიხედვით (1975).

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა საცდელად აღებული მანდარინი კოვანო-ვასესა და ტრიფოლიატასა და ციტრუს იჩანგენზისთან შეჯვარების შედეგად მიღებული, ფენოტიპური ნიშნების მიხედვით გამოყოფილი სქესობრივი და ნუცელარული წარმოშობის 3 წლიანი ნათესარების ვეგეტატიური ორგანოების ზრდის მორფოლოგიური თავისებურებანი.

ჰიბრიდული ნათესარები მათი შესწავლის გაადვილების მიზნით დავყავით 2 ჯგუფად: პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ ნათესარები, რომლებშიდაც დომინანტობდა დედა მცენარის ფენოტიპური ნიშნები. მეორე ჯგუფში კი- ნათესარები მამა მცენარის დომინანტური ნიშნებით.

დაკვირვებები ჩატარებული იქნა ორივე ჯგუფიდან აღებულ 10-10 ძირ 3 წლიან ნათესარებზე და ვაწარმოეთ ბიომეტრიული გაზომვები რის შედეგადაც ძირითადად აღირიცხა: მცენარის სიმაღლე, ტოტების რაოდენობა და საშუალო სიგრძე, ფოთლის რაოდენობა და ფოთლის საასიმილაციო ფართი. აღნიშნული კვლევის შედეგები მოტანილია ცხრილი #1-ში.

მცენარის ზრდის ინტენსივობის დადგენის მიზნით საჭიროდ მივიჩნიეთ ყველა ვეგეტატიური ორგანოების საერთო სიგრძის გაზომვაც. როგორც ცხრილიდან ჩანს პირველ ჯგუფში გაერთიანებული – დედის დომინირებული ფენოტიპური ნიშნების მქონე მცენარეები თავისი ვეგეტატიური ორგანოების ზრდის ინტენსივობით დიდად არ განსხვავდებიან – მამის დომინანტური ფენოტიპური ნიშნების მქონე მცენარეებისგან. თუმცა აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ზრდის შედარებით მაღალი ინტენსივობით ხასიათდებიან მეორე ჯგუფის ჰიბრიდული ნათესარები, სადაც საშუალოდ ერთი მცენარის ვეგეტატიური ორგანოების ზრდის საერთო სიგრძე, კომბინაციების მიხედვით მერყეობს 3,20 დან 3,52 მეტრამდე; მაშინ, როდესაც პირველი ჯგუფის – დედის დომინანტური ნიშნების მქონე ჰიბრიდულ მცენარეებში ეს მაჩვენებელი, კომბინაციების მიხედვით – 2,77 დან 2,96 მეტრამდე მერყეობს.

შეჯვარების შედეგად მიღებული სქესობრივი ნათესარების ვეგეტატიური ორგანოების ზრდის მორფოლოგიური თავისებურებანი (3 წლიანი მცენარეების საშუალო)

ცხრილი 1

#	კომბინაციები	მცენარის სიმაღლე (სმ)	ტოტების რაოდენობა	ტოტების სიგრძე (სმ)	ვეგეტატიური ორგანოების საერთო სიგრძე (სმ)
---	--------------	-----------------------	-------------------	---------------------	---



I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
 „ახალი ინოვაციები“
 I INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
 “NEW INOVATIONS”



		I ჯგუფი	II ჯგუფი	I ჯგუფი	II ჯგუფი	I ჯგუფი	II ჯგუფი	I ჯგუფი	II ჯგუფი
1.	მანდარინი კოვანო-ვასე X ტრიფოლიატა ადრემსხმოიარე	76	82	5	4	38	43	2,96	3,52
2.	მანდარინი კოვანო-ვასე X ციტრუს იჩანგეზისი	82	89	4	6	36	42	2,77	3,20

პრაქტიკული სელექციისათვის უფრო პერსპექტიულია ჰიბრიდული ბუნების ნუცელარული ნათესარები, ვიდრე უფრო ყინვაგამძლე და უგემური ნაყოფის მომცემი ჩვეულებრივი სქესობრივი ჰიბრიდები, აღსანიშნავია, რომ ნუცელარული ნათესარები, საწყის ფორმასთან შედარებით, ხასიათდებიან უფრო ძლიერი დატოტვით. ვეგეტატიური ორგანოების ზრდის მორფოლოგიური თავისებურებების შესწავლისათვის ჩვენი დაკვირვების ქვეშ აღებული იქნა 10-10 ძირი 3 წლიანი ნათესარები, მათზე ვაწარმოეთ ვეგეტატიური ორგანოების ბიომეტრიული გაზომვები. გაიზომა და აღირიცხა მცენარის სიმაღლე, ტოტების რაოდენობა, ტოტების სიგრძე, ვეგეტატიური ორგანოების საერთო სიგრძე. აღივსებების შედეგები მოტანილია ცხრილი #2-ში. აღსანიშნავია რომ, ამ შემთხვევაშიც ისევე როგორც ჰიბრიდულ ნათესარებში ზრდის ვეგეტატიური ორგანოების ინტენსივობის მიხედვით მცირე განსხვავებაა I ჯგუფისა და II ჯგუფის _ ნათესარებს შორის.

როგორც ცხრილიდან ირკვევა სიმაღლეში ზრდის მიხედვით I ჯგუფის მცენარეები შედარებით მაღალი ზრდის ინტენსივობით ხასიათდებიან და შესაბამისად გამოირჩევა II ჯგუფის მცენარეებისგან, რაც კომბინაციების მიხედვით მერყეობს 75სმ-დან 77 სმ-მდე. მეტია _ მანდარინის კოვანო ვასეს (77სმ) და ტრიფოლიატა ადრემსხმოიარესთან კომბინაციაში, ვიდრე იგივე მანდარინისა (75სმ) ციტრუს იჩანგეზისთან კომბინაციაში, ხოლო რაც შეეხება II ჯგუფის მცენარეებს ეს მაჩვენებლები დაბალია და კომბინაციების მიხედვით მერყეობს 66სმ-დან 70სმ-მდე. რაც შეეხება მცენარის დატოტიანების სიხშირეს, აქაც მეტია I ჯგუფის მცენარეზე (4-7ცალი), ვიდრე II ჯგუფის მცენარეზე _ (5-8ცალი). ასეთივე კანონზომიერებაა დაცული გვერდითი ტოტების სიგრძეზე ზრდაშიც _ მეტია I ჯგუფის მცენარის (38-43სმ) ნაკლები II ჯგუფის მცენარის _ (34-38სმ).

ნუცელარული ნათესარების ვეგეტატიური ორგანოების ზრდის თავისებურებანი მორფოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით (3 წლიანი მცენარეების საშუალო)
 ცხრილი 2

#	კომბინაციები	მცენარის სი- მაღლე სმ	ტოტების რა- ოდენობა	ტოტების სიგ- რძე სმ	ვეგეტატიური ორგანოების საერთო სიგ- რძე



		I ჯგუფი	II ჯგუფი	I ჯგუფი	II ჯგუფი	I ჯგუფი	II ჯგუფი	I ჯგუფი	II ჯგუფი
1.	მანდარინი კოვანო-ვასე X ტრიფოლიატა ადრემსხმოიარე	77	70	7	5	43	38	3,42	2,57
2.	მანდარინი კოვანო-ვასე X ციტრუს იჩანგენზისი	75	66	4	8	38	34	2,64	2,46

ჩვენს მიერ დადგენილი იქნა ასევე ნუცელარული მცენარეების მთელი ვეგეტატიური ორგანოების სიგრძის ნაკრებთა ჯამი. ცხრილში მოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ ნუცელარული წარმოშობის მცენარეებშიც დაცულია იგივე კანონზომიერება, კერძოდ, I ჯგუფის მცენარის ვეგეტატიური ორგანოების ზრდის ინტენსივობა შედარებით უფრო მეტია, ვიდრე II ჯგუფის მცენარეებისა. ეს მაჩვენებელი I ჯგუფის მცენარეებში, კომბინაციების მიხედვით მერყეობს 2,64 მ-დან 3,42 მ-მდე. მაშინ, როდესაც II ჯგუფის მცენარეებში დაბალია და მერყეობს 2,46მ დან 2,57მ-მდე.

დასკვნა. შორეული ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებული მანდარინი კოვანო-ვასეს სქესობრივი ჰიბრიდული ნათესარები საკუთარ ფესვზე უფრო ინტენსიური ზრდით ხასიათდებიან, ვიდრე ჰიბრიდული ბუნების ნუცელარული ნათესარები, სქესობრივი ნათესარები, ისევე როგორც ნუცელარული ნათესარები ციტრუს იჩანგენზისთან კომბინაციაში უფრო სუსტი ზრდისაა, ვიდრე იგივე ნათესარები ტრიფოლიატა ადრემსხმოიარესთან კომბინაციაში. აღნიშნული კვლევის შედეგად, ჩვენს მიერ მიღებულია მანდარინი კოვანო-ვასეს ფორმებიდან სახეშეცვლილი ნიშან-თვისებების მქონე ახალი, გენოფონდის შესაქმნელად საჭირო საწყისი მასალა შემდგომი სელექციური საქმიანობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ყიფიანი ნ. „ფორმათაწარმოშობი პროცესების ხელოვნურად მართვის შემთხვევები მანდარინის ნაგალა ფორმებსა და ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველში“ (დამხმარე სახელმძღვანელო). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქ. ქუთაისი. 2015 წ.
2. ყიფიანი ნ., გეწაძე გ., ქობალია ვ. „შორეული ჰიბრიდიზაციის გზით მიღებული ციტრუსოვანთა პერსპექტიული ფორმები“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფერირებული ჟურნალი „მეცნიერთა შედეგების კომერციალიზაცია 1(2)“. ქ. ქუთაისი 2017წ..
3. ნ. ყიფიანი მანდარინის ნაგალა ფორმების ადრემსხმოიარე ტრიფოლიატასა და ციტრუს იჩანგენზისთან შეჯვარების შედეგად მიღებული ჰიბრიდული თესლების აღმოცენების დინამიკა. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ნოვაცია. №5 ქ. ქუთაისი 2017წ.

Morphological Specifications of Mandarin Kowano Wase Young Hybrid



Seedling Vegetal Organs

Kipiani Nino

Academic Doctor of Agriculture, Associate Professor

Chachkhiani-Anasashvili Nunu

Academic Doctor of Agriculture, Associate Professor

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: mandarin Kowano Wase, hybrid seedlings, hybrid and nuclear seedlings.

Introduction. Low crown citrus trees are more popular in Georgia than ordinary high crown citrus trees. It is due to their following advantages: plant protection from severe frosts and snow, dealing with insect pests and diseases, harvesting and conducting different agro technical activities.

Study object. Cultigens of Akaki Tsereteli State University Agrarian Scientific Centre citrus trees were used as study objects. We backcrossed species according to the combinations. As a result, we nurtured different kinds of hybrid and nuclear seedlings. According to their study, we distinguished some new forms. We studied morphological specifications of growth of vegetal organs of the three-year seedlings. These seedlings are of nuclear origin distinguished by phenotypic specifications due to the backcrossing of mandarin Kowano Wase with trifoliolate and Changezi.

Methodology: To determine a variety of study plants and make difference between them, the main specifications were studied by the following methodology. Biometric measuring data was processed with the help of dispersing methodology.

We studied morphologic specifications with the help of visual observation. Leaf size was determined by the method worked out by D. Vardukadze and A. Chanukvadze.

We conducted observation on study plants according to the methodology worked out in Beideman and Russian Academy of Science Main Botanical Garden. Based on morphological specifications, we did a hybrid plan analysis.

Study results. To make easier to study, we divided hybrid seedlings into two groups. The first group involved the seedlings with dominant mother plant phenotype traits. The second one involved the seedlings with dominant father plant phenotype traits.

Plants of the first group do not greatly differ from the second group plants by their intensity of growth of vegetal organs. But it should be pointed out, that the plants of the second group are specified by fast growth.

A hybrid type of nuclear seedlings is more prospective for practical selection than common frost-resistant hybrid plants of neutral taste (tasteless). Nuclear seedlings have stronger branching compared to the initial forms. It should be pointed out, that in this case like hybrid seedlings, and there is a little difference between first and second group plants according to the intensity of the vegetal organ growth.

Conclusion. Hybrid seedlings of mandarin Kowano Wase nurtured with the help of mixed hybridization derived from both parental organisms, grow intensively on their roots, than hybrid nuclear seedlings. Combined with citrus Ichangez, none of them grows intensively, than combined with trifoliolate of early yield. As a result of this study, we derived a modified breed from mandarin Kowano Wase with new traits, which is initial and necessary for the creation of the genetic material for future selective activities.





ყუბანიშვილი მაკა

სმმკ, ასოცირებული პროფესორი

ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებამ გაზარდა მოთხოვნები ისეთ ბოსტნეულ კულტურებზე, როგორცაა ყაბაყი, პატისონი, ბროკოლი და სხვა. ნაშრომში განხილულია იმერეთის რეგიონისათვის საუკეთესო ყაბაყის ჰიბრიდული ჯიშების შერჩევის საკითხი. 2017-2018 წლებში ცდები ტარდებოდა სოფელ მაღლაკსა და კურსებში სამ ჰიბრიდზე: ისკანდერ F1-ზე, ყვითელნაყოფასა და სანგრუმ F1-ზე. ცდებმა გვიჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისკანდერ F1- მა მოგვცა ყველაზე მაღალი მოსავალი სოფელ მაღლაკში: 2017 წელს 15 კგ ბუჩქზე; 2018 წელს 12 კგ ბუჩქზე, ხოლო სოფელ კურსებში: 2017 წელს 11 კგ ბუჩქზე; 2018 წელს 10 კგ ბუჩქზე, ჯიშისათვის დამახასიათებელ მოსავლიანობის მიხედვით (16-20 კგ ბუჩქზე) საუკეთესოდ მაინც უნდა ჩაითვალოს ყვითელნაყოფა და სანგრუმ F1, რომელთა მოსავალი შეესაბამება ჯიშისათვის დამახასიათებელ მოსავლიანობას. იმერეთის რეგიონისათვის ჯიშისათვის დამახასიათებელი მოსავლიანობის მიხედვით საუკეთესოა ყვითელნაყოფა და სანგრუმ F1. ჯიშის ყაბაყი.

საკვანძო სიტყვები: ყაბაყი, ისკანდერ F1, ყვითელნაყოფა, ბუჩქი.

ყაბაყი ძალიან სასარგებლო, დიეტური პროდუქტია, რომელიც სრულყოფილად შეიწოვება ჩვენი ორგანიზმის მიერ. ის შეიცავს : კალიუმს, მაგნიუმს, კალციუმს, ნატრიუმს, ფოსფორს, სპილენძს და რკინას, ასევე ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს C, PP, B₁, B₂ და სხვა დიდი რაოდენობით. მისი გამოყენება რეკომენდებულია : გულის, კუჭის, თირკმელების, ღვიძლის დაავადებებისათვის.

ყაბაყი - გოგრისებრთა ოჯახის მაგარკანიანი გოგრას სახეობაა. ის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ბუჩქისებრი განვითარებით, თუმცა ასევე არსებობს ნახევრად ბუჩქები და ხვიარა ფორმებიც. მცენარეს აქვს კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა, რომელიც შედგება მთავარღერძა და გვერდითი ფესვებისგან. მთავარ ღერძს შეუძლია ჩააღწიოს ნიადაგის 1,5-1,7მ. სიღრმეზე, თუმცა ფესვის ძირითადი მასა კონცენტრირებულია ნიადაგის ზედა ფენაში (0-40სმ.). ყაბაყი ერთბინიანი გაყოფილსქესიანი მცენარეა, რომელსაც ერთ მცენარეზე აქვს როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი ყვავილოები. ის ჯვარედინად დამამტვერიანებელია. ნაყოფის ფორმა წაგრძელებული, ცილინდრულია, ზოგჯერ ოდნავ მოხრილი. გვხვდება მომრგვალო ფორმებიც. ტექნიკურ სიმწიფეში ნაყოფის წონა 200 დან - 2000 გ მდეა (ჯიშების მიხედვით). ახალგაზრდა ნაყოფებს კანი საკმაოდ ნაზი აქვს, ხოლო სიმწიფეში მაგრდება. ფერით შეიძლება იყოს თითქმის თეთრი, ღია მწვანე, მუქი მწვანე, ყვითელი, მოვარაყებელი ან ზოლებში.

ყაბაყის მრავალი ჰიბრიდია ცნობილი. მაგ. ისკანდერ F1, ყვითელნაყოფა, ცუკეშა, ლენუცა F1, სანგრუმ F1 და სხვა.

ისკანდერ F1- ყაბაყის მაღალმოსავლიანი ჰოლანდიური ჰიბრიდული ჯიშია, ბუჩქი დიდი ზომის, მკვრივი. ნაყოფები ღია მწვანე, ზოგჯერ კი თეთრი ფერის, მოგრძო, მკვრივი



რბილობით. ნაყოფები სიგრძით 18 -22 სმ, ხოლო წონით 500-800გ. ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში ბუჩქი იძლევა 16-20 კგ. აღსანიშნავია, რომ დამწიფებისას ნაყოფი არ კარგავს თავის გემოს. გამძლეა ხანმოკლე ყინვების მიმართ. ცივ ზაფხულშიც კი ჰიბრიდი მაღალ-მოსავლიანია.

ისკანდერ F1- გამოირჩევა მდგრადობით რიგ დაავადებებთან მიმართ. საადრეო ჯიშია. ღია გრუნტში პირველი ნაყოფების აღება შესაძლებელია აღმოცენებიდან 36-40 დღის შემდეგ.

ყვითელნაყოფა - საადრეო ჯიშია, ეგუება ნებისმიერ კლიმატურ პირობებს. მოსავალს იძლევა აღმოცენებიდან 40 - 42 დღეში. მცენარისათვის დამახასიათებელია კომპაქტური ბუჩქი ყვითელი ნაყოფებით. ინვიტარებს 15- 16 ნაყოფს წონით 350-500გ. მოსავლის აღება ხდება კვირაში 1-2 ჯერ. ნაყოფები ინახება თვეზე მეტი.

სანგრუმ F1.- ჰოლანდიური საადრეო ჯიშია. ბუჩქი კომპაქტური. ნაყოფები ღია მწვანე შეფერილობის თეთრი ფხაჭებით, წონა 200-400გ. ერთი ბუჩქი იძლევა 5 კგ მოსავალს. შემოდის 38-40 დღეს. მცენარე გამძლეა არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიმართ.

ვინაიდან ბაზარზე მოთხოვნა ყაბაყის მიმართ გაიზარდა, ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვევრჩია იმერეთის რეგიონისათვის შესაბამისი ყაბაყის ჯიში. ცდები დაწყებულ იქნა 2017-2018 წელს იმერეთის რეგიონის სოფლებში: მესხეთსა და კურსებში. ცდისათვის შევარჩიეთ 3 ჰიბრიდი: ისკანდერ F1, ყვითელნაყოფა და სანგრუმ F1.

ყაბაყის ჩითილის მეთოდით მოყვანა ხელს უწყობს, როგორც მოსავლიანობის გაზრდას ასევე მოსავლის გაცილებით ადრე მიღებას. ამიტომ ჩვენც გამოვიყენეთ ჩითილით გამრავლების მეთოდი.

ჩითილები დაითესა 2017 წელს -5 აპრილს, ხოლო 2018 წელს - 8 აპრილს 12 სმ დიამეტრის ქოთნებში. ჩათესვამდე თესვს ვალბობდით წყალში ერთი საათის განმავლობაში. თითოეულ ჭიქაში ითესებოდა 2-3 ცალი თესლი. სათბურში იყო დაცული ტემპერატურული რეჟიმი, აღმოცენებამდე ტემპერატურა იყო 24 -25 °C, ხოლო შემდგომი ზრდის პერიოდში - 18 °C. ყურადღება ექცეოდა ქოთნებში ნიადაგის ტენიანობას. 30- 32 დღის შემდეგ 3-4 ფოთლის ფაზაში რგვას ვაწარმოებდით ღია გრუნტში (2017 წელს - 10 მაისს, ხოლო 2018 წელს 15 მაისს).

ყაბაყის დასარგავად ნიადაგი იხვნებოდა გვიან შემოდგომაზე წინამორბედი კულტურების აღების შემდეგ 25 - 27 სმ სიღრმეზე. აქვე შეგვექონდა გადამწვარი ნაკელი 60 ტ/ჰა - ზე. გაზაფხულზე ვახდენდით მზრალის თესვისწინა დამუშავებას. 2 ჯერ, ერთი მარტის და მეორე - აპრილის შუა რიცხვებში ვატარებდით კულტივაციას 10 - 12 სმ. სიღრმეზე თანმიყოლებული დაფარვებით. მცენარეებს ვრგავდით წინასწარ გამზადებულ ორმოებში მწკრივად 1მ.×1მ. კვების არით.

ყაბაყის ნარგავების მოვლა მოიცავდა რიგთაშორისების გაფხვიერებას, სარეველებისაგან გაწმენდას, გამოკვებას, მორწყვას.

მცენარის გამოკვებას ვაწარმოებდით 3 ჯერ:

1. დარგვიდან მეათე დღეს ქათმის წუნწუხით;
2. ყვავილობის დაწყებისას მცენარეული ნაყენით (1ლ. ნაყენი 10ლ. წყალში);
3. მსხმოიარობის დაწყების წინ კალიუმთან სასუქით და ნაცრით.



დავადებების თავიდან აცილების მიზნით ვახდენდით ნიადაგზე დაწოლილი ფოთლების შეცვლას. ვაცლიდით პირველ რიგებში მდებარე მამრობით ყვავილებს, რადგანაც მათი უმრავლესობა ცრუ ყვავილია, ასევე ბუჩქის აერაციის გაუმჯობესების მიზნით ვაცლიდით 2-3 ყველაზე დიდი ზომის ფოთოლს. რწყვას ვახდენდით კვირაში -1-2 ჯერ, ხოლო განსაკუთრებით ცხელ დღეებში მოთხოვნილების შესაბამისად. რწყვას ვწყვეტდით მასიური მოსავლიანობის პერიოდში ნაყოფის მალეფუჭებადობისა და ღვინის თავიდან აცილების მიზნით.

ყაბაყის მოსავლიანობის ორი წლის მონაცემები სოფელ მესხეთში

ცხრილი №1.

№	ჯიშის დასახელება	ჯიშისათვის დამახასიათებელი მოსავლიანობა ბუჩქზე კგ.-ში	2017წ. მოსავლიანობა ბუჩქზე კგ.-ში	2018წ. მოსავლიანობა ბუჩქზე კგ.-ში
1.	ისკანდერ F1	16-20	15	12
2.	ყვითელნაყოფა	7,5-8	7,8	8,4
3.	სანგრუმ F1.	5	6	5,3

ყაბაყის მოსავლიანობის ორი წლის მონაცემები სოფელ კურსებში

ცხრილი №2.

№	ჯიშის დასახელება	ჯიშისათვის დამახასიათებელი მოსავლიანობა ბუჩქზე კგ.-ში	2017წ. მოსავლიანობა ბუჩქზე კგ.-ში	2018წ. მოსავლიანობა ბუჩქზე კგ.-ში
1.	ისკანდერ F1	16-20	11	10
2.	ყვითელნაყოფა	7,5-8	7,4	7,65
3.	სანგრუმ F1.	5	4,8	4,95

ყაბაყს ძირითადად აზიანებენ მავნებლები: - თრიფსები, ბუგრები, ტკიპები რომელთა წინააღმდეგ ვიყენებდით: ბი -58 -სა და კარატეს. მოსავლის აღება ხდებოდა რამოდენიმე ჯერ, ნაყოფების სიმძიმის მიხედვით.

მოსავალს ვიღებდით ეტაპობრივად ნაყოფების მომწიფების მიხედვით (კვირაში 1-2 ჯერ). ორი წლის საშუალო მონაცემების მიხედვით სურათი შემდეგია:

როგორც ცხრილებიდან ჩანს მიუხედავად იმისა, რომ ისკანდერ F1- მა მოგვცა ყველაზე მაღალი მოსავალი სოფელ მესხეთში: 2017 წელს 15 კგ. ბუჩქზე; 2018 წელს 12 კგ. ბუჩქზე, ხოლო სოფელ კურსებში: 2017 წელს 11 კგ. ბუჩქზე; 2018 წელს 10 კგ. ბუჩქზე, ჯიშისათვის დამახასიათებელ მოსავლიანობას მიხედვით (16-20 კგ ბუჩქზე) საუკეთესოდ მაინც უნდა ჩაითვალოს ყვითელნაყოფა საშუალო მოსავლიანობით სოფ მაღლაკში 5.3 და სანგრუმ F1. რომელთა მოსავალი შეესაბამება ჯიშისათვის დამახასიათებელ მოსავლიანობას.

დასკვნა: იმერეთის რეგიონისათვის ჯიშისათვის დამახასიათებელი მოსავლიანობის მიხედვით საუკეთესოა ყვითელნაყოფა და სანგრუმ F1. ჯიშის ყაბაყი.



გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.agropedia.ge/ka/news/435>
2. <https://www.botanichka.ru/article/10-sortov-i-gibridov-kabachkov-kotoryie-ne-boyatsya-bolezney-i-kaprizov-pogodyi/>

Prospects of Zucchini in Imereti Region

Kubaneishvili Maka

Associate Professor

Chachkhiani-Anasashvili Nunu

Academic Doctor of Agriculture, Associate Professor

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: zucchini, Iskander F1, Yellow Fruit, bush.

Zucchini is a very useful, dietary product, that is perfectly absorbed by our body. It contains kalium, magnesium, calcium, sodium, phosphorus, copper and ferrum, also organic acids, following vitamins: C, PP, B1, B2 and others. It is recommended for heart, stomach, kidney and liver diseases.

Iskander F1 is one of the many famous zucchini hybrids. It is of Dutch origin and has high yields. Its bush is big, with solid, light green, sometimes white fruits. They have a long shape with white flesh. Fruit length is 18-22cm and weight 500-800gr. In favourable conditions, a bush gives a yield of 16-20 kg.

Yellow Fruit zucchini is specified with early ripening. It has a bush of compact size with yellow fruits. It gives approximately 15-16 fruits of 350-500gr. Harvest is taken once or twice a week. Fruits can be stored for a month or more.

Sangrum F1- has Dutch origin with early yields. Its bush is compact, fruits of light green colour with white strips. Their weight differs from 200 to 400 gr. One bush gives a harvest of 5 kg.

As demand on zucchini has increased on the market, we aimed to select zucchini appropriate breed for Imereti Region. Tests started in 2017-2018, in Imereti Region villages: Meskheti and Kursebi. We selected three hybrids for the tests: Iskander F1, Yellow Fruit zucchini and Sangrum F1. With the help of seedling method, we can get high and early yield. So, we applied this method.

Seedlings were planted on April 5, 2017, and on April 8, 2018, in the pots of 12 cm diameter. Before putting seeds in the ground, they were soaked in water for an hour. In each cup, we put 2-3 seeds. Temperature regime was preserved in the greenhouse. Before sprouting temperature was 24-25° c and then 18° c during the growing process. We paid attention to the soil humidity in the pots. After 30-32 days, in the phase of 3-4 leaves, we started planting in open ground (on May 10, 2017, and on May 15, 2018).

After taking zucchini yield, in late autumn soil was ploughed in the depth of 25-17 cm. We also enriched it with manure – 60 tones on a hectare. In spring, we cultivated and harrowed the soil in the depth of 10-12cm before sowing. At first in the mid of March and then in the mid of April. We planted seedlings in prepared holes in a row 1m to 1m.

Taking care of zucchini plants included loosening soil between rows, clearing from weeds,



watering.

We provided the plants for three times with muck, tincture, kalium fertilizer and gleeed:

1. On the tenth day since planting, we provided them with chicken adust;
2. At the beginning of fluorescence, we provided them with tincture(1liter in 10 litres of water);
3. Before fruit-bearing, we provided them with kalium fertilizer and gleeed.

To avoid different diseases, we removed leaves lying on the ground. We removed male flowers in the first rows because most of them are barren flowers. Besides, for better aeration of bushes, we removed 2-3 the biggest leaves, watered plants 2-3 times a week and in very hot days, watered them according to the need. We stopped watering them during high yield period, to avoid fruit rotting.

Zucchini is mainly damaged by pests: green flies, moles. We used Be 58 and Karate against them. Yield is taken for several times according to ripe fruits.

The following tables show two-year data in both villages:

Zucchini yield data of 2017-2018 in village Meskheti

Table #1.

Nº	Species	The yield of the species per bush in kilos	The 2017 year yield per bush in kilos	The 2018 year yield per bush in kilos n kilos
1.	Iskander F1	16-20	15	12
2.	Yellow fruit zucchini	7,5-8	7,8	8,4
3.	Sangrum F1.	5	6	5,3

Zucchini yield data of 2017-2018 in village Kursebi

Table #2.

Nº	Species	The yield of the species per bush in kilos	The 2017 year yield per bush in kilos	The 2018 year yield per bush in kilos n kilos
1.	Iskander F1	16-20	11	10
2.	Yellow fruit zucchini	7,5-8	7,4	7,65
3.	Sangrum F1.	5	4,8	4,95

Tables above show that Iskander F1 had the richest harvest in village Meskheti: 15 kg per bush in 2017; 12 kg per bush in 2018, while in village Kursebi it gave 11 kg per bush in 2017 and 10 kg per bush in 2018. But, according to the richness, the best are Yellow Fruit zucchini and Sangrum F1.

Conclusion: the best zucchini species for Imereti Region according to their richness are considered to be Yellow Fruit zucchini and Sangrum F1.



საყრდენი სისტემის მოწყობა ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის
სადედეში

შავაძე ლევანი



აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული ლექტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო

მევენახეობაში საყრდენის ოპტიმალური წესით მოწყობაზე დიდად არის დამოკიდებული ვაზის მოსავლიანობის რაოდენობა და ხარისხი. ნაშრომში განხილულია შპალერული საყრდენი სისტემის მოწყობის წესები და მისი უპირატესობები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ალაზნის ველის აგროეკოლოგიურ სისტემაში, ფილოქსერაგამძლე ვაზის სადღედეში საყრდენი სისტემის ოპტიმალური ვარიანტის დადგენა, რისთვისაც 2017-2018 წლებში მოწყობილი იქნა სტაციონალური ცდები. მინდვრის ცდები მოწყობილი იქნა სამ ვარიანტად, სადაც გამოიცდებოდა სამი, ოთხი და ხუთ იარუსიანი ვერტიკალური შპალერული წესით მოწყობილი საყრდენი სისტემები, ვაზის ფორმირების წესებთან “თავიანი უშტამბო” და “ვერტიკალური კორდონი” აგრეთვე ფორმირების თითოეულ ვარიანტში ვაზის 5-6, 7-8 და 9-10 ყლორტით დატვირტვასთან კავშირში. ცდებიდან მიღებული შედეგების საფუძველზე წარმოებას რეკომენდაცია ეძლევა სადღედეში მოეწყოს 5 იარუსიანი შპალერი რა დროსაც ეკოლოგიური ფაქტორების ოპტიმალურად გამოყენებით მიიღება უკეთესი შედეგი ლერწის გამოსავლიანობის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: მევენახეობა, ფილოქსერაგამძლე ვაზი, საყრდენი, ვერტიკალური შპალერი

მევენახეობის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ვენახების შპალერზე გადაყვანას. ამ წესით ვაზის კულტურის წარმოება, სხვა საყრდენ საშუალებებთან შედარებით თვალსაჩინო უპირატესობით ხასიათდება, რის გამოც ვაზის დასაყრდენი ეს სახე სადღეისოდ მთავარ საშუალებად ითვლება და იგი ფართოდ ვრცელდება მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში, განსაკუთრებით კი ვაკე და ოდნავ ქანობიან მასივებზე, სადაც მექანიზაციის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა იქმნება. შპალერის მოწყობით შესაძლებლობა გვეძლევა გამოვიყენოთ უფრო რაციონალური ღონისძიებანი ყურძნის მაღალხარისხოვანი და დიდი მოსავლის მისაღებად. [3]

შპალერი უნდა მოეწყოს ვენახის გაშენების პირველ წელს, უკიდურეს შემთხვევაში მეორე წელს. მოგვიანებით შპალერის მოწყობა აგვიანებს ვაზის ფორმირებას და მსხმოიარობაში დროულად შესვლას. რთულდება ვაზის მოვლა. შპალერის მოსაწყობად საჭიროა: მავთული, ბოძები, ლუზა, მანქნები (ხის ბოძებისათვის), მავთულის საჭიმები. საყრდენად გამოიყენება, როგორც მაგარმერქნიანი ხის, ისე რკინა-ბეტონის ან მოთუთიებული ბოძები. [2] მაგარმერქნიანი ხის შემთხვევაში ძირითადად აკაციის ან/და მუხის ბოძები გამოიყენება, რომელსაც აუცილებლად უნდა მოსცილდეს კანი, რათა მის ქვეშ არ დაიბუდონ მავნე ორგანიზმებმა. თანამედროვე ეტაპზე უპირატესობა ენიჭება მოთუთიებულ ბოძებს მისი საექსპლოატაციო ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ასეთ საყრდენზე კიდევ უფრო გაადვილებულია მექანიზაციის გამოყენება, მაგალითად ცის გახსნის ოპერაციის (თავის გადაჭრის) მანქანური წესით შესრულების დროს. რიგში ბოძებს შორის მანძილი შეიძლება ვაზის დატვირთვისას შემცირდეს 5 მ-მდე. ვაზის ზრდის სიძლიერის მიხედვით ეწყობა საშუალო და მაღალი შპალერი. საშუალო სიმაღლის შპალერი შედგება სამი წვერი მავთულისაგან. პირველი, ქვედა მავთული ნიადაგის ზედაპირიდან დაშორებულია ამ რაიონში მიღებული შტამბის სიმაღლის შესაბამისად, მეორე მავთული პირველისაგან დაშორებულია 35-40 სმ-ით, ხოლო მესამე მავთული მეორისაგან დაშორებულია 50 სმ-ით. მაღალი შპალერის მოწყობის პრინციპი იგივეა, მხოლოდ ზრდის სიძლი-



ერის მიხედვით ემატება მეოთხე მავთული. [2].

შპალერის მოსაწყობად გამოიყენება სხვადასხვა ზომის ბოძები, კიდურა ბოძების სიგრძე და დიამეტრიც მეტია, ვიდრე შუა ბოძებისა. კიდურა ბოძების სიგრძე 230-250 სმ-ია, რომლებიც თავსდება ორმოში მწკრივის ბოლო ვაზიდან 40-50 სმ. დაშორებით. იგი დახრილად მაგრდება ღუზაზე, რომლისთვისაც ითხრება 60-70 სმ. სიღრმის ორმო. შუალედი ბოძების სიგრძე უნდა იყოს 220-230 სმ.[1]

სურათი 1. მოთუთიებული ბოძების საყრდენი



ფერდობ, დამრეც და მცირეკონტურიან ვენახებში ვაზის ძირითად საყრდენად გამოიყენება სარი, ჭიგო. იგი მზადდება აკაციის, მუხის ან სხვა მაგარმერქნიანი ხის ჯიშებისაგან. [2]

კვლევის მიზანი და მეთოდები

ჩვენ მიზნად დავისახეთ დაგვეზუსტებინა კახეთში - მდინარე ალაზნის მარცხენა მხარის აგროეკოლოგიურ გარემოში, ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეში საყრდენის მოწყობის წესის დაზუსტება ვაზის ოპტიმალურ დატვირთვისთან კავშირში, ამ მიზნით დაყენებული იქნა სტაციონალური ცდა 2017-2018 წლებში.

საყრდენის მოწყობა საძირე ვაზის სადედეში მიზანშეწონილია ვაზის დარგვის წელსვე, რისთვისაც გამოიყენება რკინა-ბეტონის, ხის ან მოთუთიებული ბოძები, როგორც საშუალო სიმაღლის, ისე მაღალი, ვერტიკალური შპალერი.

საშუალო სიმაღლის ვერტიკალური შპალერის მოსაწყობად კიდურა (მთავარი) ბოძების სიმაღლე უნდა იყოს 2,30 მ, ხოლო შუა ბოძების 2,20 მ. კიდურა ბოძები ნიადაგში უნდა ჩაისვას 60-70 სმ, ხოლო შუა 50-60 სმ სიღრმეზე.

კიდურა ბოძები დახრილად მაგრდება ზუსტად ვაზების მწკრივის სიბრტყეში, 70-80 სმ სიღრმის ორმოში მოთავსებულ ღუზაზე ისე, რომ ბოძის წვერზე მოხმული მავთული ვერტიკალურად შეუერთდეს ღუზას. ვაზების მწკრივში შუა ბოძებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 6 მეტრს.

საშუალო სიმაღლის ვერტიკალურ შპალერზე უნდა გაიზას 3, ხოლო მაღალზე 4-5



წვერი მავთული. ორივე შემთხვევაში უმჯობესია მავთული გაიბას ზომებზე 30-40 სმ-ის დაშორებით.

საცდელი ნაკვეთი მოწყობილია შემდეგი სქემით:

I ვარიანტი – ვაზის დატვირთვა 5-6 ყლორტი (“თავიანი უშტამბო” და “ვერტიკალური კორდონი”) და გაფორმებულია 3 იარუსიან შპალერზე, ყლორტების თანაბრად განაწილებითა და ჰორიზონტალურად აღზრდის წესით; (საკონტროლო)

II ვარიანტი – ვაზის დატვირთვა 7-8 ყლორტი (“თავიანი უშტამბო” და “ვერტიკალური კორდონი”) და გაფორმებულია 4 იარუსიან შპალერზე, ყლორტების თანაბრად განაწილებითა და ჰორიზონტალურად აღზრდის წესით;

III ვარიანტი – ვაზის დატვირთვა 9-10 ყლორტი (“თავიანი უშტამბო” და “ვერტიკალური კორდონი”) და გაფორმებულია 5 იარუსიან შპალერზე, ყლორტების თანაბრად განაწილებითა და ჰორიზონტალურად აღზრდის წესით;

სააღრიცხვო ელემენტები:

- 10-12 მმ სისქის ლერწის გამოსავლიანობა სანტიმეტრებში;
- 8-10 მმ სისქის ლერწის გამოსავლიანობა სანტიმეტრებში;
- 6-7 მმ სისქის ლერწის გამოსავლიანობა სანტიმეტრებში;
- 6 > მმ სისქის ლერწის გამოსავლიანობა სანტიმეტრებში;
- მოუმწიფებელი ნაწილის სიგრძე სანტიმეტრებში (მომწიფების ხარისხს განვსაზღვრავდით ვიზუალურად);
- ნაზარდის საერთო წონა გრამებში;

თითოეულ ვარიანტში აღრიცხვობდა სამი ძირი ვაზი.

2017 -2018 წწ სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში საცდელ ნაკვეთზე სადაც დაწყებული განლაგებული იყო ზემოთ დასახელებული ვარიანტები, აგროტექნიკური და ფიტოტექნოლოგიური სამუშაოები ტარდებოდა ერთნაირი ხარისხით და დროის ერთ მონაკვეთში.

შემოდგომაზე, ვეგეტაციის დასრულების შემდეგ, ჩავატარეთ სააღრიცხვო სამუშაოები, მცენარის ნაზარდს ვზომავდით ზემოთ დასახელებული პარამეტრების შესაბამისად.

აღრიცხვის შედეგები მოცემულია ცხრილი 1 და 2-ში.

2017 წელს სტაციონალურ - საწარმოო ცდაში წარმოებული აღრიცხვების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეთა სადედეში მცნობისათვის გამოსაყენებელი, სტანდარტული 6 - 12 მმ დიამეტრი სისქის ლერწის გამოსავლიანობით ყველა სხვა ვარიანტს აღემატება “თავიანი უშტამბო” წესით ფორმირებული, 9-10 ყლორტით დატვირთული და 5 იარუსიან შპალერზე გაფორმებული ვაზის გამოსავლიანობა საიდანაც მიღებული იქნა 104613 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი 1 ჰა, ფართობზე, საიდანაც პირველხარისხოვანი, 8-10 მმ სიძსხოს მქონე, 120 სმ სიგრძის ლერწის გამოსავლიანობა 81136 ცალია.

სამყნობად გამოსაყენებელი, სტანდარტული (6-12 მმ დიამეტრი სისქის) 120 სმ. სიგრძის ლერწის გამოსავლიანობის მიხედვით, 9-10 ყლორტით დატვირთულ “თავიანი უშტამბო” წესით ფორმირებული ვარიანტიდან მიღებული შედეგები 149 %-ით აღემატება 9-10 ყლორტით დატვირთული “ვერტიკალური კორდონიდან” მიღებულ შედეგებს, საიდა-



ნაც მიღებული იქნა 41 880 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი.

82746 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი იქნა მიღებული 1 ჰა. ფართობზე ვარიანტიდან - “თავიანი უშტამბო” დატვირთული 7-8 ყლორტით, რომელიც 94 %-ით აღემატება ამავე დატვირთვის პირობებში “ვერტიკალური კორდონი”-ს წესით ფორმირებულ ვარიანტს, საიდანაც მიღებული იქნა 42453 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი.

ცხრილი 1

“თავიანი უშტამბო” და “ვერტიკალური კორდონი”-ს გამოსავლიანობა სხვადასხვა პარამეტრის შესაბამისად(ცხრილში მოცემულია 2017 წლის აღრიცხვის შედეგად მიღებული გამოსავლიანობა ერთ ჰა ფართობზე)

სააღრიცხვო პარამეტრი / ვარიანტი	> 12 00 (მ)	10 - 12 00 (მ)	8 - 10 00 (მ)	6 - 8 00 (მ)	6 > 00 (მ)	მოუწივე- ბელი ნაწილის იხგრბე (მ)	ნაზარდის წონა (კგ)	სტანდარტულ ლი 6-12 00 სიხის 120 სმ სიგრძის ლერწი (ცალი)
ვერტიკალური კორდონი - 5-6 ყლორტი	0	0	7 296	22 096	18 336	3 056	2 192	24 493
თავიანი უშტამბო - 5-6 ყლორტი	0	0	40 384	19 152	11 312	2 816	4 264	49 613
ვერტიკალური კორდონი - 7-8 ყლორტი	0	0	26 736	24 208	24 400	3 728	3 504	42 453
თავიანი უშტამბო - 7-8 ყლორტი	0	23 248	35 152	40 896	15 776	6 928	8 960	82 746
ვერტიკალური კორდონი - 9-10 ყლორტი	0	0	18 880	31 376	29 600	4 608	3 368	41 880
თავიანი უშტამბო - 9-10 ყლორტი	0	33 056	81 136	11 344	24 000	7 296	11 040	104 613

ცხრილი 2

“თავიანი უშტამბო” და “ვერტიკალური კორდონი”-ს გამოსავლიანობა სხვადასხვა პარამეტრის შესაბამისად(ცხრილში მოცემულია 2018 წლის აღრიცხვის შედეგად მიღებული გამოსავლიანობა ერთ ჰა ფართობზე)



I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
 „ახალი ინოვაციები“
 I INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
 “NEW INOVATIONS”



სააღრიცხვო პარამეტრი / ვარიანტი	> 12 მმ (მ)	10 - 12 მმ (მ)	8 - 10 მმ (მ)	6 - 8 მმ (მ)	6 > მმ (მ)	მოუშენებელი ნაწილის ისგრძე (მ)	სტანდარტული 6-12 მმ სისქის 120 სმ სიგრძის ლერწი (ცალი)
ვერტიკალური კორდონი - 5-6 ყლორტი	0	0	32 160	25 616	21 392	8 080	53 506
თავიანი უშტამბო - 5-6 ყლორტი	3 520	33 200	25 600	22 400	16 000	4 400	67 666
ვერტიკალური კორდონი - 7-8 ყლორტი	0	0	29 296	41 824	22 544	12 256	59 266
თავიანი უშტამბო - 7-8 ყლორტი	0	42 560	31 920	33 040	17 920	3 920	89 600
ვერტიკალური კორდონი - 9-10 ყლორტი	0	0	59 568	27 392	25 168	10 688	72 466
თავიანი უშტამბო - 9-10 ყლორტი	0	53 856	39 312	41 760	22 176	5 040	112 440

49613 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი იქნა მიღებული 1 ჰა. ფართობზე ვარიანტიდან - “თავიანი უშტამბო” დატვირთული 5-6 ყლორტით, რომელიც 102 %-ით აღემატება ამავე დატვირთვის პირობებში “ვერტიკალური კორდონი”-ს წესით ფორმირებულ ვარიანტს, საიდანაც მიღებული იქნა 24493 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი.

2018 წელს ცდაში წარმოებული აღრიცხვების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეთა სადედუმი მცნობისათვის გამოსაყენებელი, სტანდარტული 6 - 12 მმ დიამეტრი სისქის ლერწის გამოსავლიანობით ყველა სხვა ვარიანტს აღემატება “თავიანი უშტამბო” წესით ფორმირებული, 9-10 ყლორტით დატვირთული და 5 იარუსიან შპალერზე გაფორმებული ვაზის გამოსავლიანობა საიდანაც მიღებული იქნა 112440 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი 1 ჰა, ფართობზე, საიდანაც პირველხარისხოვანი, 8-10 მმ სიძსხოს მქონე, 120 სმ სიგრძის ლერწის გამოსავლიანობა 39312 ცალია. აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე ვარიანტიდან მიღებული იქნა 11-12 მმ. სიძსხოს 53856 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი ერთ ჰა. ფართობზე. 6-12 მმ. დიამეტრის სისქის ლერწის გამოსავლიანობით დასახელებულ ვარიანტს 55 %-ით ჩამორჩება ვარიანტი “თავიანი უშტამბო” დატვირთული 9-10 ყლორტი, რომლიდანაც მიღებული იქნა 72466 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი.

89600 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი იქნა მიღებული 1 ჰა. ფართობზე ვარიანტიდან - “თავიანი უშტამბო” დატვირთული 7-8 ყლორტით, რომელიც 51%-ით აღემატება ამავე დატვირთვის პირობებში “ვერტიკალური კორდონი”-ს წესით ფორმირებულ ვარიანტს, საიდანაც მიღებული იქნა 59266 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი.

67666 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი იქნა მიღებული 1 ჰა. ფართობზე ვარიანტიდან - “თავიანი უშტამბო” დატვირთული 5-6 ყლორტით, რომელიც 26 %-ით აღემატება ამავე დატვირთვის პირობებში “ვერტიკალური კორდონი”-ს წესით ფორმირებულ ვარიანტს, საიდანაც მიღებული იქნა 53506 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი.

დასკვნა:

ცდაში ჩატარებული აღრიცხვებიდან ჩანს, რომ გამოცდილი ვარიანტები უკეთეს შედეგს იძლევიან დიდი დატვირთვის პირობებში.

“თავიანი უშტამბო” წესით ფორმირებული დანაყოფიდან 2017 წელს მიღებული შე-



დეგების მიხედვით საუკეთესო შედეგი იქნა მიღებული 9-10 ყლორტით დატვირთვის და 5 იარუსიან შპალერზე ფორმირების პირობებში, საიდანაც მიღებული იქნა 104613 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი, რომელსაც 21 %-ით ჩამორჩება 7-8 ყლორტით დატვირთული და 4 იარუსიან შპალერზე ფორმირებული ვარიანტიდან მიღებული შედეგები, ხოლო 53 %-ით ჩამორჩება 5-6 ყლორტით დატვირთული და 3 იარუსიან შპალერზე ფორმირებული ვარიანტი.

ამავე დანაყოფზე 2018 წელს საუკეთესო შედეგი იქნა მიღებული 9-10 ყლორტით დატვირთვის და 5 იარუსიან შპალერზე ფორმირების პირობებში, საიდანაც მიღებული იქნა 112440 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი, რომელსაც 21 %-ით ჩამორჩება 7-8 ყლორტით დატვირთული და 4 იარუსიან შპალერზე ფორმირებული ვარიანტიდან მიღებული შედეგები, ხოლო 40 %-ით ჩამორჩება 5-6 ყლორტით დატვირთული და 3 იარუსიან შპალერზე ფორმირებული ვარიანტი.

“ვერტიკალური კორდონი” - ს წესით ფორმირებული დანაყოფიდან 2017 წელს მიღებული შედეგების მიხედვით საუკეთესო შედეგი იქნა მიღებული 7-8 ყლორტით დატვირთული და 4 იარუსიან შპალერზე ფორმირებული ვარიანტიდან, საიდანაც მიღებული იქნა 42453 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი 1 ჰა. ფართობზე, რომელიც 1 %-ით აღემატება 9-10 ყლორტით დატვირთულ და 5 იარუსიან შპალერზე ფორმირებულ ვარიანტს. 9-10 ყლორტით დატვირთულ ვარიანტს 42 %-ით ჩამორჩება 5-6 ყლორტით დატვირთული და 3 იარუსიან შპალერზე ფორმირებული ვარიანტი.

ამავე დანაყოფზე 2018 წელს საუკეთესო შედეგი იქნა მიღებული 9-10 ყლორტით დატვირთული და 5 იარუსიან შპალერზე ფორმირებული ვარიანტიდან, საიდანაც მიღებული იქნა 72466 ცალი 120 სმ. სიგრძის ლერწი 1 ჰა. ფართობზე. დასახელებულ ვარიანტს 19 %-ით ჩამორჩება 7-8 ყლორტით დატვირთული და 4 იარუსიან შპალერზე ფორმირებული ვარიანტიდან მიღებული შედეგები. ხოლო 26 %-ით ჩამორჩება 5-6 ყლორტით დატვირთული და 3 იარუსიან შპალერზე ფორმირებული ვარიანტიდან მიღებული შედეგები.

ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის ჰიბრიდი ბერლანდიერი X რიპარია კობერ 5 ბზ, ალაზნის ველის აგროეკოლოგიურ გარემოში - ალუვიურ ნიადაგებზე ხასიათდება ინტენსიური ზრდით, რის გამოც იგი მოითხოვს დიდ დატვირთვას, რაც თავისმხრივ განაპირობებს შპალერის ისეთი წესით მოწყობის აუცილებლობას, სადაც ყლორტების განაწილების შემდეგ შეიქმნება მათი ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები.

ცდაში ჩატარებული ორი წლის აღრიცხვის შედეგებიდან ჩანს, რომ გამოცდილი ვარიანტები - “თავიანი უშტამბო” და “ვერტიკალური კორდონი” ორივე შემთხვევაში უკეთეს შედეგს იძლევა 9-10 ყლორტით დატვირთვის და 5 იარუსიან შპალერზე ფორმირების პირობებში, სადაც მზის რადიაციისა და ჰაერაციის პირობების გაუმჯობესების შედეგად იქმნება უკეთესი პირობები მცნარის ზრდა - განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქანთარია, ვ. რამიშვილი, მ. მევენახეობა. გამომცემლობა: განათლება. თბილისი, 1983 წ;
2. ჩხარტიშვილი, ნ. მევენახეობა-აგროტექნოლოგია. გამომცემლობა: საჩინოში. თბილისი, 2016 წ;
3. ხელაშვილი, ა. ვაზის კულტურა შპალერზე. შრომის წითელი დროშის ორდენის საქარ-



თველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 1953 წ;

Arrangement of the Support System in the Mother Plant of Phylloxera Resistant Rootstock for the Grape Vine

Shavadze Levan

Doctor of Agricultural Sciences, visiting Lecturer, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Abstract

Key words: Viticulture, phylloxera-resistant vine, scaffolding, vertical wallpaper

Among various agrotechnical measures in viticulture, an utmost importance is given to the arrangement of the vineyard on trellis. Unlike other support structures, production of grape vine in this manner has a significant advantage due to which, today this type of vine support structure is considered to be the main method and is widely spread in almost every vine growing region, especially in flat areas and slightly sloping massifs, where extensive mechanization is possible. Arrangement of trellis allows us to use more rational measures to produce high quality grape and abundant harvest.

We aimed to specify the method of the arrangement of the support structure in the mother plant of phylloxera resistant rootstocks during optimal loading of the vine in Kakheti – the agro-ecological environment of the left bank of the river Alazani, for this purpose a stationary experiment was set in 2017 -2018.

Arrangement of the support structure in the mother plant of the vine rootstock is preferable in the year of planting the vine for which reinforced –concrete, wooden or galvanized poles, both medium and high vertical trellis are used.

For the arrangement of vertical, medium height trellis, the height of the head poles must be 2,30m and middle poles – 2,20m. The head poles must be installed in the soil to the depth of 60-70 cm and middle poles - to the depth of 50-60cm.

Head poles are secured in bending position on the anchor in the hole of 70-80cm depth precisely in the flat area of the row of vines so that the wire attached to the tip of the pole is vertically connected to the anchor. The distance between the middle poles in the row of vines must not exceed 6 meters.

On a vertical trellis of medium height should be stretched Cat 3 wire and on a high trellis – Cat 4-5 wire. In both cases, it is better to stretch the wire on the poles at a distance of 30-40cm.

The trial plot is arranged by the scheme as follows:

Variante I – the vine is loaded with 5-6 sprouts (head trained without trunk and “vertical cordon”) and formed on a three-tier trellis in a horizontal way and by equal distribution; (control) (See Figure 1,2)

Variante II – the vine is loaded with 7-8 sprouts (head trained without trunk and vertical cordon) and formed on a four-tier trellis by equal distribution of sprouts and in a horizontal way; (See Figure 3,4)

Variante III – the vine is loaded with 9-10 sprouts (“head trained without trunk and vertical cordon”) and formed on a five-tier trellis by equal distribution of sprouts and in a horizontal way;

Calculation elements:

- Output of 10-12 mm offshoot in centimeters;
- Output of 8-10 mm offshoot in centimeters;
- Output of 6-7 mm offshoot in centimeters;
- Output of 6 >7 mm offshoot in centimeters;
- Length of the immature part in centimeters (degree of maturity was determined visually);
- Total weight of the sprout in grams;

Three roots of the vine were included in each variant.



During the vegetation period on a trial plot in 2017-2018 where the above variants were located, phytotechnological and agrotechnical operations were carried out with the same quality and at the same time.

In autumn, after the completion of vegetation we conducted calculation operations, measured the sprout of the plant according to the parameters mentioned above.

The results obtained during the calculations in an experiment in **2017** show that according to the output of 6-12 mm diameter standard offshoot used for grafting in a mother plant of phylloxera resistant rootstock, the output of the vine loaded with 9-10 sprouts and formed by “head trained without trunk” rule on a five tier trellis is higher than all other variants, from which were received 104613 pieces of 120 cm long offshoots at 1 ha area out of which the output of first degree 8-10 mm and 120 cm long offshoot consists of 81136 pieces.

According to the output of (6-12 mm diameter) a standard 120 cm long offshoot used for grafting, the results received from the variant loaded with 9-10 sprouts and formed by the rule “head trained without trunk” are 149% higher than the results obtained from the variant of “vertical cordon” loaded with 9-10 sprouts out of which 41 880 pieces of 120 cm long offshoots were received.

82746 pieces of 120 cm long offshoots were received at 1 ha area from the variant “head trained without trunk” loaded with 7-8 sprouts, which is 94% higher than the variant formed with a “vertical cordon” in the same loading conditions from which were received 42 453 pieces of 120 cm long offshoots.

49613 pieces of 120 cm long offshoots were received at 1 ha area from the variant “head trained without trunk” loaded with 5-6 sprouts, which is 102% higher than the variant formed with a “vertical cordon” in the same loading conditions from which were received 24 493 pieces of 120 cm long offshoots.

The results obtained during the calculations in an experiment in **2018** show that according to the output of 6-12 mm diameter standard offshoot used for grafting in a mother plant of phylloxera resistant rootstock, the output of the vine loaded with 9-10 sprouts and formed by “head trained without trunk” rule on a five tier trellis is higher than all other variants, from which were received 112440 pieces of 120 cm long offshoots at 1 ha area out of which the output of first degree 8-10 mm and 120 cm long offshoot consists of 39312 pieces. It should be noted that from the same variant were received 53 856 pieces of 11-12 mm and 120cm long offshoots at one-hectare area. The variant “head trained without trunk” loaded with 9-10 sprouts from which were received 72466 pieces of 120 cm long offshoots, is 55% behind the mentioned variant with the output of 6-12 mm diameter offshoot.

89600 pieces of 120 cm long offshoots were received at 1 ha area from the variant “head trained without trunk” loaded with 7-8 sprouts, which is 51% higher than the variant formed with a “vertical cordon” rule in the same loading conditions, from which were received 59266 pieces of 120 cm long offshoots.

67666 pieces of 120 cm long offshoots were received at 1 ha area from the variant “head trained without trunk” loaded with 5-6 sprouts, which is 26% higher than the variant formed with a “vertical cordon” rule in the same loading conditions, from which were received 53506 pieces of 120 cm long offshoots.

Conclusion:

From the calculations conducted in the experiment, it appears that the tested variants give a better result in high loading conditions.

According to the results received in 2017 from the division formed by a “head trained without trunk” rule, the best result was obtained from the variant loaded with 9-10 sprouts and formed on a 5-tier trellis, from which were received 104613 pieces of 120 cm long offshoots. The results received from the variant loaded with 7-8 sprouts and formed on a 4-tier trellis is 21% behind the above variant and the variant loaded with 5-6 sprouts and formed on a 3-tier trellis is 53% behind the same above variant as well.

In 2018, the best result was obtained in the same division from the variant loaded with 9-10 sprouts and formed on a 5-tier trellis from which were received 112440 pieces of 120 cm long offshoots. The results received from the variant loaded with 7-8 sprouts and formed on a 4-tier trellis



is 21% behind the above variant and the variant loaded with 5-6 sprouts and formed on a 3-tier trellis is 40% behind the same above variant as well.

According to the results obtained from the division formed by a “vertical cordon” in 2017, the best result was achieved with the variant loaded with 7-8 sprouts and formed on a 4-tier trellis from which were received 42453 pieces of 120 cm long offshoots at 1 ha area, which is 1% higher than the variant loaded with 9-10 sprouts and formed on a 5-tier trellis. The variant loaded with 5-6 sprouts and formed on a 3-tier trellis is 42% behind the variant loaded with 9-10 sprouts.

In 2018 in the same division the best result was achieved with the variant loaded with 9-10 sprouts and formed on a five-tier trellis out of which were received 72466 pieces of 120 cm long offshoots at 1 ha area. The results received from the variant loaded with 7-8 sprouts and formed on a four tier trellis is 19% behind the variant mentioned above and the results received from the variant with a load of 5-6 sprouts and formed on a three tier trellis is 26% behind the same variant mentioned above.

Hybrid of phylloxera resistant vine rootstock Berlandieri X Riparia Kober 5BB is characterized by intensive growth on alluvial soils in the agroecological environment of Alazani valley due to which it requires huge load that in turn implies the need for arranging the trellis in such form, which will create optimal conditions for the growth –development of sprouts after their distribution.

Based on the results of a two-year calculation of testing, it appears that the tested variants such as “head trained without trunk” and “vertical cordon” in both cases give better result in case of loading with 9-10 sprouts and training on 5 tier trellis, where there are created better conditions for the plant growth –development due to the solar radiation and air conditioning.



არამდგრადი ტენიანობის პირობებში სიმინდის თესვასთან ერთად სასუქების შეტანის ეფექტიანობა

ხელაძე მაია

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტ. პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ნაშრომში წარმოდგენილია სასუქების როლი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში. სასუქების ეფექტიანობა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლის გადიდების საქმეში ბევრად არის დამოკიდებული შეტანის წესებზე, ვადებსა და დოზებზე. სასუქების დოზებს ადგენენ ნიადაგის ნაყოფიერების, კულტურის ბიოლოგიური თავისებურებების, წყლის რეჟიმის, აგროტექნიკის დონის შესაბამისად. მინერალური სასუქები ნიადაგში შეიძლება შეტანილ იქნას სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებით. მინერალური სასუქები ნიადაგში შეაქვთ თესვამდე მოზნევით, თესვის დროს ან ნათესების მექანიკური დამუშავებისას. ჩვენს შემთხვევაში საცდელ ნაკვეთზე მინერალური სასუქები შეტანილ იქნა სიმინდის თესვასთან ერთად. ასეთი მეთოდით იზოგება დრო და მცირეა შრომითი დანახარჯები.

საკვანძო სიტყვები: სასუქი, თესვა, კულტივაცია, კომბინირებული

სასუქები – აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ნაწილია, მრავალი საცდელ-კვლევითი მუშაობით და სოფლის მეურნეობის პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ მაღალი აგროტექნიკური ფონი დიდად ამაღლებს სასუქების ეფექტიანობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში. ნიადაგის კარგი დამუშავებისა და სასუ-



ქების შეტანით სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტეს ნაწილში, მაგალითად, სამე-
მოდგომო თავთავიანებს, სიმინდს, კარტოფილს და სხვა შეუძლია მოგვეცეს მაღალი მოსა-
ვალი ხანგრძლივი მონოკულტურის პირობებშიც კი. სასუქების გამოყენება დიდ ეფექტს
იძლევა აგრეთვე დაშრობილ მიწებზე, განსაკუთრებით ტორფიანებზე.

ჩვეულებრივ, საკვები ელემენტების ბუნებრივი მარაგი ნიადაგში საკმარისია, გარდა
N, P და **K**, რომელთა შეტანაც ნიადაგში საჭირო ხდება ხელოვნურად სასუქების სახით.

სასუქების ეფექტიანობა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლის გადიდების
საქმეში ბევრად არის დამოკიდებული შეტანის წესებზე, ვადებსა და დოზებზე. თითოეუ-
ლი კულტურისათვის გათვალისწინებული შესატანი სასუქების წლიური ნორმა შეაქვთ
ნაწილ-ნაწილად რამდენიმე ვადაში. მასთან ყველაზე მეტი სასუქის რაოდენობისა (დაახ-
ლოებით მთელი ნორმის 1/2 ან 3/4) შეაქვთ ხვნის დროს ან მზრალის თესვისწინა დამუშა-
ვების დროს. ეს სასუქები ქმნის საკვები ელემენტების ძირითად მარაგს, რომელსაც მცენარე
ხარჯავს ვეგეტაციის პერიოდში. მან ძირითადი სასუქების სახელწოდება მიიღო. თუ
რაიმე მიზეზის გამო ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა მთლიანად ვერ მო-
ხერხდა შემოდგომაზე, მაშინ დარჩენილი სასუქები შეიტანება გაზაფხულზე, მზრალის
თესვისწინა დამუშავების წინ.

ნიადაგში აზოტის შემცველობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, თუმცა, როგორც
წესი ის არ არის სტაბილური. აზოტის რაოდენობა ნიადაგში მცირდება მისი ჩამორეცხვი-
სას, მრავალჯერადი გამოყენებისას, მოსავლის აღებისას და ა.შ. ნიადაგს ესაჭიროება ყო-
ველწლიური კვება მინერალური სასუქებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მცენარეებს ემუქ-
რებათ ე.წ. „აზოტისშიმშილი“: ზრდის შემცირება, ყვითელ-მწვანეფოთლები (დამახასია-
თებელია ბოსტნეული კულტურებისათვის), წითელიფოთლები (ნაყოფის/ხილის შემ-
თხვევაში). ყველაზე ოპტიმალური ხერხი ნიადაგში ნივთიერებათა ბალანსის შენარჩუნე-
ბისთვის არის აზოტის სასუქების გამოყენება. ნიადაგში აზოტის მაღალი დაუცველობის
გამო აზოტის სასუქების გამოყენება ხდება აუცილებელი ელემენტი სოფლის მეურნეობა-
ში. იმისათვის, რომ თავი ავარიდოთ მცენარეებში ზედმეტი აზოტის არსებობას,
აუცილებელია, განვსაზღვროთ აზოტის სწორი ნორმა თითოეული კულტურისათვის.
სინთეტიკური ამიაკი არის აზოტის სასუქის მთავარი განმსაზღვრელი ელემენტი.

ფოსფორიანი სასუქი ყველა მცენარეს სჭირდება ზრდა-განვითარებისთვის. ეს სა-
სუქი 2 ძირითად ჯგუფად იყოფა: წყალში ხსნად და უხსნადად. პირველს მიეკუთვნება
მარტივი და ორმაგი სუპერფოსფატი. მეორეს-პრეციპიტატი, ძვლის ფქვილი და სხვა. ფოს-
ფორი აკონტროლებს მცენარეში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლას. მისი დახმარებით მცე-
ნარე მეტად უძლებს გვალვას და ყინვას განსაკუთრებით სჭირდება ეს სასუქი ახალგაზ-
რდა მზარდ ნერგებს. როდესაც ეს ელემენტი აკლია მცენარეს, იცვლება ფოთლის ფერი მე-
წამულ, ან ბრინჯაოსფრად ფერხდება ყვავილობა და მწიფობა. ეს სასუქი მიწიდან არ ირე-
ცხება. იგი შეაქვთ ფესვთან ახლოს საშემოდგომო ან საგაზაფხულო გადაბარვისას. რთუ-
ლადხსნადი – შემოდგომაზე, სუპერფოსფატი კი გაზაფხულზე.

კალიუმიაანი სასუქებს ჩვეულებრივ ფოსფორიან აზოტიან და ფოსფორიან სასუ-
ქებთან ერთად იყენებენ, ამით კალიუმი ღარიბ ნიადაგებზე მოსავლიანობა მნიშვნელოვ-
ნად იზრდება. შედარებით დიდი რაოდენობითაა საჭირო კალიუმი კარტოფილის, ბოს-



ტნეულის, შაქრის ჭარხლის, ძირხვენების, თამბაქოსა და სხვ. გასანოყიერებლად უკეთეს შედეგს იძლევა კალიუმ მაგნეზია, აგრეთვე კალიუმის სულფატი, კალიუმის გვარჯილა. კალიუმთან სასუქების დოზა დამოკიდებულია ნიადაგურ პირობებზე, მცენარის თავისებურებაზე, სასუქის ფორმაზე და მერყეობს 45 კილოგრამიდან 150 კილოგრამამდე ჰექტარზე. კალიუმთან სასუქით განოყიერებისას იზრდება მოსავლიანობა (საშუალო ც/ჰა-ზე):

თესვის დროს თესლთან ერთად შეაქვთ სწრაფად ხსნადი მინერალური სასუქები მცირე დოზით, იმ ანგარიშით, რომ პირველ პერიოდში, ვიდრე ახლად აღმოცენებული მცენარე ფესვებით დაუკავშირდებოდეს ნიადაგს, უზრუნველყოფილი იყოს საკვები ნივთიერებით. ეს თესვისთანა სასუქებია და წარმოადგენს ძირითადი სასუქების დამატებას.

სასუქები შეაქვთ მცენარის ზრდა-განვითარების ვეგეტაციის პერიოდშიც, რომ დამატებით მიეცეს მცენარეს ესა თუ ის საკვები ელემენტი სიცოცხლის ცალკეულ პერიოდში. სასუქების ამ დამატებით შეტანას გამოკვება ეწოდება. ამას ატარებენ იმ პერიოდებში, როდესაც მიმდინარეობს მცენარის ვეგეტატიური ნაწილების ინტენსიური ზრდა, ნასკვის ზრდა, აზოტის დაგროვება მარცვალში. მცენარის განვითარების პირველ პერიოდში დამატებით გამოკვებას ატარებენ აზოტთან სასუქებით (ზრდის დასაჩქარებლად), ხოლო შემდეგ პერიოდში ფოსფორკალიუმთან სასუქებით, დამატებითი გამოკვების ეფექტიანობა უფრო მეტად დიდია ნალექებით უხვ რაიონებში და სარწყავ პირობებში; სასუქები დამატებით გამოკვებაში შეაქვთ მწკრივთშორისებში 12–14 სმ და შეთანაწყობილია სავეგეტაციო რწყვების ჩატარებასთან.

სასუქების დოზებს ადგენენ ნიადაგის ნაყოფიერების, კულტურის ბიოლოგიური თავისებურებების, წყლის რეჟიმის, აგროტექნიკის დონის შესაბამისად. მრავალი საცდელ-კვლევითი მუშაობის შედეგებით დადგენილია, რომ კარგად გაკულტურებულ ნიადაგზე სასუქების შეტანის გაცილებით ნაკლები (25%-ით) დოზები ითვალისწინება, ვიდრე სუსტად გაკულტურებულ ნიადაგზე. ორგანული და მინერალური სასუქების ერთდროული გამოყენებისას ორგანული სასუქები (ნაკელი) შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემცირებული ნორმით (8–10 ტ/ჰა). საერთოდ ნაკელისა და მინერალური სასუქების ერთდროულად შეტანის დროს თითოეული მათგანის შესატანი დოზა ნახევრდება. მინერალური სასუქების დოზები გამოიხატება კილოგრამობით ჰექტარზე საკვები ელემენტების მიხედვით – აზოტთან სასუქებისათვის – აზოტი (N), ფოსფორიანისათვის – ფოსფორის ანჰიდრიტი (P_2O_5), კალიუმთანებისათვის – კალიუმის ჟანგი (K_2O), რაც გამოწვეულია მით, რომ სხვადასხვა მინერალური სასუქები სხვადასხვა რაოდენობის საკვებ ელემენტებს შეიცავს.

ცნობილია, რომ მინერალური სასუქები ნიადაგში შეიძლება შეტანილ იქნას სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებით. მინერალური სასუქები ნიადაგში შეაქვთ თესვამდე მოზნევით, თესვის დროს ან ნათესების მექანიკური დამუშავებისას. საცდელ ნაკვეთზე მინერალური სასუქები შეტანილ იქნა სიმინდის თესვასთან ერთად. ასეთი მეთოდით იზოგება დრო და მცირეა შრომითი დანახარჯები. ახლად ათვისებულ ნიადაგებში, რომლებიც გაწმენდილია ხეებიდან ჩამოტანილი ქვალორდისა და სხვა მცენარეული ნარჩენებისაგან ამცირებს შრომით დანახარჯებს და მოსალოდნელი გვალვის პირობებში, ნიადაგში შეტანილი მინერალური სასუქები, მცირე ატმოსფერული ნალექების მოსვლის დროსაც სიმინდის ნათესებს ამარაგებს სარწყავი წყლით.



მიმდინარე წლის დასაწყისში სიმინდის თესვასთან ერთად შეტანილი მინერალური სასუქების ეფექტიანობა საგრძნობლად იზრდება. როდესაც ჩვენ სასუქები შევიტანეთ სიმინდის თესვასთან ერთად, იყო შედარებით გვალვიანი ამინდები. გარკვეული დროის გაგლის შემდეგ მცირე ატმოსფერული ნალექების მოსვლაც კი ეფექტურს ხდის სასუქების გამოყენებას. ჩვენს შემთხვევაში საცდელ ნაკვეთზე მასის დასაწყისში შევიტანეთ თესვასთან ერთად სასუქები. შემდეგ პერიოდში მოსულმა ატმოსფერულმა უხვმა ნალექებმა სიმინდის კულტურა საკმარისი წყლის მარაგით უზრუნველყო. შესაბამისი მექანიკური დამუშავების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება სიმინდის მოსავალი, რაც აისახება სიმინდის მარცვლისა და მწვანე მასის გადიდებულ მოსავლიანობაში.



თესვასთან ერთად ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანა საშუალებას იძლევა ნაკლები შრომის ხარჯზე იქნას ორი სასოფლო-სამეურნეო ოპერაციის სიმინდის კულტურის თესვა და თესვასთან ერთად ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანის შეთავსება. ნიადაგში თესვის დროს სასუქები შეიძლება შეტანილ იქნას კომბინირებული სათესი მან-



ქანებით. რიგთაშორისების დამუშავება ჩატარდება სპეციალური 4 ან 6 რიგიანი კულტივატორი-მცენარის მკვებავით. ნათესების დამუშავება მცირე კონტურის ნაკვეთებზე შეიძლება ჩატარდეს ცოცხალი გამწევი ძალის ცხენწევის კულტივატორითაც. ზოგ შემთხვევაში დამუშავება შეიძლება მოხდეს ხელის სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. ნათესების დამუშავებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას ორჯერადი კულტივაცია, რაც შრომის ნაყოფიერებას მნიშვნელოვნად ზრდის.

ასეთი კომბინირებული გზით ნათესების დამუშავება ზრდის დამუშავების ხარისხს და ადიდებს მოსავლიანობას. მუშაობის ძირითადი შედეგები მიღებული იქნება სიმინდის ნათესების სრული დამუშავების დროს და მოსავლის ალების შემდეგ.

სამარცვლე სიმინდისა მწვანე მასის რაოდენობა შეფასდება შემოდგომაზე მოსავლის სრულად ალების შემდეგ. ეს შედეგები დადგება შედარებით გვიან შემოდგომაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჰ. გელიაშვილი – სამელიორაციო და სარწყავი მიწათმოქმედების საფუძვლები. გამომცემლობა "განათლება", თბილისი, 1985წ.
2. www.geofert.ge

The efficiency of Fertilizers' Usage While Sowing Corn in Unstable Moistening Conditions

Kheladze Maia

The degree of a candidate of sciences agricultural, Assistant professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: Fertilizer, sowing, cultivation, combined

Fertilizers are part of agro-technical complex activities. It's highly acknowledged that high agro-technical background profoundly raises the efficiency of fertilizers in increasing the harvest. Soil proper cultivation and enrichment with fertilizers can have a good impact even in mono-culture conditions (For instance corn, potato, etc.). The use of fertilizers has good results on dry soils, especially on peat soils.

Usually, the natural storage of nutrition elements in the soil is enough except N, P and K, they are taken artificially in the soil as fertilizers.

The efficiency of fertilizers for increasing the harvest depends on fertilizer using rules, periods and doses. The annual norm of fertilizers are taken part with some intervals, the most part (Approximately 1/2/ or 3/4) are taken while plowing or pre-sowing cultivation, they create the main storage of nutrition elements, which is used by the plant during vegetation. If for any reason the carrying of organic and mineral fertilizers in the soil during the fall season will not be managed then the rest part will be taken in spring before pre-sowing cultivation.

While sowing together with seeds there are taken fast soluble mineral fertilizers with a small dose in the soil. Seeds initially must to be provided by nutrition substances, these types of fertilizers are pre-sowing fertilizers and they are the additional portions before main fertilizers.

It's known that mineral fertilizers in the soil can be carried by different rules and methods -- using agricultural equipment, mineral fertilizers are taken in the soil before sowing, or while sowing or paddy mechanical cultivation. On trial areas/demonstration plots the mineral fertilizers are taken while corn sowing, this is time-consuming as well the labor expenses are less. Soil is cleaned from stones,



crashed rocks or plant remains. The mineral fertilizers taken in the soil provide water for cornfields during expecting drought periods and even in case of small atmospheric sediment.

At the beginning of the current year, the efficiency of mineral fertilizers is profoundly increasing, even the small atmospheric sediments have a positive effect on using fertilizers. In the trial phase at the beginning of May -fertilizer was taken in the soil during sowing, the abundant atmospheric sediments in the next period procured enough water for corn filed, and after special mechanic cultivation, the corn harvest (Corn seeds and green mass) will be increased.

Carrying mineral fertilizers in the soil during sowing is time-consuming (2 actions will take place: Corn seed sowing and taking mineral fertilizers in the soil). Fertilizer can be carried by combined sowing machines while sowing, the cultivation among rows will be managed by special 4 or 6-row cultivators and a horse or other agricultural tools can be used on small areas. 2- times cultivation can be tested for paddies that will increase fertility.

The cultivation of the soil with a combined method increases the cultivation quality and the harvest itself, the main achievements of activities will be resulted during the full cultivation of corn paddies and after the gain of the harvest.

Seedcorn and the quantity of green mass will be evaluated in the fall season after the full gain of harvest, the results will be expected in the late fall.



საკვები და შხამიანი სოკოები ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში

ხონელიძე ნინო

მეცნიერ თანამშრომელი

დიაკონიძე ნუნუ

მეცნიერ თანამშრომელი

თოქმაჯიშვილი გრიგოლი

მეცნიერ თანამშრომელი

ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისი, საქართველო

ნაშრომში მოცემულია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მის შემოგარენში ბუნებრივად მოზარდი, ველურ ბალახოვნებთან ერთად გავრცელებული საკვებად გამოსაყენებელი და შხამიანი სოკოების ორი ჯგუფის: ქუდიანი და ნაყოფსხეულა სოკოების ოჯახები, სახეობები. ბაღში გვხვდება ისეთი სახეობები, რომლებიც მარტო ზაფხულზე და შემოდგომაზეა. მცირე რაოდენობით არის ისეთი სოკოები, რომლებიც ამ რეგიონისთვის არ არის დამახასიათებელი ანუ გზადმოყოლილია (ადვენტური). სოკოებს შორის იშვიათია ენდემები.

საკვანძო სიტყვები: სოკო, ქუდიანი, ნაყოფსხეულა, საკვები.

სოკოები (Mycetes ნუ Fungi) ცოცხალი სამყაროს ცალკე სამეფოს წარმოადგენს, მათ ახასიათებს როგორც მცენარეთა, ასევე ცხოველთა თვისებები. მცენარისგან განსხვავებით, მათ არ შეუძლიათ გამოიმუშაონ თავისი საკვები და მათი კვება სხვა ცოცხალ (ან მკვდარ) ორგანიზმებზეა დამოკიდებული. სოკოები ცოცხალი სამყაროს ერთ-ერთი უძველესი წარმომადგენლებია. სოკოს პირველი გამოსახულება ნაპოვნია ეგვიპტის ფარაონების აკლდამაზე, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. 145 წლით. ჰიპოკრატე თავის ნაშრომში წერდა სო-



კოვებზე და მათ მნიშვნელობაზე მედიცინაში ძვ. წ (460-375) წ-ს. შუა საუკუნებიდან იწყება სოკოების კლასიფიკაცია შხამიან და საკვებად ვარგის სახეობებად. მიკროსკოპის აღმოჩენა გახდა გადამწყვეტი სოკოს სპორების არსებობის დამტკიცებაში. იტალიელმა მეცნიერმა მიკელიმ სპორების დათესვით ბუნებრივ ნიადაგზე დაამტკიცა, რომ სოკოები სპორებით მრავლდებიან. 1928 წელს ელიზანდერ ფლემინგმა აღმოაჩინა ობის სოკოს ანტიბაქტერიული თვისება, მისგან მიღებულმა ანტიბიოტიკმა პელიცილინმა, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

სოკოებს შეისწავლის მეცნიერება მიკოლოგია, რომელიც ბოტანიკის განხრავს. იმ მიზეზის გამო, რომ ადრე სოკოები უმდაბლეს, უქლოროფილო მცენარეებად ითვლებოდნენ, 1970 წელს სოკოების სამეფო ცალკე გამოყვეს. სოკო იზრდება მიცელიუმზე, რომელიც მას ფესვის მაგვირობას უწევს. მიცელიუმი უძრავადაა მიმაგრებული სუბსტრატზე და აქვს შეუზღუდავად ზრდის უნარი, რითაც ის ემსგავსება მცენარეებს. მიცელიუმი თავის მხრივ წვრილი დატოტვილი ძაფების ანუ ჰიფების სისტემაა. ჰიფები იზრდებიან აპიკალურად და უზვად იტოტებიან. იგი მთლიანად ჩაფლულია სუბსტრატში, რაც ხელს უშლის სპორების გავრცელებას. სპორების უმრავლესობას უნვითარდება სპორამატარებელი ორგანოები. სუბსტრატის ზედაპირი საკმაოდ რთულადაა მოწყობილი ნაყოფსხეულების სახით. გამრავლება კი იმავე სპორებით ხდება. მათ გამრავლება შეუძლიათ უსქესოდ და სქესობრივად. სწორედ გამრავლების ფორმებზეა დაფუძნებული მათი კლასიფიკაცია. სოკოები ბიოსფეროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რომლებიც გავრცელებულია დედამიწის ყველა საარსებო გარემოში. ისინი ჰეტეროფიტები არიან, მათ არ შეუძლიათ აწარმოონ საკვები ნივთიერებები. როგორც მცენარეებს, მათ არ გააჩნიათ ფესვი, ღერო და ფოთოლი, რის გამოც უმდაბლეს ანუ თალუსიან მცენარეებს მიაკუთნებენ. სოკოები წყალსა თუ ხმელეთზე არსებული ყოველი ეკოსისტემის განუყოფელი ნაწილია. სახლდებიან და ვრცელდებიან ყველგან - წყალში, ხმელეთზე თუ ნიადაგში. ისინი წამოადგენენ რედუცენტებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ბიოსფეროს ეკოსისტემაში, შლიან რა ყოველივე ორგანულს და წარმოშობენ ნაყოფიერ ნიადაგებს. ასევე ასრულებენ უდიდეს როლს, როგორც სიმბიოტიკები. ცნობილია მათი სიმბიოზი უმაღლეს მცენარეებთან - მიკორიზა, წყალმცენარეებთან და ციანობაქტერიებთან - მღიერები და ლიქენები.

ისტორიულად საქართველო საკვები სოკოების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საკვები სოკოების ასორტიმენტის შეგროვება და გამოყენება სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარია. დასავლეთ საქართველოში რაოდენობრივად გაცილებით მეტია საკვებად გამოსაყენებელი სოკოები, ვიდრე აღმოსავლეთში.

გამოყოფენ სოკოების რამდენიმე ჯგუფს: ა) საკვებად ვარგისი: ბ) საკვებად ვარგისი მხოლოდ თერმული დამუშავების შემდეგ (ნაკლებად შხამიანი): გ) ძლიერ შხამიანი მომწამვლელი სოკოები. საკვებად ვარგისი სოკოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კალორიულობით, ცილების რაოდენობით, ათვისების უნარით და ცელულოზას შემცველობით. ისინი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, როგორცაა ნახშირწყლები, ამინომჟავები, ცხიმები, მინერალური მარილები, შაქრები, მჟაუნმჟავა, ვაშლისა და ლიმონის მჟავა. ვიტამინებს - B1, B2, D, C და ა.შ. მინერალური ნივთიერებებიდან ფოსფორს, ნატრიუმს, კალციუმს, რკინას და კალიუმს. მიკროელემენტებიდან თუთიას, სპილენძს, დარიშხანს, მანგანუმს, იოდს.



სოკოები ითვლება ძნელად მოსაწვავებელ პროდუქტად. მასში რაოდენობით 91% წყალია, 3,2% ცილაა, 0,5% ცხიმი, 3,7% ნახშირწყლებია, 0,8% მინერალური მარილებია.

საკვებად ვარგის ქუდიან და ნაყოფსხეულა სოკოებს ოთხ კატეგორიად ყოფენ: 1.კატეგორია - ადვილად ასათვისებელი, ცილების დიდი რაოდენობით, მაღალი შემცველობით და მაღალკალორიულობით გამოირჩევა: *Agaricus tabularis* Peck. *Agaricus arvensis* Schaeff., *Lactarius piperatus* (L)Persi, *Rusula aeroginea* Lind.Blad, *Rusula viraccens* (Schaeff.) Fr. *Lactarius volemus*(Fr)Fr. *Cerrioporus squamosus* (Huds) Quel. *Fistulina hepatica* (Schaeff) Wich და სხვა. 2.კატეგორია - ცილების შედარებით მცირე რაოდენობით, ნაკლებ კალორიულობით გამოირჩევა: *Pleurotus ostreatus*(Jacq)P.Kumm., *Cantharellus cibarius* Fr., *Tricholoma portentosum* (Fr.)Quel. და სხვა. 3.კატეგორია - ცელულოზის დიდი რაოდენობით შემცველობისა: *Boletus luridus* Schaeff., *Boletus edulis* Bull., *Lactarius volemus*(Fr.)Fr. და სხვა 4.კატეგორია - საკვებად ვარგისი, ნაკლებად შხამიანი სოკოებია, რომლებიც თერმული დამუშავების შემდეგ 2 და 3 კატეგორიაში გადადის: *Russula emetica* Schaeff.Persi., *Lactarius piperatus* (L) Persi. *Sullellus luridus* L. *Boletus luridus* Schaeff., *Boletus edulis* Bull., და სხვა.

B - ჯგუფის ვიტამინებით მდიდარი შემცველობით გამოირჩევიან: *Rússula aeruginéa* Lindblad es Fr., *Cantharellus cibarius* Fr., *Armillaria mellea* (Vahl.)P.Kumm. და სხვა. საკვებად სოკოს თუ სწორად შევარჩევთ, უაღრესად სასარგებლოა.

ქუთაისის ბოტანიკური ბაღსა და მის შემოგარენში, სარეზერვო და კავკასიური ფლორის საკოლექციო ნაკვეთში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად აღირიცხა და დადგინდა ბუნებრივად ველურ ფლორაში მოზარდი საკვებად გამოსაყენებელი ქუდიანი და ნაყოფსხეულა სოკოების სახეობრივი შემადგენლობა, მოხდა მათი იდენტიფიკაცია, აღირიცხა სასიცოცხლო ფორმები. დადგინდა, რომ საკვებად გამოსაყენებელი და შხამიანი სოკოები წარმოდგენილია 12 ბოტანიკური ოჯახითა და 30 სახეობით.

ოჯახებია:

Agaricaceae, *Amanitaceae*, *Boletaceae*, *Cantharellaceae*, *Centhrellaceae*, *Hydnacaceae*, *Lyophyllaceae*, *P*
hysalacriaceae, *Polyporaceae*, *Russulaceae*, *Strophariaceae*, *Tricholomateaceae*;

სახეობებია: *Agaricus arvensis* Schaeff. *Agaricus sylvaticus* Schaeff, *Agaricus tabularis* Peck, *Chlorophyllum rachodes* (Vittad.)Vellinga. *Coprinus comatus* (O.F.Mall)Per, *Macrolepiota procera* (Scop.) Singe, *Amanita citrina* Persi, *Amanita pantherina* (DC) Krombh, *Amanita phalloides* (Vaill exF r.) link, *Amanita rubescens* Persi, *Boletus edulis* Bull. *Leccinellum griseum*(Qiel) Bresisy & Manf.Binder, *Leccinumscabrum*(Bull)Cray, *Craterellus cornucopioides* L (Pers)., *Cantharellus cibarius* Fr., *Hydnum repandum* L., *Lyophyllum decaste*(Fr)Singer., *Calocybe gambosa* (Fr)Donk., *Armillaria mellea* (Vahl.)P.Kumm., *Panus rudis* Fr., *Russula emetica* (Schaeff.) Pers., *Russula emetica* (Schaeff.)Pers., *Russula virescens* (Schaeff.)Fr., *Lactarius flexuosus* Persi Gray., *Lactarius piperatus* (L) Persi., *Lactarius volemus*(Fr.)Fr., *Hypholoma fasciculare* (Huds)P.Kumm., *Hypholoma lateritium* (Schaeff.) P.Kumm., *Kuehneromyces mutabilis* (Schaeff.) Singr & A. H. Sm., *Clitocybe nebularis* (Batsch) P., *Tricholoma portentosum* (Fr.)Quel. საკვებად ვარგისი ქუდიანი სოკოები, რომლებიც ბაღში აღირიცხა მეტი რაოდენობით გვხვდება: *Armillaria mellea* (Vahl) P. Kumm., *Pleurotus ostreatus* (Jacq.) P., Kumm., *Macrolepiota procera* (Scop.)Singer., *Panus rudis* Fr., *Tricholoma portentosum* (Fr.)Quél., *Agaricus sylvaticus* Schaeff. *Cantharellus cibarius* Fr.,



Lactarius piperatus (L) Persi. და სხვა.

ოჯახი Physalacriaceae.

Armillaria mellea(Vahl)P.Komm.

მანჭკვალა (იმერ)

ქუდი-3-10 სმ-მდე დიამეტრის. თავდაპირველად ამოხნეილი-ამობურცული, შემდეგ ბრტყლად გაშლილი, ზოგჯერ დამახასიათებელი ბორცვაკებით, ღია მოყვითალო, მოთეთრო ან მოყვითალო-მურა ქერცლებით დაფარული ზედაპირით, კანის შეფერილობა ვარირებს მოყავისფრო-თაფლისფრიდან. ფირფიტები მოყვითალო-მოთეთრო, ფეხი-7-14 სმ-მდე სიგრძისა და 1-2 სმ-მდე სისქის, მკვრივი და მთლიანი, ღია მოყვითალო-მოყავისფრო, ძირისაკენ უფრო მუქი ელფერით. რბილობი მკვრივი, თეთრი ან მოთეთრო. ახასიათებს სასიმოვნო სუნი და გემო. სპორები განიერ ელიფსური, უფერული, მოთეთრო-7-8,5x6-7,5 მკმ. იზრდება ჯუფურად, როგორც ცოცხალ, ასევე დამპალ ფოთლოვან და წიწვოვან ხეებზე, ბალ-პარკებში, ვენახებში. გვხვდება კუნძებზე და მორებზე, ხეცეულებზე, ხეებისა და ბუჩქების ფესვებზე, უმეტესად ნესტიან ადგილებში, როგორც ზაფხულში, შემოდგომით ასევე ზამთარშიც. გავრცელებულია მთელ საქართველოში. კარგ საკვებ სოკოდ ითვლება, როგორც ახალი, ასევე გამხმარი და გამშრალი. აუცილებელია მისი კარგად, თერმულად დამუშავება, რათა არ გამოიწვიოს მოწამვლა.

ოჯახი. Pleurataceae

Pleurotus ostreatus(Jacq).P.kumm.

ხეთამხალა, კალმახა.

ქუდი 5-18 სმ-მდე დიამეტრის, ნიჟარისებრი ,მარაოსებრი ან ენისებრი. თავიდან გლუვია, წვრილქერცლოვანი ზედაპირით, მონაცრისფრო-კრემისფერი-მურა ფირფიტები მოთეთრო, ზოგჯერ მონაცრისფრო ელფერით. ფეხი 1-4 სმ-მდე სიგრძის და 0,5-2 სმ-მდე სისქის. ქეჩისებური ზედაპირით. რბილობი მოთეთრო, სასიმოვნო სუნით და გემოთი. სპორები ცილინდრულია ან მოგრძო-ელიფსური, გლუვი, მოთეთრო კრემისფერი. 7-11 x 3-4 მკმ. იზრდება ჯგუფურად, გამხმარ და დამპალ ფოთლოვან და წიწვოვან ხეებზე. ზაფხულ-შემოდგომით. გავრცელებულია მთელს საქართველოში. საკვებად გამოიყენება ახალი.

ოჯახი Agaricaceae

Macrolepiota procera (Scop.)Singer.

წეროსწვივა, მგზავრიო.

ქუდი-10-30 სმ-მდე დიამეტრის, თავდაპირველად სფეროსებრი ან კვერცხისებრი, შემდეგ ნახევრად გაშლილი ქოლგისებრი, რამდენადმე ამობურცული ან თითქმის ბრტყელი, შუაში მოზრდილი მოყავისფრო ბორცვაკით, ზედაპირი ცენტრში მურა და გლუვია, ხოლო დანარჩენ ნაწილებში წვრილქერცლოვანი, მოთეთრო ბეჭი ან კრემისფერი. კიდეებზე ბამბისებური თეთრი ბოჭკოებით, ფირფიტები თავისუფალი, ხშირი, ადვილად სცილდება ქუდს, თეთრი ან კრემისფერი ან ბეჭი. ფეხი 10-30 სმ-მდე სიგრძის და 1-4 სმ-მდე სისქის, ცილინდრული, ფუყე, უხეშ ბოჭკოვანი, ძირში სფეროსებრ გამსხვილებული, მოჩაღისფრო ან ღია ქერცლებით დაფარული ზედაპირით. რბილობი თავდაპირველად ფაშარი, მოგვიანებით უფრო მკვრივი თეთრი ან მოთეთრო, ჰაერზე ფერს არ იცვლის. სასიმოვნო



გემოთი და სუსტად გამოხატული სოკოს სუნით. სპორები კვერცხისებრ-ელიფსური, 12-18 x 8-12 მკმ. იზრდება ნიადაგებზე, ტყისპირებში, მდელოებზე, ზაფხულ-შემოდგომით. გავრცელებულია მთელ საქართველოში, საკვებად გამოიყენება ახალი და გამშრალი.

ოჯახი. Polyporaceae

Panus rudis Fr.

ყველის სოკო, კაციყურა(იმერ.)

ქუდი 2-8 სმ-მდე დიამეტრის ნიჟარისებრი, ყურისებრი ან ძაბრისებრი. მკვრივი, ხშირი ჯაგრისმაგვარი წანაზარდებით დაფარული ზედაპირით, ღია მოყავისფრო-თამბაქოსფერი, ბეჟი ან ჩალისფერი, მომატებული ტენიანობისას ღია მელნისფერია. ფეხი 2-3 სმ-მდე სიგრძის და 1-2 სმ-მდე სისქის ჯაგრისებური ზედაპირით. რბილობი მოთეთრო, მაგარი, გამოხატული სუნისა და გემოს გარეშე, ზოგჯერ მომწარო გემოთი. სპორები ელიფსური, გლუვი, უფერული 4,5-6,5 x 2,5-4 მკმ. იზრდება გამხმარ და დამპალ ფოთლოვან ხეებზე. ნესტიან ტყეებში ზაფხულ-შემოდგომით. გავრცელებულია მთელ საქართველოში. საკვებად გამოიყენება ნორჩი. გამხმარს და დაფქულს კვეთის მაგივრად ყველის შესადედებლად იყენებენ.

ოჯახი.Tricholomataceae

Tricholoma portentosum(Fr.)Quel.

შავჩოხა, სოკოშავა (იმერ.)

ქუდი 4-10 სმ-მდე დიამეტრის, ხორცოვანი, ტალღოვანი კიდეებით, თავდაპირველად ამობურცული, მოგვიანებით ბრტყელი, არათანაბარი, შუაში ბორცვაკით ოდნავ წებოვანი, ჭუჭყისფერ-მონაცისფრო, მუქიმურა ან თავისფერი. ფეხი 7-14 სმ-მდე სიგრძის და 1-3 სმ-მდე სისქის, სწორი ცილინდრული ან ძირში ოდნავ გამსხვილებული, ფუყე. რბილობი თეთრი ან მოთეთრო-მონაცრისფრო. ჰაერზე ოდნავ მოყვითალო ელფერით, ფქვილის სუნით. სპორები კვერცხისებრ - ელიფსური, უფერული, 4-6 x 3-5 მკმ. იზრდება ნიადაგზე წიწვოვან ტყეში, შემოდგომით დიდი რაოდენობით პირველ ყინვებამდე. თოვლშიც კი გროვდება. გავრცელებულია მთელ საქართველოში, საკვებად გამოიყენება ახალი.

ოჯახი.Agaricaceae

Agaricus sylvaticus Schaeff.

ტყის ქამა, ქამა სოკო. (იმერ.)

ქუდი 5-10 სმ-მდე დიამეტრის თავდაპირველად კვერცხისებრ-ზარისებრი, შემდეგ ბრტყლად ამოზნექილი, ხშირად შუაში ბორცვაკით, მურა ქერცლებით დაფარული ზედაპირით, ჟანგისფერ-მურა-მოყავისფრო ფირფიტები თეთრი, შემდეგ მოწითალო მოვარისფრო, ბოლოს თითქმის შავი. ფეხი 5-15 სმ-მდე სიგრძის და 0,5-1,5 სმ-მდე სისქის, ცილინდრული, ხშირად ძირისკენ რამდენადმე გაფართოებულ-გამსხვილებული მოყავისფრო ქერცლებით. რბილობი თეთრი, გადატეხისას მოწითალო მოვარდისრო ხდება. სპორები კვერცხისებრ-ელიფსური, მურა მეწამული, 4,5-6 3-3,5 მკმ. იზრდება ნიადაგებზე წიწვოვან და შერეულ ტყეებში, ადრე ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გამოიყენება საკვებად ახალი, კარგ საკვებ სოკოდ ითვლება.

საკვებად და სამკურნალოდ გამოსაყენებელი ნაყოფსხეულა სოკოებია 5 ოჯახი, ესენია:



Agaricaceae, Fistulinaceae, Fomitopsideaceae, Mozchellaceae, Pleuratacea, Polyporaceae 7 სახეობის, ესენია: *Lycoperdon perlatum* Pers., *Piptoporus betulinus*(Bull)P.Karst., *Fistulina hepatica* (Schaeff) Wich., *Morchella esculenta* (L)Pers., *Pleurotus ostreatus* (Jacq.) P. Kumm., *Cerioporus squamosus* (Huds.)Quel., *Fomes fomentarius* (L) Fr. და სხვა.

ოჯახი. *Fistulinaceae*

Fistulina hepatica(Schaeff.) With

ღვიძლა სოკო (იმერ.)

ნაყოფსხეული - მომრგვალო ენისებური, ხორციანი, 8-25 სმ დიამეტრის და 2-6 სმ სისქის, რომელიც გადადის მოკლე ფეხში, ახალგაზრდა სოკოს ზედაპირი სტრუქტურით გავს ხბოს ენას, ხავერდოვანი, ოდნავ წებოვანი, მოწითალო ხორცისფერი, რომელიც ხდება მუქი ყავისფერი, პრიალა და მშრალი. ფეხი მოკლე გვერდითი, მურა წითელი ძირში მურა ბუსუსებით. რბილობი სისხლისფერი, თეთრი მკვრივი ძარღვისებრი ჩანართებით. წაავს ახალ ხორცს ან ღვიძლს. შეიცავს დიდი რაოდენობით წითელ წვენს. სპორები კვერცხისებრი, გლუვი და ყავისფერი. 4,5-6 x 3-4 მკმ გვხვდება იშვიათად, ზაფხულსა და შემოდგომაზე, იზრდება მუხაზე, წაბლზე და წიფელზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. საკვებად გამოიყენება ნედლი, ნორჩი.

ოჯახი. *Polyporaceae*

Fame fomentarius (L)Fr.

აბედა სოკო

ნაყოფსხეული - თაროსებრი, ფეხის გარეშე, თავიდან მომრგვალო, შემდეგ ჩალისფერი, 5-45 სმ - მდე დიამეტრის. ზედაპირი თავიდან ხავერდოვანი, ღია კრემისფერიდან მუქ ნაცრისფერამდე, მუქი კონცენტრული ზოლები. ხელის დაჭერისას მუქდება. კორპისებური, რბილი, გადანაჭერი ხავერდოვანია, მუქი ჟანგისფერ - ყავისფერი. სპორები - მოგრძო უფერული, 14-22 x 5-6 მკმ. გვხვდება ცოცხალ და გამხმარ ხეებზე, განსაკუთრებით ხეჭკეულებზე, წელიწადის ნებისმიერ დროს. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გამოიყენებენ ხალხურ მედიცინაში ტამპონებით სამკურნალოდ. აბედის დაამზადებლად.

ბაღში გავრცელებული შხამიანი სოკოები წარმოდგენილია - 3 ბოტანიკური ოჯახით: *Agaricaceae*, *Amanitaceae*, *Strophariaceae*. სახეობით 6, ესენია: *Lycoperdon perlatum* Pers., *Amanita citrina* Persi., *Amanita pantherina* (DC) Krombh., *Amanita phalloides*(Vaill ex Fr.) link, *Hypholoma fasciculare* (Huds) P.Kumm., *Hypholoma lateritium* (Schaeff) P.Kumm. და სხვა. საკვები სოკოების შხამიანი ორეულები: *Hypholoma fasciculare* (Huds.) P. Kumm., *lateritium* (Schaeff.) P.Kumm. *Amanita citrina* Pers. და სხვა.

ოჯახი .*Amanitaceae*

Amanita citrine Persi

ბილწა სოკო

ქუდი 5-10 სმ -მდე დიამეტრის. სქელხორცოვანი, თავდაპირველად ნახევარსფეროსებრი, შემდეგ გაშლილი მოყვითალო-მონაცრისფრო ან მომწვანო შეფერილობის. ფირფიტები ხშირი, თავისუფალი, ვიწრო, მოთეთრო ზოგჯერ მოყვითალო კიდეებით. ფეხი 5-12 სმ-მდე სიგრძის და 1-2 სმ-მდე სისქის. ოდნავ შებუსვილი ზედაპირით, თეთრი ან მოყვითა-



ლო, ძირისკენ გამსხვილებული, ძირში ბოლქვისებრ გასქელებული. რბილობი მოთეთრო-მონაცისფრო-მურა, ფეხის ძირთან მოყვითალო, დამახასიათებელია ფენოლის არასასიამოვნო სუნით (ე.წ. „აფთიაქის სუნი“). სპორები- ელიფსური, გლუვი, მურა-მეწამული 6 x 9 მკმ. იზრდება ნიადაგზე, მინდორში, ბალ-პარკებში, ზაფხულ-შემოდგომაზე. გავრცელებულია მთელს საქართველოში.

ოჯახი Strophariaceae

Hypholoma fasciculare (Huds.) P. Kumm.

მანჭკვალას მატყუარა.

ქუდი 2-7 სმ-მდე დიამეტრის. თავდაპირველად ზარისებრი, შემდეგ რამდენადმე გაშლილი, შუაში დამახასიათებელი ბორცვაკით, გლუვი ზედაპირით, მოყვითალო, მურა-მოყვითალო, კიდებისკენ უფრო ღიავდება, ცენტრისკენ უფრო მუქი ან მურა-მოწითალო. ფირფიტები ხშირი, თხელი, ფეხთან შეზრდილი. ფეხი 3-10 სმ-მდე სიგრძის და 0,3-1 სმ-მდე სისქის ფუყე, ბოჭკოვანი ზედაპირით. საყელოს ზედაპირი აბლაბუდისებრი. რბილობი მოთეთრო, ღია ყვითელი, მწარე გემოთი და არასასიამოვნო სუნით. სპორები ელიფსური გლუვი 5-7,5 3,5-5 მკმ. იზრდება ჯგუფურად გამხმარ და დამპალ ფოთლოვან და წიწვოვან ხეებზე, ზაფხულ-შემოდგომით. გავრცელებულია მთელს საქართველოში.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ერთეულების სახით გვხვდება ისეთი სოკოები, რომლებიც ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი არ არის, გზადმოყოლილია ანუ ადვენტურია: *Boletus luridus* Schaeff., *Boletus edulis* Bull. et Fr., *Cerioporus squamosus* (Huds.) Quel. და სხვა.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ველურ ფლორაში გავრცელებული ქუდიანი და ნაყოფსხეულა სოკოები წარმოდგენილია თორმეტი ბოტანიკური ოჯახით და ოცდაათი სახეობით. საკვებად და სამკურნალოდ გამოსაყენებელი ნაყოფსხეულა სოკოები ხუთი ოჯახითა და შვიდი სახეობით. ბაღში გავრცელებული შხამიანი სოკოები სამი ოჯახით და ექვსი სახეობით. ოთხი ბოტანიკური ოჯახის, სახეობის წარმომადგენელი არის, როგორც საკვებად გამოსაყენებელი, ასევე შხამიანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ნახუცრიშვილი, (2007) საქართველოს სოკოები. თბილისი: ბუნება პრინტი.
2. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი. საქ. მეცნ. აკად. ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინ-ტი. – მე-3 გამოცემა. თბილისი: (1991) მეცნიერება.
3. ი. ნახუცრიშვილი, ქ. ყანჩაველი, და სხვ. საქართველოს სპოროვან მცენარეთა ფლორა (კონსპექტი). საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი. – თბილისი: (1986) მეცნიერება (რუსულად).
4. ლ. ასიეშვილი, ვ. პეტროვი, ტ. ჩერქეზიშვილი „ჩვენი ღირსებანი“ წიგნი 3. საქართველო. თბილისი 2015 წ.
5. ნ. მინდაძე „ჩვენი ღირსებანი“ წიგნი 9. საქართველო. თბილისი 2016 წ.
6. Я. Клана “Гриби” Артия, Прага. 1984 г.



Edible and Poisonous Fungi in Kutaisi Botanical Garden

Khonelidze Nino

Researcher/Scientific-scholar

Diakonidze Nunu

Researcher/Scientific-scholar

Tokmajishvili Grigol

Researcher/Scientific-scholar

Kutaisi Botanical Garden, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: Fungi, pileus/cap, fruit-body, edible fungi

The article deals with the study of two groups of edible fungi (pileus/cap, fruit body) spread in the natural wild flora in the reserved and Caucasus flora collection area at Kutaisi Botanical Garden and its surroundings. The research about fungi of Kutaisi Botanical Garden was never conducted. In 2017 the monitoring was processed, and there were explored the species of fungi of botanical families presented in the garden. Fungi were identified, vital forms were recorded and their bio-ecological features were studied.

Historically Georgia is distinguished by its great variety of edible fungi. The collection and use of an assortment of edible fungi in regions of Georgia are varied. Edible fungi are considerably more in the West of Georgia than in the East.

The following groups of fungi are distinguished: a) Edible fungi b) Edible only after heat treatment (less poisonous): c) highly poisonous fungi. Edible fungi differ in calories, the number of proteins, digestive capacity, and consistency of cellulose, containing 91% of water, 3.2% of protein, 0.5% of fat, 3.7% of carbohydrates and 0.8% of mineral salt. Edible pileus/cap, fruit body fungi fall into four categories: 1. Category: Easily digested, with a large quantity of protein and high-caloric: *Agaricus tabularis* Peck, *Agaricus arvensis* Schaeff., *Lactarius piperatus* (L) Persi., *Rusula aeroginea* Lindblad, *Rusula viraccens* (Schaeff.) Fr., *Lactarius volemus* (Fr.) Fr., *Cerioporus squamosus* (Huds) Quel., *Fistulina hepatica* (Schaeff) Wich and others. 2. Category with comparatively less quantity of protein, less caloric. [Pleurotus ostreatus](#) (Jacq) P. Kumm., [Cantharellus cibarius](#) Fr., [Tricholoma portentosum](#) (Fr.) Quel. And others. 3. Category - a large amount of cellulose: *Boletus luridus* Schaeff., *Boletus edulis* Bull., [Lactarius volemus](#) (Fr.) Fr. And others. 4. Category edible less poisonous fungi that fall into categories 2 and 3 after heat treatment. *Russula emetica* Schaeff. Persi., *Lactarius piperatus* (L) Persi., *Sullellus luridus* L., *Boletus luridus* Schaeff., *Boletus edulis* Bull., and others. B -The group is rich with vitamins: *Rússula aerugínea* Lindblad es Fr., [Cantharellus cibarius](#) Fr., *Armillaria mellea* (Vahl.) P. Kumm. and others. Choosing the right mushroom/edible fungi for eating is extremely beneficial.

According to the monitoring results, edible and poisonous fungi are represented by 12 botanical families and 30 species/types.

Families: Agaricaceae, Amanitaceae, Boletaceae, Cantharellaceae, Centhrellaceae, Hydnacaceae, Lyophyllaceae, Physalacriaceae, Polyporaceae, Russulaceae, Strophariaceae, Tricholomateaceae;

Species/Types: *Agaricus arvensis* Schaeff., *Agaricus sylvaticus* Schaeff., *Agaricus tabularis* Peck, *Chlorophyllum rachodes* (Vittad.) Vellinga, *Coprinus comatus* (O.F. Mall) Per., *Macrolepiota procera* (Scop.) Singe, *Amanita citrina* Persi., *Amanita pantherina* (DC)



Krombh, Amanita phalloides (Vaill exFr.) link, Amanita rubescens Persi, Boletus edulis Bull. Leccinellum griseum (Qiel) Bresisy & Manf.Binder, Leccinumscabrum(Bull)Cray,Craterellus cornucopioides L (Pers)., Cantharellus cibarius Fr., Hydnum repandum L., Lyophyllum decaste(Fr)Singer., Calocybe gambosa (Fr)Donk., Armillaria mellea (Vahl.)P.Kumm.,Panus rudis Fr.,Russula emetica (Schaeff.) Pers., Russula emetica (Schaeff.)Pers., Russula virescens (Schaeff.)Fr., Lactarius flexuosus Persi Gray., Lactarius piperatus (L) Persi.,Lactarius volemus (Fr.) Fr., Hypholoma fasciculare (Huds) P.Kumm., Hypholoma lateritium (Schaeff.) P.Kumm. Kuehneromyces mutabilis (Schaeff.) Singr & A. H. Sm., Clitocybe nebularis (Batsch) P., Tricholoma portentosum (Fr.) Quel. More quantity of edible pileus/cap fungi in the agrden are as followed:Armillaria mellea (Vahl) P. Kumm., Pleurotus ostreatus (Jacq.) P.,Kumm., Macrolepiota procera (Scop.) Singer.,Panus rudis Fr.,Tricholoma portentosum (Fr.) Quél., Agaricus sylvaticus Schaeff. Cantharellus cibarius Fr., Lactarius piperatus (L) Persi. And others.

5 families of edible and medical treatment fruit-body fungi are as followed:Agaricaceae, Fistulinaceae, Fomitopsideaceae, Mozchellaceae, Pleuratacea, Polyporaceae. 7 species/types are: Lycoperdon perlatum Pers., Piptoporus betulinus (Bull) P.Karst., Fistulina hepatica (Schaeff) Wich., Morchella esculenta (L) Pers., Pleurotus ostreatus (Jacq.) P. Kumm., Cerioporus squamosus (Huds.) Quel., Fomes fomenitarius (L) Fr. And others.

The poisonous fungi spread in Kutaisi Botanical Garden are presented by 3 botanical families: Agaricaceae,Amanitaceae, Strophariaceae. There 6 species/types as followed: Lycoperdon perlatum Pers., Amanita citrina Persi., Amanita pantherina (DC) Krombh., Amanita phalloides (Vaill ex Fr.) link, Hypholoma fasciculare (Huds) P.Kumm.,Hypholoma lateritium (Schaeff) P.Kumm. and others. Poisons simular of edible fungi: Hypholoma fasciculare (Huds.) P. Kumm., lateritium (Schaeff.) P.Kumm., Amanita citrina Pers. And others. Representatives of four botanical families and species/types are both edible and poisonous fungi.

Some fungi are not native or peculiar for Kutaisi Botanical Garden (For the specific region) they are adventive: Boletus luridus Schaeff. Boletus edulis Bull.et Fr., Cerioporus squamosus (Huds.) Quel. and others.



პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილის (*Tuta Absoluta* M.) შესწავლა საქართველოს პირობებში

ხოსიტაშვილი თათია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიო-სისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი. ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, თბილისი, საქართველო



ალექსიძე გურამი

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და საქართველოს ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, თბილისი, საქართველო

ლომიძე ნინო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისი, საქართველო

პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილი (*Tuta absoluta*) მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სახეობაა, ამჟამად იგი გავრცელებულია თითქმის მთელს მსოფლიოში კერძოდ: სამხრეთ ამერიკა (არგენტინა, ჩილე, ბოლივია, ბრაზილია, კოლუმბია, ეკვადორი, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ვენესუელა), აზია (იაპონიაში 1962 წლამდე), ევროპაში 2006 წლიდან ინვაზიურ სახეობად ითვლება, რაც შეეხება საქართველოს 2011 წლის მარტის თვეში ხობის რაიონის სოფელ ხორგოში აღმოაჩინეს და დღეის მდგომარეობით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის სასათბურე მეურნეობაში გვხვდება.

სტატიაში განხილულია მანამდე უცნობი დეტალები პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილის შესახებ, *Tuta absoluta* არის მიკრო ლეპიდოპტერა, ხასიათდება მაღალი რეპროდუქციული პოტენციალით. შესაძლებელია წელიწადში 10-12 თაობის განვითარება. ბიოლოგიურ ციკლს ასრულებს 29-38 დღეში, რაც დამოკიდებულია გარემო პირობებზე, ზამთრის დღეების გამოკლებით, როცა შესაძლოა სიცოცხლის ციკლი გახანგრძლივდეს 60 დღემდე. მავნებლის ონთოგენეზის ფაზებია: კვერცხი, მატლი, ჭუპრი და იმაგო, ანუ სრული მეტამორფოზი, რომლის დროსაც გაივლის 4 ლარვულ (მატლი) ასაკს. მატლის განვითარების ხანგრძლივობა 13-15 დღეა. იმაგო ეწევა ღამის ცხოვრებას, დღისით იმალებიან ფოთლების ქვეშ. მდედრი კვერცხს დებს მცენარის მიწისზედა ნაწილში (დაახლოებით 260 ცალი). კვერცხი იდება ფოთლის ქვედა მხარეზე, ძირითადად მარღვების გასწვრივ. ემბრიონის განვითარება გრძელდება 5-7 დღე. საქართველოს პირობებში მავნებლის განვითარებისთვის ოპტიმალური ტემპერატურა აღინიშნა 25-27°C.

საკვანძო სიტყვები: მცენარეთა დაცვა, მავნებელი, განვითარების ფაზა, ჩრჩილი.

პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილი ძირითადად ვრცელდება პასიური გზით: სარგავი მასალითა და პომიდვრის ნაყოფით, კარტოფილის ტუბერებით არ ვრცელდება, გამოსავლენად ადვილია.

ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის (EPPO) და მცენარეთა დაცვის ჩრდილოეთ ამერიკის ორგანიზაცია (NAPPO) მონაცემებით *Tuta absoluta* ვრცელდება თესლით, პომიდვრის ნაყოფით და მოსავლის აღების დროს გამოსაყენებელი პლასტმასის კონტეინერებით. იმაგო და მატლი ძალზე სწრაფი მიგრაციის უნარით ხასიათდება.

Tuta absoluta M. (Arthropoda, Insecta, Lepidoptera, Gelechiidae)

სინონიმები:

- ♣ *Scrobipalpula absoluta* (Povolny, 1964)
- ♣ *Gnorimoschema absoluta* (Clarke, 1962)
- ♣ *Phthorimaea absoluta* (Meyrick, 1917)

ჩრჩილის მკვებავი მცენარეებია და დაზიანების სიმპტომები - ზიანდება ძალაყურ-მენასებრა ოჯახის მცენარეები (პომიდორი, ბადრიჯანი, კარტოფილი, ტკბილი წიწაკა, ლემა და ლენცოფა), მავნებელი ინტენსიურად სახლდება და ვითარდება პომიდვრის ჰიბრიდებზე პინკ პარადაიზი, ენდეორი, ბიგ ბიფი, მელოდია, ბელა როსა, სოლარინო, ტომი მა-



რო მუწო, კონფეტო. ყველაზე მიმღებიანი აღმოჩნდა პინკ პარადაიზი და ენდორი. დაზიანების შედეგად ფოთოლზე ჩნდება ბუშტუკის ფორმის ნაღმები, ნაღმის ბოლოს ტოვებს ექსკრემენტებს. ნაღმი მუქდება და ნეკროზდება კომერციული ზარალი აღწევს 80-100%. ასეთი დიდი ზიანის გამო შესაძლებელია, რომ პომიდვრის კულტურის მოყვანა მთელ რიგ ქვეყნებში გახდეს არარენტაბელური.

მცხეთა-მთიანეთისა და გარდაბნის სასათბურე მეურნეობებში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ კვერცხი-მცირე ზომისაა, ცილინდრული, სიგრძით 0.35 მმ, სიგანით - 0.22 მმ. ფერი-მოყვითალო-თეთრი (ახალდადებული), მოყვითალო-ნარინჯისფერი (გამოჩეკვის წინ). კვერცხს დებს ფოთლის ქვედა მხარეს, ცალ-ცალკე ან მცირე გუნდებად, იშვიათად ღეროზე და უფრო იშვიათად ნაყოფზე.

სქესობრივი პროდუქციის განაწილება მცენარის ორგანოების მიხედვით ცხრილი №1

ფოთლები	73%
ღეროები	21%
ჯამის ფოთოლაკები	5%
მწვანე ნაყოფები	1%

მატლი - მავნებელს ახასიათებს 4 ლარვული (მატლი) ასაკი. მისი განვითარების ხანგრძლივობა 13-15 დღეა. ჩვენი დაკვირვების შედეგად სასათბურე მეურნეობაში განვითარება მოხდა უფრო სწრაფად 11-14 დღეში.

მატლი ოთხივე ასაკში განსხვავებული ზომისა და შეფერილობისაა. პირველი ასაკის მატლის სიგრძეა 0.50 – 0.80 მმ, მოყვითალო-თეთრი, თავი მურა შავი ფერის. ახალგაზრდა მატლი ნაღმავს ფოთოლს და იკვებება მეზოფილის ქსოვილებით, არ აზიანებს ეპიდერმისს. მეორე ასაკის მატლის სიგრძე საშუალოდ 2.80 მმ-ია. კვებასა და ზრდასთან ერთად მოყვითალო – მწვანე ფერს იღებენ, თავის ზედა მხარეზე შავი ზოლი გააჩნია. მესამე ასაკის მატლის სიგრძეა საშუალოდ 4.50 მმ-ია. მეოთხე ასაკის მატლის სიგრძე 7.50 მმ-მდეა. ზრდასრული მატლი მომწვანო - ვარდისფერია, დაჭუპრების წინ წყვეტს კვებას.

ჭუპრი - ღია ყავისფერია, ახდელი, ფორმით - ცილინდრული, შეფერილობა - ღია ყავისფერი, ზომით 4.0-5.0 მმ სიგრძე, 1.10 მმ სიგანე, იჭუპრებენ მის მიერვე გაკეთებულ აბლაბუდის თხელ პარკში.

დაჭუპრება შეიძლება მოხდეს ნიადაგის ზედა ფენაში, ფოთლის ზედაპირზე, ნაყოფზე, უპირატესად კი - ნაღმებში, რაც დამოკიდებულია გარემო პირობებზე.

ჭუპრის განვითარების ხანგრძლივობა არის 9.0-11.0 დღე. მავნებელმა შეიძლება გამოიზამთროს კვერცხის, ჭუპრის ან იმაგოს სტადიაში.

იმაგო- გაშლილი ფრთებით პეპელა 10.0-13.0 მმ-ია, მცირე ზომის, სიგრძით 5-6 მმ. წინა ფრთები მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი ქერცლით არის დაფარული, რომელზეც მუქი ფერის ლაქებია. უკანა ფრთები ბევრად უფრო ვიწროა, როგორც წინა, ისე უკანა ფრთებს შემოვლებული აქვს მურა-მონაცრისფრო გრძელი ჯინჯილები. სხეული ვიწრო, მუცლის ბოლო წამახვილებული, ულვაშები ძაფისებრი, დამუხლული, მუხლები ორ ფერშია - მონაცვლეობით ღია და მუქი, სიგრძით 10.0 მმ. მამრი ჩრჩილის პეპელა უფრო მუქი ფერის



არის, ვიდრე მდედრი. სიცოცხლის ხანგრძლივობა ♀ - 10.0-15.0 დღე, ♂ - 6.0-7.0 დღე.

მავენბლის პოპულაციაში უმნიშვნელოდ ჭარბობენ მდედრები, ანუ სქესთა შეფარდება არის დაახლოებით 1:1. მდედრების მუცლის ქვედა ნაწილი თეთრია, გვერდებზე 4 შავი ზოლით. მდედრი დებს 160.0-260.0-მდე კვერცხს.

პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილის (*Tuta absoluta*) განვითარების ფაზების ხანგრძლივობა დღეებში, სხვადასხვა ტემპერატურულ პირობებში

ცხრილი №1.

განვითარების ფაზები (დღეები)				
ტემპერატურა	კვერცხი	მატლი რული	ჭუპრი	კვერცხი-ზრდას-
10°C	24.0	56.0	36.0	115.0
15°C	12.0	34.0	18.0	64.0
20°C	7.0	18.0	10.0	35.0
25°C	5.0	11.0	9.0	25.0
30°C	2.0	10.0	5.0	17.0

ექსპერიმენტები განხორციელდა 10-15-20-25 და 30°C. და აღმოჩნდა რომ *Tuta absoluta*-მ დაასრულა თავისი განვითარება ყველა ამ ტემპერატურაზე. ეს თერმული მოთხოვნები შეფასებული იყო ოპტიმალურ ტემპერატურად, მისთვის მაღალიმიტირებელ ტემპერატურად შეფასებული იყო 8.0°C.

ზედა თერმული ზღვარი კვერცხიდან ზრდასრული ფაზის ჩათვლით იყო 37.3°C. კვერცხდებამდე პერიოდი 10°C-ზე იყო უფრო ხანგრძლივი, მაგრამ უშუალოდ კვერცხდების პერიოდი იყო იგივე ყველა ზემოთ აღნიშნულ ტემპერატურაზე. მავენბელი უფრო ინტენსიურად გამრავლდა 20 და 25°C-ზე, საშუალოდ ერთი მდედრის მიერ დადებული კვერცხების პროდუქცია მერყეობდა 160-დან 260-მდე.

Tuta absoluta-ს მაღალი ნაყოფიერება დაფიქსირდა 15-20 და 25°C-ზე. მდედრებისა და მამრების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის სხვაობა არ აღმოჩენილა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა პომიდვრის სამხრეთ ამერიკულ მენაღმე ჩრჩილს შეუძლია ტემპერატურების ფართო სპექტრის პირობებში განვითარება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მის რეპროდუქციასა და სიცოცხლისუნარიანობაზე მკვეთრად ნეგატიურად მოქმედებს ექსტრემალური მუდმივი ტემპერატურა. ტემპერატურის ბუნებრივი ცვალებადობის პირობებშიც შეუძლია მავენბელს დააზიანოს პომიდვრის კულტურა.

***Tuta absoluta*-ს მდედრების და მამრების სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვა**

ტემპერატურაზე (10, 15, 20, 25 და 30°C).

ცხრილი №2



სიცოცხლის ხანგრძლივობა (დღეები)		
ტემპერატურა	მდედრი	მამრი
10°C	32.3 ± 2.8	17.5 ± 6.9
15°C	34.9 ± 3.9	30.0 ± 4.5
20°C	26.6 ± 2.1	23.7 ± 3.5
25°C	20.1 ± 1.8	16.9 ± 2.3
30°C	10.8 ± 1.4	9.0 ± 1.3

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, 30°C ტემპერატურაზე მდედრების სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად უფრო ხანმოკლე იყო 10, 15 და 20°C-ზე, აგრეთვე მნიშვნელოვანი სხვაობა არ აღინიშნებოდა მამრების და მდედრების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის.

T. absoluta ეკუთვნის მწერების პოლივოლტინურ სახეობებს, რომლის სხვადასხვა თაობის განვითარების ფაზები ერთმანეთში ირევა, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტი ფენოგრამის შედგენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური. პომიდვრის სამხრეთ ამერიკულიმენაღმე ჩრჩილი - *Tuta absoluta*.
2. Anonymous1. 2001. North Dakota State University (NDSU) <http://www.ag.ndsu.nodak.edu/aginfo/ndipm/ipmdefinition.htm>. Accessed, December 15, 2011.
3. Anonymous 2. 2010. <http://www.econatur.eu/index.php?sec=26&y=2010&a=491>, 16/09/2010 Control de *Tuta absoluta*. Accessed June 24, 2011.
4. CFIA. 2010. Tomato leafminer- *Tuta absoluta* Pest Fact Sheet. <http://www.inspection.gc.ca/english/plaveg/pestrava/tutabs/tech/tutabse.shtml>. Accessed, December 19, 2011.
5. www.tutaabsoluta.com
6. <https://www.hortidaily.com/article/9062265/employing-natural-enemies-of-tuta-absoluta-improves-tomato-yields/>

Life Cycle of South American Tomato Leaf Miner (*Tuta Absoluta* M.)

Khositashvili Tatia

PhD student of Agricultural Sciences and Bio-Systems Engineering Faculty of Georgian Technical University. Street Tbilisi. Georgia

Aleksidze Guram

Doctor of biological sciences, professor, academician of agricultural sciences of Georgian National



Academy of Sciences. President of the Academy of Agricultural Sciences. Tbilisi. Georgia

Lomidze Nino

Associate Professor of Technical University of Georgia. Street Tbilisi. Georgia

Abstract

Key words: plant, protection, insect, Lepidoptera, leaf-miner, biological control.

The Doctoral Thesis discusses previously unknown details about *Tuta absoluta*, which invaded in Georgia from South America in the recent years. It is important to consider its life cycle, the following stages: egg, Larvae, pupa, adult-a full metamorphosis, egg development. Egg: Eggs are small, cylindrical, length 0.35 mm, width - 0.22 mm. Color: yellowish-white (fresh), yellowish-orange (before hatching). Eggs are oval Cylindrical, usually are laid on under cover of Leaves, Buds, stems and calyx of unripe fruits - *Tuta absoluta* - Eggs Oviposition: –Leaves -73% –Veins and stems - 21% –Sepals - 5% –Fruits - 1%. Larvae development: 8 days There are 4 instars. Early instars are white or Cream with a black head, later they turn pink or green. Fully grown larvae Drops to the ground in a silken thread and becomes pupate in soil. Pupa development: 10 days Pupae are brown, 6 mm long. Pupation takes place in soil or on plant parts such as dried Leaves and stem. Adult Female lives 10-15 days. Male lives 6-7 days. Adult moths are small: Body length 7mm. They are brown or Silver color with Black spots on the wings.

Tuta absoluta (Meirick 1917) is a micro lepidoptera insect. Its primary host is tomato, although potato, aubergine, common bean, physalis and various wild solanaceous plants are also suitable hosts. Damage in fetuses and leaves, plant damage is recorded in other organs, the larvae of *T. absoluta* attack the foliage by penetrating into the leaf and feeding on the mesophyll tissues. The feeding habits results in irregular mines on the leaf surface. Subsequently, damaged leaves shrivel, decreasing the photosynthetic capacity of the plants and potentially decreasing the plant’s ability to defend itself from other harmful agents. When the attacks are severe, the leaves have a burnt appearance. Older (3rd - 4th instar) larvae can feed on all parts of tomato plants. They can leave their mines and travel to new locations to mine again. This habit may result in damage to all stages of plant growth. The larvae produce large galleries in the leaves, burrow into stalks, apical buds, and green and ripe fruits.

The experiments started after three generations were reared in the laboratory. The development and survival of immature stages of *T. absoluta* were evaluated at temperatures of 10, 15, 20, 25 and 30 ± 2°C, 70 ± 10% relative humidity and a 12-h photoperiod. The lower developmental threshold estimated using the linear model for the egg-adult cycle was 8.0°C. The pest is more intensively multiplied at 20 and 25 ° C, the average egg production produced between 134.8 and 149.1.

As the study shows, the South American tomato moth develops in a wide range of temperatures.

Table2. Development time (days) of the different life stages of *Tuta absoluta* recorded at five constant temperatures

Immature stages (days)				
Temperature	Egg	Larvae	Pupae	Egg-adult cycle
10°C	24.0	56.0	36.0	115.0
15°C	12.0	34.0	18.0	64.0



20°C	7.0	18.0	10.0	35.0
25°C	5.0	11.0	9.0	25.0
30°C	2.0	10.0	5.0	17.0

Table 3. Life Expectancy of females and males of *Tuta absoluta* recorded at five constant temperatures (10, 15, 20, 25 and 30°C).

Longevity (days)		
Temperature	Female	Male
10°C	32.3 ± 2.8	17.5 ± 6.9
15°C	34.9 ± 3.9	30.0 ± 4.5
20°C	26.6 ± 2.1	23.7 ± 3.5
25°C	20.1 ± 1.8	16.9 ± 2.3
30°C	10.8 ± 1.4	9.0 ± 1.3

As shown in the table 3, lifespan tended to be shorter than that recorded at 15°C. The longevity of females kept at 30°C was significantly less than that of those kept at 10, 15 and 20°C. There were no significant differences in the lifespan of males and females.



ლიმონ მეიერის პონცირუს ტრიფოლიატიტა და ლიმონ ქართულით დამტვერიანებით მიღებული თაობის შესწავლის შედეგები

ჯობავა ტრისტანი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ჩვენი კვლევის მიზანია ლიმონ მეიერის პონცირუს ტრიფოლიატიტა და ლიმონ ქართულით დამტვერიანებით მიღებული თაობის გენეტიკური შესწავლა და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევა. სამი წლის განმავლობაში ლიმონ მეიერის ტრიფოლიატიტასთან შეჯვარებით მიღებული 1110 ცალი ნორმალური თესლნერგების შესწავლის შედეგად, შემდგომი სელექციური მუშაობისათვის პერსპექტიულად მიგვაჩნია 8 სქესობრივი და 6 ნუცელარული წარმოშობის თესლნერგი, ხოლო ლიმონ ქართულით დამტვერიანებით მიღებული 418 ნორმალური თესლნერგიდან გამორჩეულია 9 სქესობრივი და 5 ნუცელარული წარმოშობის ჰიბრიდი.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდიზაცია, ტრიფოლიატიტა, სელექცია, ლიმონი

ლიმონის კულტურა ნაყოფების მიმზიდველობით, მრავალმხრივი გამოყენებით, როგორც სამკურნალო, ისე დიეტური თვალსაზრისით უნიკალურია. იგი უხსოვარი დროიდან გაცდა თავისი სამშობლოს ფარგლებს და ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მას მისდევენ ისეთ ქვეყნებშიც, სადაც მისი მოვლა-მოყვანა დიდ სიმწელებათ-



ნაა დაკავშირებული.

საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ლიმონის კულტურის გავრცელების არეალი შეზღუდულია, რომლის მალიმიტირებელია შედარებით მკაცრი კლიმატური პირობები და თვით მცენარის გენეტიკურად განპირობებული დაბალი ყინვაგამძლეობა და მიდრეკილება სოკოვანი დაავადება - მალსეკოსადმი. აქედან გამომდინარე, ლიმონის წარმოების გადიდების ღონისძიებათა კომპლექსში ერთადერთი სწორი და რადიკალური გზაა სელექცია.

ჩვენი ქვეყნის სელექციონერებს გარკვეული წარმატებები აქვთ სუბტროპიკული კულტურებისა და კერძოდ ციტრუსოვნების ახალი, უხვმოსავლიანი, მალსეკოგამძლე, შედარებით ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანისა და წარმოებაში დანერგვის საქმეში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მიმართულებით ყოფილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მემცენარეობის, გენეტიკის და სელექციის კატედრაზე ჩატარებული მუშაობა პროფ. ფ. მამფორიას ხელმძღვანელობით.

კათედრაზე ჩატარდა 85 ათასზე მეტი ყვავილის დამტვერვა ციტრუსოვანთ 6 კომბინაციაში, დაითესა 2 მილიონზე მეტი თესლი, აღზრდილი და გამოკვლეული იყო 1 მილიონ 700 ათასი ნათესარი. მათგან პერსპექტიული აღმოჩნდა ლიმონის 3, ფორთოხლის 3 და მანდარინის ერთი ფორმა. სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის წარმატებით გავლის შემდეგ მოხდა მათი დარაიონება დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში.

გასული საუკუნის ბოლო პერიოდში მალსეკოთი დაავადების შედეგად დიოსკურია და მეიერის გარდა თითქმის მთლიანად განადგურდა, როგორც ადგილობრივი ისე ინტროდუცირებული საუკეთესო ლიმონის ჯიშები და ფორმები.

განცაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლიმონი დიოსკურია, რომელიც არის მსოფლიოში ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი მალსეკოგამძლე, შედარებით ყინვაგამძლე, უხვმოსავლიანი და კარგი ხარისხის ნაყოფის მომცემი ჯიში.

ამჟამად სელექციური მუშაობა გრძელდება, ვინაიდან საჭიროა ლიმონის კიდევ უფრო გაუმჯობესებული ჯიშების მიღება. ამ მიმართულებით თავისი ბიოლოგიური, მორფოლოგიური და სამეურნეო თავისებურებებით, შემდგომი სელექციური მუშაობისათვის მეტად საინტერესო საწყის მასალად გვესახება ლიმონი მეიერი. აღნიშნულ ჯიშს გააჩნია როგორც დადებითი ისე უარყოფითი ნიშან-თვისებები (1).

დადებითად უნდა ჩათვალოს მისი მალსეკო გამძლეობა, რემონტატულობა, კარგი მოსავლიანობა, იგი შეიძლება გავავრცელოთ, როგორც ღია ასევე დახურული გრუნტის (საკუთარ ფესვებზე) პირობებში. სელექციური მუშაობის (შეჯვარებისას) პროცესში წრმატებით შეიძლება მისი გამოყენება, როგორც დედის ასევე მამა კომპონენტის სახით.

უარყოფითი თავისებურებაა მისი ნაყოფის დაბალი ხარისხიანობა, რის გამოც მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მას ლიმონის ნაყოფების შემცვლელს უწოდებს.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის მიზანია ლიმონ მეიერის პონცირუს ტრიფოლიატიტა და ლიმონ ქართულით დამტვერიანებით მიღებული თაობის გენეტიკური შესწავლა და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევა.



ცდები მიმდინარეობდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო მეურნეობა ნოსირში (სენაკის რაიონი) სრულ ასაკოვან მცენარეებზე– დამტვერიანება, ნაყოფების სასარგებლო გამონასკვა, ნაჯვარი ნაყოფების არება 2015–2017წწ. და ქალაქ ქუთაისში აღნიშნული უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ფ. მამფორიას სახელობის ციტრუსოვანთა სელექციისა და გენეტიკის კვლევით ლაბორატორიაში – ნაყოფებში თესლების რაოდენობის და მიღებული თაობის გენეტიკური შესწავლა– 2016–2018წწ.

დასახული ამოცანის შესრულების მიზნით ყოველდღიურად ვამტვერიანებდით ლიმონ მეიერის 200–200 ცალ ყვავილს პონციურს ტრიფოლიატისა და ლიმონ ქართულის მტვრით წინასწარ შერჩეულ ტოტებზე, ყვავილობის ნორმირებისა და იზოლაციის შემდეგ. ამავე დროს ვახდენდით ყვავილების კასტრაციას, ვინაიდან ლიმონი მეიერი ინვიტარებს ცხოველმყოფელ მტვრის მარცვლებს, ანუ მამრობითი ხაზით ის არის ფერტილური. დამტვერიანებიდან ერთი თვის შემდეგ ვხსნიდით იზოლატორებს და ვატარებდით პირველ შემოწმებას. ხოლო კიდევ ერთი თვის შემდეგ – მეორე შემოწმებას. (2)

ლიმონ მეიერის პონციურს ტრიფოლიატასთან შეჯვარებისას (ცხრ.1) ნაყოფის სასარგებლო გამონასკვა მერყეობს 30%–დან (2015წ) . 42,5%–მდე (2016წ.), საშუალოდ 35,5%. 600 დამტვერიანებული ყვავილიდან მიღებულია 213 ცალი ნაყოფი, რომელთა შორის თესლიანი იყო 212. მიღებული ნაყოფებიდან 1–დან 3 ცალამდე თესლს შეიცავდა 87 ნაყოფი, 4–დან 6 ცალამდე 65 ნაყოფი, 7–დან 9–მდე 55 ნაყოფი და 10–დან 12–მდე 5 ნაყოფი. მთლიანად 3 წლის განმავლობაში მიღებულია 967 ცალი თესლი, რაც საშუალოდ შეადგენს 4,5 ცალს ერთ ნაყოფზე.

მეიერის ლიმონ ქართულით დამტვერიანების შედეგად ნაყოფების სასარგებლო გამონასკვა მერყეობს 24%– დან (2015წ.) 29,5%–მდე, საშუალოდ 26,8%. 600დამტვერიანებული ყვავილიდან მიღებულია 161 ცალი ნაყოფი, ყველა თესლიანი. მიღებული ნაყოფებიდან 1–დან 3–ცალამდე თესლს შეიცავდა 142 ნაყოფი, 4–დან 6 ცალამდე 15 ნაყოფი, 7–დან 9 ცალამდე 4 ნაყოფი, ხოლო 10–დან 12 ცალამდე თესლის შემცველი ნაყოფი არ იყო. 3 წლის განმავლობაში მიღებულია 410 ცალი თესლი, ანუ საშუალოდ 2,6 ერთ ნაყოფში.

2016–2018 წლებში დაითესა ლიმონ მეიერის ტრიფოლიატასთან შეჯვარებით მიღებული 967 თესლი (ცხრ.2). მათ შორის აღმოცენდა 704 ცალი, ანუ 72,3%, საიდანაც თითო აღმონაცენი მოგვცა 331 თესლმა, ორი აღმონაცენი 222 თესლმა, 3 აღმონაცენი– 134 და 4 აღმონაცენი–3 თესლმა. მიღებული თესლნერგების საერთო რაოდენობამ შეადგინა 1189 ცალი, მათ შორის 1110 ცალი (93,4%) იყო ნორმალური და 8 ცალი (0,6%) ალბინოსი. 6 თვის ასაკამდე დაილუპა 71 ცალი (6,0%). შესწავლილი 1110 თესლნერგიდან 98,2% იყო დიპლოიდური, 1,8%–პოლიპლოიდური, 87,5%– სქესობრივი, ხოლო 12, 5%–ნუცელარული წარმოშობის.

**ლიმონ მეიერის პონციურს ტრიფოლიატითა და ლიმონ ქართულით
დამტვერიანების შედეგები**

ცხრილი 1



**I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
„ახალი ინოვაციები“
I INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
“NEW INOVATIONS”**



კომპანიის დასახელება	დამტყვერვის წლები	დამტყვერიაწმულებული წლების რ-მა, ცალი	რაოდენობა				მათ შორის თესლის წილი, ცალი	წყობების რაოდენობა, რომლებიც შეიცავს თესლებს, ცალი				თესლების საერთო რაოდენობა, ცალი	ერთ წაყოფში თესლების რ-მა, ცალი
			ნასკვების %		მოკრეფილი წაყოფების			1-3 ცალი	4-6 ცალი	7-9 ცალი	10-12 ცალი		
			I შემოწმება	II შემოწმება	ცალი	%							
ლიმონი მეიერი X პონცირუს ტრიფოლიატა	2015	200	67	42	60	30,0	59	26	17	15	1	277	4,7
	2016	200	62	56	85	42,5	85	32	28	23	2	379	4,5
	2017	200	65	44	68	34,0	68	29	20	17	2	311	4,6
	სულ	600	65	47	213	35,5	212	87	65	55	5	967	4,5
ლიმონი მეიერი X ლიმონი ქართული	2015	200	63	35	48	24,0	48	43	4	1	0	116	2,4
	2016	200	52	39	59	29,5	59	51	6	2	0	152	2,7
	2017	200	59	37	54	27,0	54	48	5	1	0	142	2,6
	სულ	600	58	37	161	26,8	161	142	15	4	0	410	2,5

ლიმონ მეიერის პონცირუს ტრიფოლიატითა და ლიმონ ქართულით დამტყვერიაწმულებული F1 თაობის შესწავლის შედეგები

ცხრილი 2

კომპანიის დასახელება	დათესვის წელი	თესლების რაოდენობა		თესლები, რომლებმაც მოგვცა (ცალი)				შესწავლილი თესლების რ-მა	მათ შორის %				
		დათესილი	აღმოცენებული		1 თესლნერგი	2 თესლნერგი	3 თესლნერგი		4 თესლნერგი	დიპლოიდური	პოლიპლოიდური	სექსობრივი	ნუცეღარული
			ცალი	%									
ლიმონი მეიერი X პონცირუს ტრიფოლიატა	2016	277	187	67,4	99	59	19	0	255	97,9	2,1	86,2	13,8
	2017	379	292	77,1	100	122	63	3	504	98,5	1,5	88,6	11,4
	2018	311	225	72,3	132	41	52	0	351	98,3	1,7	87,7	12,3
	სულ	967	704	72,3	331	222	134	3	1110	98,2	1,8	87,5	12,5
ლიმონი მეიერი X ლიმონი ქართული	2016	116	69	59,5	55	14	0	0	78	98,9	1,1	46,6	53,4
	2017	152	124	81,7	67	33	24	0	188	99,1	0,9	40,4	59,6
	2018	142	114	80,2	52	43	19	0	152	98,8	1,2	42,5	57,5
	სულ	410	307	73,8	174	90	43	0	418	98,9	1,1	43,2	56,8

მეიერის ლიმონ ქართულით დამტყვერიაწმულების შედეგად სამი წლის განმავლობაში მიღებული 410 თესლიდან აღმონაცენი მოგვცა 307-მა (73,8%), მათგან თითო 174-მა, ორი -90-მა, სამი - 43-მა, ხოლო ოთხი აღმონაცენი არ ქონდა არცერთ თესლს. სულ მივიღეთ 483 თესლნერგი, მათგან 418 (86,5%) იყო ნორმალური და 6 (1,2%) ალბინოსი. 6 თვის ასაკამდე დაიღუპა 59 თესლნერგი. საბოლოოდ დარჩა 418 თესლნერგი. მათ შორის 98,9% იყო დიპლოიდური, 1,1% - პოლიპლოიდური, 43,2% - სექსობრივი და 56,8% ნუცეღარული წარმოშობის.

მიღებული თესლნერგებიდან შემდგომი სელექციური მუშაობისათვის პერსპექტიულად მიგვაჩნია ლიმონ მეიერის ტრიფოლიატასთან შეჯვარებით მიღებული 8 სექსობრივი ჰიბრიდი და 6 ნუცეღარული წარმოშობის თესლნერგი, ხოლო მეიერის ლიმონ ქართუ-



ლით შეჯვარებით მიღებული 9 სქესობრივი ჰიბრიდი და 5 ნუცელარული წარმოშობის თესლნერგი

დასკვნები

1. ლიმონი მეიერი სელექციური თვალსაზრისით უნიკალური ჯიშია, ვინაიდან ჰიბრიდიზაციის პროცესში მისი, როგორც დედა, ისე მამა მცენარედ გამოყენების საშუალებას იძლევა.

2. ლიმონ მეიერის პონცირუს ტრიფოლიატასთან შეჯვარების შედეგად ნაყოფებში თესლების გამოსავალი და მიღებული თესლნერგების რაოდენობა გაცილებით მეტია ვიდრე მეიერის ლიმონ ქართულით დამტკვერიანების შემთხვევაში.

3. ლიმონ მეიერის, როგორც ახლონათესაური, ისე შორეული ჰიბრიდიზაციის დროს მიიღება მრავალფეროვანი ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ საუკეთესო მასალას გამორჩევისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯობავა ტ., გერლიანი მ. - ლიმონ მეიერის ზოგიერთი ბიო-მორფოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა იმერეთის პირობებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“. თბილისი. გვ. 63-65.

2. ჯობავა ტ., ქობალია ვ. - ციტრუსოვანთა ხელოვნური შეჯვარების მეთოდიკა და ტექნიკა. მეტოდური მითითება. ქუთაისი, 1995. 14 გვ.

Outcomes of Studying the Obtained Generation through pollination of Meyer Lemon with Tripholiata

Jobava Tristan

Candidate of Agricultural Sciences, Associate Professor ,Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: hybridization, Tripholiata ,selection, lemon.

The area of the population of lemon is quite restricted in Georgia. The culture of lemon is restricted due to the strict natural habitat and genetical inclination towards low frost-resistance and the danger of developing fungus- Mal secco. Therefore, the only right and radical way of the expansion of lemon production is selection.

In this case the aim of our research is study Meyer Lemon and the generic study of the generated production obtained through lemon tree pollination.

Researches were conducted in the agricultural field of Akaki Tsereteli State University at Nosiri (Senaki region) the targeted products were fullgrown plants- pollination, profitable knotting of the fruit, taking of hybrid fruits of 2015–2017. Genetic research of obtained generation existing in the laboratory of F. Mamforia the lab of citrus selection at ATSU - calculation of fruit seeds -2016–2018.

In order to carry out the aim of the research we daily pollinate 200-200 pieces of Meyer Lemon flower at the preliminarily selected branches, with Georgian lemon dust and Tripholiata afterisolation and leveling of flourishing norms. At the same time flowers were



castrated, as Meyer lemon develops animating dust grains, thus if taking into consideration its male features the plant is not fertile. Isolation wards were reopened and the first study was carried out. And after one month it was checked again (2)

After cross-breeding of Meyer lemon with Tripholiata profitable knotting of the fruit ranges from (table.1) 30% (2015) to 42,5% (2016), estimated 35,5%. 213 pieces of fruit out of pollinated , 600 flowers 212 were seed-bearing. 87 fruits contained from 1 to 3 pieces of seed, 65 contained from 4 to 6 seeds, 55 fruits contained from 7 to 9, 65 fruit contained from 4 to 6 pieces, 55 contained from 7 to 9 and 5 fruits contained from 10 to 12. 967 pieces of seed was obtained during 3 years, that makes up to 4-5 pieces per fruit.

Profitable knotting of the fruit after pollination of Meyer Lemon with Georgian fruit ranges from 24%– (2015) to 29,5%–, average 26,8%. 161 fruit is obtained out of 600 pollinated flower, all of them are seed-bearing. 142 fruits contain from about 1 to 3 pieces of seed, 15 pieces contain from 4 to 6ones, 4 fruits contain from 7 to 9 seeds , the fruit having from 10 to 12 seeds was not found. 410 pieces of seed was obtained during 3 years, average 2,6 per fruit.

In 2016–2018 967 seeds, obtained from Meyer Lemon, were planted (table 2). 704 were fully grown, thus 72,3%, one piece was from 331 seeds, two pieces were from 222, 3 pieces were from 134 and 4 pieces were from 3 seeds. Overall number of the obtained seed-bearing plants was 1189 pieces, among them 1110 pieces (93,4%) were ordinary and 8 pieces (0,6%) were albino. 71 pieces dies before they turned to 6 months, that is (6,0%). Among studied 1110 seed-bearing plants 98,2% was diploid, 1, 8%– polidiploid, 87,5%-gender bearing, 12, 5%– of nuceral origin.

Among 410 seeds of Meyer Lemon being pollinated with Georgian lemon plant was originated from 307 ones (73,8%), one was obtained from 174, two were obtained from –90, three were obtained from 43,while 4 ones was in none of the seed. All in all 483 seedlings were obtained, out of them 418 (86,5%) were normal and 6 (1,2%) were albino. 59 seedlings dies before they reached the age of 6 months. 418 remained in the end. 98,9% was diploid, 1,1% - polidiploid, 43,2% -gender-bearing and 56,8% of nuceral origin.

Considering all the obtained seedlings, 8 hybrids and other 6 of nuceral origin are thought to be perspective, while the result of Meyer lemon pollination with Georgian lemon are 9 gender-bearing hybrids and 5 of nuceral origin.

Outcomes

1. Considering the selection aspect, Meyer lemon is an unique breed, because in the process of hybridization it can be used either as a male or female.

2. Number of seed-bearing fruit is higher in the fruit obtained through cross-breeding of Meyer Lemon with Tripholiata is higher then while the process of pollination with Georgian lemon.

3. During various ways of hybridization of Meyer lemon diverse forms are obtained, which can be used as the best resource for selection.





Aktan Hangişi
Bülent Turgut
Sümeyye Güler

Soil and ecology department of Artvin Çoruh University, Artvin, Türkiye

The aim of this study was to determine the direct and indirect effects of soil properties affecting the liquid limit, plastic limit, plasticity index, and penetration resistance. In the 5 da pasture selected as the study area, 20 sampling points were determined randomly, penetration resistance (PD) values were read these points, then the soil samples were taken from 0-25cm (K₁), 25-50cm (K₂), and 50-75cm (K₃) depths. Aggregation rate, aggregate stability, grain size distribution, organic matter content, moisture content, clay activity index, liquid limit, plastic limit and plasticity index were determined for this study. As a result of path analysis, it was determined that the property with the highest direct effect coefficient on penetration resistance and liquid limit is clay content, on plastic limit is organic matter content.

Key words: liquid limit, plastic limit, plasticity index, compaction, pasture

Introduction

The notion of soil consistency limits stems from the concept that soil can exist in any of four states, depending on its moisture content (Carter and Bentley 2016). The consistency concept idea and its measurement procedure were developed by Atterberg in 1910s. Atterberg identified five limits but only three (shrinkage, plastic and liquid limits) is used to understand the mechanical behavior of agricultural soils with respect to tillage and compaction hazard (Yalcin 2007, Seybold et al. 2008, Carter and Bentley 2016). The most important effective in Atterberg limits are grain size distribution and organic matter content (Huvaj and Uyeturk 2018).

Atterberg limits are used to determine the change in soil volume in engineering, while in the natural sciences it is one of the mechanical parameters used in determining the resistance of soil to cultivation, plant root growth, compaction, and susceptibility to erosion. Researchers stated Atterberg limits (especially liquid limit and plastic limit) as an important property in understanding the mechanical behavior of soils that are closely related to compaction (Seybold et al. 2008, Keller and Dexter 2012). Therefore, Atterberg limits are accepted by soil scientist as the basic soil properties.

Penetration resistance is a term used to describe soil compaction and identified as force to advance a cone of specific base size into the soil. Penetration resistance of soils is an important parameter that influences to the root growth and water movement, and penetrometer is used to measure its value in the field. High penetration resistance (>2MPa) directly affects root growth and indirectly impedes aeration and water movement, causing negative effects on plant growth (Sivarajan et al. 2018). The most important properties affecting penetration resistance are soil moisture, organic matter content and grain size distribution.

This study was carried out to calculate the direct and indirect effect coefficients of properties on Atterberg limits and penetration resistance.

Material and Methods

The study area, which is covered with meadow vegetation now, was used for agricultural production until ten years ago. The plant composition is predominantly *Trifolium pretense*, *Bromus inermis* and *Oxalis acetosella*. The altitude of the study area is 570 m and average slope is 1%. Artvin province, where the study area is located, has a Black Sea climate, with average temperature is 12.3 °C and annual rainfall is 670 mm.

Penetration resistance was measured in the field with digital penetrometer and soil samples were taken from 0-25cm (K₁), 25-50cm (K₂), and 50-75cm (K₃) depths of randomly selected 20 points. After drying and sieving process, moisture content was determined with gravimetric method.



Bouyoucos hydrometer method was used for grain size distribution (Gee and Bauder 1986). The plastic limit was determined as the gravimetric water content at which a rolled thread of moulded soil with a diameter of 3mm just begins to crack. The liquid limit was determined using the Casagrande liquid limit apparatus. The plasticity index was calculated as differences between the liquid and the plastic limit. Organic matter content was determined by the Walkley-Black method (Schnitzer 1982). Aggregate stability was determined with the Yoder wet-sieving method (Kemper and Rosenau 1986). Aggregation rate was calculated by the equation 1 (Turgut and Ates 2017). Clay activity index was calculated by the following equation 2 (Wagner 2013)

$$AR = \frac{AW}{T} \tag{1}$$

AR, aggregation rate; AW, total aggregate obtained from wet sieving; T, soil samples weight

$$a_c = \frac{I_p}{CC} \tag{2}$$

a_c , clay activity index; I_p plasticity index; CC, clay content

The Path analysis was used to determine the direct and indirect effect of properties on penetration resistance and Atterberg limits.

Results and Discussion

The descriptive statistics were given in Table 1. The grain size distribution of the soils showed that the common texture classes in the study area were silty loam, clayey loam, silty clay loam and clay (Figure 1). Penetration resistance measurements showed that there was no severe compaction problem in the study area (<2MPa). It was determined that the moisture content of the soil in the study area was within the limits of usefulness and organic matter content was in the low class. Due to the structural evaluation, it can be said that the aggregation rate and the resistance of the aggregates to the dispersing effect of water were high. Clay activity index showed that clays were within the “normal” activity limits. The study area was classified as clayey very high plasticity.

Table 2 Descriptive statistics of the soil properties

Properties	Min	Max	Mean	St. Dev.	CV
Clay (%)	10.15	51.71	23.53	11.54	49.06
Silt (%)	33.33	64.88	53.03	9.22	17.39
Sand (%)	13.25	35.20	23.44	4.35	18.57
Organic matter (%)	0.72	4.25	1.99	1.04	52.36
Aggregation rate (%)	55.75	92.00	80.20	6.49	8.10
Aggregate stability (%)	57.60	85.57	72.90	6.33	8.68
Penetration resistance (MPa)	0.81	2.48	1.46	0.43	29.74
Clay activity index	0.39	2.87	1.16	0.55	47.41
Plastic limit	18.52	46.15	33.88	6.28	18.55
Liquid limit	49.33	66.76	56.05	3.91	6.98
Plasticity index	13.80	35.17	22.17	5.13	23.14




Figure 6 Grain size distribution of soil samples

Soil properties affecting the aggregation rate

It is determined that clay content is the most important property affecting the aggregation rate, the organic matter content (0.28), silt content and moisture content (0.11) were followed by the clay content (0.40), which positively affected the aggregation rate (Figure 2).




Figure 7 The effect of soil properties on aggregation rate

Soil properties affecting the aggregate stability

As a result of path analysis, it was determined that the most effective parameter in aggregate stability was organic matter content (0.77). This was followed by clay content (0.26), silt content (0.19) and moisture content (0.12), respectively (Figure 3). While the clay content was effective in the formation of aggregate, the organic matter provided the resistance of the aggregates to the dispersing effect of water.

Soil properties affecting the penetration resistance

An analytical image of the amplitude-frequency characteristic of vertical oscillations taken from the car stand:

$$h_{r0} = \left[\frac{(F_0/Mw^2) + (\alpha P_0 (w^2 - p^2))/\Omega^2}{\sqrt{\frac{[4K_\tau \omega^{10} + ([A + w^2 B])^2 + ([C_r + \Omega^2 D])^2]}{[A^2 + ([2K_\tau \omega^5 + 2Bh_r])^2 + ([2h_r p^5 + Dh_\tau])^2]}} \right] \times$$

Where, $A = \omega^4 (\Omega^2 - \omega^2) + \delta [w^2 - (1 + 1/\delta) \omega^2] [(\Omega^2 - \omega^2) + 4K_r \omega^2]$,

$$B = \delta [(\Omega^2 - \omega^2)]^2 + 4K_r \omega^2,$$

$$C = p^4 [(w^2 - p^2)]^2 + \delta \left[\Omega^2 + \left(1 + \frac{1}{\delta}\right) p^2 \right] [(w^2 - p^2)]^2 + 4K_r p^2,$$

$$D = \delta [(w^2 - p^2)]^2 + 4K_r p^2. \quad (2)$$

Obtained equation (2) illustrates the amplitude-frequency characteristics of the vertical pneumatic oscillation, under the conditions of simultaneous operating of radial and tangential oscillation loads, and by comparing the experimental data with these results, the influence of the tangential oscillations on the wheel's vertical oscillations is evaluated. In addition, the influence of the tangential deformation parameter change on the radial hardness of the tire is determined.

4. Methods of the research

Mathematical planning is used for conducting experimental studies on the car stand, mathematical and imitation modeling methods for imitating wheel's vertical oscillations on the car stand, probabilistic statistical method for processing and evaluating research results.



5. Conclusions

Analysis of the study results shows that the peak values of the wheel's vertical oscillation in the resonant frequency range with the addition of tangential loads to the tire are significantly different from the vertical amplitude values obtained in case of only radial deformation of the tire. This difference is on average 22 ... 24%. The deformation of rubber membrane in the tangential direction significantly reduces the radial deformation of the tire and increases the value of the radial hardness of the tire (by almost 18 ... 20%) compared to the radial load conditions alone.

6. Scope of application of research results

The necessity of using the study results is due to the fact that the values of the tire radial hardness and damping coefficients are significantly different under conditions of complex load and under only radial load. Therefore, when conducting analytical studies of the vehicle's motion and the dynamic loads of the transmission using mathematical and imitation models, it is necessary to take into account the accurate values of the tire damping characteristics.



ფუნქციური დანიშნულების პურის წარმოების პერსპექტივები საქართველოში

მურვანიძე ხათუნა

დოქტორანტი

გარუჩავა მურადი

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ქვარცხავა გიორგი

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

დოლიძე მალხაზი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ტყემალაძე გურამი

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ეკოლოგიური პრობლემებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიოლოგიურად აქტიური მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებას. დარგის მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მთავარ ამოცანას წარმოადგენს პროდუქტის წარმოების არა მარტო ენერგეტიკული და ორგანო-ლეპტიკური თვისებების გაუმჯობესება, არამედ პროდუქტის მაღალი ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფა. კვლევის მიზანს წარმოადგენს ისეთი მცენარეული ინგრედიენტების ჩართვა ტექნოლოგიურ პროცესში, რომლებიც ხასიათდება კონკრეტული პრევენციული ზემოქმედებით გარკვეული დაავადების მიმართ. გარდა ამისა, ჩვენი ტექნოლოგიით გამოძვხვარ პურში, პარალელურად შევისწავლეთ პოტენციურად კანცეროგენური აკრილამიდის წარმოქმნის შესაძლებლობა.

მოხსენებაში წარმოდგენილია აღნიშნული კუთხით ჩატარებული კვლევის პირველი მონაცემები.

საკვანძო სიტყვები: პური, ფუნქციური ინგრედიენტი, უვნებლობა, აკრილამიდი.



კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ინოვაციური ტექნოლოგიების უდიდესი მიღწევებით, მსოფლიო ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით, ცხოვრების წესისა და შრომის ხასიათის ცვლილებით, ფიზიკური აქტივობის შემცირებით, ნერვულ-ემოციური და ინფორმაციული დატვირთვის გაზრდით, დროის მუდმივი დეფიციტითა და საკვების ხარისხის გაუარესებით.

რაციონალური კვების ძირითადი პრინციპების დარღვევა, საკვები დანამატებისა და ფუნქციური ინგრედიენტების ნაკლებობა, აგრეთვე თითოეული ადამიანის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებთან მათი შეუსაბამობა, იწვევს მთელი რიგი დაავადების გავრცელებას, იმუნური სტატუსის შემცირებიდან, არასრულფასოვანი კვებით გამოწვეული დაავადებებით დამთავრებული. FAO/WHO-ის 2002 წლის მონაცემებით, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ანალიზი მიუთითებს პირველადი, არაინფექციური და ქრონიკული დაავადებების ზრდის ტენდენციაზე [1,2,4]. ხშირად ლეტალური შედეგის მიზეზი გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებები (66,9%), ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები (14,5%), საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები და ნივთიერებათა ცვლის დარღვევებია (4,7%) [3].

სიცოცხლისთვის აუცილებელი ნივთიერებებით ადამიანის ორგანიზმის უზრუნველყოფის ძირითად გზას წარმოადგენს კვების რაციონში სპეციალიზებული, ფუნქციური საკვები პროდუქტების ჩართვა. ნათქვამიდან გამომდინარე, ეკოლოგიურად სუფთა, ფუნქციური დანიშნულების მქონე პროდუქტის შექმნა მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების, სიცოცხლის გახანგრძლივებისა და კეთილდღეობის აუცილებელი წინაპირობაა.

ევროკავშირის პროექტი „ფუნქციური საკვების მეცნიერება ევროპაში“ [5,6,7], აღნიშნულთან დაკავშირებით, იძლევა შემდეგ განმარტებას: „საკვები შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ფუნქციური“, თუ იგი დადებითად მოქმედებს ორგანიზმის ერთ ან რამდენიმე სამიზნე ფუნქციაზე და იწვევს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და/ან დაავადებათა რისკის შემცირებას. ფუნქციური პროდუქტები რჩება საკვებ პროდუქტებად, და ისინი უნდა ახდენდეს დადებით ზემოქმედებას იმ რაოდენობით, რომელიც შეესაბამება კვების რაციონს და არ წარმოადგენს აბებს და საინექციო სასუალებებს [HAWKES 200].

საკვები პროდუქტების თერმული დამუშავება უძველესი პრაქტიკაა და უზრუნველყოფს: მიკრობიოლოგიურ უსაფრთხოებას, საკვების ხარისხის ამაღლებას, შენახვის ვადის გახანგრძლივებას, და ორგანოლექტიკური თვისებების (ფერი, სუნი, გემო) გაუმჯობესებას. ეტაპობრივად მიმდინარე რეაქციათა ერთობლიობა, რომელიც ცნობილია მაიარის ე.წ. გამუქების რეაქციის სახელწოდებით, განაპირობებს საკვები პროდუქტის ანტიოქსიდანტური აქტივობის გაძლიერებასაც, რაც დაკავშირებულია ყავისფერი მელანოიდების წარმოქმნასთან [MANZOCCO et al., 2000; DIMATTIA et al., 2007]. მეორე მხრივ, თერმულმა დამუშავებამ შესაძლოა გამოიწვიოს ზოგიერთი საკვები ნივთიერების, მაგალითად, ლიზინის დაკარგვა [9]. ისეთი ტოქსიკური ნაერთის ფორმირება, როგორებიცაა აკრილამიდი და გლიკირების საბოლოო პროდუქტები, რომლებიც განაპირობებს გარკვეული ასაკობრივი დაავადების განვითარებას. მაიარის რეაქციის შედეგად წარმოქმნილი ნივთიერებებიდან ზოგიერთი, მაგ.: N-ე-ფრუქტოზილლიზინი (FL) და კარბოქსიმეთილლიზინი



(CML), გამოიყენება თერმულად დამუშავებულ საკვებ პროდუქტებში გლიკირების პროცესის ხარისხის შესაფასებლად [9]. აკრილამიდის, ჰეტეროციკლური ამინების, ფურანის, ფურფურალისა და ქლორპროპანოლის წარმოქმნა თერმული დამუშავების შედეგია და პოტენციურ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას [9].

საერთაშორისო ორგანიზაციები თერმულად დამუშავებულ პროდუქტებში აკრილამიდის არსებობას მიიჩნევენ სასურსათო პროდუქტების უვნებლობის მნიშვნელოვან პრობლემად (რადგან აკრილამიდი კლასიფიცირდება, როგორც სავარაუდო კანცეროგენი (ჯგუფი 2 A)) [1,2,3,4]. ადამიანის ორგანიზმზე აკრილამიდის მავნებლობის საზღვრები ცვალებადია და დამოკიდებულია მოსახლეობის კვებით ჩვევებზე, ტრადიციებსა და საკვები პროდუქტების დამუშავების ხერხზე. როგორც ცნობილია, აკრილამიდი შედარებით მაღალი კონცენტრაციით წარმოიქმნება ნახშირწყლებით მდიდარ პროდუქტებში, როგორცაა: კარტოფილი, კარტოფილის ჩიფსები, კარტოფილი ფრი, ყავა, კრეკერი, პური და სხვ[9,14].

პური და მარცვლეული პროდუქტები წარმოადგენს ენერჯისა და საკვები ნივთიერებების - მცენარეული ცილების, სახამებლის, საკვები ბოჭკოების, ვიტამინების, მაკრო და მიკროელემენტების უძველეს წყაროს, რომელსაც ისტორიულად განსაკუთრებული ადგილი ეკავა თითოეული ადამიანის და მთლიანად მოსახლეობის ყოველდღიურ საკვებ რაციონში.

პური მეტად პერსპექტიულ საშუალებაა დღიური საკვები რაციონის გასამდიდრებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. თითქმის ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სოციალური სტატუსისა, პური წარმოადგენს ყოველდღიური მოხმარების შედარებით იაფ და ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ საკვებს და შეადგენს საქართველოს მოსახლეობის სასურსათო კალათის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

წარმატებული კვლევის საშუალებით შესაძლებელია საკვები რაციონის კვებითი ღირებულების მიზანმიმართული გაუმჯობესება.


მაღალ ტემპერატურაზე, საკვები პროდუქტების თერმული დამუშავების დროს წყლის აორთქლება ხელს უწყობს ტექნოლოგიური პროცესის პროცესის დასაწყისშივე აკრილამიდის წარმოქმნას. ერთნაირ პირობებში, თერმული დამუშავებისას ტემპერატურა უფრო სწრაფად იზრდება პროდუქტის ზედაპირზე, მის შიგა ნაწილებთან შედარებით. [7] აქედან გამომდინარე საკვებ პროდუქტებში აკრილამიდის წარმოქმნის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს ძირითადად ქერქისა და მის მიმდებარე ფენებში.

კვლევა ვაწარმოეთ ლაბორატორიულ პირობებში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჩიას თესლის გამოყენებით ფუნქციური დანიშნულების პურის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა და პროდუქტის კვებითი ღირებულების გაუმჯობესება.

აკრილამიდის რაოდენობრივ განსაზღვრას ვაწარმოებდით სპექტროფოტომეტრიული მეთოდით, რომელიც ემყარება კალიუმის პერმანგანატთან აკრილამიდის ჟანგვა-აღდგენით რეაქციას, რომელიც მოიცავდა: ნიმუშის ჰომოგენიზაციას, წყლიან აბაზანაზე აცეტონიტრილითა და გამოხდილი წყლით გაჯირჯვებას, 1-პროპანოლისა და წყლის ნარევიტ ექსტრაქციას. შემდეგ როტაციულ ამორთქლებელზე წყლისა და 1-პროპანოლის მო-



ცილებას ნიმუშის სრულ აორთქლებამდე. მშრალი ნაშთი მუშავდებოდა 2-ჯერ აცეტონით-რილით და ჰექსანის ნარევით. სუფთა ნიმუში (2 მლ) ინახებოდა ავტოდოზატორში.



ნახ.1. აკრილამიდის საკალიბრო მრუდი

საკალიბრო მრუდის ასაგებად გამოვიყენეთ კალიუმის პერმანგანატის სტანდარტული ხსნარი, რომლის სტანდარტიზაცია მოვახდინეთ ნატრიუმის ოქსალატით. თითოეული სამუშაო ხსნარი მზადდებოდა მუშაობის დაწყების წინ, გამოხდილი წყლით სტანდარტული ხსნარის განზავებით. გაზომვები ჩავატარეთ „DataStream - CE9000 Series Spectrophotometer“ მარკის სპექტროფოტომეტრზე, $A_{355\text{ nm}}$ ტალღის სიგრძეზე ($A_{\text{absorbance}}$ - ოპტიკური სიმკვრივე), 1მმ სისქის მქონე 4მლ-იან კვარცის კიუვეტაში. საკალიბრო მრუდზე (ნახ.1) წარმოდგენილია $A_{355\text{ nm}}$ ცვლილება აკრილამიდის კონცენტრაციაზე დამოკიდებულებით.


საანალიზოდ ავიღეთ პურის ცომის გუნდა(500გ), რომელიც შეიცავდა ჩიას ფქვილს სხვადასხვა რაოდენობით(ცხრილი 1). ზემოთ აღწერილი მეთოდის მიხედვით განვსაზღვრეთ პურის ქერქსა და რბილობში აკრილამიდის რაოდენობა.

განსაზღვრის შედეგებმა (ცხრილი 1), გვიჩვენა, რომ პურის ქერქში 1%-იანი ჩიას შემცველობა გავლენას არ ახდენს აკრილამიდის შემცველობაზე. აკრილამიდის რაოდენობის შემცირება(20%) შეიმჩნევა 1,5% ჩიას ფქვილის დამატების დროს. 2%-იანი ჩიას ფქვილის შემცველ პურის ქერქში აკრილამიდი შემცირდა 30%-ით. აკრილამიდის რაოდენობის მაქსიმალური შემცირება,(60%) ხდება 3%-იანი ჩიას ფქვილის გამოყენების დროს. ჩიას რაოდენობის შემდგომი გაზრდით აკრილამიდის რაოდენობა არ მცირდება(სურათი 2).

ცხრილი1. ჩიას ფქვილის გამოყენებით ფუნქციური პურის ზოგიერთი მახასიათებლები.



№	ცო- მის მა- სა,გ	ჩიას ფქვი- ლი %-ი	ცომის დაყოფ- ნების დრო, წთ	ცხობის ტემპ, °C	ცხობის ხან- გრძლი- ვობა, წთ	აკრილა- მიდი ქერქში, მგ/100გ	კლე- ბა %	აკრილა- მიდი რბი- ლობში, მგ/100გ	კლე- ბა %
1	500	0	40-45	200-210	30-40	0.5	0	0	0
2	500	1	40-45	200-210	30-40	0.5	0	0	0
3	500	1.5	40-45	200-210	30-40	0,4	20	0.3	35
4	500	2	40-45	200-210	30-40	0.35	30	0.3	35
5	500	3	40-45	200-210	30-40	0.2	60	0.01	97,5
6	500	3.5	40-45	200-210	30-40	0.2	60	0.01	97,5
7	500	4	40-45	200-210	30-40	0.2	60	0.01	97,5



სურათი 2. პურის ქერქის სპექტრი, 3% - იანი ჩიას ფქვილის შემცველობის დროს.

პურის რბილობში, ისე როგორც ქერქში აკრილამიდის რაოდენობის შემცირება იწყება ჩიას 1,5%-ით შემცველობის დროს. აკრილამიდის მაქსიმალური შემცირება, (95%) მოხდა 3%-ი ჩიას ფქვილის დამატების შემთხვევაში.

მიგვაჩნია, აკრილამიდის რაოდენობის შემცირება ქერქსა და რბილობში, (შესაბამისად 60 და 97,5%-ით) 3%-იანი ჩიას გამოყენებით შეიძლება აიხსნას: ჩიას თესლის მდიდარი ქიმიური შედგენილობითა და მისი უნრით, შეაკავოს წყლის გარკვეული რაოდენობა და წარმოქმნას ჰიდრატაციული გარსი, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს აკრი-



ლამიდის რაოდენობის შესამცირებლად [12]. აღნიშნული დასტურდება ჩვენი კვლევით. გარდა ამისა, ჩიას დანამტით მიღებული ფუნქციური პურის ქერქის შეფერილობა იყო ბევრად უფრო ღია, საკონტროლო ნიმუშთან შედარებით. კვლევებით დადგენილია დამოკიდებულება პურის ქერქის შეფერილობის ინტენსივობასა და მასში წარმოქმნილი აკრილამიდის რაოდენობას შორის [11,13,14].

გამოყენებული ლიტერატურა

- 1., საქართველოს კვების ეროვნული კვლევა” . ოქსფამი 2016
- 2 . [Joint WHO/FAO Expert Consultation on Diet, Nutrition and the Prevention of Chronic Diseases](http://www.fao.org/3/AC911E/AC911E00.htm#Contents) - World Health Organization 2003 <http://www.fao.org/3/AC911E/AC911E00.htm#Contents>
3. Ultra-processed foods, diet quality, and health using the NOVA classification system. Food and Agriculture Organization of the United Nations Rome, 2019
- 4., „Health Implications of Acrylamide in Food” Report of a Joint FAO/WHO Consultation WHO Headquarters, Geneva, Switzerland 25-27 June 2002 .World Health Organization , 2002
5. Scientific Concepts of Functional Foods in Europe Consensus Document British Journal of Nutrition (2916), 81, S1-S27
6. Functional food in the European Union European Commission Joint Research Centre Institute for Prospective Technological Studies
7. „EU Project, Functional Food Science in Europe “ 01/01/1998 Bellisle F, et al. (Editors) - British Journal of Nutrition. 1998;80(Suppl S1):S1-S193 -2019 International Life Sciences Institute.
8. Thermal Processing Contaminants in Foodstuffs and Potential Strategies of Control - A. STUDER^{1*}, I. BLANK² and R. H. STADLER³. Czech J. Food Sci. Vol. 22, Special Issue
9. „A Review on Acrylamide Mitigation Strategies in Various Processed Foods.” International Journal of Advanced Research (2016), Volume 4, Issue 7, 1025-1040.
10. Codex alimentarius international foodstandart 2019
11. CAC (2009) Code of Practice for the Reduction of Acrylamide in Foods (CAC/RCP 67-2009) http://www.codexalimentarius.net/download/standards/11258/CXP_067e.pdf
12. „Effects of Asparagine, Fructose, and Baking Conditions on Acrylamide Content in Yeast-Leavened Wheat Bread” NICOLAS SURDYK,†JOHAN ROSEÄN,‡ROGER ANDERSSON,†AND PER A°MAN*,†Department of Food Science, Swedish University of Agricultural Sciences (SLU), and Swedish National Food Administration, Uppsala, Sweden - J. Agric. Food Chem. 2004, 52, 2047–2051 2047
13. [Michele Silveira Coelho Myriam de las Mercedes Salas-Mellado](#) Effects of substituting chia (*Salvia hispanica* L.) flour or seeds for wheat flour on the quality of the bread [LWT - Food Science and Technology](#) [Volume 60, Issue 2, Part 1](#), March 2015, Pages 729-736
14. Bong-Kyung Koh , 2007. Color Difference and Acrylamide Content of Cooked Food. American Journal of Food Technology, 2: 318-322.

Functional Bread Production Prospects by Using Herbal Ingredients in Georgia

Murvanidze Khatuna

doctoral student

Garuchava Murad

Doctor of Biological Sciences

Kvartshava Giorgi



Doctor of Chemistry

Dolidze Malkhaz

Doctor of Technical Sciences

Tkemaladze Guram

Doctor of Biological Sciences

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Abstract

Key words: Bread, ingredient, safety, acrylamide.

The modern stage of human development is characterized by the highest achievements in the field of innovative technologies, a sharp deterioration in the ecological state of the world, change in lifestyle and work, decrease in physical activity, an increase in neuro-emotional and information load, a constant lack of time and a deterioration in the quality of food.

Violation of the basic principles of good nutrition, lack of nutritional supplements and functional ingredients, as well as their mismatch with the physiological needs of each person, cause a wide range of diseases, ranging from a decrease in immune status and ending with malnutrition. According to the 2002 FAO / WHO population health analysis, there is a tendency toward an increase in primary, noncommunicable and chronic diseases [1,2,4]. Often the cause of death is cardiovascular disease (66.9%), malignant neoplasms (14.5%), digestive system disorders and metabolic disorders (4.7%) [3].

The main way of providing the body with the necessary nutrients is the inclusion of specialized, functional products in the diet. Accordingly, the creation of environmentally friendly, functional products is a prerequisite for improving health, prolonging the life and well-being of the population.

The EU project “The Functional Science of Food in Europe” [5,6,7] in this regard gives the following explanation: “Food can be considered “functional” if it positively affects one or more of the target functions of the body and causes an improvement in health and / or reduced risk of disease. Functional foods remain foodstuffs and should be positively influenced by an amount that corresponds to the nutritional ratio and is not tablets and injectable drugs [HAWKES 200].

Heat treatment of food products is an ancient practice and provides: microbiological safety, improving the quality of food products, increasing shelf life and improving organoleptic properties (color, smell, taste). A series of gradual reactions known as the so-called Maillard phases. Called the browning reaction, it also enhances the antioxidant activity of food, which is associated with the production of brown melanoids [MANZOCCO et al., 2000; DIMATTIA et al., 2007]. On the other hand, heat treatment can lead to the loss of certain nutrients, such as lysine [9]. The formation of toxic compounds such as acrylamide and glycation end products that cause certain age-related diseases. Some substances obtained as a result of the Meyer reaction, for example, N-e-fructosyllysine (FL) and carboxymethyllysine (CML), are used to assess the quality of glycation processes in thermally processed food products [9]. The production of acrylamide, heterocyclic amines, furan, furfural and chloropropanol is the result of heat treatment and poses a potential threat to human health [9].

International organizations consider the presence of acrylamide in thermally processed foods as a serious problem for food safety (since acrylamide is classified as a suspected carcinogen (group 2 A)) [1,2,3,4]. The harmful limits of acrylamide in the human body are different and depend on eating habits, traditions and ways of processing food. As you know, acrylamide is present in relatively high concentrations in carbohydrate-rich foods, such as potatoes, potato chips, french fries, coffee, crackers, bread and others [9,14].

Bread and cereal products are an ancient source of energy and nutrients - vegetable protein, starch, dietary fiber, vitamins, macro and trace elements, which historically occupy a special place in the daily diet of every person and the entire population.

Bread is a very promising way to enrich your daily diet and improve quality. For almost everyone, regardless of age, state of health and social status, bread is a relatively inexpensive daily food available to all consumers, and is an integral part of the food basket of the Georgian population.



Successful research can consciously improve the nutritional value of diets.

At high temperatures, the evaporation of water during the heat treatment of food products facilitates the production of acrylamide at the beginning of the process. Under the same conditions, during heat treatment, the temperature on the surface of the product rises faster than on the inside of the product. [7] Therefore, the process of acrylamide production in foodstuffs proceeds intensively mainly in the cortex and adjacent layers.

To calculate the calibration curve, a standard solution of potassium permanganate standardized with sodium oxalate was used. Each working solution was prepared before starting work, diluting the standard solution with distilled water. The measurements were carried out on a DataStream - CE9000 Series spectrophotometer at a wavelength of A 355 nm (A-absorption - optical density) in 4 ml quartz quirt with a thickness of 1 ml. On the calibration curve (Fig. 1) there is a change And 355 nm depending on the concentration of acrylamide.

For analysis, we got a dough for bread (500 g) containing various amounts of chia flour (table 1). According to the method described above, we determined the amount of acrylamide in the crust and pulp of bread.



საქართველოში გავცელებული ჩაისა და ზოგიერთი კენკროვანი მცენარეების ფენოლური ნაერთების გამოკვლევა და მათი გავლენა ხარისხზე

ფრუიძე მაყვალა

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ბენდელიანი ეკატერინე

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ჩაკვეტაძე შორენა

აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

ნაშრომში განხილულია საქართველოში გავრცელებული ჩაისა და ველურად მზარდი კენკროვანი მცენარეების (ფშატის, წითელი და შავი კუნელის) ფენოლური ნაერთების გამოკვლევა, მათი თვისებები და ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედება. საკვლევ ნიმუშებში განსაზღვრული იქნა ტენშემცველობა მუდმივ წონამდე გამოშრობის მეთოდით, ექსტრაქტული ნივთიერებები ვორონცოვის მეთოდით და ფენოლური ნაერთები გატიტრვისა და თხელ შრეზე ქრომატოგრაფირების მეთოდით. დადგენილი იქნა, რომ როგორც ჩაი, ასევე ველურად მზარდი კენკროვანი მცენარეები შეიცავს ტიტვრად ფენოლურ ნაერთებს ზღვრებში 8-დან - 17%-მდე, რომელთაც გააჩნიათ ანტიოქსიდანტური, ანტისიმსივნური და ანტიმიკრობული თვისებები.

საკვანძო სიტყვები: ჩაი, კენკროვანი მცენარეები, ფენოლური ნაერთები, ანტიოქსიდანტები, ფშატი, შავი და წითელი კუნელი.



ჩაის ნაწარმის ხარისხს ძირითადად განსაზღვრავს ჩაის ქიმიური შედგენილობა, ჯიშური თვისებები, ნიადაგურ-კლიმატური პირობები და ის ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც მისი დამზადებისას გამოიყენება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩაი სულ უფრო ფართოდ განიხილება, როგორც კვების პროდუქტი და მისი ხარისხის შეფასებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს-ფენოლურ ნაერთებს, ორგანულ მჟავებს, ამინომჟავებსა და სხვ. ფენოლური ნაერთები და მათი გარდაქმნის პროდუქტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩაის ტიპის ჩამოყალიბებაში, მისი დამზადება-შენახვის ყველა ეტაპზე და უშუალო გავლენას ახდენენ ჩაის ნაყენის ფერზე, გემოზე, არომატზე და გამჭვირვალობაზე.

ჩაის ქიმიური შედგენილობა და მისი ორგანოლექტიკური თვისებები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სისრულით მიმდინარეობს ნედლეულის გადამუშავების პროცესში ბიოქიმიური და ქანგვითი გარდაქმნები. ერთი და იგივე ნედლეულიდან, 2-3 ფოთლიან დუყებიდან შესაძლებელია მივიღოთ სხვადასხვა სახის ბაიხის ჩაი.

ამჟამად, სხვადასხვა ქვეყანაში აწარმოებენ ასევე ხსნად ჩაის, ჩაის სხვადასხვა გემონებითი დანამატებით და ჩაის შემცვლელებს. საქართველოში აწარმოებდნენ ხსნად ჩაის შაქრით, ჩაის თხევად კონცენტრატებს და უალკოჰოლო მატონიზირებელ სასმელებს მათ ფუძეზე, გრანულირებულ ჩაის, სხვადასხვა სახის არომატიზირებულ და გამდიდრებულ ჩაის, რაც გარკვეულის გარემოებების გამო დღესდღეობით შეჩერებულია.

ჩაის სისტემატური გამოყენება თრგუნავს ადამიანის ბიოლოგიურ სითხეში თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებას.

ჩაის ქიმიური შედგენილობა საკმაოდ რთულია. მასში აღმოჩენილია ფენოლური ნაერთები, ეთერზეთები, ფისოვანი, ცილოვანი, პექტინოვანი ნივთიერებანი, ამინომჟავები, ალკალოიდები, ვიტამინები, ორგანული მჟავები, ნახშირწყლები, გლიკოზიდები, პიგმენტები, ფერმენტები, მინერალური ნივთიერებები, ლიპიდები და ლიპოიდები, მათი თანამგზავრი ნივთიერებები და სხვა[1].

ჩაის ქიმიური შედგენილობის თავისებურებები განსაზღვრავენ მის მნიშვნელოვან დიეტურ, ფარმაკოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თვისებებს. ჩაი დადებითად მოქმედებს ნერვულ, სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელ სისტემებზე, აუმჯობესებს გულის მოქმედებას. ჩაის ალკალოიდები – კოფეინი, თეოფილინი და თეობრომინი ხელს უწყობენ ტვინის სისხლძარღვთა გაფართოებას და წარმოადგენენ თავის ტკივილისა და დაღლილობის ერთ - ერთ საუკეთესო ნატურალურ პროფილაქტიკურ საშუალებას. ჩაის ფენოლურ ნაერთებს, განსაკუთრებით კატეხინებს, აქვთ მკვეთრად გამოხატული ვიტამინის თვისებები გაამაგრონ სისხლძარღვები და ამ მხრივ აღემატებიან სხვა ანალოგიურ პრეპარატებს, მაგალითად, ციტრინსა და რუთინს. ასევე დადგენილია, ჩაის პოლიფენოლების ანტიმიკრობული და ანტიმუხანგავი თვისებები. ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული ჩაის კატეხინების რადიოდამცველი მოქმედება [2]. დადგენილია, რომ ჩაის კატეხინები თითქმის სრულად ანეიტრალებენ სტრონციუმ-90-ის მავნე მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე. ისინი აადსორბირებენ იზოტოპებს და მანამდე გამოჰყავთ ორგანიზმიდან, ვიდრე ძვლის ტვინამდე მიაღწევენ.

ადამიანის ავადმყოფობისა და სიბერის პროცესების ძირითადი მიზეზი ბიოლოგი-



ურ სითხეებში თავისუფალი რადიკალების მოქმედებაა, რომლებიც როგორც ძლიერი მჟანგავები, აზიანებენ სისხლძარღვთა კედლებს, უჯრედთა მემბრანებს, ჟანგავენ ლიპიდებს. აღნიშნული ზემოქმედებები იწვევენ დიაბეტს გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიურ და მრავალ სახიფათო დაავადებებს.

უკანასკნელ წლებში ჩაის მიმართ ინტერესი გაიზარდა მასში ძლიერი ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობის გამო. ანტიოქსიდანტური თვისებებით ხასიათდება არა მარტო ჩაის ფენოლური ნაერთები, არამედ საქართველოში ფართოდ გავრცელებული კენკროვანი მცენარეების როგორიცაა, ფშატის და კუნელის ფენოლური ნაერთები.

კენკროვანები მრავალწლოვანი მცენარეებია, სწრაფად და ადვილად მრავლდება, ადრე იწყებენ ნაყოფის მოცემას და ყოველწლიურად იძლევიან მაღალ მოსავალს. კენკროვნები შეიცავენ ადამიანის კვებისათვის აუცილებელ ფენოლურ ნაერთებს, ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებს, ალკალოიდებს, არომატულ ნივთიერებებს და სხვა. ისინი გამოიყენებიან ახალდაკრეფილი, გაყინული და გამშრალი სახით. მისგან ამზადებენ მურაბებს, კომპოტებს, მარმელადებს, ჯემებს, სასმელებს და ეფექტურად იყენებენ სამკურნალო და პროფილაქტიკური დანიშნულებით.

ფშატი (*Elaeagnus*)- ვერცხლისფერ-მოთეთრო ჩვილ ყლორტებიანი და ფოთლებიანი ბუჩქი ან დაბალი ხეა ფშატისებრთა ოჯახიდან, მცირე რაოდენობით ინვითარებს მამრობით ყვავილებსაც. 0,7-1,4 სმ სიგრძის და 0,5-1 სმ სიმსხოს მრგვალი ან ოვალური მშრალ-ხორცოვანი ნაყოფი ერთ თესლიანი კურკიანაა. ყვავის მაის-ივნისში, ნაყოფები სექტემბერ-ოქტომბერში მწიფდება, უხვად ნაყოფმსხმოიარობს ყოველწლიურად (სურ.1).

ფშატი ადვილად მრავლდება თესლით, ფესვის ნაბარტყით, კალმებითა და ძირკვის ამონაყარით. ნაყოფის მშრალი ხორცოვანი რბილობი, ველურ ფორმებში მთელი ნაყოფის წონის 52% შეადგენს, რომელიც 40% მეტ შაქრებს შეიცავს. გარდა ამისა, მასში ნაპოვნია კალიუმისა და ფოსფორის მარილები, აგრეთვე 10% მეტი ცილები.

ნაყოფს ჭამენ როგორც უმად, ასევე მისი ფქვილით ამდიდრებენ პურის ფქვილს. ნაყოფის ფხვნილს შემკვრელი თვისება გააჩნია და კუჭაშლილობის დროს გამოიყენება. ფოთლებსა და ქერქს ტყავის დასათრიმლავად და მის შავ ფერად ან ყავისფრად შესაღებად ხმარობენ. ფშატის ფესვებზე არსებულ კოჟრებში არსებული ბაქტერიები ახდენენ ატმოსფეროს თავისუფალი აზოტის ფიქსირებას, ამიტომ ფშატი ნიადაგს აზოტით ამდიდრებს.

იგი შესანიშნავი თაფლოვანი მცენარეა და რაც მთავარია, ეფექტურად წმენდს ჰაერს მავნე მინარევი გაზებისაგან, რის გამოც ფრიად სასურველი მცენარეა ქალაქების გასამწვანებლად. ფშატის ნაყოფებისაგან მიღებულია მთრიმლავი კოლოიდურ ინვითიერებების კონცენტრატი - ფშატნი, რომელიც კუჭის შემკვრელად გამოიყენება ენტეროკოლიტის დროს. იგივე იხმარება პირში გამოსავლებად პირის ღრუს ნაირგვარი დაავადებების დროს [3].



სურ.1. ფშატი

კუნელის (*Crataegus*) მრავალი სახეობა არსებობს. ამათგან სამკურნალოდ იყენებენ ძირითადად ორი სახეობის კუნელს – შავ ეკლიანს ანუ ჩვეულებრივ და წითელ კუნელს. კავკასიაში ბუნებრივად გავრცელებული 20-მდე სახეობიდან საქართველოში იზრდება - 9. მათგან კავკასიური კუნელი (*Crataegus caucasica*) და კოლხური კუნელი (*Crataegus colchica*) ენდემებია, პირველი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიისა, მეორე - კოლხეთის (სურ.2).



სურ.2. წითელი და შავი კუნელი

ველური სახეობიდან ჩვენში ყველაზე უფრო გავრცელებულია შავი ანუ ხუთ ბუმტუკოვანი კუნელი (*Crataegus pentagyna*) და ირიბ ჯამფოთოლაკიანი კუნელი (*Crataegus curvisepala*). ის საქართველოში ყველგან გვხვდება ბუჩქნარების სახით. ნიადაგისადმი კუნელი საკმაოდ განურჩეველია, თუმცა უფრო ხარობს ღრმა, საშუალოდ ტენიან და დაწრეტილ ნიადაგზე, ყვავილობს აპრილ-ივლისში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერ - ოქტომბერში.

კუნელის ნაყოფი შეიცავს 10% შაქარს, ორგანულ მჟავებს, 0,5მგ/100გ კაროტინს, 30 მგ/100გ ასკორბინის მჟავას, 0,75% ეთეროვან ზეთებს, ნაყოფში 15 ფლავანოიდია, მათ შორის ძირითადს წარმოადგენს ჰიპეროზიდი. კუნელის ნაყოფი ასევე შეიცავს ტრიტერპენის მჟავებს (კრატეგოვის, ოლეინის, ურსულის), მთვრიმლაგ ნივთიერებებს, ფიტოსტერინების მსგავს ნივთიერებებს, ქოლინს, ცხიმოვან ზეთებს და სხვა.

კუნელის ყვავილები შეიცავს 12-მდე ბიოფლავონოიდს, ფენოლკარბონულ მჟავებს და ტრიტერპენებს.

კუნელის ნაყოფი და ყვავილები სამკურნალო მცენარეულ ნედლეულს წარმოადგენს. მასში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები აუმჯობესებენ სისხლის მიმოქცევას, გავლენას ახდენენ გულსისხლძარღვთა სისტემაზე, მონაწილეობენ ჟანგვა - ალდგენით პროცესში. კუნელისგან მიღებული სამკურნალო პრეპარატები გამოიყენება გულის



მუშაობის სხვადასხვა ფუნქციონალური დარღვევების, ანგიონევროზების, არტერიალური ჰიპერტენზიის და არითმიების დროს [4].

გამოყენების მნიშვნელოვანი ისტორიის მიუხედავად, კუნელის სხვადასხვა სახეობების ქიმიური შემადგენლობის და მათი ფარმაკოლოგიური თვისებების კვლევები დღემდე წარმოადგენს მრავალი ქვეყნის მეცნიერთა შესწავლის ობიექტს (უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა, გერმანია, ჩინეთი, კორეა, სლოვაკეთი, სერბეთი, ინდოეთი, აშშ, იტალია პორტუგალია, თურქეთი, რუსეთი და სხვა) [5].

კუნელში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ძირითად ჯგუფს წარმოადგენს ფლავონოიდები. გამოკვლეულია კუნელის სხვადასხვა სახეობებში ფლავონოიდების ხარისხობრივი შემადგენლობა.

საკვლევ ნიმუშებში შეისწავლებოდა ტენემცველობა მუდმივ წონამდე გამოშრობის მეთოდით, ექსტრაქტული ნივთიერებები ვორონცოვის მეთოდით და ფენოლური ნაერთები გატიტრვისა და თხელ შრეზე ქრომატოგრაფირების მეთოდით, ცხრილი 1.

ჩაისა და კენკროვანი მცენარეების ფიზიკურ - ქიმიური მაჩვენებლები

ცხრილი 1

№	ნიმუშის დასახელება	ტენი %	ექსტრაქტული ნივთიერება; %	ფენოლური ნაერთების ჯამი (ტანინი), %
1.	ჩაის ფოთოლი	76	34	18,9
2.	მწვანე ჩაი	6,8	33	18,0
4.	შავი ჩაი	6,9	31	16,8
5.	ფშატის ნაყოფები	72,28	55	13,64
6.	ფშატის ფოთლები	74,21	41	13,87
7.	შავი კუნელი	51,68	38,39	16,4
8.	წითელი კუნელი	67	32	14,95

ცხრილიდან ჩანს, რომ ფშატის ფოთლებსა და ნაყოფებში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა ფენოლური ნაერთების ჯამი, რომელიც შეადგენს 13,87%-ს. შავი და წითელი კუნელიდან უფრო მეტი ტიტვრადი ფენოლური ნაერთების ჯამური რაოდენობა არის შავი კუნელის ნაყოფების შემადგენლობაში - 16,4%, ხოლო წითელი კუნელის შემადგენლობაში 14,95%.

დადგენილი იქნა, რომ როგორც ჩაი, ასევე ველურად მზარდი კენკროვანი მცენარეები შეიცავს ტიტვრად ფენოლურ ნაერთებს ზღვრებში 8-დან - 20%-მდე, რომელთაც გააჩნიათ ანტიოქსიდანტური, ანტისიმპიჯნური და ანტიმიკრობული თვისებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Zuo Y., Chen H., Deng Y. Simultaneous determination of catechins, caffeine, and gallic acids in green. Oolong, black and pa-erh teas using HPLC with a photodiode array detector. - Talanta, 2002. V. 57. P. 307-316.



2. Барабой В.А. Противолучевые свойства чайных катехинов и других соединений, обладающих Р -витаминной активностью /Биохимия и прогрессивная технология чайного производства. -М.: Наука. -1966. -С.357-364.
3. მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე - ფმატით (Elaeagnus) გამდიდრებული ჩაის წარმოება“, „აგრო NEVS №5“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი,- ქუთაისი, 2018. გვ.51-58.
4. Машковский М. Д. - Лекарственные средства пособие для врачей. / М. Д Машковский.-15 е изд., перераб., испр. и доп.- М.: Новая волна, 2008г.- -425 с.
5. Mina, K. - Hawthorn leaf with flower / Mina K., Chung // Cardiology in Re-view.-2004 Vol. 12(2), -P. 73-80.

Investigation of Phenolic Compounds of Tea and some berries in Georgia and their Impact on Quality

Pruidze Makvala

Candidate of Technical Sciences, Academic Doctor of Technology, Professor

Bendeliani Ekaterine

Candidate of biological sciences, academic doctor of technology Associate Professor

Chakvetadze Shorena

Doctor of Agrarian Sciences

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Abstract

Key words: tea, berry plants, phenolic compounds, antioxidants, blackberries, black and red hawthorn.

The study examines phenolic compounds of tea and the wildy growing berries plants (Elangus, blackberry, red and black hawthorn) reaserch and their properties and the impact of the human body. The samples were defined the by the method. Of doying to a permanent weight, extractive substances with Vorontsov method and phenolic compounds with the method of chromatography on the thin layer. It has been established hed that tea and wildy growing berry plants contain titration phenolic compounds, from 8 to 18% with antioxidant, antitumor and antimicrobial properties.

In the scientific literature, tea is increasingly regarded as a nutritional product and its role in the evaluation of its quality is attributed to biologically active substances - phenolic compounds, organic acids, amino acids and others. Phenolic compounds and their conversion products are actively involved in the formation of the type of tea, its preparation - at all stages of storage and have a direct influence on the color, taste, aroma and transparency of the tea.

The chemical composition of the tea and its organoleptic properties depend on the completeness of the biochemical and oxidative transformations in the raw material processing. From the same raw materials, 2-3 leaf leaves can be obtained from different types of baikha tea.

The chemical composition of tea is quite complex. It contains phenolic compounds, essential oils, resins, proteins, pectinic substances, amino acids, alkaloids, vitamins, organic acids, carbohydrates, glycosides, pigments, enzymes, minerals, lipids and other lipids, their compounds

The chemical composition of the tea determines its important dietary, pharmacological and physiological properties. Tea has positive effects on nervous, vascular, digestive systems, improves heart function. Tea alkaloids - caffeine, theophylline and theobromine, help to enlarge the blood vessels of the brain and are one of the best natural preventive tools for headaches and fatigue. Phenolic compounds of tea, especially catechins, have markedly vitamin-rich properties to strengthen blood vessels, and in this way are superior to other analogous drugs, such as citrine and rutin.

The antimicrobial and antioxidant properties of tea polyphenols have also been established. The latter is associated with the radioactive action of tea catechins. It has been shown that tea catechins



almost completely neutralize the harmful effects of strontium-90 on the human body. They adsorb to isotopes and then are released from the body until they reach the bone marrow.

In recent years, interest in tea has increased due to its high content of antioxidants. Antioxidant properties are characterized not only by phenolic compounds of tea, but also by phenolic compounds of widespread berries such as watermelon and hawthorn.

The berries are perennial plants, grow quickly and easily, begin to bear fruit early and give high yields each year. Berries contain phenolic compounds essential for human nutrition, vitamins, organic acids, carbohydrates, mineral salts, alkaloids, aromatic substances and more. They will be used fresh/frozen, frozen and dried. It is made from jams, compotes, marmalades, jams, drinks and is used effectively for medicinal and preventive purposes.

Elaeagnus - Silver-white whitish shrub and leafy shrub from a family of shrubs, with a small number of male flowers. Round or oval dry fruit of 0,7-1,4cm length and 0,5-1cm thickness is one-seeded kurkiana. Flowering in May-June, the fruits ripen in September-October, with abundant fruits annually.

The leaf is easily propagated by seed, root bud, cuttings and root extract. Dry meaty pulp of the fetus, in the wild forms 52% of the total fetal weight, which contains 40% more sugars. In addition, it contains potassium and phosphorus salts, as well as 10% more protein.

The fruit is eaten both by the udder and by enriching the bread with its flour. Fertilizer powder is a binder and is used in gastrointestinal disorders. The leaves and bark are used to cut leather and tint it to black or brown. Bacteria in the cochlea at the root of the trunk freeze the nitrogen in the atmosphere, so the trunk enriches the soil with nitrogen.

There are many species of **hawthorn** (*Crataegus*). Of these, two types of hawthorn are commonly used for treatment - the black thistle or the common hawthorn. Of the 20 naturally occurring species in the Caucasus, it grows in Georgia - 9. Among them are Caucasian hawthorn (*Crataeguscaucasica*) and Colchic hawthorn (*Crataeguscolchica*) endemics, the first in the southeastern Caucasus and the second in the Colchis.

Hawthorn contains 10% sugar, organic acids, 0.5 mg / 100 g carotene, 30 mg / 100 g ascorbic acid, 0.75% essential oils, 15 flavonoids in the fetus, the main one being hyperoside. Hawthorn fruit also protects against triterpene acids (*Krategov*, *Olein*, *Ursul*), flammable substances, phytosterone-like substances, phthalates, fatty oils and more.

Hawthorn flowers contain up to 12 bioflavonoids, phenolcarbonic acids, and triterpenes.

The main group of biologically active substances in hawthorn are flavonoids. The qualitative composition of flavonoids in different hawthorn species has been investigated.

The studied samples were studied by constant weight drying, extracts by Vorontsovmethod, and phenolic compounds by gas chromatography and thin-layer chromatography, Table 1.

Physico-chemical indices of tea and berry plants

Table 1

№	Specimen Name	Moist%	Extractive substance;%	The sum of phenolic compounds (tannin),%
1.	Tea leaf	76	34	18,9
2.	green tea	6,8	33	18,0
4.	black tea	6,9	31	16,8
5.	Elaeagnus fruits	72,28	55	13,64
6.	Elaeagnusleaf	74,21	41	13,87
7.	Black Hawthorn	51,68	38,39	16,4
8.	Red hawthorn	67	32	14,95

The leaves and fruits of the leaves contain quite a large amount of phenolic compounds, accounting for 13.87%. The total amount of more titrable phenolic compounds from black and red hawthorn is 16.4% in black hawthorn and 14.95% in red hawthorn.



It has been found that both tea and wild berry plants contain titrable phenolic compounds in the range of 8 to 20%, which have antioxidant, antimicrobial and antimicrobial properties.



მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია

შაფაქიძე ელგუჯა

აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო.

მეაბრეშუმეობა შედგება ოთხი დამოუკიდებელი ქვედარგისაგან: საკვებწარმოება - მეთუთეობა, პარკის წარმოება - ნედლი აბრეშუმის პარკის მიღება, პარკის პირველადი დამუშავება და საგრენაჟო წარმოება. ბოლო ორი ქვედარგის ტექნოლოგიური პროცესები ნაწილობრივ მექანიზებულია, რასაც მოკლებულია საკვებწარმოება და განსაკუთრებით პარკის წარმოება, რაც მეაბრეშუმეობის განვითარების მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი პირობაა; გარკვეული ყურადღება ამ მიმართულებით უნდა გამახვილდეს საკვებწარმოების და პარკის წარმოების ისეთ პრობლემებზე, როგორცაა მეთუთეობა, საკვების დამზადება, მისი ტრანსპორტირება, საკვების მომზადება, მისი შენახვა და თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვება.

მეთუთეობაში ძირითადად განიხილება თუთის თესლით გამრავლების, თუთის ნარგაობის მოვლისა და ექსპლუატაციის ტექნიკური საშუალებები; თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისათვის განიხილება საკვების დამზადებისა და მომზადების ტექნიკური საშუალებები და გამოსაკვები მექანიზებული დანადგარები საკვების დარიგებისა და ნაძირის გამოცლის მექანიზაციით.

მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების სიმცირის გამო, აბრეშუმის პარკის წარმოება მეტად შრომატევადი პროცესია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, 100 კილოგრამი (1,0 ც) აბრეშუმის პარკის მისაღებად საჭიროა 600 - 700 კვ.საათი. ამ დანახარჯებიდან 15% მოდის საკვების დამზადებაზე და ტრანსპორტირებაზე, 15-20% - საკვების მომზადებაზე, 55-60% - თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებასა და 10% - პარკის ჩამოკრეფაზე, დახარისხებასა და გაწმენდაზე. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, საკვების დამზადებასა და მომზადებაზე საკმარისად დიდი დანახარჯებია და ამდენად ამ ტექნოლოგიური პროცესის მექანიზაციის საკითხები მეტად აქტუალურია.

სტატიაში აგრეთვე განხილულია აბრეშუმის ნედლი პარკიდან ძაფის ამოხვევის ტექნოლოგიური პროცესების ელემენტები, მათ შორის პარკის ნაპერყელისაგან გამწმენდი და ნედლი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი მოწყობილობები. აღნიშნული ტექნოლოგია მიესადაგება აბრეშუმის პარკის წარმოების თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლოგიებს.

საკვანძო სიტყვები: მეაბრეშუმეობა, მექანიზაცია, მოწყობილობა, დანადგარი.

მეაბრეშუმეობა შედგება ოთხი დამოუკიდებელი ქვედარგისაგან: საკვებწარმოება - მეთუთეობა, პარკის წარმოება - ნედლი აბრეშუმის პარკის მიღება, პარკის პირველადი დამუშავება და საგრენაჟო წარმოება [1]. ბოლო ორი ქვედარგის ტექნოლოგიური პროცესები ნაწილობრივ მექანიზებულია, რასაც მოკლებულია საკვებწარმოება და განსაკუთრებით პარკის წარმოება, რაც მეაბრეშუმეობის განვითარების მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი



პირობაა; ცხადია, რომ საგრენაჟო წარმოების და პარკის პირველადი დამუშავების მექანიზაციის საკითხების დადებითი გადაწყვეტა არ არის საკმარისი მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის განვითარებისათვის, თუმცა აქაც ბევრი საპრობლემო საკითხი იქნება გადასაწყვეტი, განსაკუთრებით ნედლი პერკის ინდივიდუალური ამოხვევის პროცესის ტექნიკური საშუალებების შექმნა; მეაბრეშუმეობის მექანიზაციის საკითხებზე მუშაობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის (მეთუთეობა) და ნედლი აბრეშუმის პარკის მისაღებად თუთის აბრეშუმხვევის გამოკვების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის საკითხებზე.

მეთუთეობაში ჩასატარებელი სამუშაოები ძირითადად სამ ჯგუფად იყოფა: I - სათეს განყოფილებაში თესლნერგის მოვლა-მოყვანა, II - სანერგე სკოლაში თუთის ნერგების მოვლა-მოყვანა და III - თუთის პლანტაციებში ნარგაობის მოვლა-მოყვანის და ექსპლუატაციის სამუშაოები [2].

თესვის სახეები განპირობებულია თესლის ფიზიკო-მექანიკური თვისებებით და თესლნერგების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური წესებით. ასევე ისინი დამოკიდებულია მოცემული კულტურის კვების ფართზე და დაკავშირებულია თესვის ნორმასთან.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების კვების ფართიდან გამომდინარე არჩევენ მანქანური თესვის ოთხ ძირითად სახეს: მობნევით, მწკრივად, ბუდობრივად და ერთმარცვლოვნად (პუნქტირულად) [3]. თუთის თესვა, როგორც სწორ ზედაპირზე, ისე ბადოებზე ძირითადად ხდება მწკრივად.

თუთის თესლი წვრილმარცვლოვანია და ითესება 1-2 სმ სიღრმეზე. ნათესარი და ახლადდამოცნებული თესლნერგები საჭიროებენ ხშირ მორწყვას, ამიტომ თუთის თესლი ხშირად ითესება სპეციალურად მომზადებულ კვლებზე.

მეთუთეობაში გამოიყენება მწკრივად თესვის შემდეგი სახეები: 1. ჩვეულებრივ მწკრივად თესვა (მწკრივებს შორის მანძილი 45 სმ), 2. ფართო მწკრივად თესვა (70 სმ), 3. ზოლებრივი თესვა (45+10 სმ), 4. ფართო ზოლებრივი თესვა (70+15 სმ).

თუთის სათესად შეიძლება გამოვიყენოთ ბოსტნეული კულტურების სათესები “COH-4,2A”, “CO-4,2”, “СУПО-6” [4], რომელთა საშუალებით შესაძლებელია თესვა სწორ ზედაპირზე ფართო მწკრივებად და ზოლებრივად, აგრეთვე ბადოებზე მწკრივში ან ზოლურად რიგთაშორისების სიგანით 45, 50, 70 და 50+20 სმ.

აღნიშნული სათესების კონსტრუქციები აკმაყოფილებენ თუთის თესვისადმი წაყენებულ აგროტექნიკურ მოთხოვნებს, გამონაკლისია მხოლოდ ჩამთესი, რომლის კონსტრუქცია მოითხოვს გარკვეულ კორექტირებას და მოდიფიცირებას.

მაჩოჩისებური ჩამთესის ჩვეულებრივი კონსტრუქციის დროს სათესის გამომთესი აპარატიდან ჩამოვარდნილი თუთის თესლის უწყვეტი ნაკადი თესლგამტარი მილის გავლით ერთ მწკრივად ითესება ჩამთესის მიერ გახსნილ კვალში და მას ზოლად გაფანტვის საშუალება არ აქვს. ამიტომ საჭიროა ჩამთესის ყელის ქვედა მხარეს დაემატოს ამრეკლი ფირფიტა, რომელიც ზემოთ აღნიშნულ პირობას შეასრულებს; შედეგად საგრძნობლად იზრდება თესლის თანაბარ სიღრმეზე ჩათესვა, რაც ზრდის მისი აღმოცენების ხარისხს [1].

ნათესის მოვლა ჯერ კიდევ მის აღმოცენებამდე იწყება, რაც ძირითადად მორწყვაში გამოიხატება და იგი ორი ხერხით ხდება: მიშვებით სარწყავ არხებში და ხელოვნური დაწ-



ვიმებით. სათესი სკოლის ხელოვნური დაწვიმება შესაძლებელია განხორციელდეს სპეციალური საწვინარი მოწყობილობით, რომელიც საუ-ის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავდა. აღნიშნული მოწყობილობით შესაძლებელია დაწვიმების განხორციელება ბუნიკების განლაგების ჭადრაკული ან კვადრატული განლაგების შემთხვევაში როგორც სწორ ზედაპირზე ისე ბადოებზეც [1].

მორწყვის შემდეგ ნათესის მოვლის შემდგომი ოპერაციაა რიგთაშორისებში ნიადაგის გაფხვიერება, სარეველების მოსპობა და ნათესარის გამოხშირვა (გამეჩხერება). ამ მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ბოსტნეულის ნათესების დასამუშავებელი კულტივატორი (მაგ. “KPCIII-2,8”, “KPHB-5,6-02” და სხვა) [3,4].

სათეს სკოლაში ერთწლიანი თესლნერგების ამოღება ხდება თესლნერგების ამოსაღები მოწყობილობის “BIIH-2” ან სხვა მანქანის საშუალებით.

სანერგე სკოლაში თესლნერგების დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ტყის თესლნერგების მოდიფიცირებული სარგავი მანქანით “CIIIH-3”, მოდიფიცირებული ჩითილსარგავი მანქანებით “CKH-6A”, “MIIIC-1” [2, ან ვენახის ნერგების სარგავი მანქანებით IPS-DRIVE (გერმანია) და FERRARI FPS (იტალია).

თუთის ხე მრავალწლიანი მცენარეა და მისი გაშენება ძირითადად პლანტაციამი ხდება. უმეტესად გავრცელებულია თუთის პლანტაციის გაშენება კვადრატული, სწორხაზოვანი და ჭადრაკული წესით, დარგვის სქემით 3X3, 3X4, 3X6, 3X8; თუთის ნერგის დასარგავად პლანტაციებში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ორმოს სათხრელი მანქანები, როგორცაა “KYU--100”, “DEM-112”, “ЯСВП-1”, მოტობლოკზე მოწყობილი ორმოს ამოსაღები მოწყობილობა და სხვა, რომელთა საშუალებით შესაძლებელია 20, 30, 60, 80, და 100 სმ-ის დიამეტრის ორმოების ამოღება. ორმოების სიღრმე 70 სმ-მდეა [1,3,4].

თუთის პლანტაციებში რიგთაშორისების და მცენარეთა შორის დამცავი ზოლის დასამუშავებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ვენახის რიგთაშორისების დასამუშავებელი კულტივატორები, რომლებსაც გააჩნიათ მცენარეთა შორის დამცავ ზოლში ნიადაგის დასამუშავებელი ჰიდრაულიკური მოწყობილობა, როგორცაა მაგალითად მოწყობილობა “PIPBМ - 2,5” ან “PIPBМ - 72000”, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებში მზადდება.

თუთის აბრეშუმხვევიას საკვების დამზადების ტექნიკური საშუალებები

მეაბრეშუმეობის ერთ-ერთი ძირითადი ქვედარგია აბრეშუმის პარკის წარმოება, ანუ თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვება, რომელიც თავის მხრივ სამ ჯგუფად იყოფა: 1. თუთის აბრეშუმხვევიას საკვების დამზადება და ტრანსპორტირება; 2. თუთის აბრეშუმხვევიას საკვების მომზადება და ხანმოკლე შენახვა; 3. თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვება (საკვების დარიგება, ნადირის გამოცვლა, ჭიების აერაცია) [2,5,6].

იმ სიძნელეების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი, სხვა მიზეზებთან ერთად, რასაც განიცდის დღევანდელი მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარება, არის ამ დარგში მექანიზაციის ჩამორჩენა, რაც ძირითადად აიხსნება ადამიანების შემცველი იმ მანქანების და მექანიზმების შექმნის სირთულით და საკითხების გადაწყვეტის შრომატევადობით, რომელიც საჭიროა თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისათვის.



სურ.1. ელექტროტოტმჭრელი
 სურ.2. ხელის მოტორიზებული
 “EHS-550” (ავსტრია)



ტოტმჭრელი “KAAZ” (იაპონია)

დამუშავებულია [1] თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვების ტექნოლოგიური პროცესის სქემა, რომელიც მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: საკვების დამზადებას, საკვების ტრანსპორტირებას, საკვების მომზადებას, საკვების ხანმოკლე შენახვას და თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებას, ანუ საკვების დარიგებას გამოსაკვებ ზედაპირებზე.

დამუშავებული ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, საკვების დამზადების მექანიზაციისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს პნევმოაგრეგატი-ტოტმჭრელი მარკით “IIAB-8”, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია იმ რაიონებში, სადაც თუთის პლანტაციებია გაშენებული, ელექტროტოტმჭრელები “ЭВА-6/200” და “EHS-550” (სურ1), “KAAZ”-ის ტიპის ხელის მოტორიზებული ტოტმჭრელი (სურ.2) [6] და ხელის გამლიერებული სეკატორები.

დამზადებული საკვების (თუთის ტოტები) ტრანსპორტირება საჭიე შენობამდე მიზანშეწონილია განხორციელდეს საბარგო მანქანით, ტრაქტორის მისაბმელით “2ПТС-4-793” (მაღალი გვერდებით) ან თვითმავალი შასით - ეს ოპერაცია დამოკიდებულია ფერმერული მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობაზე, რათა საკვების ტრანსპორტირება ფერმერისათვის ეკონომიკურად გამართლებული იყოს. პლანტაციებში საკვების დატვირთვა საბარგულში ან ტრაქტორის მისაბმელში შესაძლებელია ხელით ან სპეციალური დამტვირთავი მოწყობილობით, ხოლო განტვირთვა - მისაბმელის ან საბარგულის ჰიდროსისტემის საშუალებით.

თუთის აბრეშუმხვევიას საკვების მომზადების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები

თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვებად გამოიყენება თუთის ფოთოლი. დაბალი ასაკის გამოსაკვებად საჭიროა ფოთლის წვრილ ზოლებად დაჭრა, ხოლო მაღალი ასაკის გამოსაკვებად გამოიყენება მთლიანი ფოთლები ან ყლორტები. თუ გამოკვება მიმდინარეობს მექანიზებულ დანადგარებზე, მაშინ საკვების დოზირების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია გამოკვება ჩატარდეს დაჭრილი და ნაწილობრივ მთლიანი ფოთლების სახით.

თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისათვის წინასწარ საჭიროა საკვების მომზადება, რომელიც სრულდება საკვების მოსამზადებელი მანქანა_დანადგარებით. მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებული ტექნოლოგიური რუქების



მიხედვით საკვების მოსამზადებელ მანქანებს მიეკუთვნებიან: თუთის ტოტებიდან ფოთლების გამცლელი მანქანა, თუთის ფოთლების საჭრელი ხელის და ელექტრო მანქანები, თუთის ყლორტების და ტოტების დასაქუცმაცებელი მანქანა.

ტექნოლოგიური რუქებით გათვალისწინებული თუთის ღეროებიდან ფოთლის გაცლისათვის გამოყენებულ ტექნოლოგიას საფუძვლად უნდა დაედოს თუთის ტოტებიდან ფოთლის გამცლელი მანქანა (აპარატი) “პს-1”(სურ. 3) [9]. მოდერნიზებული მანქანის დანიშნულებაა მოჭრილი ტოტებიდან ყლორტების და ფოთლების მოცილება. მანქანა გადასატანი ტიპის დანადგარია, რომლის კვება განხორციელებულია ელექტროქსელიდან ძაბვით 220 ვოლტი.



სურ. 3. თუთის ტოტებიდან ფოთლის
 4. თუთის ფოთოლსაჭრელი მანქანა
 გამცლელი მანქანა



სურ.
 “PTI-25”.

თუთის ფოთოლსაჭრელ მანქანა “რტლ-25”-ზე, რომელიც მოდიფიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების მიერ, მიღწეულია დაჭრილი ფოთლის სიგანის სხვადასხვა დიაპაზონი. - დაჭრილი ზოლის 6 - 42 მმ სიგანე, ბიჯით 3 მმ.

მცირე სიგანით დაჭრილი ფოთლით შესაძლებელია გამოიკვებოს I და II ასაკის თუთის აბრეშუმხვევია და არ შეიძლება გამოიკვებოს III და IV ასაკის ჭიები, ვინაიდან ძალზე დიდი იქნება ფოთლის დანაკარგი. ფოთლის სიგანით 6 მმ-ზე ზევით დაჭრა აუმჯობესებს III და IV ასაკებში თუთის აბრეშუმხვევიას მიერ ფოთლის შეჭმადობის ხარისხს, რაც გარკვეულწილად დადებითად მოქმედებს პარკის ხარისხზე და რაოდენობაზე. დაჭრილი ფოთლით თუთის აბრეშუმხვევიას გამოიკვებოს უპირატესობაა აგრეთვე გამოსაკვებ ფართობებზე ფოთლის დოზირებული მიწოდება, რაც გართულებულია მთლიანი ფოთლების დროს. ხოლო გამოსაკვებ ფართობებზე ფოთლის დოზირებულ მიწოდებას ადგილი აქვს მექანიზებულ გამოსაკვებ დანადგარზე, რომელიც მეაბრეშუმეობის უახლოეს მომავალს წარმოადგენს.


თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მოწყობილობები და დანადგარები.



თუთის აბრეშუმხვევიას ხელით გამოკვების დროს ყველაზე უფრო გავრცელებულია მათი განთავსება თაროებზე ან სტელაჟებზე. ამ ტიპის კონსტრუქციების უარყოფით მხარეს წარმოადგენს თუთის აბრეშუმხვევიას დიდი გადაადგილებები და ნადირის გამოცვლის დროს მათი საგრძნობი დანაკარგები, აგრეთვე სასარგებლო ფართის არა რენტაბელური გამოყენება. ხელით გამოკვების დროს აღნიშნული უარყოფითი მხარეების აღმოსაფხვრელად XX საუკუნის 80-ან წლებში საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებულია და მიღებულია საავტორო მოწმობა გამოგონებაზე “თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მოწყობილობა” (საავტორო მოწმობა #695667, 05.11.79. ავტორები ე. შაფაქიძე, ე. წოწკოლაური, გ. ავეტიანი) [8];

გამოსაკვები მოწყობილობაზე თუთის აბრეშუმხვევიას დანაკარგებს არა აქვს ადგილი და ნადირის გამოცვლაც ნახევრად ავტომატურად ხდება. აღნიშნული მიზანი მიიღწევა გამოსაკვები ზედაპირების განლაგებით ჩარჩოზე და ამ ზედაპირების ქვეშ დახრილი სიბრტყის დამაგრებით, რომელზედაც ცვივა ექსკრემენტები და საკვების ნარჩენები; ისინი სიბრტყის დახრის გამო დაცურდებიან მასზე და ჩაიყრებიან მოწყობილობის ქვეშ მოძრავ ნადირის გამტან ტრანსპორტიორზე. ეს მიიღწევა გამოსაკვები ზედაპირების ბადისებური ფსკერით და დახრილი სიბრტყის მთლიანი ზედაპირებით. დახრილი სიბრტყეების დახრის კუთხე ისეა დამონტაჟებული ვერტიკალურ ჩარჩოზე, რომ ისინი სიგრძეში ერთმანეთს ფარავენ, რის გამოც არ ხდება ნადირის გაფანტვა დახრილ სიბრტყეებზე (სურ. 5.).

სურ. 5. თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მოწყობილობა - საავტორო მოწმობა გამოგონებაზე #695667.



მოწყობილობის მუშაობის ტექნოლოგიური სქემა (სურ. 5.) შემდეგია: ბადისებური ტიპის გამოსაკვები ზედაპირებზე 2 განთავსებულია თუთის აბრეშუმხვევია. იქვე მათ მიეწოდებათ საკვები დაჭრილი ან მთლიანი თუთის ფოთლის სახით. გამოკვების პროცესში ექსკრემენტები და საკვების ნარჩენები ცვივა გამოსაკვები ზედაპირის 2 უჯრედებში და ვარდება გამოსაკვები ზედაპირების ქვეშ მოთავსებულ დახრილ ზედაპირებზე 3, ხოლო იქიდან კი დაგორების შედეგად - ნადირის გამტან ტრანსპორტიორზე 4, რომლის საშუალებით



ბით ნამირი გადის საჭიე შენობის გარეთ, სადაც ის გროვდება ყუთებში შემდგომი გამოყენებისათვის.

გამოსაკვები ზედაპირების 2 მარჯვენა და მარცხენა რიგები განლაგებულია ტრანსპორტიორის მოძრაობის გასწვრივ და მას შეუძლია ჰქონდეს უფრო მეტი სიგრძე, მაგალითად 10 მ.

მოწყობილობას გააჩნია შემდეგი დადებითი მხარეები:

- გამოსაკვები ზედაპირების ერთეულ ფართზე გაბარიტების შემცირება;
- კონსტრუქციის სიმარტივე სხვა მოწყობილობებთან შედარებით, რომლებსაც გააჩნიათ ნამირის გამტანი მოწყობილობები;
- გამოსაკვები ზედაპირების ვენტილაციის გაუმჯობესება;
- თუთის აბრეშუმხვევიას დაავადების თავიდან აცილება ნესტიანი და დაბინძურებული ექსკრემენტების არ არსებობის გამო.

ზემოთ აღნიშნული გამოგონების საფუძველზე დამუშავებულია თუთის აბრეშუმხვევიას ხელით გამოსაკვები მარტივი ტიპის სტაციონალური მოწყობილობის საწარმოო ვარიანტი, რომლის გამოიცდაც დესათ მიმდინარეობს აჭარის „აგროსერვის ცენტრში“ (სურ.6).



სურ. 6. თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მოწყობილობა (საწარმოო ვარიანტი)

თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მექანიზებული დანადგარი დაბალი და მაღალი ასაკის ჭიებისათვის


მექანიზაციის საშუალებების სიმცირის გამო, აბრეშუმის პარკის წარმოება მეტად შრომატევადი პროცესია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით 100 კგ აბრეშუმის პარკის მისაღებად საჭიროა 600 - 700 კაცსაათი. ამ დანახარჯებიდან 15 % მოდის საკვების დამზადებაზე, 15-20%- საკვების მომზადებაზე, 55% - თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებასა და 10% - პარკის ჩამოკრეფაზე, დახარისხებასა და გაწმენდაზე. პროცესის დიდ შრომატევადობის გამო გამოკვების პროცესის მექანიზაციის და ავტომატიზაციის საკითხებს განსაკუთრებულ



ლი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების მიერ დამუშავებულია თუთის აბრეშუმხვევის გამოსაკვები მექანიზებული დანადგარები დაბალი და მაღალი ასაკის ჭიებისათვის (სურ. 7, 8).


მაღალი ასაკის თუთის აბრეშუმხვევის გამოსაკვები მექანიზებული დანადგარი „უვმ-3“ დანიშნულია თუთის აბრეშუმხვევის მაღალი ასაკის მექანიზებულად გამოკვებისათვის და უზრუნველყოფს სამ ოპერაციას: საკვების მექანიზებულად დარიგებას, ნადირის მექანიზებულად გამოცვლას და თუთის აბრეშუმხვევის სრული აერაციის მიზნით გამოსაკვები ყუთების ავტომატურ გადაადგილებას.



სურ. 7.
ასაკის
აბრე-

დაბალი
თუთის
შუმხვე-

ვის მექანიზებულად გამოსაკვები
დანადგარი „უვმ-2“



სურ. 8. მაღალი ასაკის თუთის აბრეშუმხვევის მექანიზებულად გამოსაკვები
დანადგარი „უვმ-3“.



დანადგარი შედგება ორი ცალი ვერტიკალური ჩარჩოსაგან მასში მოძრავი ორი ლიფტით, თორმეტ იარუსიანი ჰორიზონტალური მიმართველი თაროებისაგან, საკვებსარიგებელი და ნადირის გამოსაცვლელი მოწყობილობებისაგან, ნადირის გამტანი ტრანსპორტიორისაგან.

საკვების დარიგება ხდება ზედა იარუსზე საკვებსარიგებელი მოწყობილობის ტრანსპორტიორის საშუალებით, სადაც საკვები მიეწოდება სპეციალურ კასეტებზე განთავსებულ ჭიებს; ნადირის გამოცვლა სრულდება ქვედა იარუსზე, სადაც მოძრავ გამოსაკვებ ყუთს ავტომატურად ეხსნება ფსკერი და ხდება ტრანსპორტიორის საშუალებით ნადირიანი კასეტის საჭიე შენობის გარეთ გატანა.

დანადგარზე სულ განლაგებულია 97 ყუთი, რომელთა გამოსაკვები ზედაპირების საერთო ფართია 97 მ². დანადგარზე შესაძლებელია მექანიზებულად გამოიკვებოს 1,5 - 2,0 კოლოფი მაღალი ასაკის ჭია. დანადგარის გაბარიტული ზომებია 10,74X2,4X1,35 მ, მასა 698 კგ.

აბრეშუმის პარკის პირველადი დამუშავების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში ფერმერის მოღვაწეობის არეალი უნდა განისაზღვროს საკვების მომზადებით, თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებით, პარკის დამზადებით, პარკის ამოხვევით და ცოცხალი პარკიდან ხამი აბრეშუმის ძაფის მიღებით. ამისთვის მათ უნდა ჰქონდეთ მძლავრი საკვები ბაზა, საკვების მომზადებისა და თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვების ტექნიკური საშუალებები, პარკის ამოხვევის ტექნოლოგია და მცირე სიმძლავრის ძაფის ამოსახვევი მანქანა-დანადგარები. ფუნქციონირება ასეთი განაწილებით თითქმის იშლება ზღვარი სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის; იცვლება ძველი სტრუქტურა და ყალიბდება ახალი თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონის სტრუქტურული ერთეულები.

ამ შემთხვევაში თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვების პროცესის ტექნოლოგიური სქემა იცვლება და მას ემატება მცირე მექანიზაციის სამი ტექნიკური საშუალება: ცახებიდან პარკის ჩამოსაკრეფი მანქანა, ნაპერტყულისაგან პარკის გასაწმენდი მანქანა და ძაფის ამოსახვევი მარტივი ტიპის მანქანა.


საქართველოში გასული საუკუნის 70-იან წლებში უზბეკეთიდან შემოტანილი იყო ნაპერტყულისაგან პარკის საწმენდი მოწყობილობა 4K – 1 [5], რომლის მწარმოებლობა საკმაოდ დიდი იყო და შეადგენდა 80-90 კგ/სთ.

ფერმერული მეურნეობებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებულია პარკის სახვეწი (საწმენდი) მარტივი ტიპის მოწყობილობა, რომლის კონსტრუქცია აღიარებულია “საქპატენტის” მიერ და მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება (პატენტი P 6284; ავტორები ე. შაფაქიძე, ვ. მირუაშვილი) [9] (სურ. 9).

არსებული ტექნოლოგიით თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვების შედეგად ცოცხალი პარკის პირველადი დამუშავების (ე.ი. გამოხმობის) შედეგად ძაფის ბუნებრივი თვისებები უარესდება და გამოსავალიც მცირდება, ამიტომ სასურველია ძაფი ამოხვეული იქნას ცოცხალი პარკიდან. რათა ფერმერს თვითონ შეეძლოს თავისი დამზა-



დებული პარკის ამოხვევა და მიეცეს ძაფის რეალიზაციის ან სხვადასხვა ნაწარმის დამზადების საშუალება (ძაფის ინდივიდუალური ამოხვევა)



სურ. 9. აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისაგან გამწმენდი მოწყობილობა



ა



ბ.



გ.

სურ. 10. პარკიდან ძაფის ამოსახვევი მოწყობილობები: ა-რვა ჯარიანი ამოსახვევი მოწყობილობა (შვეიცარია); ბ-ოთხჯარიანი ამოსახვევი მოწყობილობა (უზბეკეთი); გ- ძაფის ამოხვევის პროცესი.

აღნიშნული მოწყობილობის კონსტრუქციის დამუშავება და მისი ფერემერულ მეურნეობებში დანერგვა მკვეთრად გაზრდის აბრეშუმის პარკის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, გააუმჯობესებს ნედლი პარკის დაკალიბრების და დახარისხების პირობებს, ტექნოლოგიურად ეფექტურს გახდის ნედლი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოხვევის პროცესს, რაც დარგის ეკონომიკური ეფექტურობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.


არსებული ტექნოლოგიით თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვების შედეგად ცოცხალი პარკის პირველადი დამუშავების (ე.ი.გამოხმობის) შედეგად ძაფის ბუნებრივი თვისებები უარესდება და გამოსავალიც მცირდება, ამიტომ სასურველია ძაფის ამოხვეული იქნას ცოცხალი პარკიდან. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აწარმოებენ ნედლი პარკიდან ძაფის ამოხვევას სხვადასხვა მარტივი ტიპის მოწყობილობებით (სურ. 13. ა,ბ,გ).



ნედლი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოხვევა განხორციელდა საქართველოში 2017-2018 წლებში ცალკეულ ფერმერულ მეურნეობებში (ხარაგაულის, ახმეტის მუნიციპალიტეტები და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აგროსერვისცენტრის“ გვარას მეურნეობა), სადაც გამოყენებული იქნა უზბეკური წარმოების მარტივი ტიპის ძაფის ინდივიდუალური ამოსახვევი მოწყობილობა, რომელიც საქართველოს საჩუქრად გადასცა მეაბრეშუმეობის დარგის მეცენატმა, ბატონმა ჯ. ჩხაიძემ (სურ. 13, ბ).

ნედლი პარკიდან ძაფის ამოხვევის მიზნით პატენტის დონეზე (პატენტი GE U 2014 1825 Y, 26.09.2014, ავტორები ე. შაფაქიძე, ვ. მირუაშვილი) დამუშავებულია მარტივი ტიპის ძაფის ამოსახვევი დანადგარი [11] (სურ. 14), რათა ფერმერს თვითონ შეეძლოს თავისი დამზადებული პარკის ამოხვევა და მიეცეს ძაფის რეალიზაციის ან სხვადასხვა ნაწარმის დამზადების საშუალება (ძაფის ინდივიდუალური ამოხვევა).

ამრიგად მცირე (ინდივიდუალურ) ფერმერულ მეურნეობებში თუთის აბრეშუმხვევისას ახალი ტექნოლოგიით გამოკვების პროცესი გულისხმობს ზღვარის მოშლას სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობას შორის; ეს ნიშნავს, რომ მეაბრეშუმე ფერმერის შრომის საბოლოო პროდუქტი არის აბრეშუმის ძაფი, რაც მეტად ეფექტური ეკონომიკური ღონისძიება იქნება. ამის გათვალისწინებით კორექტივები შევა თუთის აბრეშუმხვევის წარმოების არსებულ ტექნოლოგიურ სქემებშიც.



სურ. 11. მარტივი ტიპის ძაფის ამოსახვევი დანადგარი

დასკვნა. მეაბრეშუმეობაში ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების კონსტრუქციების დამუშავება და მათი ფერმერულ მეურნეობებში დანერგვა მკვეთრად გაზრდის აბრეშუმის პარკის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, გააუმჯობესებს ნედლი პარკის გაწმენდისა და დახარისხების პირობებს, ტექნოლოგიურად ეფექტურს გახდის ნედლი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოხვევის პროცესს, რაც დარგის ეკონომიკური ეფექტურობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.



გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე – “მეაბრეშუმეობა – შავი, კასპის ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების (BACSA) საზრუნავია”. თბილისი 2014 წელი გვ. 81;
2. ე. შაფაქიძე - "მეაბრეშუმეობის მექანიზაცია", სახელმძღვანელო, თბილისი, 1995;
3. მეთუთეობის და მეაბრეშუმეობის აგროწესები. თბილისი, გამომც. "საქართველო", 1976;
4. ე. შაფაქიძე, დ. ნატროშვილი - "სასოფლო-სამეურნეო მანქანები", "პოლიგრაფი", თბილისი, 2010, გვ. 99-114;
5. ე. შაფაქიძე, ე. წოწკოლაური - "მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის მექანიზაცია დარგის აღორძინების მნიშვნელოვანი პირობაა"; ჟურნალი "აგროინფო", #5 (19), მაისი, 2008 წელი, თბილისი, გვ. 42-44;
6. С. Лаврентьев и др. Учебная книга шелководы, Изд. “Колос”, Москва, 1981;
7. ე. შაფაქიძე - "თუთის ექსპლუატაციისათვის ხელის მოტორიზებული ტოტმჭრელის გამოცდის შედეგები", საქ.სსი შრომები, ტომი 100, თბილისი, 1977, გვ. 48-51;
8. მ. შანიძე - "ახალი მანქანა მეაბრეშუმეობაში", გამომცემლობა "საქართველო", თბილისი, 1962;
9. ე. შაფაქიძე, ე. წოწკოლაური - "თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მოწყობილობა", საავტორო მოწმობა გამოგონებაზე #695667, ბიულეტენი #41, მოსკოვი, 1979 (რუსულ ენაზე);
10. ე. შაფაქიძე, ვ. მირუაშვილი - აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისაგან გამწმენდი მოწყობილობა, პატენტი აპ 2013 013111, #2(412), თბილისი, 26.01.2015;
11. ე. შაფაქიძე, ვ. მირუაშვილი - აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოსახვევი მოწყობილობა, პატენტი GE U 2014 1825 Y, სასარგებლო მოდელი, თბილისი, 26.09.2014;

Mechanization of Laborious Technological Processes in Sericulture

Shapakidze Elgudja

Academician of Georgian Academy of Agriculture Sciences, Tbilisi, Georgia

Abstract

Key words: Breeding, mechanization, equipment, machinery.

Sericulture encompasses four independent sub-fields: food processing industry, raw cocoon production, initial treatment of cocoon and silk-egg production. Technological processes of the last two components are partially mechanized. But the food processing and cocoon productions are not, which is one of the constraints for speedy development of sericulture.

When addressing the problems of mechanization, particular focus should be made on mechanization and automatization technological process for silkworm food processing and silkworm feeding to get raw silk cocoon. Silkworm food processing problems should be addressed with the help of technical means, such as electric, pneumatic, and engine equipment for cutting branches of mulberry trees. Also, as a food processing technical means for silkworm food preparation, which includes separation of mulberry leaves from branches, a leave-segmentation equipment should be applied.

Among other mechanical devices, a silkworm feeding machine, in particular the one which automatically removes excrements and takes it away from silkworm building is worth mentioning.

To conduct centralized feeding of silkworm, an industrial installation for silkworm at an early stage of its growth is recommended. During this process, food distribution, removal of excrement board,



change of feeding board surfaces in order for aeration are recommended.

The testing samples of the above-mentioned machines were produced at former Scientific – Research Institute of Sericulture, and the projects of its testing and implementation is conducted by Georgian Academy of Agricultural Sciences.

It should be noted that at present, farmer’s scope of activity should include the following: preparation of food, silworm feeding, cocoon production, cocoon reeling, and getting of raw thread from cocoon. To conduct these operations successfully, the farmers should have technical means of food production and silworm feeding, also they should know technology of cocoon reeling with help of thread reeling machines.

Such approach to distribution of functions between farmers and industries eliminates the difference between agriculture and industry. The new international level standards are introduced instead of the old ones.

The basis for implementation of new technologies in sericulture is a close cooperation based on joint activities between cocoon producers (farmers and farmers’ cooperations) on the one hand, and silk thread and silk fabric producers – on the other. Therefore, implementation of new technologies will enhance and diversify the farmers’ activities and they can market raw silk thread, though, we presume that production of silk fabrics by farmers still seems to be a distant perspective.



ღვინის არომატიზირებული ძმარი - ძვირფასი საკვები დანამატი

შიუკაშვილი ვანო

ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, სს „ქინძმარაულის მარნის“ მთავარი მეღვინე, შპს „ღვინტესტის“ დირექტორი

ვეფხიშვილი ნინო

ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს „ღვინის კომპანია შუმის“ ტექნოლოგი

ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს ხელს უწყობს საკვებში არსებული მიკროელემენტები, რომელთა შემცველობით გამოირჩეულია ძმარი.

კვლევით დადგინდა რქაწითელისაგან დაყენებული ძმრისა და საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი სურნელოვანი მცენარის საფუძველზე მაღალხარისხიანი არომატიზირებული ძმრების დამზადების შესაძლებლობა. დამზადებული ძმრები შესწავლილ იქნა ორგანოლექტიკურად; ლაბორატორიულად განისაზღვრა მათი ქიმიური მახასიათებლები, მათ შორის, ანტიოქსიდანტური აქტივობა. გამოიკვეთა არომატიზირებული ძმრების ორიგინალობა ორგანოლექტიკისა და ჯანსაღი კვების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ძმარი, ნაყენი, ორგანოლექტიკა, ანტიოქსიდანტური აქტივობა.

ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესების სრულფასოვნად მიმდინარეობა დიდადაა დამოკიდებული მიღებულ საკვებში მიკროელემენტების შემცველობაზე. მიკროელემენტებით მდიდარ პროდუქტებს მიეკუთვნება ღვინის ძმარი, რომელიც,




იმავდროულად, მთრიმლავი და არომატული ნივთიერებების წყაროა.

ძმარი, როგორც ძვირფასი საკვები დანამატი, უძველესი დროიდანაა პოპულარული. მის დასამზადებლად სამძარე ნაზავია საჭირო, რომელიც, ალკოჰოლის გარდა, ძმარმჟავა ბაქტერიებისათვის აუცილებელ გარემო პირობებს მოითხოვს, როგორცაა: შაქრები, აზოტის, ფორსფორის, კალიუმის, გოგირდისა და მაგნიუმის მინერალური მარილები. ამ ნივთიერებების ერთობლივი შემცველობით კი გამორჩეულია ღვინო (ზ.ჩხეიძე 1957; ბაღათურია 2016).

ძმრის აღმოჩენა შემთხვევითობას უკავშირდება. მისი წარმოქმნა ხდებოდა მაშინ, როცა ღვინიანი ჭურჭელი ორიოდე კვირის განმავლობაში თავახდილ მდგომარეობაში დარჩებოდა.

ჟანგბადთან შეხებისას ღვინოში იწყება ეთილის სპირტის ძმარმჟავად გარდაქმნის პროცესი, რასაც ხელს უწყობს ძმარმჟავა ბაქტერიების ცხოველქმედება. ეს ბაქტერიები Acetobacter-ის გვარის წარმომადგენლებია.

ამ დროს მიმდინარე ქიმიური რეაქციის ტოლობა ასე გამოისახება:



ძმარს აქვს ძალიან ბევრი სასარგებლო თვისება, კერძოდ: ხელს უშლის საკვების გაფუჭებას, დეზინფექციას უკეთებს წყალს, კლავს წყურვილს, უზრუნველყოფს კერძების გემოვნური თვისებების გამრავალფეროვნებას; მედიცინა მას მაღალი ტემპერატურის და სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგო ეფექტურ სამკურნალო საშუალებად იყენებს და სხვა.

ძმრის წარმოება საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. მიუხედავად ამისა, დღეს მას ამზადებენ ალკოჰოლის შემცველი სხვა ნედლეულისგანაც, როგორცაა: ლუდი, ვაშლის ბურაბი და სხვა (ყიფიანი, 2010), თუმცა, ღვინიდან დაყენებული ძმარი, საუკეთესო გემოვნური თვისებისა და არომატის გამო, დღემდე ყველაზე მაღალხარისხიანად ითვლება.

წარმოებულ ძმარს ამუშავებენ სხვადასხვა გამწევაში ნივთიერებითა და აქტივირებული ნახშირით, ძმრის გემოსა და არომატის გასაუმჯობესებლად კი გარკვეული პერიოდით მას მუხის კასრებში აყოვნებენ (ბაღათურია 2016).

თითქმის ყველა ერი საკვებ დანამატად მოიხმარს ძმარს, რომლის დამზადების რეცეპტები ადგილობრივი ტრადიციებისა და ნედლეულის მოპოვების შესაძლებლობის გათვალისწინებითაა შექმნილი. ცნობილია, მაგალითად, რომ აზიელები ძმრის მისაღებად საკვს იყენებენ, ევროპელები - თეთრ ღვინოს, ბრიტანელებმა კი ძმრის დასაყენებლად ალაოს მიმართეს.

საუკეთესო ხარისხის ძმრის წარმოებას ოდითგანვე ფართოდ მისდევდნენ საქართველოშიც. ამ საქმიანობით განსაკუთრებით სახელგანთქმული ყოფილა ბოლნისი, შულავერი და დიღომი.

საგემოვნო-კვებითი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და მადეზინფიცირებელი თვისებების მქონე ღვინის ძმრის და, მითუმეტეს, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სხვადასხვა ინგრედიენტით გაკეთილშობილებული ძმრის წარმოება უაღრესად აქტუალურია.



ლურ საკითხად ითვლება როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული სურნელოვანი მცენარეების საფუძველზე არომატიზირებული ძმრების დამზადების ტექნოლოგიური პირობების დადგენა და დამზადებული ძმრების თვისებების შესწავლა. ამისათვის საწყის ნედლეულად შერჩეულ იქნა რქაწითელის ევროპული ღვინისაგან დაყენებული ისეთი ძმარი, რომელიც ნაკლები არომატითა და გემოთი გამოირჩეოდა, და ქართულ სამზარეულოში სუნელეზად გამოყენებული მცენარეები: პიტნა, ქონდარი, მიხაკი, წითელი წიწკა, ტარხუნა, ორეგანო. მათგან შპს „ღვინტესტში“ დამზადდა არომატიზირებული ძმრები, რაც გულისხმობს სასურველი ნედლეულიდან ექსტრაქტოვანი ნივთიერებების გამოწვლილვას ძმრის საშუალებით.

ექსპერიმენტისთვის ნაყენების დასამზადებლად ეს მცენარეები შეირჩა მათი სასარგებლო თვისებების მიხედვით, კერძოდ:

პიტნის ყველაზე მახასიათებელი ქიმიური კომპონენტია მენტოლი - ეთერზეთი, რომელიც ცნობილია თავისი ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი, სისხლმარღვთა გამაფართოებელი და სპაზმების მომხსნელი თვისებებით.

კლასიკურ სუნელებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქონდარს თავისი მკვეთრი, პიკანტური გემოთი და მძაფრი, სპეციფიკური არომატიტ, რომელსაც მის შემადგენლობაში არსებული ეთერზეთის, თიმოლის, დიდი შემცველობა განაპირობებს. სამზარეულოს გარდა, ქონდარს მოიხმარენ როგორც სამკურნალო მცენარეს კუჭ-ნაწლავის დაავადებების, თავის ტკივილისა და თავბრუსხვევის დროს. ცნობილია მისი ანტიბაქტერიული მოქმედებაც.

ორეგანო (თავშავა) გამოირჩევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სიმრავლით. ამ ნივთიერებათაგან ზოგს – ოფლმდენი, ზოგს – ნაღველმდენი, ზოგს ტკივილგამაყუჩებელი უნარი აქვს. ორეგანო არის საუკეთესო მცენარეული სამკურნალო საშუალება დეპრესიის, უძილობის, ბრონქული ასთმის წინააღმდეგ.

კაპსაიცინი არის ნივთიერება, რომელიც წიწკას სიციხარეს და სიმწარეს ანიჭებს. ამავე დროს, ამ ნივთიერების წყალობით, წიწკა აწესრიგებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობასა და შაქრის დონეს.

მიხაკი ხალხურ მედიცინაში ცნობილია, როგორც ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი, ანთებისა და სისხლდენის საწინააღმდეგოდ მოქმედი მცენარე. მასზე დამზადებული წამლები ეფექტურად კურნავს სოკოვან დაავადებებსა და რევმატიზმს.

ტარხუნის სპეციფიკურ გემოს მასში შემავალი ეთერზეთი ესტრაგოლი განაპირობებს. კერძების შეკაზმვის გარდა, ის გამოიყენება მედიცინაშიც, როგორც ვიტამინებით, მაკრო- და მიკროელემენტებით მდიდარი მცენარე.

ამ მცენარეების გამოყენებით დამზადებული ძმრები შესწავლილ იქნა როგორც ორგანოლექტიკურად და ქიმიურად, ასევე, ანტიოქსიდანტური აქტივობის, ანუ ორგანიზმისათვის მავნე თავისუფალი რადიკალების შებოჭვის უნარის მიხედვით.

კვლევის ობიექტები და მეთოდები. საკვლევ ობიექტებს წარმოადგენდა რქაწითელის ევროპული ღვინისაგან დაყენებული, ხუთი წლის განმავლობაში დაძველებული ძმარი და მის საფუძველზე სხვადასხვა სურნელოვანი მცენარის გამოყენებით დამზადებული



არომატიზირებული ძმრები.

საექსპერიმენტო ნიმუშებში ძირითადი ქიმიური პარამეტრები - ალკოჰოლი, აქროლადი მჟავიანობა, ტიტრული მჟავიანობა - განისაზღვრა საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის (OIV - მეთოდები, 2010) მიხედვით.

ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა სტაბილური რადიკალის DPPH (2,2-Diphenyl-1-picrylhydrazil) 0,1 Mm DPPH სპირტიანი ხსნარის 50%-იანი ინჰიბირების მეთოდი, ხელსაწყოდ კი - სპექტროფოტომეტრი, რომელზედაც თითოეული საკვლევი ნიმუშის ოპტიკური სიმკვრივე გაიზომა 515 ნმ სიგრძის ტალღებზე (Marinova G, 2015, Okawa M, 2001). ნაპოვნი ოპტიკური სიმკვრივეების მიხედვით გამოთვლილ იქნა თითოეული არომატიზირებული ძმრის ანტიოქსიდანტური აქტივობის მაჩვენებელი (In)

კვლევები ჩატარდა ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და შპს „ღვინტესტის“ ლაბორატორიებში.

კვლევის ობიექტები ორგანოლექტიკურად შეფასდა სადეგუსტაციო კომისიის მიერ, რომელიც შეიქმნა სასურსათო ტექნოლოგიის სპეციალისტებისაგან, გურმანებისა და ძმრის, როგორც საკვები დანამატის, აქტიური მომხმარებლებისაგან.

ექსპერიმენტი, მისი შედეგები და დასკვნები.

ექსპერიმენტისათვის გამოყენებული ღვინის ძმრის ძირითადი ქიმიური მახასიათებლები ასეთია: ალკოჰოლი - 3,0 მოც. %, აქროლადი მჟავიანობა - 15,0 გ/ლ, ტიტრული მჟავიანობა - 22,2 გ/ლ

მცენარეული ნედლეული მოიკრიფა ზაფხულში, ზოგის - მწვანე მასა, ზოგის - ყვავილი, ზოგისაც - ნაყოფი. გაირეცხა და გაშრა ჩრდილში. ყველა მცენარისათვის ინდივიდუალურად შეირჩა დამუშავების ოპტიმალური ვარიანტი: ძმრის დასხმის წინ ზოგი დაიჭყლიტა, ზოგი - დაინაყა, ზოგ შემთხვევაში - დაუზიანებელ მცენარეს დაესხა ძმარი. ნაყენებისათვის მრავალჯერადი ცდით დადგინდა დამზადების ოპტიმალური პირობები. ისინი ოთახის ტემპერატურაზე (20-22°C-ზე) დაყოვნდა სხვადასხვა ხანგრძლივობით. დაყოვნების დრო შეირჩა ორგანოლექტიკურ მახასიათებლებზე დაკვირვების მიხედვით: როდესაც ნაყენი იღებდა მცენარისათვის დამახასიათებელ ზომიერ გემოს და არომატს, სითხე იხსნებოდა დეკანტაციით. ძმრიანი ნაყენების დამზადების დრო აღმოჩნდა სხვადასხვა - 5 დღიდან (ტარხუნა) 60 დღემდე (მიხაკი).






განსხვავება დაფიქსირდა, აგრეთვე, ნაყენის დასამზადებლად აღებულ მცენარეთა მასებსა და ძმრის მოცულობებს შორის თანაფარდობებში;

ექსტრაქციის დაჩქარების მიზნით, დაყოვნების პროცესში საექსტრაქციო მასას პერიოდულად (2-3 დღეში ერთხელ) ერეოდა. არომატიზირებული ძმრისათვის დამახასიათებელი არომატის შენარჩუნების მიზნით, ნაყენები შენახულ იქნა მინის ჭურჭელში ბნელ ოთახში.


ამგვარად, შერჩეული თითოეული მცენარისაგან ცალ-ცალკე დამზადდა ნაყენები, რომელთა შეკუპაჟების გზით შესაძლებელია რამდენიმეკომპონენტის სხვადასხვაგვარი ნაყენის მიღება.



ცხრილი N 1- ძმრის ნაყენებისათვის შერჩეული ოპტიმალური პირობები და მზა პროდუქციისათვის მახასიათებელი ქიმიური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები

ცდის პირობები ძმრის არომატიზაციისათვის შერჩეული მცენარე	მცენარის დამუშავების სახე ძმრის დასამზის წინ	გარემო პირობები	დაყოვნების ხანგრძლივობა, კვირა/დღე-ღამე	თანაფარდობა - მცენარე(გ): ძმარი(ლ)	ალკოჰოლი, მოც. %	აქროლადი მჟავიანობა, გ/ლ	ტიტრული მჟავიანობა, გ/ლ	ფერი, გემო, არომატი	სადეგუსტაციო ქულა 5-ბალიან სისტემაში
ძმარი, მცენარის გარეშე	-	-	-	-	3,0	15,0	22,2	ჩაისფერი, თეთრი ძმრის გემო და არომატი	4,0
 პიტნა	მთლიანი ფოთლები და ღეროები	მინის ჭურჭელში, სიბნელეში	7 კვირა	50გ პიტნა : 1ლ ძმარი	2,85	14,9	21,0	ჩაისფერი, დომინანტობს ძმრის გემო და პიტნის არომატი	4,3
 ქონდარი	ფოთლები	მინის ჭურჭელში, სიბნელეში	6 დღე-ღამე	20გ: 1ლ	2,9	14,75	21,2	ჩაისფერი, ქონდრის მშუშხავი გემო, ქონდრის არომატი	4,1
 მიხაკი	დაჭყლეთილი ყვავილი	მინის ჭურჭელში, სიბნელეში	9 კვირა	50გ: 1ლ	2,95	14,8	20,9	ჩაისფერი, დომინანტობს ძმრის გემო და არომატი	4,3
 წიწაკა	მთელი წიწაკა, გაჭრილი გვერდებით	მინის ჭურჭელში, სიბნელეში	8 კვირა	4-5ც სამ. ზომის წიწაკა:1ლ	2,0	14,7	21,05	ჩაისფერი, დომინანტობს წიწაკის ცხარე გემო და არომატი	4,6
 ტარხუნა	მთელი ღერები, ფოთლები-ანად	მინის ჭურჭელში, სიბნელეში	5 დღე-ღამე	ერთი საშუალო ზომის კო-	2,95	14,25	20,95	ჩაისფერი, ტარხუნის მკლერტავი გემო და	4,7




		სიბნე ლეში		ნა: 1ლ				ძმრის არო- მატი	
	დაჭყლე- ტილი ყვა- ვილი	მინის ჭურ- ჭელ- ში, სიბნე ლეში	4 კვი- რა	50გ: 1ლ	2,85	14,65	21,1	ჩაისფერი,- თავშავას ჩაის გემო, ძმრის არო- მატი	3,8

ცხრილი N 1-ში მოცემულია თითოეული ნაყენის დამზადების ოპტიმალური პირობები და მზა პროდუქციისათვის მახასიათებელი ქიმიური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები.

როგორც ცხრილიდან ჩანს დამზადებული არომატიზირებული ძმრების ქიმიური მახასიათებლები - ალკოჰოლშემცველობა, აქროლადი მჟავიანობა და ტიტრული მჟავიანობა - მცირედ, მაგრამ, მაინც, განსხვავებულია .

მიღებული ძმრები სადგეუსტაციო კომისიის მიერ ორგანოლექტიკურად შეფასდა 5-ბალიან სისტემაში. ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ტარხუნაზე დამზადებულმა ძმარმა (4,7), ყველაზე დაბალი - ორეგანოს ძმარმა (3,8).

მიღებული არომატიზირებული ძმრები შესწავლილია ანტიოქსიდანტურ აქტივობაზეც, რადგან მცენარეები, რომელთა საფუძველზედაც დამზადდა ნაყენები, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების სიჭარბით გამოირჩევა. საკმაო განსხვავება დაფიქსირდა დამზადებული ნაყენების ანტიოქსიდანტურ თვისებებს შორის. შედეგები მოცემულია დიაგრამის სახით.



დიაგრამა 1 – ღვინის ძმრისაგან სხვადასხვა მცენარეზე დამზადებული არომატიზირებული ძმრების ანტიოქსიდანტური აქტივობის მაჩვენებლები



აბსცისთა ღერძზე განთავსებულია სხვადასხვა მცენარისაგან დამზადებული არომატიზირებული ძმრების ჩამონათვალი. ანტიოქსიდანტობის მრუდზე აღნიშნულია რიცხვები, რომლებიც გვიჩვენებს შესაბამისი ძმრის მასას მგ-ებით, რომელსაც შეუძლია სტაბილური რადიკალის DPPH (2,2-Diphenyl-1-picrylhydrazil) 3 მლ 0,1 mM სპირტიანი ხსნარის 50%-იანი ინჰიბირება. ეს ნიშნავს, რომ, რაც უფრო მცირეა ამ მეთოდით ნაპოვნი რიცხვი, მით მეტია მისი შესაბამისი ძმრის ანტიოქსიდანტური აქტივობა. ანტიოქსიდანტობის ყველაზე მაღალი უნარი აღმოაჩნდა მიხაკზე დამზადებულ ძმარს. ეს ფაქტი დიარამაზე ყველაზე დაბალი რიცხვითი მაჩვენებლითაა მოცემული (19,6 მგ); დამზადებულ ნიმუშებს შორის ყველაზე ნაკლები ანტიოქსიდანტობით ხასიათდება ტარხუნისა (216 მგ) და ქონდრის (215მგ) ძმრები, ხოლო ეს მაჩვენებლები, თავის მხრივ, აჭარბებს საკონტროლო ძმრის ანტიოქსიდანტობას (236,6 მგ).

როგორც ექსპერიმენტმა აჩვენა, ძმარში არომატიული მცენარეებიდან გადასულმა ბიოლოგიურად აქტიურმა ნივთიერებებმა გაზარდა ღვინის ძმრის ანტიოქსიდანტური აქტივობა. ჯანმრთელობისათვის მნიშვნელობის გარდა, დამზადებულ არომატიზირებულ ძმრებს კულინარიაშიც მაღალი სამომხმარებლო ღირებულება მიეცა.

ქონდარზე დამზადებული ძმარი უფრო მეტად მადის აღმძვრელია. ასეთ ძმარს ახასიათებს მშუშხავი გემო. მიესადაგება სოკოსგან მომზადებულ კერძებს, კარტოფილის სალათას, მოხარშულ თევზს, ყველა სახის კომბოსტოს, თეთრსა და მწვანე ლობიოს.

არომატიზირებული ძმარი, რომელიც მიიღება მიხაკის დამატებით, კარგად ეხამება ცხვრისა და ღორის ცხიმთან ხორცს. ის გამორჩეულ არომატს ანიჭებს როგორც ცხელ, ისე ცივ კერძებს.

ძმარი, პიტნის არომატით, ეხამება ხორციან კერძებს, ხის ჩაშუშულ სოკოს.

ღვინის ძმარი, რომელიც დაყენებულია თავშავაზე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა საწებელთან ერთად კერძების შესაზავებლად; მიესადაგება ბოსტნეული-საგან მომზადებულ სალათებსა და წვნიანებს.

ტარხუნაზე დამზადებული ძმარი საუკეთესო საკაზმია სოკოსა და ქათმის ხორცი-საგან მომზადებული ცხელი კერძებისათვის.

წიწაკისაგან მომზადებული ძმარი, თავისი არომატით, საუკეთესოდ ეთავსება ყველა ფხალეულს, რომელსაც სიცხარე და სიმწარე უხდება.

ამრიგად, რქაწითელისაგან დაყენებული ევროპული ღვინის ძმრისა და მრავალფეროვანი სურნელოვანი მცენარეებისაგან დამზადდა მაღალი ხარისხის არომატიზირებული ძმრები, რომლებიც საკვები პროდუქტების შესაკაზმად ორიგინალურ კომპლექსურ დანამატებს წარმოადგენს.

ამასთან, არომატიზირებული ძმრები ავლენს ანტიოქსიდანტობის რამდენადმე მაღალ უნარს, საწყის, არაარომატიზირებულ ძმართან შედარებით, რასაც სურნელოვანი მცენარეული ნედლეულის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების სიუხვე განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაღათურია ნ. „კვების პროდუქტების ტექნოლოგია“ საგამომცემლო სახლი „ტექნიკური



- უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016;
2. ყიფიანი დ. „ვაშლის ძმრის საოცრებანი“, თბილისი, 2010;
 3. ჩხეიძე ზ. „ძმრის წარმოება“, თბილისი, 1957 წ;
 4. Marinova G and Batchvarov (2011) Evaluation of the Methods for Determination of the Free Radical Scavenging Activity by DPPH Institute of Cryobiology and Food Technologies, BG–1407 Sofia, Bulgaria
 5. O.I.V – 2010 Office International De La Vigne Et Du Vin, Recueil des methods internationales d'analyse des vins. Paris,;
 6. Okawa, M., J. Kinjo, T. Nohara and M. Ono,2001. DPPH (1,1-Diphenyl-2-Pierylhydrazyl) Radical Scavenging activity of Flavonoids Obtained from Some Medical Plants. Biological and Pharmaceutical Bulletin, 24, (10): 1202 -1204 (Abstr.)
- ავტორები მადლობას უხდებიან ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, პროფესორ ალექო კალანდიას, ექსპერიმენტის შესრულებისას გაწეული თანადგომისათვის.

Aromatic Wine Vinegar - Valuable Nutritional Supplement

Shiukashvili Vano

Doctoral student at I. Gogebashvili Telavi State University, Chief Wine Maker at JS “Kindzmarauli Marani”, Director of “Ghvintesti” Ltd.

Vepkhishvili Nino

Associated Professor at I. Gogebashvili Telavi State University, Technologist of “Wine Company Shumi ” Ltd.

Abstract

Key words: vinegar, extract, aromatic, antioxidant activity

The full value of metabolic processes in human body largely depends on the content of micro – elements in food. Popular wine vinegar belongs to products rich with micro elements, which is also a source of aromatic and tanning agents.

When left open, in the wine begins the conversion process of ethyl alcohol into acetic acid. The vinegar produced from the acetic acid has a number of useful properties, in particular: it prevents food spoilage, disinfects water, suppresses thirst, provides diversification of the taste of food; medicine uses it as a high temperature resistant and effective antifungal external agent and more.

The best quality vinegar has been widely produced in the world since old times, including Georgia: Bolnisi, Shulaveri, Digomi.

The aim of the study was to produce aromatic vinegars improved with various ingredients useful for health; to study each of them organoleptically and to determine chemical properties and antioxidant activity.

The content of alcohol, volatile acidity, titratable acidity, extract in research objects were determined according to OIV methods (OIV – methods, 2010).

For measuring the antioxidant activity was used 50% inhibition method of alcohol solution of the stable radical DPPH (2,2-Diphenyl-1-pic rylhydrazil) 3 ml 0,1 Mm DPPH and spectrophotometer was used as a device (Marinova G,2015, Okawa M,2001).

Tests were conducted in the laboratories of I. Gogebashvili Telavi State University, Regional Scientific Research Center located near Sh. Rustaveli Batumi State University and “Ghvintesti” Ltd.

The given products were organoleptically evaluated by the Tasting Commission.






For the preparation of extracts were selected herbs with original aromatic properties, widely used




in Georgian cuisine: mint, savory, cloves, red pepper, tarragon, oregano.

Table №1 lists the optimal conditions for each vinegar extract.

Table №1 – Optimal conditions for vinegar extracts and characteristic quantities of the extracts produced

Test conditions Herb	Type of herb treatment before pouring the vinegar	Environmental conditions	Detention time Week/ days	Ratio: ♂ herb (g): vinegar(l)	Alcohol, vol. %	Volatile Acidity g/l	Titrateable acidity g/l	Colour, taste aroma	Tasting score in a 5- number system
Without herb	-	-	-	-	3.0	15.0	22.0	Tea colour White vinegar taste and aroma	4.0
 Mint	Whole leaves and stalks	In a glass vessel, in a dark place	7 weeks	50g mint : 1l vinegar	2,85	14,9	21,0	Tea colour, Vinegar taste and mint aroma dominate	4,3
 Savory	Leaves	In a glass vessel, in a dark place	6 days	20g: 1l	2,9	14,75	21,2	Tea colour, Spicy taste of savory, savory aroma	4,1
 Clove	Crushed flower	In a glass vessel, in a dark place	9 weeks	50g: 1l	2,95	14,8	20,9	Tea colour, Vinegar taste and aroma dominate	4,3
 Pepper	Whole pepper, with cut sides	In a glass vessel, in a dark place	8 weeks	4-5 pieces medium size pepper: 1l	2,90	14,7	21,05	Tea colour, Taste and aroma of hot pepper dominate	4,6
 Tarragon	Whole stalks with leaves	In a glass vessel, in a dark	5 days	One medium size bunch: 1l	2,95	14,25	20,95	Tea colour, Astringent taste of tarragon	4,7



		place						and vinegar aroma	
 Oregano	Crushed flower	In a glass vessel, in a dark place	4 weeks	50g: 1l	2,85	14,65	21,1	Tea colour, tea taste of oregano, vinegar aroma	3,8

Five-year aged vinegar derived from the European wine of Rkatsiteli was used as the primary vinegar, the chemical properties of which are as follows: Alcohol – 3.0 vol. %, Volatile acidity – 15,0 g/l, Titratable acidity – 22,2 g/l.

Vegetable raw materials were harvested in summer, some were green, some – flowers, there were made extracts for which were determined the optimal preparation conditions, such as temperature and detention time.

The optimal option of treatment was individually chosen for every herb: before pouring vinegar onto them, some herbs were crushed, some were pounded, in some cases, vinegar was poured on undamaged herbs. The ratio of the weight of the herb and the volume of vinegar taken for the preparation of the extract and time for the readiness of vinegary extract (from 5 days (tarragon) to 60 days (cloves)) also varied. Detention time was selected based on observations of organoleptic properties. When the extract got the mild taste and aroma characteristic of the herb, the liquid was dissolved by decantation. To preserve the aroma, the extracts were stored in glass vessels in a dark room.

One-component extracts were produced from which it is possible to produce multiple – component extracts through blending.

The same Table (№1) shows the organoleptic properties of the produced aromatic vinegars, as well as the tasting score. The highest score was given to the vinegar made of tarragon (4,7) and the lowest score to oregano vinegar (3,8).

The obtained aromatic vinegars were studied for antioxidant activity and during this experiment significant difference was observed among the prepared samples. Results are given in the diagram.




Diagram 1 – Antioxidant activity indicators of aromatic vinegars of wine vinegars produced from different herbs

The highest antioxidant ability was found in the vinegar produced from the clove. This fact is depicted on the diagram with the lowest numeric figure (19,6 mg); among the produced samples tarragon (216 mg) and savory (215 mg) vinegars are characterized by the lowest antioxidant activity and these figures in turn exceed control vinegar antioxidant activity (236,6 mg).



Savory vinegar is more appetizing. Such vinegar has spicy taste. It is suitable for mushroom dishes, potato salads, boiled fish, all kinds of cabbages, white and green beans.

Aromatic vinegar, which is obtained by the detention on cloves, is very suitable for mutton and pork. It gives a distinctive aroma to both, hot and cold dishes.

Vinegar with mint aroma is suitable for the dishes made of meat and stewed wood mushroom.

Wine vinegar, which includes oregano, can be used with different gravy for seasoning dishes; it is suitable for salads and soups made from vegetables.

Tarragon vinegar is the best seasoning for the hot dishes made from mushroom and chicken.

Pepper vinegar, with its aroma, is best suited to all spinach dishes, for which spice and bitterness are the best.

Thus, high quality aromatic vinegars were produced from the European wine vinegar of Rkatsiteli and the herbs used as spices, which are original complex nutritional supplements for seasoning food products.

In addition, aromatic vinegars have a somewhat higher antioxidant capacity than the primary, non-flavored vinegar, which is due to the abundance of biologically active compounds in aromatic vegetable raw materials.

Authors would like to thank the Head of Scientific -Research Center of Batumi, Professor Aleko Kalandia for his assistance during the conduction of the experiment.



მცენარეული საკვებდანამატების გავლენა მოხარშული ძეხვეულის ქიმიურ შედგენილობასა და ორგანოლექტიკურ თვისებებზე

ჭუმბურიძე გოჩა

დოქტორანტი

ტყემალაძე გურამი

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსმმა-ს აკადემიკოსი

გოგოლი გიული

სოფლ. მეურნ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

შენახვის პერიოდის გასახანგრძლივებლად მოხარშული ძეხვეულის დამზადებისას რეკომენდებული კონსერვანტი „ბომბალის“ ერთ-ერთი ნაირსახეობის „BOMBAL@ASC Super“-ის ნაცვლად გამოვიყენეთ თავშავა (50გ), ბეგქონდარასა (50გ) და ომბალოს (10გ) წინასწარ მომზადებული ექსტრაქტი. დადგენილია, რომ ყოველ 160 კგ ფარშზე გადაანგარიშებით 1,5 ლ ექსტრაქტის დამატებით დამზადებული მოხარშული ძეხვი ქიმიური შედგენილობით შეესაბამება საწარმოო სტანდარტს, ხოლო ფარშის სტრუქტურა და შეფერილობა, აგრეთვე გემოვნური თვისებები, პრაქტიკულად არ იცვლება.

საკვანძო სიტყვები: კონსერვანტი, თავშავა, ბეგქონდარა, ომბალო

რამდენიმე ათეული წელია მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყნის სასურსათო მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება საკვებდანამატები [1]. დღეისათვის მათი როლდენობა რამდენიმე ასეულს აღემატება, ხოლო კომბინირებული დანამატებისა და არომატიზატორების ჩათვლით თითქმის ორი ათასიას.



საკვებდანამატების გამოყენება, ერთი მხრივ, განპირობებულია მომხმარებლის ულუფის შედგენილობის და მისი სტრუქტურის გაუმჯობესებით, კერძოდ, მიკრონუტრიენტების დეფიციტის ლიკვიდაციით და, მეორე მხრივ, წარმოების ტექნოლოგიის გაიოლებისა და სურსათისთვის ახალი თვისებებისა და მათთვის ორგანოლექტიკური მახასიათებლების გაუმჯობესების, აგრეთვე შენახვისადმი მდგრადობის გაზრდის მიზნით [2, - 5].

ხორცპროდუქტების წარმოებაში გამოყენებული საკვებდანამატების ნუსხაში შედის მეტად განსხვავებული შედგენილობისა და მოქმედების მექანიზმის ნივთიერებები: არომატიზატორები, საკვები საღებრები, კონსერვანტები და სხვ. აგრეთვე ე.წ. ტექნოლოგიური დანამატების ფართო სპექტრი, [6, - 8].

ცნობილია, რომ კლასიკური ტექნოლოგიით დამზადებული მოხარშული ძეხვეულის შენახვის მაქსიმალური ვადა 72 საათია, ანუ საწარმო იღებს ვალდებულებას ამ პერიოდით უზრუნველყოს პროდუქტის უვნებლობა და ხარისხი; ამასთან, საცალო ვაჭრობის ქსელში, როგორც წესი, აღნიშნულ ვადაში ძნელად თუ ხერხდება ძეხვეულის რეალიზაცია, რაც ქმნის პრობლემებს. საქმე ისაა, რომ მოხარშული ძეხვეული, მართალია, მომხმარებლის მხრიდან სარგებლობს მაღალი, შეიძლება ითქვას, ყოველდღიური მოთხოვნილებით, დამზადების ტექნოლოგიიდან და ქიმიური შედგენილობიდან გამომდინარე, ის ადვილად ექვემდებარება მიკრობულ გაფუჭებას, განსაკუთრებით კი წლის ცხელ პერიოდში. ამის გამო, რომ ძეხვეულის წარმოებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენახვისადმი მდგრადობის გამაუმჯობესებელ საკვებდანამატებს.

პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობისას მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შენახვის ვადის გახანგრძლივების იოლი და ეკონომიურად მისაღები ერთადერთი გზა არის ისეთი საკვებდანამატების გამოყენება, რომლებიც თავიდან აგვაცილებს მიკრობული და ჟანგვითი ზემოქმედებისგან პროდუქტის გაფუჭებას და, იმავედროულად, უვნებელი იქნება მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის.

თანამედროვე ეტაპზე ხორცპროდუქტების შენახვის ვადის გასახანგრძლივებად გამოიყენება რამდენიმე ათეული საკვებდანამატი; მათ შორისაა გერმანული კომპანიის „VAN HEES“- ის მიერ რეკომენდებული „ბომბალი“, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ საკვებ-დანამატს და სასურსათო მრეწველობაში გამოიყენება მისი 8 ნაირსახეობა [7]. საქართველოში მოქმედი ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები, მოხარშული ძეხვეულის დამზადებისას, როგორც წესი, იყენებენ ამ პრეპარატის ერთ-ერთ ნაირსახეობას „BOMBAL® ASC Super“-ს, რომელიც წარმოადგენს სამი ქიმიური ნივთიერების ნარევს: E223 - ნატრიუმის პიროსულფიტი, E262 -ნატრიუმის აცეტატი და E331 - ნატრიუმის ციტრატი. სამეცნიერო ლიტერატურასა და სარეკლამო წყაროებში ამ ნივთიერებების თვისებების შესახებ [8] აღნიშნულია:

1. E223 - ასტიმულირებს ალერგიული რეაქციების განვითარებას, იწვევს კუჭ-ნაწლავის დაავადებებს. მჟავა არეში მოხვედრისას გამოყოფს ტოქსიკურ აირს;
2. E262 - ამ დანამატის შემცველი პროდუქტის მიღება არ არის მიზანშეწონილი იმ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, თირკმლებისა და სისხლძარღვების პრობლემა, აგრეთვე ჰიპერტონიის, დიზბაქტერიოზისა და ქოლესისტიტის შემთხვევაში. ხაზგასმულია, რომ E262, საჭმლის მომნელებელ ტრაქ-



ტში მოხვედრისას, გარდაიქმნება კანცეროგენურ ნიტრიტად.

3. E331 - დანამატის უვნებლობა გარანტირებულია მისი მოხმარების რეგლამენტის მკაცრად დაცვის შემთხვევაში;

საკვებდანამატის „BOMBAL® ASC Super“ გამოყენების ინსტრუქციაში მითითებულია, რომ 100 კგ ფარში 2-5 გ რაოდენობით მისი შეტანა ხელს უწყობს 0...+4 °C-ზე მოხარშული ძეხვეულის 30 დღემდე შენახვას. [9].

გავითვალისწინეთ რა ადამიანის ჯანმრთელობაზე ბომბალის უარყოფითი მოქმედების სავარაუდო საფრთხეები, შევისწავლეთ მისი შეცვლის შესაძლებლობა საქართველოში ბუნებრივად გავრცელებული მცენარეული ნედლეულით. [2, 4]

სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, საკვებდანამატ „BOMBAL® ASC Super“- ის შემცვლელად ჩვენ მიერ შერჩეული იქნა თავშავა (*Origanum vulgare* L), ბეგქონდარა (*Thymus*) და ომბალო (*Mentha pulegium*). საქმე ისაა, რომ ეს მცენარეები ოდითგანვე გამოიყენება ფიტოთერაპიაში, როგორც ბაქტერიოციდული თვისებების მქონე, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობის შეხორცების დამაჩქარებელი და სხვ. გამოკვლევებით გაირკვა, რომ აღნიშნულ თვისებებს განაპირობებს ეთერზეთები, რომელთა შემადგენლობაში 40-50%-მდე არის ბაქტერიოციდული და ანტიდამუხანგავი თვისებების მქონე თიმოლი და კარვაკროლი [10, 11, 12]. ფენოლური ბუნების ასეთი შედგენილობის ექსტრაქტის დამზადებისა და გამოყენების მიზანი იყო სამედიცინო პრაქტიკაში თავად ამ მცენარეთა გამოყენებისას გამოვლენილი ზოგიერთი უკუჩვენების თავიდან აცილება.

ძეხვეულის ფარში შესატანი ექსტრაქტი მომზადდა შემდეგნაირად: 50 გ თავშავას, 50 გ ბეგქონდარასა და 10 გ ომბალოს გამომშრალ მასას დავასხით 2 ლ ანადულარი, (+65...+70 °C ტემპერატურის) წყალი და 30 წთ-ის დაყოვნების შემდეგ გადავიტანეთ მაცივარში; 20 სთ-ის შემდეგ ნარევი გავწურეთ 4 ფენად დაკეცილ მარლაში და შევინახეთ გრილ პირობებში.

საწარმოო ექსპერიმენტი ჩავატარეთ ISO 22 000 საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელი ქართული ხორცპროდუქტების მწარმოებელი, კომპანია „ივერია“-ს ბაზაზე.

ცხრ. 1 მოცემულია საწარმოს მიერ მოხარშული ძეხვის „მჭლე-ექსტრა“ (საკონტროლო) და საცდელი ნიმუშის დასამზადებლად შედგენილი რეცეპტურა. მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საცდელი ნაწარმის დამზადებისას საწარმოში მიღებული რეცეპტურიდან ამოღებულ იქნა „ბომბალი სუპერ“ და მის ნაცვლად ფარში შეტანილი იქნა ჩვენ მიერ დამზადებული დანამატი, თავშავას, ბეგქონდარასა და ომბალოს ექსტრაქტი, 1.5 ლ 160 კგ ფარზე გადაანგარიშებით.

რეცეპტურით გათვალისწინებული ინგრედიენტების შერევა მოვახდინეთ ვაკუუმ შემრევზე(კუტერზე), სადაც, რეცეპტურით გათვალისწინებული ძირითადი ნედლეულის ხორცს (ქათმის ხორცის ტრიმინგი, ქათმის მექანიკურად დარბილებული ხორცი, ღორის ქონის ემულსია, ღორის დამუშავებული ტყავი და ცილა-ცხიმის ემულსია) დავამატეთ მარილი, ნიტრიტი, სანელებლები და საკვებდანამატები(ცხრ.1) კარგად შევურიეთ +3 °C ტემპერატურის პირობებში, დავამატეთ სახამებელი და რძის შრატის ცილა, შემრევს დავახურეთ სახურავი (ხუფი) და ტემპერატურა ავწიეთ +9 °C-მდე. შემრევზე დამუშავებისას მუშა მოცულობაში ვაკუუმის დონე შეადგენდა 80%-ს (ვაკუუმ შემრევის მოწყობილობას



აქვს 7 ბარი სიმძლავრე ამ 7 ბარით ხდება ვაკუუმის შექმნა და შექმნილი ვაკუუმის 80%-ს აჩვენებს აპარატი, სხვადასხვა სიმკვრივის ფარში სხვადასხვა პროცენტულობას ავლენს). დამუშავება გრძელდებოდა 8-10 წუთი, რის შემდეგ დგინდებოდა მიღებული მასის რაოდენობა, შემდეგ დავაყოვნეთ 30 წუთი და გადავიტანეთ გარსაცმში ჩასატუმბათ.

ფარში ჩავტუმბეთ 50 მმ დიამეტრის ხელოვნურ გარსაცმში; ვაკუუმ შპრიცის (Handtmann 620-ით) ჩატუმბვის წნევა იყო 4-6 კგ/სმ², ანუ 3,92-5,88·10⁵ პასკალი, ხოლო მიღებული ნაწარმის 150-160 მმ სიგრძის 400 გ მასის ბატონებად დაყოფა მოხდა კანაფის გადაჭერით. შეკრული ბატონები დავკიდეთ საგორავებიან ჩარჩოზე და ფარშის „დაჯდომის“ მიზნით დავაყოვნეთ 1 სთ-ით. +20...+25 °C ტემპერატურის პირობებში.

ძეხვის საცდელი და საკონტროლო ნიმუშები მოვხარშეთ +79-+83 °C-ზე პროდუქტის ცენტრში ტემპერატურის +72 +74 °C-ის მიღწევამდე, დროს აფიქსირებს კერნი(თერმომეტრი) ის მერყეობს ბატონის დიამეტრის მიხედვით 35 წუთიდან 180 წუთამდე. თერმული დამუშავება განხორციელდა ცხელი ორთქლით.

ცხრილი 1. „მჭლე-ექსტრას“ მოხარშული ძეხვეულის საკონტროლო და საცდელი ნიმუშების ფარშის რეცეპტურა

დასახელება	რეცეპტურა	საკონტროლო	საცდელი
ძირითადი ნედლეული: კგ			
- ქათმის ხორცი (ტრიმინგი)	40,0	40,0	4
- ქათმის მექანიკურად დარბილებული ფარში	50,0	50,0	5
- ღორის ქონის ემულსია	10,0	10,0	1
- ღორის ტყავი (წინასწარ დამუშავებული)	25,0	25,0	2,5
- ცილა-ცხიმის ემულსია	7	7	0,7
სანელებლები და დანამატები, კგ			
- სუფრის მარილი	3,4	3,4	0,34
- ნატრიუმის ნიტრიტი	0,01	0,01	0,001
- წითელი ფერმენტირებული ბრინჯი	0,1	0,1	0,01
- ტიროლური არომატი	0,4	0,4	0,04
- კარტოფილის სახამებელი	3,5	3,5	0,35
- რძის შრატის ცილა	3,0	3,0	0,3
- საკვები დანამატი მაკ გელ 4/42	1,0	1,0	0,1
- ცელულოზის ფხვნილი	0,4	0,4	0,04
- ალმი გელ 50	0,3	0,3	0,03
- ალმი საექიმო კომბი გამაძლიერებელი	1,5	1,5	0,15
- ბომბალი სუპერ	0,4	0,4	-
- თავშავა, ბეგკონდარა, ომბალო (ექსტრაქტი)	1,5	-	0,15
- წყალი	15,0	15,0	1,5

მოხარშული ნაწარმი გასაცივებლად მოვათავსეთ +8...12 °C ტემპერატურის წყლის შხაპის ქვეშ: პროცედურა გრძელდებოდა 1სთ და 40 წთ; ასეთ პირობებში გაცივებამ ბატონ-



ნის ცენტრალურ ფენაში ტემპერატურა შეამცირა +25⁰ C-მდე, რის შემდეგ ისინი გადავიტანეთ გრილ საცავში და 12 სთ-ით დავაყოვნეთ სტანდარტულ ტემპერატურამდე (+8...+10 °C) გასაცივებლად.

ცხრილი 2. მოხარშული ძეხვის „მჟლე-ექსტრას“ საცდელი და საკონტროლო ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგები

	კვლევის მეთოდი	საკონტროლო	საცდელი
ფერი	გოსტი 9959-91	ღია ვარდის	ღია ვარდის
სუნი	გოსტი 9959-91	დამახასიათებელი ამ სახის ძეხვისთვის, უცხო სუნის გარეშე	დამახასიათებელი ამ სახის ძეხვისთვის, უცხო სუნის გარეშე
გემო	გოსტი 9959-91	დამახასიათებელი ამ სახის ძეხვისთვის, უცხო გემოს გარეშე	დამახასიათებელი ამ სახის ძეხვისთვის უცხო გემოს გარეშე
ტენიანობა	გოსტი 9793-74	63,5%	70,1%
ცილა	გოსტი 25011-81	11,2%	11,2%

საცდელი და საკონტროლო ნიმუშების ქიმიური შედგენილობა შევისწავლეთ შპს „მულტიტესტის“ ლაბორატორიაში. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ, როგორც საკონტროლო, ისე საცდელი ნიმუშები ფერით, სუნითა და გემოთი შეესაბამებოდა მოხარშული ძეხვეულის შიდა საწარმოო სტანდარტით გათვალისწინებულ პარამეტრებს (ცხრილი 2). ამასთან, აღმოჩნდა, რომ საცდელ ნიმუშში ტენის შემცველობა რამდენადმე მეტი იყო, საკონტროლოსთან შედარებით.

ასეთი შედეგი(ტენიანობის მატება) ჩვენი აზრით, განაპირობა ფარშის შედგენისას, 160კგ ძირითად ნედლეულზე გადაანგარიშებით, ყინულოვან წყალთან ერთად 1.5 ლ/160 კგ- ზე თავშავას, ბეგკონდარასა და ომბალოს ექსტრაქტის დამატებამ. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, ტენიანობით საცდელი ნიმუში შეესაბამებოდა მოხარშული ძეხვეულისთვის დადგენილ პარამეტრებს. რაც შეეხება ცილას, საცდელ და საკონტროლო ძეხვეულში, მათი რაოდენობა იყო იდენტური და შეადგინა 11,2%.

ტექნიკური ნორმატივებით, ძეხვის ხარისხსა და ვარგისიანობაზე საბოლოო დასკვნა კეთდება დაგეგმვების (დეგუსტაციის) შედეგების საფუძველზე. ძეხვეულის საცდელი და საკონტროლო ნიმუშების დეგუსტაცია ჩატარდა ГОСТ 9959-2015 და ГОСТ Р ИСО 8588-2008- ში მოცემული ნორმებისა და წესების დაცვით [13, 14]; კერძოდ, მეთოდი ითვალისწინებს ძეხვის მახასიათებლების შემდეგი თანამიმდევრობით განსაზღვრას: ჯერ ფასდება ბატონის იერსახე, ზედაპირის მდგომარეობა და ფორმის შესაბამისობა, აგრეთვე ფარშის ფერი, სტრუქტურა და ერთგვაროვნობა(მონოლითურობა), შემდეგ ისაზღვრება სუნი და არომატი, ბოლოს გემო, სინაზე და კონსისტენცია.

კვლევაში მონაწილეობდა 13 დეგუსტატორი. შეფასების შედეგი (საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშებით) ნაჩვენებია ცხრ. 3;

დადგინდა, რომ საცდელისა და საკონტროლოს ნიმუშებმა 9 ბალიანი სისტემით შე-



ფასებისას დაიმსახურეს მაქსიმალურთან მიახლოებული შეფასება, ამასთან, თითქმის ყველა პარამეტრით აღინიშნა საცდელი ნიმუშის უპირატესობა საკონტროლოსთან შედარებით.

ცხრილი 3. ძეხვეულის დეგუსტაციის მონაცემები ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით და შეფასების საერთო შედეგი ($M \pm m$, ბალი)

ჯგუფი	შეფასების მაჩვენებლები				საშუალო შეფასება
	ფერი	გემო	სუნი	კონსისტენცია	
საკონტროლო	7,15±0,249	7,62±0,266	7,77±0,231	7,69±0,237	7,56±0,133
საცდელი	8,23±0,166	8,00±0,160	7,85±0,191	7,85±0,191	7,98 ±0,092

კვლევისას, დეგუსტატორების ყურადღება მიიპყრო საცდელი ნიმუშის ფარშის რამდენადმე უფრო სასიამოვნო, ზოგჯერ ვარდისფერმა შეფერილობამ, რის გამოც ამ პარამეტრით დაიმსახურა უფრო მაღალი შეფასება, აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები საჭიროებს დამატებით კვლევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოლი გ., სადალაშვილი ე. ძეხვეულის ფარშში მცენარეული ჰიდროკოლოიდების გამოყენების ტექნოლოგიური შესაძლებლობები და პრობლემები. „კვების მრეწველობის ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობის პრობლემები“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, შრომათა კრებული, თბილისი (სტუ), 2015, გვ. 45-50;
2. ტყემალაძე გ., ქვარცხავა გ., ქიტიაშვილი ჯ., დავითაია., ჭუმბურიძე გ., ძნელაძე ს., მურვანიძე ხ., დემეტრაშვილი მ., შუბითიძე ა. მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით ახალი სასურსათო პროდუქტების შექმნა მათთვის დაბალანსებული ენერგეტიკული, საგემოვნო და ფარმაკოლოგიური თვისებების მინიჭების მიზნით. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ინტერნეტ კონფერენცია, თანამედროვე ფარმაცია -მეცნიერება და პრაქტიკა . 2017 წ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომათა კრებული, გვ 108-114;
3. Осер Б.Л., Уэй К.С., Вуде Л.А., Бернард Б.К. Последние достижения в области ароматических ингредиентов в сфере поправок к акту в пищевых добавках (Обзор), Москва, 1990. С. 42-48;
4. Дуда З. Пищевые добавки- сильные и слабые стороны, возможности и тенденции. Тезисы докладов Международной конференции «Переработка мяса - технологии настоящего и взгляд в будущее». Москва, 2000;
5. Compendium of Food Additive Specifications. Joint FAO/WHO Expert Committee on Food Additives. 84th Meeting 2017;
6. Файвишевский М.И., Гребешкова Т.Ю. Новая композиционная добавка для варёных колбасных изделий. Тезисы докладов Международной конференции, «Переработка мяса - технологии настоящего и взгляд в будущее». Москва, 2000.
7. Current trends in natural preservatives for fresh sausage products. Article *in* Trends in Food Science & Technology 45(1), June 2015;
8. (03.2019):<https://www.fsis.usda.gov/wps/wcm/connect/7e1d8c9f-f43a-4ba3-b42f-e76b562dd94c/Additives-in-Meat-and-Poultry-Products.pdf?MOD=AJPERES>
9. Additives in Meat and Poultry Products. Food Safety Information. United States Department of Agriculture Food Safety and Inspection Service;



10. (03.2019)http://www.infomeat.ru/sprav_tmp/spr_pre.php?select=5&ref=691 Справочник. Консервант Бомбаль (VAN HEES, Германия);
11. <http://www.fito-terapevt.ru/thymus-vulgaris> Фармакологические свойства тимьяна обыкновенного.
12. <https://mag.org.ua/rast/trava29.html>].Медицинское значение душицы обыкновенной.
თბილისის მიდამოები, მამა დავითის მთა, კლდეკარი, ატენის ხეობა, შიო მღვიმე, ბეთანია და სხვა. იზრდება მშრალ, ღორღიან ფერდობებზე და კლდოვან ჰაბიტატებში, ჯგუფებად და მჭიდრო ხალიჩას ქმნის. იგი შეზუსტულია თეთრი ქეჩისებრი ბეწვით და ივითარებს ვერცხლისფერფოთლებიან უამრავ ყლორტს, რითაც ქმნის სქელ კორდს. ფოთლები კვერცხისებრი, ელიფსური ან ლანცეტის ფორმისაა. გვირგვინის ფურცელი 5 ცალი, ორად გაყოფილი, მთლიანი ან დაკბილულია. ყვავილეთი კენწრულია, მრავალყვავილიანი. თესლმსხმოიარობს აგვისტოს პირველ დეკადაში [5]. ვეგეტაციას იწყებს მარტიდან და განვითარების ციკლი გვიან შემოდგომამდე გრძელდება, დაყვავილების შემდეგ გამხმარი მიწისზედა ნაწილები იკრიჭება, რათა შენარჩუნებული იქნას მისი ვერცხლისფერი მასა [3].

ვერცხლისფერი პირთეთრა ბოტანიკური ბაღის კოლექციაში მანამდე არ მოიპოვებოდა. 2013 წელს მისი შვილეული ბუჩქები შემოტანილი იქნა თბილისის ბოტანიკური ბაღიდან. კვლევის პერიოდში ვეგეტატიურ გამრავლებას დაკალმების გზით წარმოებდა შემოდგომაზე და გაზაფხულზე. შემოდგომაზე კალმების აღება ხდებოდა ოქტომბრის ბოლოს. კალმები თავსდებოდა ჰეტეროაუქსის „კორნეინის“ 1%-იან ხსნარში 6 სთ განმავლობაში, დაკალმება ხდებოდა დახურულ გრუნტში ქვიშანარევ ტორფიან ნიადაგში (2:1:2 თანაფარდობით). გაზაფხულზე დაფესვიანებული მცენარეები მუდმივ ადგილზე ირგვებოდა აპრილის პირველ ნახევარში. აპრილის მეორე ნახევარში ისინი უკვე ყვავილობდნენ და ყვავილობას აგრძელებდნენ პირველ წაყინვებამდე.

გაზაფხულზე დაკალმება ხდებოდა აპრილის თვეში. მისი გახარების მაჩვენებელი შემოდგომაზე დაკალმებულ მცენარეებთან შედარებით ბევრად დაბალი იყო, ამასთანავე მცენარეთა დაფესვიანება ზაფხულის ბოლომდე არ წარმოებდა (აგვისტოს მიწურულს) და მუდმივ ადგილზე მათი გატანისას ვერ ასწრებდნენ ყვავილობას, რის გამოც მათი გამოყენება გაფორმებაში ნაკლებად ეფექტური იყო.

რაც შეეხება ბუჩქის დაყოფით გამრავლებას, იგივე მეთოდის მიხედვით ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ვერცხლისფერი პირთეთრას ამ გზით გამრავლების შემთხვევაში მისი გახარების მაჩვენებელი კალმებით გამრავლებასთან შედარებით ბევრად ნაკლები იყო.

მცენარეთა გენერაციული გზით გამრავლებისთვის თესვა ხდებოდა გაზაფხულზე (მარტი), მაგრამ თესლით გამრავლებამაც არ მოგვცა დადებითი ეფექტი, რადგან ამ დროს მცენარეები ყვავილობდნენ უფრო გვიან, ვიდრე ვეგეტატიური გამრავლებისას.

ვინაიდან ვერცხლისფერი პირთეთრა აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ, ქვა-ღორღიან ჰაბიტატებში იზრდება, დასავლეთ საქართველო, კერძოდ იმერეთი მისთვის ახალი გარემოა. ექსპერიმენტის პროცესში ჩატარებულმა ფენოლოგიურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ქუთაისის პირობებში მას ახასიათებს განვითარების ცვალებადობა წლის განმავლობაში და ასევე ვეგეტატიური მასის ფერის ცვლილება: ადრე გაზაფხულზე მცენარე ღია ვერცხლისფერია, ზაფხულის ბოლომდე მწვანე ფერს იკრავს, შემოდგომაზე - მუქი რუხი ფერის ხდება, ზამთარში კი - ყინვების ზეგავლენით ვეგეტატიურ მასას იისფერი გადაკრავს. გამოიკვეთა ასევე, რომ ჩვენს პირობებში ის ხასიათდება საკმაოდ კარგი ყინვაგამძლეობითა და გვალვაგამძლეობით. მისი ეს თვისება საშუალებას იძლევა ეს მცენარე ფართოდ იქნას გამოყენებული გაფორმებაში წელიწადის ყველა დროს.



ვერცხლისფერი პირთეთრას ბიოლოგიის შესწავლის პარალელურად ხდებოდა მისი გამოყენება ბოტანიკური ბაღის გაფორმებაში, რათა გამოვლენილიყო მისი დეკორატიულობის ხარისხი. ამისათვის ის ირგვებოდა ყვავილნარების სხვადასხვა ელემენტებში: კლუმბებში, რაბატებში, ქვიან გორაკებზე, ალპინარიუმებსა და ბორდიურებად. ყველა შემთხვევაში იგი მაღალი დეკორატიული ეფექტით გამოირჩეოდა.

2. *Dianthus plumaris* L. - ფრთისებრყვავილა მიხაკი მიეკუთვნება Caryophyllaceae ოჯახს. იგი იზრდება 15-20-60სმ-მდე, ნელამზარდი მცენარეა. ფოთლები ხაზურ-სადგისისებრი, მონაცისფრო, ლევა მწვანე აქვს. საყვავილე ღეროები სწორი, მრავალრიცხოვანია. ყვავილები მარტივი, ბუთხუზა ან ნახევრად ბუთხუზაა. შეფერილობის მიხედვით თეთრი, ვარდისფერი ან წითელი ფერისაა, სურნელოვანი. ყვავილობს აპრილის შუა რიცხვებიდან მაისის ბოლომდე [1]. კვლევა მიმდინარეობდა ფრთისებრყვავილა მიხაკის ორ კულტივარზე: ‘Emil Pare’ (ვარდისფერი), ‘White Ladies’ (თეთრი).

მცენარეთა თესლით გამრავლება ხდებოდა ღია გრუნტში გაზაფხულზე, აპრილის ბოლოს. მაისის ბოლოს მიღებულ თესლნერგებს უტარდებოდა ჯგუთვა და მუდმივ ადგილზე ირგვებოდა ივნისის ბოლოს. ამ გზით გამრავლებული მცენარეები მომდევნო წელს ყვავილობას იწყებდნენ არა აპრილში, არამედ აგვისტოდან, ხოლო მესამე წელს, ჩვეულებრივად - აპრილის შუა რიცხვებიდან.

გაზაფხულზე თესვასთან შედარებით უფრო ეფექტური აღმოჩნდა შემოდგომაზე თესვა. აღმონაცენებს ჩითილობა უტარდებოდა ნოემბრის მეორე ნახევრიდან, მუდმივ ადგილზე ირგვებოდა აპრილის ბოლოს, ხოლო ყვავილობა აღენიშნებოდათ ივნისის დასაწყისში ე. ი. ყვავილობდნენ პირველსავე წელს.

ფრთისებრყვავილა მიხაკის გამრავლება ვეგეტატიურად ხდებოდა როგორც კალმებით, ასევე ბუჩქის დაყოფით. შემოდგომაზე დაკალმება ხდებოდა დახურულ გრუნტში ოქტომბრის დასაწყისში. გაზაფხულზე დაფესვიანებული მცენარეები აპრილის ბოლოს ირგვებოდა მუდმივ ადგილზე და ისინი ყვავილობდნენ მომდევნო წლის გაზაფხულზე.

გაზაფხულზე დაკალმებული მცენარეები კი მუდმივ ადგილზე გაგვქონდა შემოდგომაზე და ისინი ყვავილობას პირველივე წლის გაზაფხულზე, მაისის ბოლოს იწყებდნენ.

ბუჩქის დაყოფით გამრავლება ხდებოდა როგორც ადრე გაზაფხულზე, ყვავილობის დაწყებამდე, ასევე გვიან შემოდგომაზე (ნოემბრის ბოლოს). შედეგი ორივე შემთხვევაში დადებითი იყო: ადრე გაზაფხულზე დაყოფილი ბუჩქები ყვავილობდნენ იმავე წლის გაზაფხულზე (მაისში), ასევე შემოდგომაზე დაყოფილი ბუჩქებიც - გაზაფხულზე (აპრილის ბოლოდან), მაგრამ ეფექტი პირველ შემთხვევაში უფრო მაღე მიიღებოდა.

რაც შეეხება მცენარის დეკორატიულ ეფექტს, იგი მეტად საინტერესოა როგორც ყვავილობისას, ასევე დაყვავილების შემდეგ, რადგან მისი ბუჩქები მაინც ინარჩუნებენ სილამაზეს, რის გამოც შესაძლებელია მისი აქტიური გამოყენება ბაღ-პარკების გაფორმებაში - ალპინარიუმებზე, ქვიანი გორაკებზე და ბორდიურებად. 3-4 წლიანი ბუჩქები ძალიან ლამაზია ჯგუფური ნარგაობების სახით.

3. *Phlox subulata* L. - კორდის ფლოქსი Polemoniaceae - პალემონიისებრთა ოჯახიდანაა. გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში. იგი მხოხავი და დამფენი მცენარეა, ძლიერ დატოტვილი ღეროები ქმნიან 10-15სმ სიმაღლის მკვრივ კორდს - „ბალიშებს“. „Phlox“



ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ალს, ეს სახელწოდება მიიღო ველური ფლოქსების ყვავილების კამკამა შეფერილობის გამო. ფოთლები კიდემთლიანი, ლანცეტისებრი ან წაგრძელებულ - ოვალურია. ყვავილები წვრილი 2-2,5სმ დიამეტრის, ბორბლისებრი ფორმისაა, ქვედა ნაწილში ძაბრისებურად შეზრდილი, ზევით კი 5 ნაწილისაგან შემდგარი, თეფშის-მაგვარი გადმონაღუნით, მარტოული ან შეკრებილი. შეფერვა ვარდისფერი. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია, წვრილი მუქი ფერის თესლით [1].

კვლევები მიმდინარეობდა ფლოქსის ერთ კულტივარზე - ‘Apple blossom’. გამრავლება ხდებოდა ვეგეტატიურად - კალმებით და ბუჩქის დაყოფით შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე. გაზაფხულზე დაკალმებისას მარტის დასაწყისში მცენარის დაკოკრებამდე ირჩეოდა ზრდასრული ინდივიდები (სადედეები), ბასრი დანით იჭრებოდა ფესვის ყელთან ძლიერი ქუსლიანი ყლორტები. დაფესვიანებული მცენარეები მუდმივ ადგილზე ირგვებოდა მაისის დასაწყისში, ყვავილობა აღინიშნებოდა ძალიან მალე, მაისის ბოლოდანვე.

შემოდგომაზე დაკალმება ხდებოდა ნოემბრის დასაწყისში სათბურში. გაზაფხულზე დაფესვიანებული მცენარეები მუდმივ ადგილზე ირგვებოდა აპრილის დასაწყისში და აპრილის ბოლოდან მცენარეები უკვე იწყებდნენ ყვავილობას. ამ შემთხვევაში, ფრთისებრ ყვავილა მიხაკისგან განსხვავებით, შემოდგომაზე დაკალმება უფრო ეფექტური აღმოჩნდა ნაადრევი ყვავილობის გამო.

ბუჩქის დაყოფით გამრავლება ხდებოდა როგორც შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულზე, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში მცენარეთა გახარების მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო. ადრეულ შემოდგომაზე (სექტემბერ-ოქტომბერში) ღია გრუნტში დაყოფილი ბუჩქები იმავე წლის გაზაფხულზე ადრინადად (აპრილის ბოლოს) იწყებდნენ ყვავილობას.

კვლევა კორდის ფლოქსის გენერაციულად თესლით გამრავლებაზე ვერ განხორციელდა, რადგან იმერეთის პირობებში ამ მცენარის თესლი ვერ აღწევს სრულ სიმწიფემდე და არა აქვს აღმოცენების უნარი.

კორდის ფლოქსზე ჩატარებულმა ფენოლოგიურმა დაკვირვებებმა ცხადჰყო, რომ იგი იმერეთის პირობებში გამოირჩევა მაღალი გვალვაგამძლეობით და ყინვაგამძლეობით და მავნებლებისა და დაავადებებისადმი რეზისტენტულობით. ამიტომ მეტად ეფექტურია მისი გამოყენება ალპინარიუმებზე, კლუმბებზე, ქვათა განყოფილებებზე წინა რიგში კაჭარიან ადგილებზე დასარგავად.

4. *Portulaca grandiflora* Hook - მსხვილყვავილა დანდური Portulacaceae ოჯახს მიეკუთვნება. გვარში გაერთიანებულია ნიადაგმფარავი მცენარეების 100-მდე სახეობა. გავრცელებულნი არიან დედამიწის სუბტროპიკულ და ტროპიკულ სარტყელში - მშრალ რაიონებში, მაგრამ არა უდაბნოში. მსხვილყვავილა პორტულაკი ერთწლოვანი მცენარეა, ხორცოვანი, ყველა მხარეზე გადაშლილი, დამფენი, 15სმ სიგრძის ღეროებით. ფოთლები წვრილი მჯდომარეა, მომწვანო-ნაცრისფერი, ისინი ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული. ყვავილები მარტოული 3-4სმ დიამეტრის ბუთხუზა, ყვითელი, თეთრი, წითელი, ვარდისფერი. ყვავილები ღრუბლიან ამინდში იხურება. პორტულაკი უხვად ყვავილობს ივლისიდან აგვისტოს ბოლომდე. ნაყოფი ერთბუდიანი, მრავალთესლიანი კოლოფია, რომელიც ადვილად იხსნება. ამიტომ ნაყოფების შეგროვება უნდა მოხდეს გაყვითლებისთანავე [1].

პორტულაკის გამრავლების ხერხებიდან გამოიყენებოდა მხოლოდ თესლით გამრავ-



ლება, ვინაიდან იგი ერთწლოვანი მცენარეა. დახურულ გრუნტში თესვა წარმოებდა თებერვალ-მარტში, კარგად განოყიერებულ ნიადაგში. აღმოცენებულ მცენარეებს უტარდებოდა გამოკვება, მორწყვა, სარეველებისაგან გაწმენდა. მცენარეთა მუდმივ ადგილზე გატანამდე მათი გადაჩითილება ხდებოდა ორჯერ. მუდმივ ადგილზე ირგვებოდა მაისის მეორე ნახევრიდან, ამ დროს თესვ-ნერგებს აღენიშნებოდა ერთი მსხვილი და 3-4 წვრილი ყლორტი. მალევე მცენარეები იწყებდნენ დაბუჩქვას, ხოლო ივნისის შუა რიცხვებში უკვე ყვავილობდნენ, ყვავილობასთან ერთად გრძელდებოდა მცენარეების დატოტვა. ამ დროს ისინი ხალიჩასავით ეფინებიან ნიადაგის ზედაპირს და არნახულ სილამაზეს ქმნიან. ყვავილობა გრძელდება აგვისტოს ბოლომდე. კვლევის პროცესში ამ მცენარემ გამოავლინა ერთი საინტერესო თვისება: მცენარის თესვის ვადების გადანაცვლების შედეგად, როცა თესვა ხდებოდა არა ადრე გაზაფხულზე, არამედ შემდგომშიც, ეტაპობრივად, მაისის ბოლომდე, აღმოჩნდა, რომ მცენარეები ყვავილობას იწყებდნენ შესაბამისად მოგვიანებით - გვიან შემოდგომაზეც. ეს ფაქტი გასათვალისწინებელია დეკორატიულ გაფორმებაში მისი გამოყენებისას, ვინაიდან გვიან შემოდგომაზე ყვავილობით ნიადაგმფარავ მცენარეთა მცირე სახეობები ხასიათდებიან.

დაკვირვების შედეგებმა გვიჩვენა, რომ პორტულაკი კარგად ეგუება იმერეთის პირობებს, გამოირჩევა თესლით გამრავლების მაღალი უნარიანობით, ყვავილობს და თეს-ხლმსხმოიარობს კარგად. ადვილად იტანს გვალვას. დაავადებები და მავნებლები არ შეინიშნებოდა.

ლიტერატურული წყაროებით ცნობილია, რომ პორტულაკი საუკეთესო მცენარეა ნათელი, მზით განათებული ადგილების გასაფორმებლად. ის მეტად ეფექტურია კლუმბებზე, რაბატებში, ჯგუფებად, ხალიჩოვან ყვავილნარებში, ქვიან წყობებში, ალპინარიუმებისათვის, მავრიტანულ გაზონებზე. იმერეთის პირობებში კარგი ადაპტაციის უნარის გამოვლენის გამო კვლევის პროცესში აქტიურად ხდებოდა მისი გამოყენება ბოტანიკური ბაღის სხვადასხვა დეკორატიული კუთხეების გასაფორმებლად.

5. *Lobularia maritima* (L) (Desr.) - ზღვისპირა ლობულარია ანუ ალისუმი Cruciferae ოჯახის წარმომადგენელია. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის მშრალ, ქვიან ადგილებში. იგი ფართოდ გავრცელებული მცენარეა, სწორმდგომი ან გადაშლილი ბუჩქით. სიმაღლე 6-10სმ. ღეროები ძლიერ დატოტვილია, დაფარულია ხშირი, წვრილი, ლანცეტისებრი ფორმის ფოთლებით. ქმნის დაბალ და მკვრივ ხალიჩას. ყვავილები წვრილი, თეთრი ან იასამნისფერია თაფლოვანი სურნელით. ყვავილობს აპრილიდან პირველ წაყინვებამდე, თუმცა მანამდე ითხოვს ნაყვავილარი ღეროების შეჭრას. გადაჭრის შემდეგ მცენარე რამდენიმე დღეში კვლავ იწყებს ყვავილობას. თესლმსხმოიარობს აგვისტოს პირველი დეკადიდან. თესლი ფართოა, სიფრიფანა [1].

კვლევა ტარდებოდა ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში არსებულ ალისუმის *Lobularia maritima*-ს კულტივარზე 'Minimum', ასევე კოლექციის გაზრდის მიზნით თბილისის ბოტანიკური ბაღიდან შემოტანილ ახალ კულტივარზე 'Lilie Queen'. კულტივარი 'Minimum' ხასიათდება თეთრი ფერის ყვავილებით, ხოლო 'Lilie Queen' - მუქი იასამნისფერით. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მისი გამრავლება მხოლოდ თესლითაა შესაძლებელი. ჩვენს მიერ განხორციელდა მისი ვეგეტატიურად - კალმების მეშვეობით გამრავლება,



თუმცა ყველა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

სათბურში თესვა წარმოებდა თებერვალში, აპრილის ბოლოს ტარდებოდა ჯგუთვა პოლიეთილენის ყუთებში და აღსანიშნავია, რომ ისინი მუდმივ ადგილზე გატანამდე იწყებდნენ ყვავილობას. მასის თვეში მუდმივ ადგილზე ირგვებოდა უკვე ყვავილებული მცენარეები.

ღია გრუნტში თესვა მიმდინარეობდა აპრილის ბოლოს, მცენარეები მუდმივ ადგილზე გატანის შემდეგ ყვავილობას იწყებენ ივლისის შუა რიცხვებიდან, 35-40 დღით გვიან, ვიდრე სათბურში თებერვალში დათესილი მცენარეები.

ალისუმი კულტურაში ცნობილია როგორც ერთწლოვანი მცენარე, მაგრამ ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში იგი 3-4 წელი ხარობს და ყვავილობს.

ფენოლოგიურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ იგი სიცვიისამტანი მცენარეა, მოზრდილი მცენარეები კარგად იტანს საშუალო სიძლიერის ყინვებს. აუცილებელია ნაყვავილარი ღეროების პერიოდულად გასხვლა. გასხვლიდან რამდენიმე დღეში მცენარეები კვლავ იწყებენ ყვავილობას. ალისუმს მთელი წლის განმავლობაში აქვს მაღალი დეკორატიული ეფექტი, რადგან მას ახასიათებს განსაკუთრებული სილამაზე როგორც ყვავილობისას, ასევე ვეგეტატიურ მდგომარეობაში. ამიტომ შეუცვლელია წელიწადის ყველა დროს გაფორმებაში გამოსაყენებლად - ბორდიურების შესაქმნელად, ქვის გორაკებისა და ალპინარიუმებისათვის.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა იქნა, რომ ნიადაგმფარავი ბალახოვანი ყვავილოვანი მცენარეებისათვის იმერეთის კლიმატური პირობები საკმაოდ ხელსაყრელია. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა მშრალ, ქვა-ლორდიან ჰაბიტატებში იზრდება, ქუთაისის ტენიან პირობებსაც კარგად ეგუებიან. მათი გამრავლების საკითხების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ საკვლევი მცენარეების ვეგეტატიური და თესლით გამრავლებისას თითოეული მათგანი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ჩვენს პირობებში ისინი ავლენენ გვალვაგამძლეობისა და ყინვაგამძლეობის უნარს, ახასიათებთ ხანგრძლივი ვეგეტაცია და ყვავილობა. ნიადაგმფარავ მცენარეთა დეკორატიულობის ხარისხის დადგენის მიზნით ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ მეტად ეფექტურია მათი გამოყენება გაფორმების სხვადასხვა ელემენტებში, როგორცაა: კლუმბები, რაბატები, ქვიანი გორაკები, ალპინარიუმები და ბორდიურები. მათთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული სილამაზე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მცენარეები საინტერესოა როგორც ყვავილების გასაოცარი ფერთა გამით, ასევე დაყვავილების შემდეგ ბუჩქების ვეგეტაციური მასის სილამაზით. ყველა ზემოთაღნიშნული თვისების გამო საკვლევ მცენარეებს რეკომენდაციას ვუწევთ ლანდშაფტურ არქიტექტურაში ფართოდ გამოსაყენებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენიძე ე.- მეყვავილეობა. ქუთაისი, 2009
2. თვალაძე ბ. - ქუთაისის ბოტანიკური ბაღი. ქუთაისი, 2015
3. ისაკაძე შ. - საქართველოს ხალიჩოვანი მცენარეები. „მეცნიერება“. თბილისი, 1970



4. საქართველოს სსრ წითელი წიგნი. საბჭოთა საქართველო. თბილისი, 1992
5. სირაძე მ. - საქართველოს ფლორის ზოგიერთი იშვიათი, მაღალდეკორატიული, ნიადაგმფარავი მცენარის ლანდშაფტურ არქიტექტურაში გამოყენების პერსპექტივა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომები 102. თბილისი, 2014
6. Методика фенологических наблюдений в ботанических садах. ССР. Москва, 1975
7. Федорука А. Т. – Справочник цветовода. «Ураджай». Минск, 1985

Study of Some Hyper-Ornamental Land Plants and their Applying Perspectives in Landscape Architecture in Imereti Conditions

Gorgodze L.

Researcher. Kutaisi Botanical Garden. Kutaisi. Georgia.

Gvenetadze M.

Researcher. Kutaisi Botanical Garden. Kutaisi. Georgia.

Khutsishvili E.

Researcher. Kutaisi Botanical Garden. Kutaisi. Georgia.

Abstract

Key words: Soil-covering plant, plant propagation, phenology ,landscape architecture.

Herbaceous angiosperms are widely used in plants' ornamental along with other elements of green decorations, they are peculiar for their flamboyant color, long-term vegetation and blooming, therefore, they are considered as Sans Pareil for landscape architecture.

There has never been a comprehensive study of land plants in western Georgia (particularly in Imereti). The goal of our research is to study the biological peculiarities and land plants' breeding and development stages in the botanical garden, to state the quality of ornamental/decorative indicators and their propagation, to work out the forms for their application and practical performance and to increase the herbaceous angiosperms' collection (Kutaisi botanical garden) with new species and cultivars.

The object of the study was to identify several species and cultivars of introduced land plants in the Botanical Garden: 1. *Cerastium argenteum* Bieb; 2. *Dianthus plumaris* L. Two cultivars: 'Emil pare', 'White ladies'; 3. *Phlox subulata* L.; 4. *Portulaca grandiflora* L.; 5. Two cultivars of *Lobularia maritima* - 'Minimum', 'Lilie Queen'. The results of each plant study are presented separately.

1. *Cerastium argenteum* Bieb - had never been found in the Kutaisi Botanical Garden's Plant Collection before. In 2013 baby bushes were imported from Tbilisi Botanical Garden. During the study, the plants were propagated. The plants cut in autumn were blooming in the first year, but those that were cut in spring the rate of sprouting was much lower.

Propagation by seed and splitting of bushes of silver *Cerastium argenteum* were less effective.

Phenological observations show that in Kutaisi conditions these plants are characterized by variations in development and the change of the color of the vegetative part. It has also been shown that in our conditions it is characterized by quite a good frost and drought resistance.

2. *Dianthus plumaris* L. - was propagated by seeds in open ground in spring, thus propagating plants start blossoming not in the following year but the third year. Sowing in autumn appeared much more effective than in spring, as sprouting blossom in the first year.

Bushes were propagated both in early spring and late fall. In both cases, the results were positive. Propagation of bushes by splitting took place both in early spring and late autumn. The results in both cases were positive, split bushes were blooming in the first year of spring, as well as



bushes split in autumn were blossoming in spring - but the effect was better in the first case.

As for the decorative effect of the plant, it is very interesting while blossoming and after blooming, as its shrubs still retain their beauty, so it can be actively used in the decoration of gardens or parks - alpinariums, rocky hills and sidewalks. 3-4-year-old bushes are very beautiful as a group plantation.

3. Phlox subulata L. - was propagated in a vegetative way by layering. In spring while cuttings the blossoming of plants was observed from late May.

Enrooting was observed in spring while autumn cutting. In this case, cutting in autumn was more effective due to premature flowering/blossoming.

Propagation of bushes by splitting was done in fall and spring, although in the former case the rate of plant breeding was very low. In early fall, bushes that were cut in the open ground began to bloom early in spring in the same year.

The research of the field phlox generative propagation by seeds was not carried, as (in Imereti) the seed of the plant does not reach full maturity and is not capable of sprouting.

Field phlox in Imereti conditions are characterized by high drought and frost withstand and resistance to pests and diseases.

4. Portulaca grandiflora Hook. - was propagated only by seed propagation, as it is a one-year-old plant. Seedlings are flowering in mid-June. Like a carpet, they are covering the surface of the land and create unprecedented beauty. Flowering continues until the end of August.

The results of the observation showed that the Portulaca is well adapted to Imereti conditions and it is characterized by high seed propagation ability, it is blossoming well and is resistant to drought. Diseases and pests were not observed.

5. Lobularia maritima (L) (Desr.) - All attempts to propagate Lobularia by graftage/cutting have been unsuccessful.

Generatively, propagating by seeds, the plants are sown in the open ground and they start flowering from mid-July, 35-40 days later than in the case of greenhouse sowing.

Lobularia is known as a one-year plant, but it grows and blooms in Kutaisi Botanical Garden for 3-4 years. It is resistant to cold, mature plants can adapt to medium-strength frosts.

Alicum has a hyper-decorative effect throughout the year, as it is characterized by exceptional beauty both in flowering and vegetative state. Therefore it is indispensable for decoration at any time of the year - for making curbs, stone hills and alpinarium.

Studies have shown that the climate conditions of Imereti are quite favorable for herbaceous angiosperms. The most of them grow up in dry, pebble habitats though they are well-adapted to humid conditions of Kutaisi. Studies of their breeding have revealed that target plants have some peculiarities while vegetative and seed propagation.

Studies of bio-ecological features/peculiarities show that in Imereti conditions they are resistant to drought and frost and are characterized by prolonged vegetation and flowering. Studies to determine the degree of decoration of land plants have shown that they are the target species and can be used as ornamental on rocky hills, and sidewalks. They have a special beauty from spring to late autumn. Fascinating is their flamboyant flowers and charm of vegetative part of bushes after blooming. They could widely be used in landscape architecture.





ბათუმის ბოტანიკური ბაღის ქვედა პარკის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა და გამწვანება-რეკონსტრუქციის ღონისძიებები

გუბელაძე ეკატერინა

სმმკ, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ჯაფარიძე მაგდანა

მაგისტრი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ბათუმის ბოტანიკური ბაღი ყოველთვის დამსვენებელთა და დამთვალიერებელთა სიუზ-ვით გამოირჩეოდა, მნიშვნელოვანია რამდენადაც ობიექტი პოპულარულ საკურორტო და ტურისტულ ადგილზეა განთავსებული. ქვედა პარკის ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ უკანასკნელ წლებში ეს განყოფილება მნიშვნელოვნად შეივსო და გამდიდრდა ახალი სახეობებით. რეკონსტრუქციის შემდეგ კვლევის ობიექტებიდან მცენარეთა ასორტიმენტს არსებულ ტერიტორიაზე დაემატება ყველა სეზონზე ეფექტის მომცემი მერქიანი მცენარეები, მინიმალურად იქნება გამოყენებული არქიტექტურული ელემენტები და მხატვრული ექსპოზიციებისათვის ტერიტორიაზე სეზონარად დაირგვება მაღალდეკორატიული ყვავილოვან-ბალახოვანი მცენარეები.

საკვანძო სიტყვები: რეკონსტრუქცია, საპროექტო ტერიტორია, გამწვანება, კომპოზიციური შეთანწყობა.

მწვანე ნარგავების გაშენება მუდამ იყო და დღესაც არის ქალაქის მესვეურთა ზრუნვის საგანი, როდესაც მწვანე ნარგავები ბაღბის, პარკების, ბულვარების სახით არამარტო აძლევს ქალაქს მხატვრულ იერ-სახეს, არამედ უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის არსებობისათვის საჭირო ჯანსაღი გარემოს ფორმირების საქმეში.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მთავარი სამარშრუტო გზის მარცხენა მხარეს. აღმოსავლეთით ესაზღვრება ყოფილი ციტრუსების მეურნეობა; დასავლეთით გიორგი გაბრიჩიძის სახელობის ზღვისპირა პარკი, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში დეკორატიული მებაღეობისა და მეყვავილეობის განყოფილების გამგის, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის გიორგი გაბრიჩიძის მიერ ჩრდილოეთ ამერიკის ფლორისტული განყოფილების ტერიტორიაზე, 2 ჰა ფართობზე ფრანგულ-რეგულარულ სტილში გაშენდა. აქ გამოყენებულია როგორც წიწვოვანი, ასევე ფოთლოვანი მცენარეები. აქ შექმნილია ჯგუფები მარადმწვანეობისა და წლის ნებისმიერ დროს ყვავილობის ეფექტებით.

ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 2000 მ²-ია, (სურათი1.) რომელის დიდი ნაწილი დაეთმო მწვანე ნარგავობას, მინიმალურად იქნება გამოყენებული არქიტექტურული ელემენტები, რათა შენარჩუნებული იქნას ბუნებრივი იერსახე. მცენარეთა ასორტიმენტს წარმოადგენს არა მარტო ფენოლოგიური დაკვირვების ობიექტები, მათ დაემატება მტირალა ტირიფი, რომელიც განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა წყლის სარკესთან, ასევე თავნაყოფა ბუტიას არსებული რიგობრივი ნარგავობის შესავსებად ბუტიას რამდენიმე ეგზემპლარი. უკეთესი ეფექტისთვის და მხატვრული ექსპოზიციებისათვის ტერიტორიაზე სეზონარად დაირგვება მაღალდეკორატიული ყვავილოვან-ბალახოვანი მცენარეები (ერ-



თწლოვნები, ორწლოვნები, მრავალწლოვნები). (სურათი 1.)



სურათი 1.

მთავარი სამარშრუტო გზიდან საპროექტო ტერიტორიაზე შესასვლელი ბილიკი გაყოფილია ორ ნაწილად ერთწლოვნებისათვის განკუთვნილი მართკუთხა ფორმის კლუმბით, რომელიც სეზონურად იქნება დატვირთული ზაფხულ და ზამთარ მოყვავილე ყვავილოვან-ბალახოვანი მცენარეებით რაც პირველად ეფექტს მოახდენს ვიზიტორზე. კლუმბის ორივე მხარეს ესაზღვრება გაზონი, რომლის ბილიკის მომიჯნავე მხარეს დარგული იქნება ლანცეტისებური კალისტემონის 12 ეგზემპლარი და შექმნის ხევანს ბილიკზე, რაც ნაწილობრივ დაჩრდილვას სავალ ნაწილს, გარდა ამისა კალისტემონი თავისი მაღალდეკორატიულობით, მარადმწვანეობით მთელი წლის განმავლობაში შეუნარჩუნებს ღირებულებას საპროექტო ტერიტორიის მთავარ შესასვლელს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა კალისტემონი აპრილის მეორე დეკადიდან ივნისის მეორე დეკადამდე ყვავილობს წითელი ჩოთქისებრი ყვავილებით.

სამარშრუტო გზას ბილიკიდან მარჯვენა მხარეს ემიჯნება სამკუთხა ფორმის გაზონი, აქ დაირგვება დიდყვავილა აბელიას დაახლოებით 60-80 სმ-მდე სიმაღლის 15 ბუჩქი, რომლის რიგს დაასრულებს და სამკუთხედს შეკრავს დახრილი ფორზიციას იგივე სიმაღლის 5 ბუჩქი, სულ გამოყენებული იქნება 29 ძირი ფორზიცია და მისგან შეიქმნება დაჯგუფებები სამ ადგილას, რომელიც ადრე გაზაფხულზე დაამშვენებს სკვერს თავისი ყვითელი, სურნელოვანი ყვავილებით. (სურათები 2., 3..)



სურათები 2., 3..




სკვერს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში ესაზღვრება ფერდობი, სადაც კორდია და-გებული, ფერდობის ქვემოთ დაიდგმება 3 საბალო სკამი, რომელთა შორისაც დაირგვება შინაური ნანდინას 1 – 1,5 მ სიმაღლის ბუჩქები. ნანდინა მთელი წლის განმავლობაში წარ-მოადგენენ ღირებულებას მწვანე ნარგაობაში თავისი ახალი ყლორტების მეწამული წითე-ლი ფერით, რომელიც ყვავილობს ივნისის ბოლო დეკადიდან ივლისის დასასრულამდე თეთრ საგველა ყვავილედეში შეკრებილი ყვავილებით. გადაყვავილების შემდეგ კი მისი ნაყოფები ჯერ მწვანე ფერისაა შემდეგ კი მუქი წითელი და ამ მდგომარეობაში რჩება ბუჩ-ქზე მთელი წლის განმავლობაში.

სკვერის ბოლო ნაწილში დაირგვება 3 ძირი ამერიკული ლირიოდენდრონი, რომ-ლის მთავარი დანიშნულება, გარდა იმ დეკორატიული ღირებულებებისა, რომელიც გააჩ-ნია არის ტერიტორიაზე ჩრდილის შექმნა. მათ ჩრდილში გაჩნდება კიდევ ერთი მოსასვე-ნებელი სკამი.

ამერიკული ლირიოდენდრონების პირდაპირ ბილიკს ორივე მხარეს ინდური იასამ-ნების ხეივანი გასდევს, განსაკუთრებით გამოირჩევა ყვავილობის დროს ივლისიდან სექ-ტემბრის ჩათვლით, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ყურადღებას იპყრობს მისი ლამაზი დაგრებილი ვარჯი და მოთეთრო-მონაცრისფრო პრიალა, ვარდისფერ ანარეკლიანი ქერქი. ბილიკის მარჯვენა ფერდის მხარეს ინდურ იასამნებთან ერთად წრეს ქმნის სურნელოვანი ოსმანთუსების ნარგაობა, რომელიც ამ ექსპოზიციაში გათვალისწინებულია ინდური ია-სამნების ვარჯისათვის მწვანე ფონის შესაქმნელად ზამთარში, ასევე იგი დაჩრდილავს ერ-თ-ერთ ბილიკს, ყვავილობისას კი ვიზიტორები დატკებიან სასიამოვნო ტკბილი სურნე-ლით.

მთავარი სამარშრუტო გზიდან სკვერში გადასასვლელად წყლის არხზე გაკეთდება 2 პატარა ხიდი, ერთ - ერთის დასაწყისში წყლის სარკვეზე დაირგვება მტირალა ტირიფის 1 ეგზემპლარი. არხის მთელ სიგრძეზე კი ინდური შქერის 0,7 – 1 მ- მდე სიმაღლის სხვად-სხვა ფერის ბუჩქები განლაგდება, რომლებიც მათის თვის მეორე დეკადიდან ივნისი მეო-რე დეკადამდე რამდენი ფერით გაამდიდრებს სკვერის მხატვრულ ექსპოზიციას. (სურათი 4.)



სურათი 4.,5..

სკვერის ცენტრში გათვალისწინებულია პატარა აუზი, რომლის ირგვლივ განლაგდებ-ა საბალო სკამები. სკვერში აქა-იქ განლაგებული იქნება ჩვეულებრივი ანუ ევროპული იუ-



დას ხის ეგზემპლარები და შრომანისებრი მაგნოლიას რამდენიმე ბუჩქი, რომლებიც ადრე გაზაფხულიდან დაამშვენებენ სკვერის სხვადასხვა კუთხეს ლამაზი იასამნისფერი ყვავილებით. (სურათი 4.,5..).

ამრიგად, დენდროლოგიური ნაწილის დამუშავებისას სულ ვითვალისწინებთ არსებულ მერქნიან მცენარეთა სახეობებს, რომლებიც ნორმალური ზრდა-განვითარებით გამოირჩევიან, ამიტომ ვამატებთ ახალ ასორტიმენტს კომპოზიციური შეთანაწყობით. მარადმწვანე ეფექტის შენარჩუნებისათვის: სურნელოვანი ოსმანთუსის ხის 10 ძირს და ბუჩქებიდან - ლანცეტისებურ კალისტემონის 16, დიდყვავილა აბელიას 15, შინაური ნანდინას 11 და ინდური როდოდენდრონის 45 ძირს. ფოთოლმცვენი მერქნიანებიდან: ამერიკული ლირიოდენდრონის 3, ბაბილონის ტირიფის 1, შრომანისებური მაგნოლიას 10, ინდური იასამანის 18, ევროპული იუდას ხის 27, მუქ-მწვანე ფორზიციას 29 ძირი. (ცხრილი # 1.)

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ქვედა პარკის ტერიტორიაზე გამოყენებული მცენარეების რაოდენობრივი მაჩვენებლები

ცხრილი # 1.

N	# მცენარის დასახელება	რაოდენობა	სიმაღლე სმ/მ.
1	ამერიკული ლირიოდენდრონი, ანუ ტიტას ხე <i>Liriodendron tulipifera</i> L.	3	2-3მ.
2	ბაბილონის ტირიფი <i>Salix babilonica</i> L.	1	2-3მ.
3	სურნელოვანი ოსმანთუსი <i>Osmanthus fragrans</i> L.	10	3-4მ.
4	ლანცეტისებური კალისტემონი <i>Callistemon sciosus</i> DC.	16	1-2მ.
5	შრომანისებური მაგნოლია <i>Magnolia liliflora</i> Desr	10	1-1,5
6	ინდური იასამანი, ანუ ირმის რქა <i>Lagerstroemia indica</i> L	18	1,5-2მ.
7	ჩვეულებრივი, ანუ ევროპული იუდას ხე <i>Cercis siliquastrum</i> L	27	1მ.
8	დიდყვავილა აბელია <i>Abelia grandiflora</i> Rehd.	15	60-80 სმ.
9	შინაური ნანდინა <i>Nandina domestica</i>	11	1-1,5მ.
10	ინდური შქერი <i>Rhododendron ponticum</i>	45	50-1მ.
11	მუქ-მწვანე ფორზიცია <i>Forsythia viridissima</i> Lindl..	29	50-80 სმ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. - დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2013 წ. 220 გვ.
2. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. - დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 2, ნაწილი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2014 წ. 210 გვ.



Situation on the territory of the lower part of Batumi Botanical Garden and planting and reconstruction activities

Gubeladze Ekatherina

Academic doctor, Associated professor

Djapharidze Magdana

Magister

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: Reconstruction, design area, planting, composite arrangements.

Green planting has always been and still is a concern for city leaders when green plants, like as gardens, parks, and boulevards, give the city not only an artistic look but play a major role in shaping the healthy environment needed for human existence.

The design area is located on the left side of the main road. To the east is a former citrus farm, to the west- George Gabrichidze Seaside Park, built in the 50s of the last century by the head of the Department of Decorative Horticulture and Horticulture, Candidate of Biological Sciences Giorgi Gabrichidze, on a 2 hectare site in a French-regular style. Both coniferous and deciduous plants are used here. Here are groups created with evergreen and blossom effects at any time of the year.

The area is about 2000 m², most of which will be dedicated to greenery, with minimal use of architectural elements to preserve the natural appearance. The range of plants is not only a phenological observation site, but there will be added a *Salix alba*, which gives a special effect at the water mirror, as well as a few specimens of the *Butia capitata* to supplement the existing *Butia* plant.

Highly decorative flower-herbaceous plants will be planted seasonally in the area for better effect and artistic exposure. The path from the main access road to the project area is divided into two parts by two rectangular clumps, which will be seasonally decorated with summer and winter flowering plants that will have an effect on the visitor.

On both sides of the clump is a lawn with 12 specimens of callistemon planted on the adjacent side of the path, creating an alley on the path, that partially shades the path, in addition to its highly decorated evergreen nature callistemon will reserve a value of the main entrance of the design site throughout the year. In addition to the abovementioned, callistemon blooms from the second decade of April to the second decade of June with red flowers.

On the right side of the path the main road is demarked by a triangular-shaped lawn, with 15 bushes of *Abelia grandiflora* approximately 60-80 cm height, the row of which will be ended by *Forsythia viridissima* and will form a triangular section, totally will be used 29 plants of *Forsythia* of the same height. By it will be formed groups in three places, which will decorate a square with yellow, fragrant flowers in early spring.

The square is bordered by a slope in the extreme northern part where *Cordia* is paved, three benches will be made below the slope and *Nandina domestica* bushes of 1-1.5 height will be planted between them. Throughout the year, *Nandina* represents the value of greenery with the purple-red new shoots, which bloom from late December to late July with white flowers in blooming flowers. After flowering its fruits are first green and then dark red and remain in the bush all year long.



At the end of the square will be planted 3 plants of American lyrodendron, the main purpose of which, in addition to its decorative values, is to create shade on the territory. In their shade will be made another bench.

Along both sides of the straight path of American Lyrodendrons is flowed Indian lilac alley, mostly it is notable in flowering from July to September, in autumn-winter period the most beautiful is its stripped –down crown and whitish-greyish bark with pink reflect. On the right side of the path, along with the Indian lilacs a fragrant Osmanthus plantation makes a circle creates, which is set up to create a green background for the Indian lilacs in winter, and it also shades one of the paths and during blossoming the visitors will take pleasure in sweet aroma.

Two small bridges will be made across the water channel from the main road to the square, with one specimen willow at the beginning. Along the length of the canal there will be different colored Indian shrubs of 0.7-1 m high, which will enhance the artistic exposure of the square from the second decade of May to the second decade of June. In the center of the square there will be a small pool with the benches around. In the square will be placed ordinary or European Judah wooden specimens and some lily magnolia bushes that will decorate the corners of the square in early spring with beautiful lilac flowers around it.

Thus, while processing the dendrological part, we take into account existing timber plant species that are characterized with normal growth and development, so we are adding a new range of composite arrangements. For evergreen effect: Osmanthus fragrans- 10 plants, Callistemon seciosus 16, Abelia grandiflora 15, Nandina domestica 11 and Rhododendron indicum 45, Deciduous: Liriodendron tulipifera 3, Salix babilonica 1, Magnolia liliflora 10, Rhododendron indicum 18, Cercis siliquastrum 27, Forsythia viridissima 29.



მწვანე გადახურვა ჯანმრთელი ქალაქებისთვის

ხარხელაური ნინო

ეკოლოგიის მაგისტრი, საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაცია, დამფუძნებელი, თბილისი, საქართველო

სუჯაშვილი მარინა

სატყეო საქმის მაგისტრი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე, საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტო, უფროსი სპეციალისტი, თბილისი, საქართველო

თვაური ირინა

სოფლის მეურნეობის დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, უფროსი სპეციალისტი, თბილისი, საქართველო

გარემოს არასწორმა ექსპლუატაციამ კაცობრიობა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან შექმნილი მდგომარეობის შესარბილებლად დაიწყეს ახალი ტექნოლოგიების შესწავლა და გამოყენება. მათ მიეკუთვნება მწვანე ანუ ცოცხალი გადახურვა. წარმოდგენილი სტატია შეეხება მწვანე გადახურვების პოპულა-



რიზაციას, გადახურვებში მცენარეულ საფარად საქართველოს და კავკასიის ენდემების გამოყენების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: ურბანული ცხელი კუნძული, ექსტენსიური გადახურვა, საქართველოს ენდემები, სედუმები.



ავსტრალია


მწვანე გადახურვა სათავეებს იღებს ანტიკური ხანიდან, ძალიან ბევრ ქვეყანაში გადახურვები ძირითადად ხორციელდებოდა მცენარეული საფარით. მაგ. სკანდინავიის ქვეყნებში ასეთი გადახურვები პრაქტიკულად უალტენატივოდ გამოიყენებოდა მე-18 საუკუნემდე, სანამ ეს მწვანე სახურავები ნელ-ნელა არ ჩაანაცვლა თანამედროვე სახურავებმა.

თუმცა მე-20 საუკუნიდან ისევ დაიწყო მწვანე სახურავების გამოყენება თავისი უამრავი დადებითი თვისების გამო და დღესდღეობით მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები გამუდმებით ცდილობენ გაზარდონ მწვანე გადახურვის ფართობები. დღეისათვის გერმანიის სახურავების 15%-ზე “მწვანეა”. ხოლო შვეიცარიაში მწვანე გადახურვებზე 1990 წლებიდან ფედერალური კანონიც კი არსებობს.

რატომ უნდა გამოვიყენოთ მწვანე გადახურვა



ტრადიციული და მწვანე გადახურვა



მწვანე გადახურვას გააჩნია როგორც ეკოლოგიური, აგრეთვე ეკონომიკური სარგებელი:

ეკოლოგიური სარგებელი:

1. შთანთქავს ნახშირორჟანგს და სხვა დამაბინძურებლებს, რითიც ამცირებს ჰაერის დაბინძურებას, ამცირებს სათბურის ეფექტის მავნე ზემოქმედებას;
2. იმის გამო, რომ მოსული ნალექი სახურავზე არსებულ მცენარეულ საფარზე ჩერდება, მცირდება ნიაღვრების უარყოფითი გავლენა ნიადაგებზე, მდინარეების ნაპირებზე, მცირდება წყლისმიერი ეროზია; უმჯობესდება წყლის ხარისხი;
3. ამცირებს ურბანული ცხელი კუნძულების ეფექტს. იმის გამო, რომ სითბოს შთანთქმა ხდება მცენარეული საფარის მიერ სახურავი აღარ ცხელდება და შესაბამისად სახურავზე, შენობაში და შენობის ირგვლივ ტემპერატურა გაცილებით დაბალია, ვიდრე ტრადიციული სახურავით გადახურულ შენობაში და მის ირგვლივ; (კვლევების მიხედვით, ზაფხულის ცხელ დღეებში, ურბანული ადგილები, როგორცაა გზები, ტროტუარები, ტრადიციული სახურავები, 27-50°C-ით ცხელია, ვიდრე ჰაერი, ვიდრე გამწვანებული და დაჩრდილული ადგილები.

(U.S. Environmental Protection Agency ; "Urban Heat Island Basics." In: Reducing Urban Heat Islands: Compendium of Strategies. Draft. 2008, Washington; https://www.epa.gov/sites/production/files/2017-05/documents/reducing_urban_heat_islands_ch_1.pdf)

4. ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას;

ეკონომიკური სარგებელი:

1. ფერხდება ნიაღვრების წარმოქმნა ნალექის დროს, რაც ხელს უწყობს სანიაღვრე სისტემების სეუფერხებელ მუშაობას და შესაბამისად იცავს ასფალტის საფარს დაზიანებისგან; დადგენილია, რომ 1 700 000 მ² მწვანე სახურავს შეუძლია 19%-



- ით განტვირთოს სანიაღვრე სისტემები.
2. მცირდება სახურავის ტემპერატურა და შესაბამისად შენობის გაგრილებისთვის გაწეული ხარჯები;
 3. ინარჩუნებს სითბოს, რის გამოც ზამთრის თვეებში გათბობის ხარჯი მცირდება დაახლოებით 15-20%-ით.
 4. ზრდის სახურავების ექსპლუატაციის ვადას დაახლოებით 50 წლით.

მწვანე გადახურვის ტიპები: ინტენსიური, ნახევრად ინტენსიური და ექტენსიური. გადახურვის ტიპების ეს კლასიფიკაცია ეყრდნობა იმ მცენარეულ საფარს, რაც გამოიყენება გადახურვისას.


ინტენსიური: იმის გამო, რომ ინტენსიური ინტენსიური მწვანე გადახურვა ტრადიციული ბაღის მსგავსია, მრავალფეროვანი მცენარეებით, ნიადაგის საფარმა შეიძლება 60 სმ-ს მიაღწიოს, კვადრატულ მეტრზე კი მისმა სიმძიმემ 300 კგ-ს. საჭიროებს რეგულარულ მოვლას, მისი შექმნა და შემდგომი მოვლა დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ნახევრად ინტენსიური: ნახევრად ინტენსიური გადახურვის დროს გამოიყენება დაბალი მცენარეები, ძირითადად ბალახოვანი და ბუჩქოვანი, სუბტრატი მსუბუქია, თუმცა იმის გამო, რომ გამოყენებული მცენარეების ფესვთა სისტემა შედარებით ძლიერი და დიდია, ამიტომ სუბსტრატის სიღრმე 10-20 სმ-ია. მას შუალედი ადგილი უკავია ინტენსიურ და ექსტენსიურ მწვანე გადახურვებს შორის.

ექსტენსიური: ექსტენსიური მწვანე გადახურვის ნიმუში პირველად წარმოადგინა გერმანიამ მე-20 საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში, რომელსაც მცენარეულ საფარად გამოყენებული ქონდა სედუმები, მცენარეები, რომელთა გამრავლება თუ მოვლა მინიმალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამ მცენარეებს შეუძლიათ გაუძლონ ნებისმიერ არახელსაწრელ პირობებს, როგორც გვალვას, აგრეთვე ყინვას, დაფესვიანების შემდგომ კი მათი მოვლა შემოიფარგლება სარეველების და მავნებელ-დაავადებათაა მონიტორინგით და კონტროლით წელიწადში ორჯერ. რადგან სედუმების ფესვი ზედაპირულია, ამიტომ სუბსტრატის სისქე 5-15 სმ ფარგლებში მერყეობს. სუბსტრატისადმი მთავარი მოთხოვნაა სიმსუბუქე და კარგი დრენაჟი, სუბსტრატად გამოყენებულია სხვადასხვა მსუბუქი მასალის ნარევი: ტორფი, ხრეში, პერლიტი, სილა, ქვიშა და ა.შ.

თუმცა მწვანე გადახურვა არ უნდა წარმოვიდგინოთ მხოლოდ სუბსტრატი და მცენარე, მწვანე გადახურვებს გააჩნიათ თავიანთი ტექნოლოგია, რომელიც გერმანელებმა შესთავაზეს მსოფლიოს და დღემდე ლიდერები არიან.

ექსტენსიური მწვანე გადახურვის ტექნოლოგია:



ექსტენსიური მწვანე გადახურვის დადებითი მხარეები:

1. მსუბუქია;
2. მოვლის ხარჯი მინიმალურია;
3. სამჯერ იაფია ვიდრე ინტენსიური მწვანე გადახურვა;
4. იგივე ეფექტი აქვს რაც ინტენსიურ და ნახევრად ინტენსიურ მწვანე გადახურვას;
5. შეიძლება მოეწყოს როგორც სწორ, აგრეთვე დახრილ სახურავებზე.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს სწორედ ექსტენსიური მწვანე გადახურვებისთვის მცენარეული კომპონენტების შერჩევა.

შევისწავლეთ საქართველოში გავრცელებული მსუქანასებრთა (Crassulaceae) ოჯახის წარმომადგენლები. ისინი ძირითადად გავრცელებული არიან კლდოვან და ქვიან ადგილებში, ზღვის დონიდან 1000-3000მ სიმაღლეზე.

მცენარეთა შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები იყო: მრავალწლიანი; ყინვა-გამძლე; ნიადაგმფარავი, გარემო პირობებისათმი მსგავსი მოთხოვნებით; საქართველოს ან კავკასიის ენდემი;

შევისწავლეთ ჩვენს ხელთ არსებული უახლესი ლიტერატურა და საქართველოში გავრცელებული მსუქანასებრთა ოჯახიდან შევარჩიეთ 5 სახეობა;

1. *Sedum spirium* var. *involucratum*- კავკასიის ენდემია, მარადმწვანე, მრავალწლიანი, ნიადაგმფარავი, მწვანე, მშრალ კლიმატში წითლდება, ადვილად მრავლდება, აუცილებელია კარგად განათებული ადგილი, ყვავილობის პერიოდი მაისი-ივნისი. იდეალურია მწვანე გადახურვისთვის.





2. *Sempervivum caucasicum* -მარადმწვანე, მრავალწლიანი, კავკასიის ენდემი, გავრცელებულია სუბალპურ და ალპურ ზონებში 2500 მეტრამდე, კლდეებსა და ქვიან ადგილებში, უძლებს ძლიერ ყინვას, გვალვას, მრავლდება ამონაყარით. იდეალურია მწვანე გადახურვისთვის.




3. *Sempervivum annae* კლდისვაშლა- საქართველოს ენდემი, მრავალწლიანი, ადაპტურებულია მზიან ან ნაწილობრივ ჩრდილიან ადგილს, გავრცელებულია საქართველოს ბევრ რეგიონში: თუშეთი, მესხეთი, აჭარა, სამეგრელო. იდენტიფიცირებულია თუშეთში 1963 წელს.



4. *Sempervivum ermanicum* -საქართველოს ენდემი, გავრცელებულია 2500-3000 მეტრ სიმაღლეზე; მზიანი ან ნაწილობრივ ჩრდილი, იტანს ძლიერ ყინვას და გვალვას; მრავლდება ამონაყარით.



5. *Sempervivum charadzeae* -საქართველოს ენდემი, შეტანილია წითელ ნუსხაში, როგორც მოწყვლადი სახეობა. იტანს ძლიერ ყინვებს და გვალვას, ყვავილობის პერიოდი: გვიანი ზაფხული ან ადრეული შემოდგომა; მრავლდება ამონაყრით.



აქვე აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია მწვანე გადახურვებში გამოვიყენოთ საქართველოში გავრცელებული სხვა სახეობებიც.



Sedum album



Sedum acre- აღსანიშნავია, რომ ეს სახეობა უძლებს ფეხით სიარულს, ყინვაგანძღე და გვალვაგამ-
ლე მცენრეა, ყვევილობს გვიან ზაფხულში, ადრე შემოდგომაზე. ნიადაგმფარავია.



Sedum spurium oppositifolium

ჩვენი კვლევის შედეგებიდან შესაძლებელია დავასკვნათ:

1. ჩვენს მიერ გამოკვლეული სახეობების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ძველი მწირი ინფორმაციაა, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია ხელახალი კვლევა მათი გავრცელების არეალის და რაოდენობის დასადგენად.
2. არსებული სახეობები საშუალებას იძლევა შეექმნათ სპეციალური მწვანე საფარი გადახურვებისთვის; რაც საშუალებას მოგვცემს, არამარტო გავამრავლოთ და შევინარჩუნოთ არსებული სახეობები, არამედ მწარმოებლებს მივცეთ ეკონომიკური გაძლიერების საშუალება.
3. მწვანე გადახურვების გამოყენება საშუალებას მოგვცემს შევარბილოთ არასწორი ურბანიზაციის უარყოფითი შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. GreenRoofs. Greenroofs 101. 2010. <http://www.greenroofs.com/> 12/11/2015;
2. U.S. Environmental Protection Agency ; "Urban Heat Island Basics." In: Reducing Urban Heat Islands: Compendium of Strategies. Draft. 2008, Washington;
https://www.epa.gov/sites/production/files/2017-05/documents/reducing_urban_heat_islands_ch_1.pdf;
3. Peck, S., M Kuhn. CMHC Design guidelines for green roofs. 2008.
<https://www.aaa.ab.ca/aaa/CMDownload.aspx?ContentKey=08a3fb5e-5b32-4742-8c78-a4341e51c4b4&ContentItemKey=746a48d3-81e2-4072-83cd-5324d5aee611> 12/11/2015;
4. A report of the United States General Service Administration; "The benefits and challenges of green roofs on public and commercial buildings, 2011 წ , Washington.



5. M.Sachokia, C.Chutzishvili “Conspectus florae plantarum vascularium Chewii” “მეცნიერება” თბილისი, 1975;
6. J. Solomon, T. Shulkina. G. E. Schatz “Red list of the endemic plants of the caucas” Missouri botanical garden press” Missouri, USA, 2013;

Green Roofs for Healthy Cities

Kharkhelauri Nino

Master of Ecology, Georgian Ornamental and Endemic Varieties Growers Association, founder, Tbilisi, Georgia

Sujashvili Marina

Master of Forestry, Honored Forester of Georgia, National Forestry Agency of Georgia, Senior Specialist, Tbilisi, Georgia

Tvauri Irina

Doctor of Agriculture, Scientific-Research Center of Agriculture, Senior Specialist, Tbilisi, Georgia

Abstract

Key words: Urban heat island, extensive green roofs; Georgian Endemic plants, Sedums

Improper exploitation of the environment poses great challenges to mankind. The developed countries of the world have begun to study and use new technologies to mitigate urban hardscape challenges. The presented article is about the promotion of green coverings, the possibility of using Georgia and the Caucasus endemic plants in extensive green roofs.

In 1950s 1960s German studies demonstrated extensive green roofs covered with sedums, now about 15% of flat rooftops in Germany are green roofs.

There are a lot of benefits of green roofs: economic, environmental and social.

Economic benefits:

1. Energy efficiency in hot and in cold days; Green roofs offer thermal insulation that is superior to conventional interior insulation. A green roof prevents heat from escaping out the top in cold climates, and prevents heat from penetrating through in summertime. Reductions of up to 90 percent in passive solar gain can be achieved when using green roofs. Indoor temperatures have been shown to be 6oF to 8oF (3oC to 4oC) lower under a green roof when outdoor temperatures are between 77oF and 86oF (25oC and 30oC). An Environment Canada study shows that a typical one-storey building in Toronto with a grass roof and 4 in. (10 cm) of substrate brought about a 25 percent reduction in summer cooling needs, compared with an unvegetated reference roof (Dunnett and Kingsbury, 2008).

2. Regulate Storm water;

3. Job generation and economic development;

4. Roof longevity;

Environmental benefits:

1. Protection biodiversity;

2. Improving air quality;

3. Improving water quality;

4. Mitigate urban heat Island;

5. Reducing air temperature.

Social benefits:

1. Aesthetics and quality of life;

2. Acoustics; Soil has been found to absorb and block lower frequencies, while plant life blocks the higher ones. A green roof with a soil layer of up to 8 in. (20 cm) can reduce noise pollution by up to



50 decibels.

There are three types of green roofs. Intensive, semi-intensive and extensive;

All of them have their advantages and disadvantages.

Intensive green roofs can be installed only on flat roofs. It is as traditional garden with diverse varieties from bushes to big trees, with lawns and irrigation system, substrate depth must be about 40-60 sm, weigh on 1m² is about 300 kg. It is quite expensive to install and to maintenance.

Semi-intensive green roofs are between intensive and extensive green roofs. In semi-intensive roofs, we use small plants, like grasses, small bushes etc. Depth of substrate is about 15-20sm. Semi-intensive green roofs maintenance depends on plants varieties.

Extensive Green Roofs typically require minimal maintenance, are lightweight, inexpensive and have little plant diversity. The plants are grown in a mixture of sand, gravel, crushed brick, leca, perlite, peat, organic matter and some soil. This mixture is usually between 2 in. to 6 in. (5 cm to 15 cm) in depth, and full saturation will cause a increase in weight between 16 lb./sq. ft. to 35 lb./sq. ft. (78.1 kg/m² to 169.4 kg/m²) (Peck and Kuhn, 2008; Lawlor et al., 2006). Once the plants take root, maintenance is only needed twice annually for weeding and safety inspections. These plants are typically indigenous and hardy enough to withstand extreme climate conditions.

Extensive green roofs can be designed with various slope.

Green roofs need special construction to install. The type of construction vary in terms of the type of plant grow, their maintenance type.

There are type of extensive green roofs, which are covered by sedums.

There are several layers:

1. Roof deck;
2. Waterproofing membrane;
3. Insulation barrier;
4. Root-barrier membrane;
5. Drainage;
6. Filter membrane;
7. Growing medium;
8. Vegetation.

The object of our research is to select the plant components for extensive green roofing.

We studied representatives of the Crassulaceae family, common in Georgia. They are mainly distributed in rocky and stony areas, at altitudes of 1000-3000 meters above sea level.

The main criteria for plant selection were:

1. Perennial;
2. Frost and drought resistant;
3. Creeping,
4. With similar requirements to environmental conditions;
5. Endemic to Georgia or the Caucasus;

We studied the latest literature available to us and selected 5 species.

1. *Sedum sprium* var. *involucratum*-Caucasian endemic, evergreen, perennial, soil-green, reddish in dry climate, easy to multiply, well-lit, flowering period May-June. Ideal for green roofing.
2. *Sempervivum caucasicum* –evergreen, perennial, distributed 2500 m above sea level. Frost and drought resistant.
3. *Sempervivum annae* – Endemic of Georgia, sunny or part shady places, distributed in several regions in Georgia: Tusheti, Meskheta, Ajara, Samegrelo. Discovered in Tusheti in 1963.
4. *Sempervivum ermanicum* –Endemic of Georgia, distributed on 2000-2500m above sea level, frost and drought resistant.
5. *Sempervivum charadzeae* –Endemic of Georgia, red list plant, frost and drought resistant. Flowering period: late summer, early autumn. Propagation by offset.
6. In green roofs, we can also use other species distributed in Georgia: *Sedum album*, *sedum acre*, *Sedum sprium oppositifolium*.

From the results of our research, we can conclude:



1. There is only scarce information in the scientific literature on the species we have studied, and we think it is important to research species of Crassulaceae Family.
2. Existing species allow for the creation of special rolls for green roofing. We will be able to not only multiply and protect existing species, but also to provide producers with an opportunity for economic empowerment.
3. The use of green roofs will allow us to mitigate the negative effects of poor urbanization.



ჯანდაცვა

Same Anesthetic Substances in Coordination Chemistry

Amirkhanashvili Koba

Doctor of Chemical Science, Professor, Main Research Worker of Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry at Tbilisi State University. Tbilisi Georgia.

Zhorzholiani Nani

PhD, Senior Research Worker of Petre Melikishvili Institute of Physical and Organic



Chemistry at Tbilisi State University. Tbilisi ,Georgia.

Tsitsishvili Vladimer

Doctor of Chemical Science, Professor, Academician of the Georgian National Academy of Sciences, Held of Scientific Council of Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry at Tbilisi State University. Tbilisi, Georgia.

Metreveli Lela

PhD, the head of Chemistry Teachers Assotiation, Tbilisi ,Georgia.

Khmaladze Lasha


Bachelor of David Tvildiani Medical University, Tbilisi, Georgia.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი კითხვა გახლდათ - რა მიზეზები/მოტივატორები განაპირობებს პაციენტების საქართველოში ჩამოსვლას? რესპოდენტების 100%-ის პასუხი ამ კითხვაზე არის- პაციენტებისთვის მისაღები ხარისხისა და ფასის ოპტიმალური კომბინაცია. პაციენტები მეზობელი, მოსაზღვრე ქვეყნებიდან, ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამოდიან უკეთესი სამედიცინო ხარისხის გამო. მაგრამ არ მიდიან სხვა ქვეყნებში, მაგალითად თურქეთში, სადაც სამედიცინო ხარისხი უფრო მაღალია, თუმცა სამედიცინო სერვისების ფასი, ქვეყანაში ცხოვრების, მოგზაურობის ხარჯები საქართველოსთან შედარებით უფრო მაღალია. ცალკე გამოვყოფთ სომხეთს, რადგან სომხეთის მოქალაქეები ჩამოდიან ფასის გამო უპირატესად. სამედიცინო ხარისხი მათთანაც განვითარებულია (განსაკუთრებით კარდიოქირურგია და პლასტიკური ქირურგია), მაგრამ უფრო ძვირია.

გრაფიკი #1. SWOT ანალიზი



განსხვავებულია რეპროდუქციული სერვისების შემთხვევაშიც - სუროგაცია, ინ ვიტროს შემთხვევაში პაციენტები მოგზაურობენ ჩვენს ქვეყანაში ლიბერალური კანონ-მდებლობის გამო და შესაბამისად, მათთვის სასურველი სერვისების ხელმისაწვდომობის გამო. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში აკრძალულია ისეთი სერვისები, როგორცაა სურო-გაცია, კვერცხუჯრედის დონაცია, ზოგ ქვეყანაში ხელოვნური განაყოფიერებაც კი. ამის გა-მო, სამედიცინო ტურიზმის ფასილიტატორ/შუამავალ კომპანიებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილიდან, შორეული ქვეყნებიდანაც ჩამოყავთ დაინტერესებული წყვილები. რესპო-დენტების თქმით, ამ მიზნით ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი პაციენტი ჩამოდის ჩინეთი-დან და ისრაელიდან. ლიტერატურაში საქართველო ნახსენებია იმ ქვეყნებს შორის, რომ-ლებიც სწრაფად იხვეჭენ პოპულარობას ასისტირებული რეპროდუქციის სერვისების მი-წოდებით (Deonandan, Raywat. “RecentTrendsInReproductiveTourismandInternationalSurrogacy: EthicalConsiderationsandChallengesforPolicy.” *RiskManagementandHealthcarePolicy*, n.d., 111).

პლასტიკური ქირურგიის მიმართულებით, პაციენტები ჩამოდიან, ასევე, ხარისხის და ფასის მისაღები კომბინაციის გამო. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართვე-ლოს არჩევის არის ტურისტულად მომხიბვლელი პირობები საქართველოში და დასვენე-ბის, გართობის კომბინირების შესაძლებლობა სასურველ მკურნალობასთან ერთად. მაგა-ლითად, ერთ-ერთმა პლასტიკური ქირურგიის კლინიკამ 2019 წლის ივნისში, გახსნა ფი-ლიალი კურორტ „საირმეს“ ტერიტორიაზე.

ლიტერატურაში აღწერილი სამედიცინო ტურიზმის განმაპირობებელი მნიშვნე-ლოვანი მოტივატორებიდან ჩვენი კვლევის შედეგებითაც გამოიკვეთა, რომ ძალიან მნიშ-ვნელოვანია კულტურული სიახლოვე და ქვეყნის ცნობადობა, ასევე ტერიტორიული სიახ-



ლოვე. მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის ნაცნობია საქართველოს კულტურა, ჯანდაცვა.

ამჟამად, საქართველოში, სამედიცინო ტურისტების ყველაზე დიდი რაოდენობა ჩამოდის აზერბაიჯანიდან (აზერბაიჯანის საქართველოს მოსაზღვრე ნაწილი), ჩეჩნეთიდან, ჩრდილო-ოსეთიდან, ინგუშეთიდან. ბოლო პერიოდში გაიზარდა ნაკადები შუა აზიის ქვეყნებიდან- ყაზახეთი (განსაკუთრებით აქტაოს მხარე), უზბეკეთი. კლინიკები მუშაობენ და უცხოელ პაციენტებს იზიდავენ ყირგიზეთიდან, რუსეთიდან, თურქმენეთიდან. რაც შეეხება რეპროდუქციულ სერვისებს, ამ მიზნით საქართველოში უცხოელი პაციენტები ჩამოდიან მთელი მსოფლიოდან.

ზოგადად, ექსპერტების მოსაზრებით, იმ სამედიცინო სერვისებისთვის/მკურნალობისთვის, რომელიც ნაციონალური დაზღვევით ფინანსდება ევროპიდან საქართველოში პაციენტები არ ჩამოვლენ, არც არაბები და ებრაელები. მათი შეფასებით, ცივილიზებული ქვეყნებიდან პაციენტები ჩამოვლენ მხოლოდ პლასტიკური ქირურგიის, სტომატოლოგიის, თმის გადანერგვის სერვისებისთვის, შესაძლოა სპა-თერაპიისთვისაც. ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც ურგენტულია საჭირო მკურნალობა და რიგებია პაციენტის ქვეყანაში, მაგალითად, ღვიძლის გადანერგვის საჭიროებისას.

კითხვაზე, რა ბარიერები და გამოწვევები არსებობს სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის ქვეყანაში და კონკრეტულად ჯანდაცვის სექტორში, რესპოდენტები პირველ ადგილზე აყენებენ სამედიცინო ტურიზმის გლობალურ ბაზარზე ქვეყნის პოზიციონირების პრობლემას. საჭიროა ქვეყნის პოზიციონირება, როგორც სამედიცინო ტურიზმის დესტინაცია, ცნობადობის ამაღლება ქვეყნის და ჯანდაცვის სერვისების, ხარისხის შესახებ.

კიდევ ერთ ბარიერს წარმოადგენს პროვაიდერულ სექტორში სამედიცინო სერვისების სტანდარტიზაციის ნაკლებობა, ხარისხის რეგულირებისა და კონტროლის სისუსტე სახელმწიფოს მხრიდან. გამომდინარე იქედან, რომ ლიტერატურაში აღწერილია მრავალი მაგალითი, თუ როგორ აზიანებს შეუქცევადად ქვეყნის, როგორც სამედიცინო ტურიზმის დესტინაციის იმიჯს არადამაკმაყოფილებელი ხარისხი და სამედიცინო ტურისტების მკურნალობის შემდგომი გართულებები, ჯანდაცვის სამინისტროს, როგორც მარეგულირებლის სუსტი როლი დიდ საფრთხეს წარმოადგენს ამ მიმართულების განვითარებისთვის.

ლიტერატურაში, საერთაშორისო აკრედიტაცია და წამყვან კლინიკებთან აფილირება სახელდება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად სამედიცინო ტურიზმში კლინიკის მონაწილეობისთვის, საქართველოში ამ საკითხთან მიმართებაში არის აზრთა სხვადასხვაობა კლინიკების ხელმძღვანელ პირებს შორის. ჩვენს მიერ გამოკითხული კლინიკების ხელმძღვანელი პირების მხოლოდ მესამედი მიიჩნევს სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებლად საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებას სამედიცინო დაწესებულებების მიერ. თუმცა, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით (სამედიცინო დაწესებულებების შენობის, ინფრასტრუქტურის გამო და სხვა) ძალიან რთულია ისეთი აკრედიტაციის მოპოვება, როგორც არის JCI და Temos International. ამ ეტაპზე, არც სამედიცინო ტურიზმის ფასილიტატორებისა და არც სამედიცინო ტურისტების მხრიდან საერთაშორისო



სო აკრედიტაციასთან დაკავშირებით კითხვები და მოთხოვნა არ არსებობს. ამის მიუხედავად, სამედიცინო ტურიზმის საბჭოში აუცილებლად მიაჩნიათ აკრედიტაციის პროცესის დაწყება ქვეყნის გლობალურ ბაზარზე პოზიციონირებისთვის. ასევე, საერთაშორისო აკრედიტაციის ფლობა აუცილებელია საზღვარგარეთის სადაზღვევო კომპანიებთან და ფონდებთან კონტრაქტების მოპოვებისთვის. დღესდღეობით, JCI აკრედიტაცია აქვს მხოლოდ ერთ კლინიკას საქართველოში.

სამედიცინო დაწესებულებები საქართველოში, რომლებიც აქტიურად მუშაობენ სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე ხარისხისა და იმიჯის ასამაღლებლად იყენებენ საერთაშორისო, ცნობილ ჰოსპიტალურ ქსელებთან და ასოციაციებთან აფილირებას და უცხოელი ექიმების ჩართულობას პაციენტების მკურნალობის ხარისხის მონიტორინგში (მაგ. „ტუმორ ბორდი“-ს ფორმატში).

საშუამავლო კომპანიების წარმომადგენლების მიერ დანახული პრობლემებიდან მწვავედ სახელდება კლინიკების მხრიდან ოპერატიულობის პრობლემა. თავად კლინიკების ხელმძღვანელი პირებიც (ისინი რომელთაც უკვე აღქმული აქვთ ამის მნიშვნელობა) აღნიშნავენ, რომ როდესაც აგენტებისგან შემოდის მოთხოვნა/კითხვა კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ოპერატიულ რეაგირებას, მაქსიმუმ 48 საათის, სასურველია 24 საათის განმავლობაში გაეცეს პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოთხოვნა დაკარგულია კლინიკისთვის და კლინიკის რეპუტაციაც ზარალდება სააგენტოს თვალში. სააგენტოების წარმომადგენლების მოსაზრებით, საქართველოს კლინიკების უმრავლესობისთვის საჭიროა ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ოპერატიულობისა და მოქნილობის გაზრდა.

კიდევ ერთ ბარიერად დასახელდა სამედიცინო პერსონალის მიერ ენების ფლობის საკითხი (როგორც ექიმების, ასევე ექთნების). ფასილიტატორი კომპანიების ხელმძღვანელი პირების თქმით, ენობრივი ბარიერი არსებობს რუსულად მოსაუბრე პაციენტებისთვის. „ექიმების უფროსი თაობა თუ მეტ-ნაკლებად საუბრობს რუსულად ის პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია უცხოელ პაციენტებთან კომუნიკაციაზე რუსულად არ საუბრობს უმეტესწილად“. მოჰყავთ თურქეთის მაგალითი, სადაც ყველა ძირითადი სამიზნე ბაზრის საჭიროებებია გათვალისწინებული და ჰყავთ შესაბამისი პერსონალი ან ქირაობენ თარჯიმნებს.

პრობლემები არსებობს სამედიცინო პერსონალის კომუნიკაციის უნარებშიც. სამედიცინო ტურიზმის შესახებ ლიტერატურაში, ამ საკითხს დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. ჩვენი კვლევის ფარგლებშიც გამოიკვეთა, რომ სამედიცინო პერსონალს ესაჭიროება კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება, სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და ა.შ.

საქართველოში, სამედიცინო ტურიზმის გზრდისთვის რელიგიურ-კულტურული განსხვავებები გამოწვევას წარმოადგენს, დღესდღეობით. მაგალითად, სამედიცინო ტურისტებს საუდის არაბეთიდან, ირანიდან, ყატარიდან, ქუვეითიდან რელიგია უკრძალავს საპირისპირო სქესის ექიმის შეხებას. მეტიც, რიგ შემთხვევებში ითხოვენ, რომ მთელ ფლიგელში, სადაც არის რამდენი პალატა არცერთი არ უნდა იწვევს საპირისპირო სქესის არცერთი პაციენტი. იმის გამო, რომ ვერ აკმაყოფილებენ ასეთ მოთხოვნებს, პლასტიკური ქირურგიის კლინიკები კარგავენ ამ სეგმენტის პაციენტებს საკმაო რაოდენობით.



სამედიცინო ტურიზმის ფასილიტატორი კომპანიების აზრით საქართველოს ბაზარზე კლინიკების უმრავლესობაში მენეჯმენტს და ადმინისტრაციას ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება. მათი მოსაზრებით, კლინიკას რომელსაც უნდა საერთაშორისო პაციენტები მოიზიდოს, მის მენეჯმენტს გარკვევით უნდა ესმოდეს როგორ მუშაობს სამედიცინო ტურიზმი მსოფლიოში, როგორია მუშაობის და მომსახურების სტანდარტები უცხოელ პაციენტებთან.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა სამედიცინო სერვისების ფასწარმოქმნის არაერთგვაროვანი მიდგომა კლინიკების მხრიდან. საშუაშუალო კომპანიები ხაზს უსვამენ სამედიცინო სერვისების პაკეტებად გაყიდვის აუცილებლობას. სამედიცინო ტურიზმში თურქებმა, გერმანელებმა და ებრაელებმა მომხმარებლები მიაჩვიეს სამედიცინო სერვისების პაკეტებად გაყიდვას. რა შედის პაკეტში, მკაფიო ფასები უნდა იყოს მითითებული, დამატებითი სერვისებიც და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში კლინიკების უმრავლესობა არ იყენებს ამ მიდგომას.

კიდევ ერთ ბარიერად სამედიცინო ტურიზმისთვის სახელდება პირდაპირი ავიარეისების ნაკლებობა სამიზნე ქვეყნებთან. ინდუსტრიის მონაწილეები აუცილებლად მიიჩნევენ უზბეკეთთან, ჩეჩნეთთან, სხვა ქვეყნებთან პირდაპირი ავიარეისების დანიშვნას. მაგალითად, ყაზახეთიდან, აქტაოს მხარედან პირდაპირ ავიარეისს და 40 წუთიან ფრენას მათი მოსაზრებით მნიშვნელოვანი როლი უჭირავს პაციენტების მოზიდვაში. ლიტერატურაში აღწერილია, რომ ტრანსპორტირების შესაძლებლობებს აქვს კრიტიკული მნიშვნელობა სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის. ექსპერტები ამბობენ, რომ შესაძლოა ითქვას ტრანსპორტირება და საინფორმაციო ტექნოლოგიები არის სამედიცინო ტურიზმის ხერხემალი. მაგალითად, თურქეთის დიდ წარმატებას ამ დარგში დიდწილად უკავშირებენ ავიაკომპანიას-TurkishAirlines, რომელიც 2012 წელს მსოფლიოს 10 საუკეთესო ავიაკომპანიას შორის მეშვიდედ დასახელდა და საუკეთესოდ ევროპაში, აქვს პირდაპირი ავიამიმოსვლა 200-ზე მეტ ქვეყანასთან მსოფლიოში (T, SaniyeNebioglu, andAssProfDrOmerTontus. “Turkeyas a HealthTourismDestination: Reviewingof 2015-2016 Data.”).

რესპოდენტები, სამედიცინო ტურისტების მოზიდვისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ექიმებთან თანამშრომლობას სამიზნე ბაზრებზე, კონფერენციების, შეხვედრების, ტრენინგების ორგანიზებას, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციისა და მიღწევების დემონსტრირებას. ასევე, ონლაინ მარკეტინგს, სოციალურ მედიაში აქტივობას. საჭიროდ მიიჩნევენ სამიზნე ბაზრებზე ექიმების ჩასვლას, უფასო კონსულტაციების ჩატარებას, შედეგების დემონსტრირებას, წარმომადგენლის ყოლას იმ ქვეყნებში. რამდენიმე კლინიკას ყავს სამიზნე ქვეყნებში ე.წ. „ქანთრი მენეჯერებიც“.

რომ შევაჯამოთ, ნარატიული მიმოხილვისა და ჩადრმავებული ინტერვიუების მიგნებებს შორის განსხვავებები - აცდენილობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: ლიტერატურაში სამედიცინო დაწესებულებების საერთაშორისო აკრედიტაცია მიჩნეულია, როგორც აუცილებელი და სავალდებულო სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიაში მონაწილეობისთვის. ხოლო, საქართველოს პროვაიდერული სექტორი და ფასილიტატორებიც აღნიშნავენ, რომ ამაზე მოთხოვნა არ არსებობს პაციენტებისგან, სასურველია საერთაშორისო აკრედიტაციის ქონა ზოგადად, მაგრამ ამ ეტაპზე აუცილებლად არ მიიჩნევენ. პირი-



ქით, მათი მოსაზრებით, არსებული მოცემულობით კლინიკებს გაუჭირდებათ იმ დიდი დანახარჯების უკუგება, რასთანაც არის დაკავშირებული საერთაშორისო აკრედიტაცია (მაგ. JCI ან Temos International).

ლიტერატურიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ქვეყნებში, სადაც სამედიცინო ტურიზმი წარმატებით განვითარდა, მთავრობის მხარდაჭერასა და ჩართულობას ჰქონდა კრიტიკული მნიშვნელობა. საქართველოში, მოცემულ ეტაპზე, მთავრობის ჩართულობა სამედიცინო ტურიზმის განვითარებაში არის მინიმალური, არ არსებობს სტრატეგიული გეგმა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის განისაზღვრა შემდგომი რეკომენდაციები:

ქვეყნის იმიჯისთვის, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებისთვის, საერთაშორისო ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების მოზიდვისთვის საჭიროა საერთაშორისო აკრედიტაციის ფლობა, აფილირება ცნობილ საერთაშორისო სამედიცინო მოთამაშებთან და ა.შ. საჭიროა სამედიცინო დაწესებულებებში ხარისხის რეგულირებისა და კონტროლისა გამკაცრება სახელმწიფოს მხრიდან. სამედიცინო ხარისხის სტანდარტიზება პროვაიდერულ სექტორში.

მნიშვნელოვანია მთავრობის ჩართულობა და როლის გაძლიერება, შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და სახელმწიფო უწყებების ინტეგრირებული მუშაობა.

საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის, პირველ რიგში აუცილებელია ქვეყნის, როგორც სამედიცინო ტურიზმის დესტინაციის პოზიციონირება გლობალურად და პოპულარიზება სამიზნე ბაზრებზე. სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის არ არის საკმარისი ცალკეული კლინიკების წარმატების დემონსტრირება, აუცილებელია გლობალურად გაჩნდეს საქართველოს აღქმა, როგორც სამედიცინო ტურიზმის მიმწოდებელი ქვეყნის, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი სარეკლამო და ცნობადობის გასაზრდელი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. ასევე, ქვეყნის სპა-კურორტების სერვისების ინტეგრირება კლინიკებისა და ჰოსპიტლების სერვისებთან.

საჭიროა სამედიცინო ტურიზმის სერვისის მიმწოდებელი კლინიკების მენეჯმენტისა და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სამედიცინო ტურიზმის სპეციფიკისა და საჭიროებების მიმართულებით.

ექსპერტები საჭიროდ მიიჩნევენ საქართველომ მოახდინოს როლის იდენტიფიცირება და შესაბამისი ნიშა დაიჭიროს სამედიცინო ტურიზმის გლობალურ ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 4dprime.com, & www.4dsites.com. (n.d.). Medical Tourism Trends In The CIS | Global Growth Markets. Retrieved January 4, 2019, from [http://ggmks.com/i-Medical-tourism-trends-in-the-CIS\(A Hospital perspective\)](http://ggmks.com/i-Medical-tourism-trends-in-the-CIS(A Hospital perspective).). (n.d.).
2. A scoping review of scoping reviews: advancing the approach and enhancing the consistency - Pham - 2014 - Research Synthesis Methods - Wiley Online Library. (n.d.). Retrieved July 10, 2019, from <https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1002/jrsm.1123>
3. Abadi, F. A., Sahebi, I. G., Arab, A., Alavi, A., & Karachi, H. (2018). Application of best-worst



- method in evaluation of medical tourism development strategy. *Decision Science Letters*, 7(1), 77–86.
4. Adabi, K., Stern, C. S., Weichman, K. E., Garfein, E. S., Pothula, A., Draper, L., &Tepper, O. M. (2017). Population Health Implications of Medical Tourism. *Plastic and Reconstructive Surgery*, 140(1), 66.
 5. Adler, A., Shklyar, M., Schwaber, M. J., Navon-Venezia, S., Dhaher, Y., Edgar, R., ...Carmeli, Y. (2011). Introduction of OXA-48-producing Enterobacteriaceae to Israeli hospitals by medical tourism. *Journal of Antimicrobial Chemotherapy*, 66(12), 2763–2766. <https://doi.org/10.1093/jac/dkr382>
 6. Akgün, S. (2015). Medical tourism in Turkey: Past, present, and futureSevalAkgün. *European Journal of Public Health*, 25(suppl_3). <https://doi.org/10.1093/eurpub/ckv167.014>
 7. Alsharif, M. J., Labonte, R., & Lu, Z. (n.d.). Patients beyond borders: A study of medical tourists in four countries. *Global Social Policy*, 10(3), 315–335.
 8. Andrei, C. L., Tigu, G., Dragoescu, R. M., &Sinescu, C. J. (2014). Analysis of Medical Tourism for Cardiovascular Diseases. *Amfiteatru Economic*, 16(Special Issue 8), 1136–1150.
 9. Aslan, I., Çmar, O., &Özen, Ü. (2014). Developing Strategies for the Future of Healthcare in Turkey by Benchmarking and SWOT Analysis. *Procedia - Social and Behavioral Sciences*, 150, 230–240.
 10. Author, N. (n.d.). Medical tourism increases in Georgia. <https://www.georgianjournal.ge/society/34899-medical-tourism-increases-in-georgia.html>
 11. Bahadori, M., Malmir, R., Alimohammadzadeh, K., Yaghoubi, M., & Hosseini, S. M. (2017). Identifying and Prioritizing Barriers to Health Tourism Using the Analytical Hierarchy Process. *International Journal of Travel Medicine and Global Health*, 5(1), 33–35.
 12. Baker, D. M. (2015). Medical Tourism Development, Challenges and Opportunities for Asia. *Almatourism - Journal of Tourism, Culture and Territorial Development*, 6(12), 193–210.
 13. Barca, M., Akdeve, E., &Balay, İ. G. (2013). Strategic Analysis of Medical Tourism in Turkey and Strategy Recommendations. *İşletmeAraştırmalarıDergisi*, 5(3), 64–92.
 14. Behrmann, J., & Smith, E. (2010). Top 7 Issues in Medical Tourism: Challenges, Knowledge Gaps, and Future Directions for Research and Policy Development. *Global Journal of Health Science*, 2(2), p80. <https://doi.org/10.5539/gjhs.v2n2p80>
 15. Bolton, S., &Skountridaki, L. (2017). The Medical Tourist and a Political Economy of Care: The Medical Tourist and a Political Economy of Care. *Antipode*, 49(2), 499–516.
 16. Carmen, I., &Iuliana, C. (2014). MEDICAL TOURISM INDUSTRY CHALLENGES IN THE CONTEXT OF GLOBALIZATION. *StrategiiManageriale*, VII(2), 62–70.

Challenges and Barriers for Medical Tourism Development in Georgia

Mikava Nino

PhD(s), MD, MBA

Vasadze Otar

Supervisor, MD, PhD, Associate professor

University of Georgia, School of Health Sciences



Abstract

Key words: Medical tourism, healthcare sector, quality, barriers, challenges.

The global growth in the flow of capital funding, medical technology, health professionals and patients has given rise to the multibillion industry (estimated to be over 110 bn.) of medical tourism, on the global market. The World Health Organization defines medical tourism as encompassing the travel of residents of one country into another to receive some form of medical treatment. The well-established trend of the 21st century medical tourism is the reversed flow of medical tourists from developed to developing countries, more regional movements and emergence of regional hubs that strategically cater services to potential customers in proximity.

The reason for explosive growth of medical tourism market and increasing interest of nations' governments towards this industry is that it is framed as an opportunity, both for economic growth and health system improvement. Furthermore, it is a source of lucrative foreign revenue for the countries inducing growth of economy, an opportunity to participate in global healthcare, to have better healthcare standards, to enhance the development of technically advanced and specialized medical services, better knowledge exchange, reverse brain drains – chance to retain or bring back local healthcare professionals.

Experts of the field find big potential and forecast great perspectives in medical tourism of Georgia. Georgia's healthcare sector is indeed competitive in number of medical services (cardio surgery, plastic surgery, dentistry etc.); private clinics have excellent success rates regarding these medical services, state-of-the-art equipment and qualified health professionals. Considering these factors and its geographical location at the cross road of Europe and Asia Georgia has a potential to become medical tourism hub in Transcaucasia and in the region as well. The total number of Georgia's international visitors increased at a CAGR of 21.7% over 2008-17 and reached a record 7.5mn persons in 2017. Tourism development is one of the key areas in the four pillars of reforms that the government introduced in 2016. Furthermore, one of the aims of planned reforms is development of different types of tourism – medical as well. In January 2019, prime minister of Georgia Mamuka Bakhtadze even declared strategic directions of medical tourism: cardio surgery, plastic surgery and dental care.

At the present time, medical tourism is in the developing stage in Georgia, it is not governed or regulated on the system level and only relies on fragmented efforts of private clinics and mediator firms. Thus, it contains risks with regard to foreign patient safety and image of Georgia as a destination country on the international medical tourism market.

Georgia's hospital sector is mostly private, 84.3% of country's hospital bed stock is owned by private clinics. However, hospital sector is highly fragmented, showing prevalence of small, asset-rich but cash-poor healthcare facilities, whose owners do not communicate among each other and often lack expertise in healthcare management on a stand-alone basis. Georgia has low – 35.7% hospital occupancy rate (WB: WHO) suggesting capacity underutilization. Therefore, management in hospital sector faces problems raise funds for investing in quality improvement or for innovative medical services' development. One of the best solutions of these problems is to develop medical tourism in Georgia. Enhancing medical tourism can attract high-yielding visitors in the country. However, private clinics' efforts in search of potential “source countries” and attracting medical tourists is fragmented, not governed on the system level, totally relying on hospital sector and mediator firms, making it precarious with regard of patient safety and detrimental for Georgia's image as a destination country, on the global market.

This research seeks to identify barriers and challenges for medical tourism development in Georgia, for healthcare sector, as well as, on the system level.

From the literature, evidence shows that external factors in the destination country such as political, economic, socio-cultural and others have considerable impact on medical tourism development. For this reason, goal was to perform situational analysis and to assess influence of external factors on medical tourism development in Georgia and to perform competitor analysis, as well. The purpose is to evaluate Georgia's strengths, weaknesses, opportunities and threats against its



competitors and generally on the medical tourism market.

One of the goals of the research was to identify motivators/drivers influencing medical tourists’ decisions while choosing destination country and to answer the question- why foreign patients choose to visit Georgia for treatment? And at the final stage gap analysis was performed and recommendations elaborated- on the provider and system levels.


At the first stage Narrative Review was performed. For this reason, HINARI, IOM, NCBI, PubMed, Google Scholar, Elsevier scientific article bases were utilized. In total, 140 articles were found and among them 120 were counted to be relevant.

In line with the research goals, 22 semi-structured, deep interviews were conducted - with top management of private clinics, with representatives of local and international medical tourism mediator/facilitator companies, with government officials from Ministry of Healthcare, tourism department and Partnership Fund; with the president of Medical Tourism Association, President of Medical Tourism Council and with Temos International’s representative. The structured part of these interviews was focused to explore - potential of healthcare facilities regarding medical tourism, competitors, the most demanded medical services, needs, barriers and problems existing in hospital sector and on system’s level, needed support from the Government etc. Respectively, interviews were recorded, transcripts made and analyzed via NVIVO software and structured.

For the purpose to scan general environment and analyze impact of external factors on medical tourism development in Georgia PESTEL analysis was conducted. Furthermore, to assess Georgia’s position on the international medical tourism market and with regard to competitors SWOT analysis was performed.

Graph #1. SWOT

Analysis.



One of the main research questions was – which factors, motivators shape patients’ decisions to travel to Georgia for treatment? All respondents provided the same explanation – optimal combination of price and quality. Patients from bordering countries and from post-Soviet Union countries arrive for better medical quality. However, quality of treatment is higher in Turkey, but since costs of traveling and treatment are higher as well, patients don’t go there and prefer Georgia. In case of Armenian patients, price is the determinant of travel. Medical services are well developed in Armenia, especially cardio surgery and plastic surgery, but prices for treatment are higher. Different is situation in case of assisted reproductive services. Surrogating, egg donation is prohibited by law in



many countries, even IVF (In-Vitro Fertilization) services -in some of them. Therefore, patients come to Georgia in search of these services from every part of the World, from very distant countries. Recently, many patients arrive from China and Israel for this reason.

Furthermore, in case of plastic surgery, in addition to favorable combination of price and quality, significant factor is touristic attraction, opportunity to combine treatment with leisure. For this reason, one of the plastic surgery clinics opened new branch on the territory of spa-resort “Sairme”.

At present, greatest number of medical tourists arrives from Azerbaijan, Chechnya, North Ossetia, and Ingushetia. Recently, increasing number of patients arrive from Kazakhstan, Uzbekistan. Medical providers are working to attract patients from Turkmenistan, Kyrgyzstan etc.

Referring to barriers for medical tourism development, first of all, respondents name - Georgia not being positioned, as a medical tourism destination country on international market. Moreover, awareness about the country, its healthcare sector, quality of medical services is low globally, even in post Soviet Union countries.

Another barrier is lack of standartization of medical services and weak role of government regarding regulation and control of quality of medical care. In the literature, there are many examples how low quality of care and complications caused irreversible damage to destination countries' image, on the global market. Therefore, weak regulation of the quality of treatment represents great threat to medical tourism development, in Georgia. Furthermore, in the literature, international accreditation is described as a “ticket to play” in this industry, while in Georgia we have only one JCI accredited hospital. Moreover, interviewed clinics either don't perceive it as a necessity or have desire, but cannot acquire due to hospitals' infrastructure, great costs of acquiring international accreditation etc. However, newly established medical tourism council identifies international accreditation (maybe not JCI and Temos International, but lower range ones) as one of the strategic directions for the council to work on.

Still another barrier, identified by medical tourism facilitators is lack of operational activeness. Moreover, well experienced actors in medical tourism realize importance of providing answer/proposal/invoice in first 24, or 48 hours latest. In Georgia, in vast majority of medical facilities there is a problem with timeliness of reaction and response. To generalize, medical tourism mediators see urgent need to increase qualification in this direction and to improve flexibility of the management and administrative personnel of clinics, in Georgia.

To continue, language barrier of medical personnel in hospitals (especially administrative staff and low-level personnel) and lack of appropriate communication skills raise problems in medical tourism direction. Furthermore, healthcare personnel needs trainings and increase of the awareness regarding religious-cultural specificities of foreign patients. At present, Georgian healthcare facilities lose opportunities and face challenges because of these differences and specificities. To illustrate, patients from Saudi Arabia, Qatar, Kuwait request to be treated by the same gender specialist, as their religion prohibits touching opposite gender doctor. Even more, in case of hospitalization, in the whole wing of clinic, no one of the opposite sex should be hospitalized. Consequently, hospitals lose this kind of patients.

Overall, the situation among interviewed hospitals is polarized. There are clinics that work actively on medical tourism development, possess more information, knowledge and experience. And there are clinics that express desire to attract medical tourists and work on this direction, but are passive, don't invest funds, do not utilize channels to attract foreign patients, do not cooperate with facilitators etc.

One more barrier for medical tourism development is lack of direct flights to potential “source countries”. Stakeholders find it necessary to have direct flights with Uzbekistan, Chechnya etc. For instance, according to their opinion, having direct flight with Kazakhstan (from Octao it takes only 40 minutes to arrive) is one of the main reasons why patient flow from this country increased significantly, recently. Furthermore, in the literature experts of the field say that transporting capabilities and informational technologies are the backbone of medical tourism. Turkey is a good example of this, as Turkish Airlines having direct flights with more than 200 countries has greatly contributed to this country's success in medical tourism (T, Saniye Nebioglu, and Ass Prof Dr Omer



Tontus. “Turkey as a Health Tourism Destination: Reviewing of 2015-2016 Data.”).

To summarize, gap analysis and differences between findings of narrative review and in-depth interviews show: in the literature international accreditation of medical facilities is mandatory and necessary to participate in medical tourism industry. While in Georgia, both, provider sector representatives and facilitators indicate that there is no demand for this from patients, currently. Moreover, JCI (Joint Commission International) accreditation is quite costly and difficult to achieve, especially for vast majority of Georgian clinics, where buildings and infrastructure are not meeting requirements of JCI. However, in order to cooperate with international funds and insurance companies clinics must have international accreditation.

As literature review shows, Governments of the countries that have become top destinations and successful in medical tourism have played key role by putting this direction on the top of their agenda and enacting policy for supporting and promoting medical tourism. Currently, Georgia’s government does not have defined policy and strategy for medical tourism development in the country, this issue is not included in agendas of any governmental units, neither Ministry of Healthcare nor Ministry of Economic Development.

Based on the research results, following recommendations are developed for medical tourism development, in Georgia:

To promote image of the country, to standardize medical services, to implement international standards of quality, to attract international funds and insurance companies international accreditation and affiliation with well-known hospital chains is required. Moreover, there is urgent need to strengthen regulations and control regarding medical quality from government’s side, in provider sector.

Government’s role and involvement should be enhanced in medical tourism direction, overall. First of all, integration and team work of all relevant governmental bodies should be achieved and strategy for medical tourism development elaborated. Most important of all is to position Georgia as a medical tourism destination country on international market and make it visible on global radar. To develop this direction, demonstration of success of separate clinics is not sufficient, unless country as a whole is perceived as a destination. Therefore, awareness should be increased in target “source countries” through active promotion activities.

Furthermore, qualification of managing and administrative personnel should be increased regarding specific needs and issues in medical tourism.

In general, competition on global medical tourism market is very intense and it will increase even more in the future, as many new players are seeking to capture their share of the revenue. Turkey’s medical tourism industry is highly developed, is one of the leading countries having biggest number of internationally accredited hospitals. And recently, South Korea is competing aggressively with Turkey to attract medical tourists from post Soviet Union countries. Consequently, experts of the field advise that Georgia needs to identify its role in medical tourism and its niche services to occupy respective position, on the global market.



ტურიზმის (ექსკურსიების) განვითარების პერსპექტივები სკოლებში

მიქელაძე ლალი

ასოც. პროფ. დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბება; მისი აუცილებელი ცოდნით აღ-



ჭურვა და მათში კულტურულ ფასეულობათა პატივისცემის გრძნობის გაღვივება. ამ მიზნის მიღწევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას – სკოლას. განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანია ფიზიკური აღზრდის როლიც, კვლევები აჩვენებს, რომ კარგად დაგეგმილი და განხორციელებული ფიზიკური აქტივობა აუმჯობესებს მოსწავლეთა კონცენტრაციას, ზრდის მათ კრეატიულობას, ამაღლებს თვითშეფასებას, უვითარებს გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის უნარებს. ასევე პოზიტიურად აისახება მათ ქცევაზე.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ექსკურსია, სპორტი, განათლება

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად ვერ თავაზობენ მოსწავლეებს ფიზიკური განვითარებისათვის შესაბამის გარემოსა და სივრცეებს, ასევე სკოლის გარეშე სასპორტო დაწესებულებები და მათში სპორტული სექციების რაოდენობა მცირეა, გარდა ამისა, მოსახლეობის ზოგადი სოციალური ფონიც ცხადყოფს, რომ მშობლებს არა აქვთ შესაბამისი ეკონომიკური შესაძლებლობები იზრუნონ თავიანთი შვილების სპორტის სახეობებში ჩართვაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბოლო წლებია სასკოლო ექსკურსიების სეზონი ტრაგედიის გარეშე არ სრულდება, თითქოს რეგულაციები გამკაცრდა, მაგრამ ფაქტია, ექსკურსიამ მაინც შეიწირა რამდენიმე მოზარდის სიცოცხლე. მნიშვნელოვანია სკოლებში ექსკურსიების მიზნის, შინაარსის და განხორციელებისას არსებული პრობლემების აღმოფხვრა, რის გამოც ბევრი მშობელი ექსკურსიების აკრძალვასა და რეგულაციების გამკაცრებას მოითხოვს. დღეს ეს თემა განხილვის და დავის საგანია, თუმცა ცხადია, ექსკურსია სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, მისი აკრძალვა კი, პირველ რიგში, ისევ ბავშვებს დააზარალებს. ამ ორი პრობლემის დაძლევის ოპტიმალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს სკოლებში სპორტული ექსკურსიების დანერგვა. საქართველოს ყველა რეგიონში ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით სპორტული აქტივობების სრულყოფილად ჩატარების საშუალებას იძლევა: სპორტული აქტივობები შეიძლება იყოს, როგორც სპორტული ღონისძიებები, ასევე სასწავლო საწვრთნო შეკრებები და სპორტული ივენთები. მთა-გორიანი რეგიონები არის მიმზიდველი ლოკაცია ჰაიკინგისა და კემპინგისთვის.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, განვსაზღვროთ, რამდენად ხშირად და მიზანმიმართულად ტარდება სკოლებში ექსკურსიები, როგორია მოსწავლეთა ჩართულობისა და კმაყოფილების დონე და მათი დამოკიდებულება სპორტულ ექსკურსიებთან.

შერჩევა და კვლევის მეთოდოლოგია

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. შესაბამისად კვლევისთვის შეირჩა თბილისის ფარგლებში ცხრა სკოლა და კვლევითი სეგმენტი განისაზღვრა მერვე, მეცხრე და მეთექვსმეტი კლასელი მოსწავლეებით.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალურ გზად მიჩნეულ იქნა ორი მეთოდის გამოყენება. კვლევაში გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდი. კვლევის თვისებრივი კომპონენტში ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა სკოლის დირექტორებთან (მხოლოდ ოთხი დათანხმდა ცხრიდან, ანონიმურობის მოთხოვნით) და კლასების ხელმძღვანელ მასწავლებლებთან, რომლებიც უშუალო კავ-



შირში არიან სასკოლო ექსპურსიების დაგეგმვასთან, და განხორციელდა კვლევის რაოდენობრივი კომპონენტი- მოსწავლეების გამოკითხვა.

თვისებრივი კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სკოლებში ექსპურსიების ჩატარების სიხშირემ შედარებით იკლო, ვინაიდან სკოლის დირექტორებს დაევალოთ, გადამყვანი კომპანიისგან მოითხოვონ მძღოლის კვალიფიკაციისა და ავტომანქანის ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე დღესდღეობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ექსპურსიებთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები მოქმედებს, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვრცელდება, როდესაც ორგანიზატორი რომელიმე ინსტიტუცია, მაგალითად, საჯარო, კერძო, სახელოვნებო, სპორტული და ა.შ. სკოლა და დაწესებულებაა. თვითორგანიზებულ ექსპურსიებზე(მაგ. მშობლები) არსებული რეგულაცია ამ დრომდე არ ვრცელდება. შესაბამისად სკოლის დირექტორები მშობლების მხრიდან აქტიურად ინიცირებულ შეთავაზებებს ექსპურსიების ჩატარების შესახებ არ თანხმდებიან. რაც შეეხება ექსპურსიის მიზანს და განხორციელების პროცესს, რომ ის იყოს მაქსიმალურად გათვლილი მოსწავლეთა შემეცნებაზე, ერგონომიულად შესაბამის აქტივობებზე არ დაფიქსირდა. უმრავლეს შემთხვევაში ექსპურსიის ჩატარების პროცესი მოიცავს მცირე დროის მონაკვეთით- ერთი ისტორიულ-კულტურული ძეგლის მონახულებას და ყველაზე დიდი დროის მონაკვეთს იკავებს კვებითი კომპონენტი შერჩეულ რესტორანში ან პიკნიკი ბუნებრივ გარემოში. ასევე დადგინდა, რომ სასკოლო ექსპურსიებში მონაწილეთა შორის მშობლების რაოდენობა თითქმის იმდენივეა, რამდენიც მოსწავლე, რაც პროცესის უმართაობას იწვევს.

სკოლის დირექტორთა მხიდან გამოიკვეთა სურვილი სასკოლო ექსპურსიებთან დაკავშირებული ახალი რეგულაციების წესდების ამოქმედების, რომლის ინიციატორი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტია. აღნიშნული დოკუმენტი რვა პუნქტისგან შედგება. სადაც წარმოდგენილია ექსპურსიის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობის ფორმები, საკვების ჰიგიენური დაცვის ნორმებით გადატანისა და პირველადი სამედიცინო დახმარების ვალდებულებები. ამასთან, ეს პუნქტები არეგულირებს იმასაც, რომ სკოლას არ აქვს უფლება, საექსპურსიო ტრანსპორტი კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაიქირავოს. ასევე, კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია, მოითხოვოს მძღოლის პროფესიული გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, რეკომენდაციებისა და მართვის მოწმობის სახით და ასევე ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამ რეგულაციის ამოქმედების ვადად 2020 წელის ივნისია განსაზღვრული. ეს სასკოლო ექსპურსიების მნიშვნელოვანი, უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობაა, თუმცა არსებობს მეორე ასევე უმნიშვნელოვანესი პრობლემა -სასკოლო ექსპურსიების ჩატარების ხარისხის ამაღლება:, მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი ძალების აღდგენის შესაძლებლობათა გაძლიერება, მათი მოტივაციის ამაღლება მეტი ჩართულობისთვის.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მოსწავლეთა პირდაპირი გამოკითხვის მეთოდი, რომელიც ასახავდა მათ დამოკიდებულებას, როგორც სასკოლო ექსპურსიების ჩატარებასთან მათი კმაყოფილების დონის განსაზღვრას, ასევე სპორტული მიმართულებით



ბის ტურებისადმი მოთხოვნის დადგენას.


დაცული იყო რესპონდენტთა ანონიმურობა და კონფიდენციალობა, რის შესახებაც ასევე განემარტათ მათ. რაც შეეხება შერჩევას, გამოკითხული რესპონდენტები არიან თბილისის საჯარო სკოლების მერვე მეცხრე და მეთექვსმეტე კლასელი მოსწავლეები. კერძოდ, გამოკითხა სულ 127 მოსწავლე. მითითებული იყო კვლევის დანიშნულება, მისი მიზანი, ამოცანები, კვლევაში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა.

კვლევის შედეგები:

კვლევის ფარგლებში გენდერული ბალანსის დაცვა მოხერხდა, რადგან კვლევის თემით ორივე სქესის მოსწავლეები დაინტერესდნენ. კვლევის მონაწილეთა 54%-ს შეადგენდნენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, ხოლო 46%-ს კი მამრობითი სქესის წარმომადგენლები. რესპონდენტთა უმეტესობა 14 წ. ასაკობრივ კატეგორიას განეკუთვნება (59%), მეორე ადგილზეა 15 წ. მოსწავლეები (24%), ხოლო შემდეგ მოდის 13 წ. მოსწავლეები (17%).

რესპონდენტთა უმრავლესობას (79%) გაცნობიერებული აქვს არაფორმალურ გარემოში სასკოლო ექსკურსიების დადებითი მნიშვნელობა და მიაჩნიათ, რომ მრავალსპექტრიანი ექსკურსიები უნდა იყოს შეტანილი სასწავლო პროგრამებში, როგორც სწავლების სისტემის გარკვეული და სავალდებულო ნაწილი. მოსწავლეებმა დააფიქსირეს, რომ ექსკურსიების დაგეგმვისას სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად აუცილებელია მათი ჩართულობა მარშრუტის, ღირშესანიშნავი ობიექტების, ფიზიკური აქტივობების განსაზღვრაში. ასევე ემხრობიან გარემოსადმი მდგრადი დამოკიდებულების პრინციპებს, ათვიცნობიერებენ ეკოსისტემებში ფიზიკური დატვირთვების დადებით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი (21%) ინდეფერენტულად არის განწყობილი სასკოლო ექსკურსიების ჩატარებასთან დაკავშირებით.

სურათი 1. რამდენად ხშირად ტარდება სკოლაში ექსკურსია?



დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე სკოლებში ექსკურსიების წლიური სეზონური დაგეგმვა ვერ ხერხდება, შესაბამისად სიხშირის მაჩვენებელი არც ისე მაღალია რასაც რესპონდენტთა პასუხებიც ადასტურებს.


სურათი 2. ვინ უწევს ორგანიზებას ექსკურსიას?



გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ექსკურსიების ჩატარების ინიციატორები და მათ შორის მონაწილეები მშობლები არიან, (25%) კვალიფიციურ ტურისტ-



ტულ კომპანიებთან მიმართვიანობის მაჩვენებელი დაბალია(24%).
 სურათი3. რა ხარვეზები დაფიქსირდა ჩატარებულ ექსკურსიებში?



რესპოდენტთა უმრავლესობა (35%) უკმაყოფილოა ექსკურსიის ჩატარების პროცესით: მონაწილე მშობელთა ჩართულობის დიდი რაოდენობით, საინტერესო აქტივობების ნაკლებობით. მოსწავლეთა 28% აფიქსირებს მგზავრობის პროცესის ხარვეზებს: მძღოლის არაფროფესიონალიზმი და მოსწავლეებთან კონფლიქტი, ტრანსპორტის გაუმართაობა. ასევე გამოიკვეთა რესპოდენტთა უკმაყოფილება (26%) კვებითი მომსახურების მიმართ: ობიექტი, სადაც უნდა ესადილათ დაკეტილი აღმოჩნდა, გადახდილ თანხასთან მენიუს შეუსაბამობა, კვებითი ინტოკსიკაცია, სან-ჰიგიენური ნორმების დარღვევა. დასახელდა მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევები (11%): ტრასპორტირების დროს ფეხზე მდგომ მოსწავლეთა დაშავება, კვებითი ინტოკსიკაცია, ქუჩის ძაღლების მიერ მოსწავლეთა დაზიანება, ჯგუფის გახზევა და წევრის დროებითი დაკარგვა.

სურათი 4. გასურთ თუ არა რეკრაციულ ადგილებში ჩატარდეს ექსკურსია სპორტული სახეობების და თამაშების ელემენტებით ?



ეს მაჩვენებლები იმაზე მოწმობს, რომ გამოკითხული რესპოდენტების დიდი ნაწილს(61%) სურს, რომ ექსკურსიები არა მარტო ისტორიულ-კულტურული შინაარსის იყოს, არამედ სპორტულიც, მიმართული მათ ფიზიკურ განვითარებაზე,ჯანმრთელობაზე, ცხოვრების ჯანსაღ წესზე. დაფიქსირდა ,რომ ფიზიკური კულტურის გაკვეთილები არასრულფასოვნად ტარდება დასპორტული აქტივობები სწავლის პროცესში შეზღუდული აქვთ. გამოკითხულ მოსწავლეთა 20% ინდეფერენტულია , თუმცა გამოთქვეს აზრი, რომ თუ ჩატარდება აღნიშნული პროფილის ექსკურსია მონაწილეობას მიიღებენ. რაც შეეხება რესპოდენტთა მცირე ნაწილს(19%) არ სურთ სპორტული აქტივობებით განხორციელებული ექსკურსია.

დასკვნა

ექსკურსია განიხილება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უკეთ წარმართვის ფორმად, რომლის საშუალებითაც მოსწავლე აკვირდება სხვადასხვა საგანს თუ მოვლენას, რის შედეგად იძენს ახალ ცოდნას, უნარ-ჩვევებს. ექსკურსიების ჩატარება ბუნებრივ გარემოში მოსწავლეებს, უყალიბებს გარემოსდაცვით ცნობიერებას, უბიძგებს გააცნობიეროს პირადი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ. “დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულობაცა აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშო-



ბით უნდა გაღონიერდეს, გაჯანსაღდეს, გამაგრდეს”, - წერდა ი.ჭავჭავაძე, მისი აზრით, ეს ამოცანა უნდა ამოძრავდეს სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას. მოზარდთა ჯანმრთელობა და განვითარება განსაკუთრებული ყურადღების საგანია მთელ მსოფლიოში. ნაადრევი სიკვდილის შემთხვევების 2/3 და მოზრდილი ადამიანების საერთო ავადობის ტვირთის 1/3 უკავშირდება ცხოვრების პირობებს და ქვეყნის ნორმებს, რომლებიც სწორედ ახალგაზრდა ასაკში ყალიბდება. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება სიღარიბე, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე, თამბაქოს მოხმარება, პლანშეტური კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების ულიმიტო გამოყენება, ზედმეტი წონა, ფიზიკური აქტივობის უარყოფა. შესაბამისად ყურადღებას მოითხოვს მოზარდობის ასაკში ჯანსაღი ცხოვრების წესის სტიმულირება და ჯანმრთელობის რისკებისგან დამცავი ღონისძიებების ჩატარება. სწორედ ერთ-ერთ დამცავ ღონისძიებად შეგვიძლია მივიჩნიოთ სკოლებში სპორტული მიმართულების ექსკურსიების დანერგვა.

რეკომენდაციები

- სკოლებში მრავალსპექტრიანი ექსკურსიების ჩატარების წლიური გეგმის შედგენა, მათ შორის სპორტული ტურიზმის (ორდღიანი ტურის შემთხვევაში) და ექსკურსიების გათვალისწინებით.
- სპორტული ტურების და ექსკურსიების მომსახურების მიმზიდველი პროგრამების შედგენა: სპორტის სახეობების, სპორტული თამაშობების, (მათ შორის ქართული ტრადიციული), ლაშქრობების (მოდრაობა უცნობ ადგილმდებარეობაზე რუკითა და კომპასით) ტურისტული ესტაფეტის ელემენტების ჩართულობით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.
- ექსკურსიების უსაფრთხოდ და ხარისხიანად განხორციელებისთვის არსებულ სახელმწიფო რეგულაციების შესრულებასთან ერთად ღონისძიების ხელმძღვანელის/ორგანიზატორის მიერ დაქირავებულ პერსონალთან (ლიდერ/ინსტრუქტორებთან), არასრულწლოვანთა განთავსებისა და კვების ობიექტთან ურთიერთობები და მხარეთა პასუხისმგებლობა დარეგულირებული უნდა იყოს ხელშეკრულებით
- სკოლის ადმინისტრაციამ მშობლებთან კომუნიკაციის საფუძველზე უნდა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ. სპორტულ ექსკურსია-ტურების ჩატარებისას ჯგუფს აუცილებლად უნდა ახლდეს ექიმი და ერთი ან ორი მშობელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოლიტიკის დოკუმენტი-2019-2021
2. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი National Sport Policy 2014-2020
3. ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა-განათლების აქტუალობა და სასკოლო სპორტის განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის- საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია
4. „ჩვენი გარემო“-ლია შალვაშვილი -2018
5. ფიზიკური აღზრდის არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების გზების შესახებ საქართველოს სკოლებში- გ.კახიძე -2016



6. ექსკურსია-განათლების შემადგენელი ნაწილი.-ლ.ჯიმშელიაშვილი -2016
7. <https://www.turebi.ge/ka/travelcompany/1029>
8. <https://www.facebook.com/NimaTours.Ge/>

Prospects for Sports Tourism (Excursions) Development at Schools

Mikeladze Lali

Assoc. Prof. Dr., Caucasus International University

Abstract

Key words: Tourism, Excursion, Sport, Education

The goal of public policy in the field of public education is to support to develop the national and universal values in persons, to provide them with a necessary knowledge and fostering a sense of respect for their culture. Schools play a key role in achieving this goal. Along with education, the role of physical education is also important.

Studies show that well-planned and implemented physical activities improve students' concentration, increase their creativity, enhance self-esteem, and develop decision-making and problem-solving skills. It also positively affects their behavior. The purpose of the study is to determine how often and purposefully school excursions are conducted, such as the level of student engagement and satisfaction, and their relationship with spontaneous excursions. The excursion is considered to be a better way of conducting the educational process through which the learner observes different subjects and events, thus acquiring new knowledge and skills.

The importance of sports tourism/educational tours are: enhanced learning experiences - field tours not only educate, but even prove to be an excellent medium for developing long-lasting relationships. Involvement – students can get many lessons from interactive sessions. Interaction – students can interact with other people. It gives them a chance to gain new perspectives, and learn from complete strangers with unbiased opinions. The recommendations worked out are as followed: To develop an annual plan for multi-functional excursions for school students, including sports tourism. To design attractive programs for sports tours and excursions. Responsibilities of the parties should be regulated by the contracts along with compliance with state regulations for safety and quality.



მდინარე კელასურის ხეობის ფლორა და ისტორიული ძეგლები

კობალიანი ლია

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

კობალიანი როლანდ

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



კაპანაძე შორენა

აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ჯინჭარაძე ნატალია

აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ქანთარია ია


ლაბორანტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული ფაკულტეტი, ქუთაისი, საქართველო

ნაშრომში განხილულია მდინარე კელასურის მცენარეული საფარი, კერძოდ, ამ მიდამოებში მონაცვლეობს ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეები – წიფელი, რცხილა, წაბლი, ძელქვა, ნაძვი, სოჭი, ფიჭვი და სხვა. მათი უმრავლესობა ქმნის მწიფე და მომწიფარ კორომებს. განსაკუთრებით საინტერესოა მდ. კელასურის კლდიანი კალთების მრავალფეროვანი მცენარეულობა, ხშირია წიფლნარები მარადმწვანე ქვეტყით, ხოლო სხვა ნაწილში — ბალახოვანი და მკვდარი საფარით. ზოგან 800-1500 მ სიმაღლეზე მუხნარებთან დაკავშირებულია უთხოვრიანები და წიფლნარ-უთხოვრიანები; ამავე სარტყელში მცირე რაოდენობით გვხვდება წაბლნარები და წიფლნარ-წაბლნარები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ურთხელის კორომები, სადაც ფიქსირდება რამოდენიმე საუკუნის ხეები, რომელთა რადიუსი ორ მეტრს აღემატება. განსაკუთრებით აღნიშნულია უძველესი ენდემური ურთხელის კორომების არსებობა და ცნობილი V საუკუნის ისტორიული ძეგლი „კელასურის კედელი“, რომელიც იცავდა სამურზაყანოს ჩრდილო კავკასიის ხალხთა შემოსევებისაგან.

საკვანძო სიტყვები: მცენარეული საფარი, წიწვოვანი ტყეები, ფოთლოვანი ტყეები, ისტორიული ძეგლი



